ⲧ ⲥ ⲩ

ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები

Actual Problems of Kartvelology

NOSCE TE IPSUM

VIII

2019

UDC (უაკ) 908(479.22)
ქ-275

ყოველწლიურ რეფერირებულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში: **ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები** იბეჭდება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენციის მასალები; ასევე, რეცენზირებული (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეთნოლოგიური...) გამოკვლევები. წინამდებარე ნომერში ქვეყნდება ძირითადად **პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 80 წლისთავისადმი** მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის (28. 03. 2019) მასალები.

სარედაქციო კოლეგია:

ამირან არაბული, გონელი არახამია, ივანე ამირხანაშვილი, ნომადი ბართაია, ლევან ბებურიშვილი /რედაქტორი ლიტერატურის ისტორიის მიმართულებით/, **თეიმურაზ გვანცელაძე, ამირან გომართელი, ეკა დადიანი, ლელა ებრალიძე, კარინა ვამლინგი, სერგო ვარდოსანიძე, სოფიო კეკუა** /პასუხისმგებელი რედაქტორი/, **ივანე ლეჟავა, თამარ ლომაძე, გურამ ლორთქიფანიძე, ჰიროტაკე მაედა, ნინო მამარდაშვილი, ჯაბა მესხიშვილი, ლადო მინაშვილი, საიდ მულიანი, მერაბ ნაჭყებია, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ალექსი ჟორდანია, მერაბ რობაქიძე, მაკა სალია, ნათია სიხარულიძე, მანანა ტაბიძე** /რედაქტორი ენათმეცნიერების მიმართულებით/, **ტარიელ ფუტკარაძე** /მთავარი რედაქტორი/, **როინ ყავრელიშვილი, ბელა შავხელიშვილი, რევაზ შეროზია, ფევზი ჩელები, მაგდა ჭიქაბერიძე, ლევან ჯიქია** /რედაქტორი ისტორიის მიმართულებით/.

რედაქციის მისამართი:
0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის №53ა, ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, ოთახი №110
ელ-ფოსტა: kartvelology@sangu.edu.ge
კრებულის ელვერსია იხ. www.sangu.ge

© ქართული უნივერსიტეტი
ISSN 1987-930X

UDC (უაკ) 908(479.22)
ქ-275

Topical Problems of Kartvelology is a reviewed annual scientific journal that publishes the materials of international conferences organized by the Kartvelology Centre at the St. Andrew the First Called Georgian University of Patriarchate of Georgia; also reviewed works in linguistics, literary criticism, folklore, historiography, culturology, ethnology and other fields. The current issue of the journal offers the materials of **the Scientific Conference Dedicated to the 80th Anniversary of President Zviad Gamsakhurdia (28. 03. 2019).**

Editorial Board:

Amiran Arabuli, Goneli Arakhamia, **Ivane Amirkhanashvili, Nomadi Bartaia, Levan Beburishvili** /literature editor/, **Teimuraz Gvantseladze, Amiran Gomarteli, Eka Dadiani, Lela Ebralidze, Karina Vamling, Sergo Vardosanidze, Sophio Kekua** /responsible editor/**, Ivane Lezhava, Tamar Lomadze**, **Guram Lortkipanidze, Hirotake Maeda, Nino Mamardashvili, Jaba Meskhishvili, Lado Minashvili, Said Muliani, Merab Nachkebia, Avtandil Nikoleishvili, Aleksi Zhordania, Merab Robakidze, Maka Salia, Natia Sikharulidze, Manana Tabidze** /linguistic editor/, **Tariel Putkaradze** (editor-in-chief), **Roin Khavrelishvili, Bela Shavkhelishvili, Revaz Sherozia, Pevzi Chelebi, Magda Chikaberidze, levan Jikia** /history editor/**.**

Address of the editorial office:
Ilia Chavchavadze №53a, Tbilisi 0179, St. Andrew the First-Called **Georgian University, Kartvelology Centre, Room №110**
E-mail: **kartvelology@sangu.edu.ge**
Website: www.sangu.ge

© Georgian University
ISSN 1987-930X

შინაარსი

მანანა გაბაშვილი, ზვიად გამსახურდიას საგარეო პოლიტიკა 6
Manana Gabashvili, Zviad Gamsakhurdia's Foreign Policy 19

თეიმურაზ გვანცელაძე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კავკასიური პოლიტიკა აფხაზურ-ქართულ და ოსურ-ქართულ ურთიერთობათა კონტექსტში 20
Teimurz Gvantseladze, President Zviad Gamsakhurdia's Caucasian Policy in the Context of Abkhaz-Georgian and Ossetian-Georgian Conflicts 27

ბიმურზა დადეშქელიანი-აფრასიძე, რუსეთის იმპერიის ეთნიკური პოლიტიკა 28
Birmuza Dadeshkeliani-Aprasidze, Ethnic Politics of Russian Empire 41

მანანა ტაბიძე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური სტრატეგიის მნიშვნელობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და დეოკუპაციის პროცესში 47
Manana Tabidze, The Importance of President Zviad Gamsakhurdia's Political Strategy in the Process of Restoring and De-Occupying Georgia's Independence 55

ტარიელ ფუტკარაძე, მალტის შეთანხმება (02.12.1989), ეროვნული გმირები და საქართველოს პერსპექტივა 56
Tariel Putkaradze, Malta Negotiation (02.12.1989), National Heros and Perspective of Georgia 101

ქეთევან შენგელია, „მამა ხარ ყოველთა, ძეთათვის მზრუნველი"... (ზვიად გამსახურდიას პოეზიის მიხედვით) 103
Ketevan Shengelia, „You are the Father of All Things, Guardian of Your Sons"(According to Zviad Gamsakhurdia Poetry) 110

ლევან ჯიქია, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება და კონსტიტუციური პრობლემები საქართველოში 111
Levan Jikia, The Government under Zviad Gamsakhurdia's presidency and Constitutional Problems in Georgia 122

ნემო ბურჭულაძე, დსთ-ს მიმართ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნეგატიური დამოკიდებულების შესახებ /ალმა-ათის შეხვედრის ანალიზი/ (მოგონება) 123

ამირან არაბული, ეროვნული ერთიანობის იდეა საისტორიო მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში 127
Amiran Arabuli, The Idea of National Unity in the Georgian Historical Literature and Folk Sources 138

კესო გეჯუა, მეგრული ლექსიკა სულხან-საბას „სიტყვის კონის“ მიხედვით..... 139
Keso Gejua, Megrelian vocabulary according to Sulkhan-Saba's "Sitkvis kona" 148

სერგო ვარდოსანიძე, მიხეილ ქავთარია როგორც საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი..... 149
Sergo Vardosanidze, Mikheil Kavtaria as a Researcher of the History of the Georgian Church 155

გაბრიელ თაგაური, ქართული ზღაპრის შესწავლის სამომავლო პერსპექტივები..... 156
Gabriel Tagauri, Prospects of researching Georgian Tales..... 165

სოფიო კეკუა, ამჟამად გამქრალი გვარსახელების ერთი ჯგუფი შუა საუკუნეების ქართულ იურიდიულ ძეგლებში..... 166
Sophio Kekua, Vanished at Present, a Group of Names and Family Names Given in Georgian Legal Documents of Medieval Centuries 181

თამარ კობერიძე, სოხუმის აღება მეოცე საუკუნის დასწყისში ლეო ქიაჩელის მოთხრობის „ჰაკი აძბა“ მიხედვით 182
Tamar koberidze, Taking over sokhumi at the beginning XX century (according to Leo Kiacheli's story "Haki Adzba")..... 196

თეა სუმბაძე, ილია ჭავჭავაძე სიმონ ჩიქოვანის თვალთახედვით 197
Tea Sumbadze, The problem of literary relationship between Ilia Chavchavadze and Grigol Orbeliani in the thought of Simon Chikovani..... 202

იამზე ფუტკარაძე, ყველის სახელდება ქართული ენის დიალექტებში 203
Iamze Putkaradze, The Names of Cheese in the Dialects of the Georgian Language..... 212

მანანა გაბაშვილი

ზვიად გამსახურდიას საგარეო პოლიტიკა

ზვიად გამსახურდიას მეთაურობით წარმართული ეროვნული ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა საგანგებო კვლევას ითხოვს. ამაზე მუშაობა მიმდინარეობს, ამ საკითხს მომავალში კიდევ უფრო დიდი ყურადღება დაეთმობა და პრაქტიკულადაც გათვალისწინებული იქნება. აღნიშნულ პატარა სტატიაში ეროვნული ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და ამოცანებს განვიხილავთ. პირველ რიგში მხედველობაში ვიღებთ 1801 წლიდან, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ შექმნილ ვითარებასა და ამ სფეროშიც წარსულთან გაწყვეტილი კავშირის აღდგენის მცდელობას. ანუ იმ ტრადიციული პოლიტიკის გახსენებას, რასაც საქართველო რეგიონის სპეციფიკიდან, მისი ურთულესი მდებარეობიდან გამომდინარე საუკუნეების მანძილზე წარმართავდა. ეს ნიშნავდა ყველა მიმართულებით ურთიერთობის დალაგებას, რაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ზ. გამსახურდიას, ეროვნული მოძრაობის ყოველმხრივ მომზადებულსა და პროგრესულ ლიდერს. დიდი განათლება, ენების ცოდნა და მეცნიერებასთან კავშირი, მის აზროვნებასა და მოვლენებისადმი დამოკიდებულებას მასშტაბურს ხდიდა. იგი კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიას, გაცნობიერებული ჰქონდა მისი ადგილი და როლი საერთაშორისო ცხოვრებაში; გააზრებული ჰქონდა როგორც რუსეთის ფაქტორი, ისე დასავლეთის, რომელთანაც ახალ ვითარებასა და პირპობებში ურთიერთობის აწყობას ცდილობდა. საზოგადოდაც ზ. გამსახურდიას, როგორც პოლიტიკოსის შეფასება უმნიშვნელოვანესია და სცილდება საქართველოს ფარგლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გაცილებით დიდ მასშტაბშია შესასწავლი და განსახილველი. თანაც დღევანდელი გადასახედიდან მხედველობაშია მისაღები, რომ მის მიერ დასმული პრობლემები თუ პროგნოზები, რომლებიც გამართლდა, დღესაც აქტუალურია და მხედველობაშია მისაღები არა მარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო პოლიტიკისთვისაც.

ზ. გამსახურდიას, რომელმაც საქართველოსადმი მაშინდელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო, მიაჩნდა, რომ წარმატებული საგარეო პოლიტიკის განსახორციელებლადაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა შიდა სტაბილიზაციასა და ეროვნულ თანხმობას. ამიტომაც, იგი მუდმივად მოუწოდებდა და აფრთხილებდა ოპოზიციას: ჩვენი მტერი ვერაგია და გამოცდილი, ნუ გავიმეორებთ 1921 წელს, ნუ დავღუპავთ ჩვენს ქვეყანას. დესტაბილიზაცია დაშლის საქართველოს და ჩვენს ტერიტორიაზე რამდენიმე პრეზიდენტი გაჩნდება. ასეც მოხდა. როგორც ისტორიკოსმა, მაშინ კიდევ ერთხელ გავაცნობიერე, ყველაზე საშიში შიდა მტერია. მათ „ქართლის ცხოვრება“ საკუთარი თავის კაენს უწოდებს (ქართლის ცხოვრება, II, 1959: 61). მხედველობაშია მისაღები, რომ ზ. გამსახურდიას საგარეო პოლიტიკის წარმართვა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში უხდებოდა, რაც განსაკუთრებულ სიფრთხილესა და მოქნილობას ითხოვდა. სპეციალისტებისგან ვიცი, რომ ასეთი მასირებული შეტევა, რასაც ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ჰქონდა ადგილი, ჟურნალისტიკის ისტორიაში იშვიათია. ზ. გამსახურდიამ უდიდესი ეროვნული ენერგია, ისევე როგორც ხალხში არსებული ენთუზიაზმი, ახალი, დამოუკიდებელი საქართველოს საშენებლად, მათ შორის საგარეო პოლიტიკის წარმატებით განსახორციელებლადაც მიმართა. საქართველოში ახალ პოლიტიკურ რეალობას რამდენად დიდი ინტერესით აკვირდებოდნენ გარედან და მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქვეყანაში სტაბილიზაციას, ჩანს ამერიკელი პოლიტოლოგის, ქართველი ხალხის დიდი მეგობრის რიჩარდ პაიპსის შეფასებიდან, რომელიც საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებს (1991 წ. 26 მაისი) დაესწრო და ამერიკაში დაბრუნების შემდეგ დაწერა: „საქართველოში სიმშვიდე და წესრიგია, ე. ი. სტაბილიზაციაა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომ დასავლეთმა კონტაქტი დაამყაროს საქართველოსთან. თავისი ბუნებით საქართველო დემოკრატიულია. ქართველი ხალხი განიცდის ისეთ პატრიოტულ აღმაფრენას, რომლის გადმოცემაც კი ძნელია. მაგონდება ისრაელი მისი ჩამოყალიბების პერიოდში“ (Pipse, 1991).

საქართველოსადმი დასავლეთის ინტერესი გამოჩნდა ისეთი დიდი ისტორიული მოვლენის დროსაც, როგორიც 31 მარტის საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული რეფერენდუმი იყო, რომელსაც მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე

(ეს იყო გზაც დასავლეთისკენ), ამერიკის შეერთებული შტა-ტების ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი დაესწრო. ამ ვიზიტს ამერიკასთან კარგი ურთერთობის ასაწყობად ზ. გამსახურდია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას რ. ნიქსონმა ზ. გამსახურდიას ძლიერი ლიდერი უწოდა, რომელსაც მშვიდობიანი გზით მიზნის მიღწევა ძალუძს. 1991 წ. 31 მაისს კონგრესმენმა მაკ კივენმა ზვიად გამსახურდიას საპატივცემლოდ, რომელიც 1991 წლის 26 მაისს საქართველოს პრეზიდენტად აირჩიეს, კაპი-ტოლიუმის თავზე დროშა აღმართა. რ. ნიქსონმა კი ზ. გამსა-ხურდიას ამერიკაში ვიზიტის მომზადება დაიწყო. მაგრამ მაშინდელმა ქართულმა ოპოზიციამ, რომელიც საერთაშორისო დონეზე მას როგორც ფაშისტს, ტერორისტსა და დიქტატორს უწოდებდა (რაც კრემლის ლოზუნგი იყო), ყველა ღონეს მიმართა ამ ვიზიტის ჩასაშლელად, რაშიც, რასაკვირველია, რუსეთის ხელიც ერია. ამ ფაქტიდანაც გამომდინარე ზ. გამსა-ხურდიასთვის ნათელი იყო, რომ დასავლეთი სათანადოდ ვერ აცნობიერებდა კომუნისტური სისტემის ნამდვილ არსსა და მზაკვრულ ბუნებას. იგი იმასაც აღნიშნავდა, რომ დასავლეთს ჩვენთან კონტაქტის დამყარებისა ეშინია და ურჩევნია მოსკოვის ხაზს გაჰყვესო, რაშიც ასევე არ ცდებოდა. ასეთ ვითარებაში იგი ამერიკის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშ უფროსს მოუწოდებდა გაეგრძელებინა ამერიკელი დიდი მამების - ვაშინგტონის, ჯეფერსონისა და ლინკოლნის გზა. თხოვნით მიმართავდა მხარი დაეჭირა საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობისთვის, ვინაიდან საბჭოთა კავშირი მაინც დაიშლებოდა და თუ რუსეთი გაძლიერდებოდა, დასავლეთს კვლავაც პრობლემებს შეუქმნიდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯ. ბუშზე იმ ძალებმა მოახდინეს გავლენა, რომლებიც საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისთვის იღვწოდნენ. მისი განცხადებაც, ზ. გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო, ამით იყო გაპირობებული. ამან ჯ. ბუში დააზარალა, რომელიც თავად აღმოჩნდა დინების საწინააღმდეგოდ მოცუ-რავე, ვინაიდან საბჭოთა კავშირი დაიშალა. ამის გამო მას ამერიკელი ამომრჩეველი აღარ ენდო და მეორე ვადით ხმა არ მისცა, იგი ბილ კლინტონთან დამარცხდა. საქართველოში ხალხს დღემდე უმალავენ, რომ ჯ. ბუში ამ განცხადების გამო მოგვიანებით თავს იმართლებდა, სწორად ვერ გამიგესო. ამ დროს ზ. გამსახურდიას მოწინააღმდეგეებს ჯ. ბუშის

მაშინდელი სიტყვები ხელზე აქვთ დახვეული, როგორც ზ. გამსახურდიას პოლიტიკაში არაკომპეტენტურობის მაგალითი. ასე რომ, ეროვნულ ხელისუფლებას, რომელიც საგარეო პოლიტიკაშიც ფაქტობრივად ბეწვის ხიდზე გადიოდა, ოპოზიცია ყველანაირ დაბრკოლებებს უქმნიდა, რაც ამ ხელისუფლებას შიდა მტრული და გარეშე ძალების ერთობლივი ქმედებებით ორმაგი დარტყმის ქვეშ აყენებდა. ეს საგანგებოდ აღნიშნა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ 1993 წლის 15 დეკემბერს თბილისში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ვიზიტის დროს, რომელსაც მეც ვესწრებოდი. იგი ჯ. ბუშის საწინააღმეგო პოზიციაზე იდგა. მან ასეთი სიტყვებით მოგვმართა: თავისუფლებისთვის ბრძოლაში არა აქვს მნიშვნელობა, ერი დიდია თუ პატარა, მთავარია, მას უნდოდეს დამოუკიდებლობა და ამ ბრძოლაში ერთსულოვანი იყოს. თქვენ გაუშვით ისტორიული შანსი, სამწუხაროდ, სწორედ მაშინ დაუპირისპირდით ერთმანეთს, როდესაც რუსეთი დასუსტებული და მიწასთან გასწორებული იყო. ასეთი ქმედება ქართველებისგან, დიდი წარსულისა და კულტურის ხალხისგან, მიკვირს. ამით ბჟეზინსკიმ, ცხადია ქართულ ოპოზიციას გადაკრა, რომელიც დარბაზში საკუთარ ხალხსა და ქვეყანაზე „გამარჯვებული“ მოკრძალებულად იჯდა და კითხვებს საქართველოზე კი არ სვამდა, არამედ ჩინეთზე, ინდოეთზე და ა.შ. რაც უხერხულობას ქმნიდა. ეს სწორედ ის ოპოზიცია იყო, ზვიად გამსახურდიასა და ეროვნულ ხელისუფლებას ქვეყნის იზოლაციაში მოქცევასაც რომ აბრალებდა. მაშინ როდესაც პირველი მრავალპარტიული და დემოკრატიული საარჩევნო კანონით მოსული ხელისუფლება, რუსეთის ჩათვლით, ყველა მიმართულებით საქართველოსთვის მომგებიანი კავშირების დამყარებას ცდილობდა, საქართველოში ჩამოიყვანა ბ. ელცინი, შედგა რ. ნიქსონისა და 42 ამერიკელი კონგრესმენის ვიზიტი და სხვ. თანაც ეროვნული ხელისუფლება პირველი იყო, ვინც ევროპასთან სატელიტური კავშირი დაამყარა. როგორც ილიას მიმდევარს, ზვიად გამსახურდიას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ყველა ქვეყანა საშიშია, თუ საკუთარი პოლიტიკა და იდეოლოგია არ გაგაჩნია, მით უმეტეს, რომ პოლიტიკა ინტერესებია და არა მეგობრობა. ამიტომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის წასამართავად და საკუთარი ინტერესების დასაცავად ჰაერივით სჭირდებოდა დამოუკიდებლობა, რაც ქვეყნისთვის მისაღები გადაწყვეტილებების

გამოტანას ნიშნავდა, ამას კი მხოლოდ იდეური და გამბედავი ხალხი სჭირდებოდა, ვინც ამავე დროს საკუთარ ინტერესებზე მაღლა ქვეყნის ინტერესებს აყენებდა.

ხელისუფლებაში მოსულმა ზ. გამსახურდიამ ახალი თვალით, რაც მთავარია, სახელმწიფოებრივად შეხედა რუსეთს და მას პარტნიორული ურთიერთობისკენ მოუწოდა. იმავეს სთავაზობდა ზოგად კავკასიური მასშტაბითაც, თუმცა რუსეთმა ისევ დრომოჭმული და ძველი გზა აირჩია, რაც მასაც ყოველთვის პრობლემებს უქმნიდა და აზარალებდა. ამიტომ სამართლიანად მიმაჩნია დიდი რუსი ისტორიკოსის ვ. კლუჩევსკის სიტყვები, რომელიც ამბობდა: რუსეთისთვის ყველაზე დიდი პროვოკატორი თავად რუსეთის მთავრობაა. ზ. გამსახურდიას რუსეთთან ურთიერთობაში კარგად ესმოდა მისი უზარმაზარი ბაზრის ეკონომიკური მნიშვნელობაც. თითქმის ყოველ კვირას იგი თავის მინისტრებს კონკრეტული სამეურნეო დავალებებით რუსეთში აგზავნიდა. ამით იგი მარაგებსა და მატერიალურ ბაზასაც უქმნიდა ქვეყანას. ეს კარგად გამოჩნდება მიწისძვრის დროს, როდესაც საქართველო საკუთარი რესურსებით, სხვების დახმარების გარეშე, დაიწყებს აღდგენით სამუშაოებს.

მცდარია შეხედულებაც, თითქოს ზ. გამსახურდია რუსეთს ებრძოდა. სინამდვილეში გორბაჩოვ-ელცინის დაპირისპირებაში იგი ელცინის მხარეზე იყო, რომლის მეთაურობითაც რუსეთი თავად იბრძოდა სუვერენიტეტისთვის, ეს იმ დროს, როდესაც გორბაჩოვს მოდერნიზირებული საბჭოთა კავშირის შენარჩუნება სურდა. ზ. გამსახურდიას მიერ ელცინის ყაზბეგში მოწვევა (1991 წ. მარტი) ეს იყო საქართველოს ტერტორიაზე ორი მოკავშირის შეხვედრა. ზ. გამსახურდიამ მაშინ რუსეთს პარტნიორული და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კავშირები შესთავაზა, ვიდრე ადრე იყო. შეიქმნა სამმაგი კომისია (საქართველოს, რუსეთის, საბჭოთა კავშირის), რომელმაც ცხინვალში მიმდინარე კონფლიქტი საქართველოს საშინაო საქმედ გამოაცხადა და მას არა ეთნო-კონფლიქტის კვალიფიკაცია, არამედ პოლიტიკური შეფასება მისცა, როგორც საქართველოს წინააღმდეგ ოსი სეპარატისტების ქმედებას. მაშინ საკავშირო საინფორმაციო საშუალებებიდან ამოიღეს ცნება სამხრეთ ოსეთი. ასე მოიხსნა დღის წესრიგიდან საქართველოზე ზეწოლის ბერკეტი, რომლითაც მ. გორბაჩოვი მანიპულირებდა. ეს იყო მაგალითი აფხაზი სეპარატისტებისთვისაც. მაგრამ ოპოზიციის ძალისხმევით,

სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ზ. გამსახურდიასა და ეროვნული ხელისუფლების ეს დიდი მიღწევა განადგურდა, უფრო მეტიც ეროვნულ ხელისუფლებას ოსთა გენოციდიც კი დასწამეს, რაც საერთაშორისო დონეზეც გაიტანეს. შესაბამისად, ლომის წილი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკად გამოცხადებაში, ოპოზიციასაც ეკუთვნის.

ქოჩარიან-ბონერმა (რომელთანაც მჭიდროდ თანამშრომლობდა ქართული ოპოზიცია და მის რადიომოწოდებებს, დიქტატორი ზ. გამსახურდია დაემხოთ, რუსთაველზე ახმოვანებდა) ელცინს მიმართა სასწრაფოდ ეცნო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა. ეს იყო მიგრანიანის ანტიქართული მოქმედების გეგმის შემადგენელი ნაწილიც. რამდენიმე წლის წინ პარიზში გამოვიდა ელენ ბლანის მონოგრაფია „კრემლის მტაცებლები“. ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს დაშლის მიგრანიან-როგოზინის გეგმა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში მაშინდელ რუსულ პრესაში ღიად იბეჭდებოდა. მათში პირდაპირ იყო ლაპარაკი ქართველების ფიზიკურ მოსპობასა და პირველ რიგში ახალგაზრდების განადგურებაზე. არ არის შემთხვევითობა, როდესაც სწორედ ამ პერიოდში კონსტანტინე გამსახურდიამ ამავე შინაარსის ანონიმური მუქარის წერილი მიიღო, რაც მაშინ ზვიადმა გაახმაურა.

ბ. ელცინის წიგნიდან „პრეზიდენტის ჩანაწერები“ კარგად ჩანს, თუ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ როგორ დიამეტრულად იცვლის იგი პოზიციას. რუსეთის პრეზიდენტმა ცხინვალის მოვლენებს ეთნოკონფლიქტის კლასიფიკაცია მისცა და ქართელ ხალხს, რომელიც ვერ ხვდება, რომ რუსეთი ეთნო-კონფლიქტში არავის მხარეზე არ დადგება, გონებადაბნელებულები უწოდა. ელცინმა, როდესაც ეროვნულ ხელისუფლებას გაუსწორდა, ჩეჩნეთზე აიღო გეზი. თუმცა ეროვნული ხელისუფლების განადგურების გეგმა უფრო ადრე გორბაჩოვსაც ჰქონდა. დასავლეთმა მხოლოდ მოგვიანებით აღიარა, რამდენად სწორად მიუთითა მათ ზ. გამსახურდიამ კომუნისტური ნომენკლატურის ნამდვილ ბუნებასა და ქართული ნომენკლატურის მოსკოვთან კავშირზე, რუსული კომუნისტური ნომენკლატურისა და დემოკრატიულად აღიარებული ძალების დაახლოებაზე, რომლის საბოლოო მიზანსაც კავკასიაში დაბრუნება წარმოადგენდა. ამიტომაც უწოდებდნენ სახაროვი და მისი მეუღლე ელენე ქოჩარიან-ბონერი საქართველოს „მცირე

იმპერიას“. ბონერ-სახაროვის კონსტიტუციის პროექტიც საქართველოს დაშლას, ავტონომიებისთვის რესპუბლიკების სტატუსის მინიჭებას ისახავდა მიზნად (რაშიც მათ გამსახურდია ხელს უშლიდათ) და სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ განახორციელეს კიდეც. იმავეს ქადაგებდა მწერალი ალექსანდრე სოლჟენიცინი, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა საქართველოდან აფახაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ჩამოშორებას. სხვათა შორის, დღეს რუსების საკმაოდ დიდი რაოდენობა სოლჟენიცინის დისიდენტობას ეჭვის თვალით უყურებს და მის გვარში - სოლჟენიცინი - ლჟეს გამოყოფს, რაც ცრუს ნიშნავს. სწორედ რუსეთის ამ „დემოკრატიულმა ძალებმა“ ჩაშალეს ზ. გამსახურდიას ნობელის პრემიით დაჯილდოების გეგმა. ამ დროს ჭეშმარიტი დისიდენტი და ჰუმანისტი საქართველოს პრეზიდენტი „ექო მასკვითაც“ გამოვიდა და იმ ქართველებს, რომლებიც რუსულ ჯარში მსახურობდნენ, მოუწოდა, თუკი 19 აგვისტოს პუტჩის მონაწილენი მოსკოვზე იერიშს დაიწყებდნენ, რუსი ხალხის წინააღმდეგ იარაღი არ აეღოთ.

აგვისტოს პუტჩის გაშიფვრითა და ამ ხიფათის აცილებით ზ. გამსახურდიამ ეროვნული ხელისუფლება განადგურებისგან იხსნა, ქვეყანას კი სისხლის ღვრა ააცილა. იგი არ აჰყვა ოპოზიციას, რომელიც მზაკვრულად მას ამ პუტჩში ჩარევისკენ მოუწოდებდა, რაც ზ. გამსახურდიამ არ გააკეთა, ვინაიდან ის სხვა ქვეყნის შინაურ საქმეში ჩარევად მიაჩნდა. სამაგიეროდ, საქმის კურსში ჩააყენა დასავლეთის პოლიტიკური წრეები, რამაც საქართველოში მოსკოვის აგრესია შეაჩერა. განსაკუთრებული პოლიტიკური ალღოს მქონე საქართველოს პრეზიდენტის მიერ გადადგმულ ამ გამბედავ ნაბიჯებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისა და აღმოსავლეთ ევროპისთვისაც. ასე რომ, საფრთხე ყოველ ნაბიჯზე იყო, ოპოზიციას კი მისი არაკომპეტენტურობისა და პოლიტიკაში სიბეცის გამო (ზოგიც დავალებას ასრულებდა) ზ. გამსახურდიას გაფრთხილებები მის აჩემებად მიაჩნდა და სასაცილოდ არ ჰყოფნიდა.

ზემოთ აღინიშნა, რომ ზ. გამსახურდია დასავლეთთან ურთიერთობის აწყობას იწყებდა, მაგრამ უკვე ხელისუფლებაში მოსული იგი ფრთხილად და წინდახედულად მოქმედებდა. მისი დასავლეთის პოლიტიკა გამორიცხავდა რუსეთის გაღიზიანებას. ამიტომაც დასავლეთისადმი თავის მიმართვებში

თავს იკავებდა ზედმეტად თამამი განცხადებებისგან. მაგრამ დასავლეთის მიმართაც მას ჩამოყალიბებული შეხედულებები და პრინციპები ჰქონდა, რომლებიც ეფუძნებოდა მის ღრმა ცოდნასა და ანალიზს, რაც პოლიტიკაში ილუზიებს გამორიცხავდა. დღესაც აქტუალურია, და არა მხოლოდ საქართველოსთვის, ზ. გამსახურდიას მიერ ჯერ კიდევ XX სუკუნის 70-იან წლებში დაწერილი „დილემა კაცობრიობის წინაშე“, სადაც მაღალი კულტურისა და ცივილიზაციის დასავლეთს, რომლის ნაწილსაც თავად წარმოადგენდა, გამიჯნავდა ევროამერიკული იმპერიალიზმისგან, მატერიალურ ღირებულებზე, მოგებასა და ომებზე, უზნეობაზე დაფუძნებული მისი ერთი ნაწილისგან, რომლის მსხვერპლიც (არა მხოლოდ რუსეთის იმპერიის მხრიდან) მომავალში თავად გახდება.

კიდევ ერთ გარემოებაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. 1453 წლიდან, ბიზანტიის იმპერიის დაცემიდან მოყოლებული საქართველო და ევროპა ისლამიზაციის საფრთხის წინაშე დადგა და ეს პროცესები დღემდე გრძელდება. მაგრამ მაშინ ევროპელებს საქართველოს, როგორც ფორპოსტის როლი ისლამური სამყაროს წინაშე, გაცილებით კარგად ესმოდათ, ვიდრე დღეს. ამიტომაც ერთიან, ძლიერ საქართველოს რეალურად მხარს უჭერდნენ. ამ ფაქტორს თანამედროვე დეზინფორმაციული ომის პირობებში ზ. გამსახურდია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და დასავლეთს განუმარტავდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის მნიშვნელობას. ამ და სხვა პრობლემების გადასაჭრელად ზ. გამსახურდიამ ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები ბრიუსელში გააგზავნა, სადაც ევროპარლამენტისა და ნატოს ხელმძღვანელობას შეხვდნენ. მეორე დღესვე ევროპარლამენტის საგანგებო გაფართოებულ სხდომაზე დღის წესრიგში ერთადერთი საკითხი დადგა - საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების თხოვნის მოსმენა. ქართული დელეგაციის მხრიდან გაცხადდა ის ამოცანები, რომელიც საქართველოს წინაშე იდგა და მიზნად ისახავდა სამართლებრივ, სოციალურ სოლიდარობაზე აგებული საზოგადოების აშენებას. ილაპარაკეს საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ, მათ შორის კრემლიდან წამოსულ ცილისწამებაზეც. ასევე ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროვოკაციულ მოვლენებზე. გარდა იმისა, რომ ევროპარლამენტის კედლებში ქართული საუბარი პირველად გაისმა, მოხდა კიდევ ერთი

ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი. ქართულ დელეგაციას საშუალება მიეცა მოსკოვის გვერდის ავლით, ეკონომიკური და ჰუმანიტარული დახმარებისთვის ევროსტრუქტურებისთვის მიემართა, რაც საქართველოს რუსეთის მიერ მოწყობილ ბლოკადას შეუმსუბუქებდა.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გაერთიანებული ევროპის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და იდეოლოგის, ევროპარლამენტის დეპუტატის, ოტო ჰაბსბურგის მხარდაჭერას, რომელიც პატივს სცემდა და კარგად იცნობდა ზვიად გამსახურდიას დისიდენტურ წარსულს. მან ქართულ დელეგაციას აღუთქვა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება უახლოეს დღეებში მოხდებოდა. მაგრამ მანვე გაფრთხილების სახით ჩვენი დელეგაციის წევრებს ასეთი რამ უთხრა: რაც უფრო მოახლოვდება თქვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ცნობის დრო, საქართველოს პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისუფლების მდგომარეობა მით უფრო საშიში გახდება. მან არ გამორიცხა რუსეთის სამხედრო აგრესია და ეროვნული ხელისუფლების დაპატიმრება, რაც ფაქტობრივად ასეც მოხდება. მართლაც, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის მიერ საქართველოს აღიარების პროცესი დაიწყო, პარალელურად უზენაეს საბჭოს შენობაზე გარედან წაქეზებული და მხარდაჭერილი ოპოზიციის იერიში მიმდინარეობდა.

მაშინ კი ბრიუსელში ნატოს გენერალური მდივნის მანფრედ ვერნერის ინიციატივით, ეროვნული ხელისუფლების დელეგაცია ნატოს შტაბ-ბინაში მიიწვიეს. მ. ვერნერმა, რომელსაც საჩუქრად ქართული ხმალი გადასცეს, ქართველებს თბილი მიღება მოუწყო და აღნიშნა, რომ ქართველები პირველები იყვნენ საბჭოთა კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიებიდან და რომ ეს პატივი არ რგებია არც გორბაჩოვსა და არც შევარდნაძეს. თუ როგორ შეხვდა თბილისში ამ ცნობებს ოპოზიცია, მათ ბუნებასა და ხასიათზე მეტყველებს. ისინი უზენაესი საბჭოს შენობის წინ გამართულ მიტინგზე, რომელსაც ყოფილი პრემიერ მინისტრი თ. სიგუა ხელმძღვანელობდა, უსტვენდნენ და ილანძღებოდნენ. ეს იყო დეკემბრის ბოლო და ისინი იერიშისთვის ემზადებოდნენ. მათი მხრიდან ეს იყო რუსეთის ინტერესებზე წყლის დასხმა, რომელიც საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობას როგორც შეეძლო ხელს უშლიდა. რუსეთი არწმუნებდა დასავლეთის ზოგიერთ ექსპერტს, რომ კავკასიის რესპუბლიკები ერთმანეთში ვერ მორიგდებოდნენ, რაც დესტაბილიზაციის მძლავრი ფაქტორი გახდებოდა. დესტაბილიზაციის შესაძლებლობამ საქართველოში დასავლეთი არაერთხელ დააფრთხო.

ეროვნული ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება აღმოსავლეთთან ურთიერთობა იყო. უზენაეს საბჭოში საგარეო საქმეთა კომისიაში, როგორც აღმოსავლეთმცოდნე, აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის ქვეკომისიას ვუძღვებოდი. ცხადია, საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში აღმოსავლეთის ქვეყნებშიც საელჩოებს ვერ გავხსნიდით, ამიტომ დროებითი გეზი მათ წინაპირობაზე, კულტურის სახლებზე ავიღეთ. სპეციალისტების მოზიდვისა და მათთან კონსულტაციების საფუძველზე აღნიშნულ ქვეკომისიაში სათანადო პროგრამა მოვამზადეთ. პარალელურად, ანტიქართული ძალების წინააღმდეგობის მიუხედავად, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბაზაზე, მომავალი დიპლომატებისა და თანამედროვე აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკისთვის მოსამზადებლად საჭირო კადრების აღსაზრდელად აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი დავაარსეთ. ვაბალანსებდით ურთიერთობას ბუნებრივი რესურსებით მდიდარ არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის, რაც ორივე მხარის კმაყოფილებას იწვევდა. საერთაშორისო პოლიტიკაში ლავირებისას ზ. გამსახურდია კარგად იყენებდა თურქეთის ფაქტორსაც, რომელიც კავკასიაში რუსეთის გავლენის დასუსტებით იყო დაინტერესებული. მისი პოლიტიკის ამ მიზნებს უკვე გამსახურდიას ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი პოლიტოლოგი გ. ერასიმოსი, ასე აფასებს: „თურქეთს სურდა, რომ აშშ-ს ხელშეწყობით შუამავლის როლი შეესრულებინა რუსეთისგან კავკასიისა და შუა აზიის ჩამოშორების, მათი დასავლეთთან დაახლოების საქმეში, მაგრამ ეს გეგმა არ განხორციელდა იმ დესტაბილიზაციის გამო, საქართველოში რომ დაიწყო და რამაც დასავლეთი დააფრთხო. ამის გამო თურქეთმა ვერ ჰპოვა მხარდაჭერა დასავლეთის ქვეყნებში, ხოლო რუსეთი კავკასიაში დაბრუნდა“ (Erasimos, V, 1994).

რამდენად აფერხებდა დესტაბილიზაცია საგარეო პოლიტიკასა და, კერძოდ, დასავლეთთან ურთიერთობას, შემდეგი ფაქტებიც მეტყველებს. ოპოზიციამ ჩაშალა ზვიად გამსახურდიას ვიზიტი რომის პაპ იოანე პავლე II-თან, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. გაბაშვილი ამზადებდა. ამის სურვილი ვატიკანის დელეგაციამ საქართველოში 1991 წლის მაისში ჩამოსვლისას გამოთქვა. როგორც გაირკვა, მოსკოვი ყოველმხრივ ხელს უშლიდა მათ ვიზიტს, აშინებდა კიდევაც ცრუ ინფორმაციით, თბილისში არეულობა და სროლებიაო. ცხადია, რუსეთს არ უნდოდა, დასავლეთს კავშირი რომ დაემყარებინა და ინვესტიციები ჩაედო საქართველოში. ზ. გამსახურდიას დიდი განათლებითა და კულტურით მოხიბლულმა

ვატიკანის დელეგაციამ, კერძოდ კარდინალმა კუალასონომ ნ. გაბაშვილს განუცხადა: სამწუხაროდ, ზ. გამსახურდიას ვერ მიიწვევდნენ, მაგრამ თუკი რომში ჩამოვიდოდა, იოანე პავლე II მას მიიღებდა. მან ეს ასე განმარტა: ვატიკანი მზად არის ცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ სანამ ევროკავშირი მსგავს გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ვატიკანი ამას ვერ გააკეთებსო. საქმე ისაა, რომ მოსკოვს აღმოსავლეთ ევროპიდან ჯარები გაჰყავდა და ევროკავშირმა რუსეთს ასიამოვნა იმით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა (იმ საბაბით, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვეოდა) შეაფერხა, რამაც ჯაბა იოსელიანის ხუნტას გზა გაუხსნა. ბრიუსელში, ბერლინში, პარიზში მიიჩნევდნენ, რომ ასეთი დათმობებისთვის რუსეთს კომპენსაცია სჭირდებოდა; ამგვარი კომპენსაცია კი კავკასია იყო. ამიტომაც რუსეთმა მაშინ დაკარგული ყირიმის დაკარგვის სანაცვლოდ აფხაზეთი მიიღო. ასეთი პოლიტიკა და გარიგებები ეროვნული ხელისუფლების მართვიდან ჩამოშორებას მოითხოვდა. ამ როლს მარიონეტული ოპოზიცია კარგად ასრულებდა.

ნ. გაბაშვილი იგონებს: დეკემბრის თვე იყო, როდესაც იტალიაში გავემგზავრე, სადაც ჯერ ვატიკანის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარეს, მოგვიანებით კი იტალიის პარლამენტის საგარეო კომისიის თავმჯდომარეს შევხვდი, რომელმაც პირად საუბარში გულისტკივილითაც განმიცხადა, რომ საქართველოს პერსპექტივა არც თუ კარგია, რამდენიმე დღის წინ იტალიაში რუსეთის პრეზიდენტი ბ. ელცინი იყო ჩასული, რომელსაც საქართველოზეც ექნებოდა ლაპარაკი. მით უმეტეს, რომ ამ დროს, ელცინის მითითებით ოპოზიციის მიერ უკვე უზანაესი საბჭოს შენობაზე იერიში დაწყებული იყო. მაგრამ ამ პირობებშიც ეროვნული ხელისუფლება კვლავაც აგრძელებდა მუშაობას. 24 დეკემბერს, რომის პაპის იოანე პავლე II-ის ინიციატივით ნ. გაბაშვილი და მისი დელეგაციის ერთი წევრი შეხვდნენ რომის პაპს, რომელსაც ესიამოვნა, როდესაც ნ. გაბაშვილმა მას მშობლიურ პოლონურ ენაზე სიტყვით მიმართა (როგორც პოლიგლოტმა იტალიურიც კარგად იცოდა). მან პაპის წინაშე საქართველოს აღიარების მნიშვნელობის საკითხი დასვა და პუტჩის საშიშროების აღსაკვეთად ევროპის დახმარება ითხოვა. ვატიკანმა ეროვნული ხელისუფლებისადმი თავისი კეთილი ნება ასეც გამოხატა; ქართული დელეგაცია საშობაო მესაზეც მიიწვია და უცხოეთის აკრედიტირებული ელჩების გვერდით დააყენა, რაც საქართველოს არაოფიციალური აღიარების ტოლფასი იყო.

ცოტა უფრო ადრე ზ. გამსახურდიას ინიციატივით, 1991 წლის ნოემბერში, ამერიკის შეერთებულ შტატებში გავემგზავრე პრესასა და ტელევიზიისთვის (დეზინფორმაციულ ომში) ობიექტური სიმართლის მისაწოდებლად. ჩასვლისთანავე ჩემთვის ნათელი გახდა, როგორი დიდი ძალები იყვნენ ჩართული საქართველოს წინააღმდეგ შევარდნაძისა და ქართულ ოპოზიციის ჩათვლით. სნნ-მა ჯერ მიმიწვია გადაცემაში, შემდეგ კი ზრდილობიანი უარი მითხრა (ამიტომ როდესაც აშშ-ს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სნნ-ს შეუტია, ამან ნამდვილად გული მომფხანა).

საქართველოსა და კავკასიის მიმართ სხვადასხვა ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც თავიანთ გავლენის სფეროებისთვის იბრძოდნენ და იბრძვიან, ზ. გამსახურდიამ ნეიტრალიტეტი, ბალანსირების პოლიტიკა აირჩია. მას არ უნდოდა, რომ საქართველო დიდი ქვეყნების დაპირისპირების პოლიგონი გამხდარიყო. პირიქით, მას ეს რეგიონი სხვადასხვა ძალთა მორიგებისა და ურთიერთთანამშრომლობის სივრცედ წარმოედგინა. ფაქტობრივად, ზ. გამსახურდიამ იმ პოლიტიკას მიმართა, რითაც საქართველომ დღემდე მოაღწია. დიდი ქვეყნები ადრეც არსებობდნენ, რომელთა შორის არსებულ წინააღმდეგობებსაც ქართველები ოსტატურად იყენებდნენ. ევროპელებმა, რომლებმაც გვიან შუა საუკუნეებში საქართველოში შემოსვლა დაიწყეს, ეს მაშინვე შეამჩნიეს და საგანგებოდ აღნიშნეს. XVII ს. საქართველოში მყოფი იტალიელი მისიონერი დიონიჯო კარლი წერს: „ქართველები ისეთი ოსტატური და დახვეწილი პოლიტიკით მართავენ თავიანთ ქვეყანას, რომ თვით მაკიაველიც თავს ვერ გაართმევდაო“ (კარლი, 1951). ასე რომ, ძველთაგანვე ქართველები სირთულეებს დახვეწილი დიპლომატიით, განათლებითაც უმკლავდებოდნენ, ასევე დიდ როლს რომ ასრულებდა ქათულ პოლიტიკაში. რაც მთავარია, პირველ რიგში საკუთარ თავს ეყრდნობოდნენ, რისთვისაც, როგორც წესი, ერს იდეოლოგიურად ამზადებდნენ და აძლიერებდნენ. მათ იცოდნენ, რომ რწმენასა და სამშობლოს ჭეშმარიტ სიყვარულთან ბრძოლა შეუძლებელია. სწორედ ეს იყო ზ. გამსახურდიას პოლიტიკის ქვაკუთხედი და ძალა. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ეს პოლიტიკა ხორცს შეისხამდა და ვერანაირი გარეშე ძალა ვერაფერს გახდებოდა, მით უმეტეს რუსეთი (რომელიც თავად უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა), რომ არა ოპოზიციის დესტრუქციული ქმედებები და ღალატი.

ადრეც და ახლაც პოლიტიკაში ჩახედულმა ქართველებმა იციან, რომ საქართველოს გამო თავის ინტერესებს არავინ დათმობს, ჩვენს ქვეყანას, როგორც თავად აწყობთ, ისე მოექცევიან

და დიდ ქვეყნებს შორის გარიგებისა და ვაჭრობის საგნადაც აქცევენ, როგორც ეს არაერთგზის მომხდარა. ამდენად, სხვაზე დამოკიდებულება, სხვისი აზრის სამოქმედო გეგმად აღება არა თუ უხერხული, საფრთხის შემცველიცაა. მით უმეტეს, როდესაც გარეშე ძალები აზრს ისე იცვლიან, როგორც საჭიროდ მიაჩნიათ. ამის მაგალითი ჯ. ბუში უფროსის ბოდიშებია. 2014 წ. აშშ-ს ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჯ. ბეიკერმა კი „ვაშინგტონ პოსტში“ სტატია გამოაქვეყნა, სადაც უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებს შევარდნაძეს და წერს: „მისი მოღვაწეობა საქართველოში, სადაც იგი მოსკოვიდან დაბრუნდა (1992), იყო ძალიან ბუნდოვანი და სეჭვო“ (Wasington Post, 2014, 8 July). 2005 წ. 10 მაისს აშშ-ს პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა უმცროსმა თბილისში თავისუფლების მოედანზე წარმოთქმულ სიტყვაში სინანული გამოთქვა, რომ ამერიკა სათანადოდ ვერ დაუდგა თავისუფლებისთვის მებრძოლ საქართველოს. მან ბრძოლის ახალი ეტაპის დასაწყისად 1991 წ. 9 აპრილი მიიჩნია, ანუ ზვიად გამსახურდიას ხანა, რითაც გვერდი აუარა შევარდნაძეს. საქართველოში ეს სიტყვა გააქრეს და მას მხოლოდ თეთრი სახლის ვებ-გვერდზე მივაგენი.

ეროვნული ხელისუფლების ნეიტრალიტეტი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, მასში მონაწილე გარეშე დიდი ძალებისა და ხელისუფლებაში მოსული „გამარჯვებული“ ოპოზიციის მიერ მიუღებლად იქნა მიჩნეული. საქართველო საკუთარი გადაწყვეტილებების მიღებაში შეიზღუდა, რაც საგარეო პოლიტიკაზეც აისახა.

დამოწმებული ლიტერატურა:

ქართლის ცხოვრება, 1959: ქართლის ცხოვრება, II, ისტორიანი და აზმანი, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959;

კარლი, 1951: დ. კარლი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბ., 1951;

Pipse, 1991: R. Pipse, Washington Post, 1991, 9 June;

Erasimos, 1994: G. Erasimos, Politique etrangere, V, Paris, 1994;

Baker, 2014: J. Baker, My friend Eduard Shevardnadze,Wasington Post, 2014, 8 July.

Manana Gabashvili

Zviad Gamsakhurdia's Foreign Policy

The basis of Zviad Gamsakhurdia's Foreign Policy was neutrality which meant arranging of relations with all near and far countries. It was restoring connections with the past, with the traditional policy which, situated in the complicated region Geoegia, led during centuries. Such a policy excluded turning Georgia into a polygon by reason of confrontation of great countries. On the countrary, there should have been agreement and mutual cooperation with different forces. Zviad Gamsakhurdia's prognosis in the interntional politics and his point of views not only came true, but are actual even today and should be taken into consideration. Consequantly, Zviad Gamsakhurdia's significance is beyond Georgia's space and a politician he should be studied considerably more thoroughly and in a larger scale.

თეიმურაზ გვანცელაძე

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კავკასიური პოლიტიკა აფხაზურ-ქართულ და ოსურ-ქართულ ურთიერთობათა კონტექსტში

XX საუკუნის მიწურულს საქართველოში ეროვნულ-განმანათლებელი მოძრაობის აზვირთებამდე და პირველ არასაბჭოურ, მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში ეროვნული ძალების გამარჯვებამდე ზვიად გამსახურდიას დისიდენტობის, სიმართლისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გრძელი და ეკლიანი გზა ჰქონდა გავლილი. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში მისი ხელმძღვანელობით მოქმედი პოლიტიკური პარტიების ბლოკის **„მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“** გამარჯვებით დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი კომუნისტური რეჟიმის გაუქმებისათვის ბრძოლაში და ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

კრემლმა ჯერ კიდევ 1988-1989 წლებში რამდენიმეგზის სცადა საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის შეფერხება ხან ქვემო ქართლში მოსახლე აზერბაიჯანელების, ხან ოსების, აფხაზებისა და კახეთში მოსახლე ლეკების პროვოცირებით, მაგრამ სასურველ მასშტაბურ შედეგებს ვერ მიაღწია, ვერ შეაფერხა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სწრაფვა პროგრესისა და დამოუკიდებლობისაკენ. გორბაჩოვის რეჟიმი შეეცადა, სახელი გაეტეხა ქართული ეროვნული ძალებისათვის როგორც დასავლური სამყაროს, ისე კავკასიის მეზობელი ხალხების თვალში. საამისოდ, ვრცელდებოდა დეზინფორმაცია ზვიად გამსახურდიასა და სხვა ეროვნული ლიდერების შესახებ, ხოლო როცა აფხაზეთში 1989 წლის 15-16 ივლისს პროვოცირებული სისხლიანი შეტაკებების შემდეგ რეჟიმი დარწმუნდა, რომ ქართველი ერი ამ პროვოკაციამ უფრო შეაკავშირა ეროვნული ლიდერების გარშემო, მან 10 დღის შემდეგ ქალაქ სოხუმში ჩაატარებინა **„კავკასიის მთიელ ხალხთა პირველი ყრილობა“**, რაც რეალურად ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ აგენტთა და შეცდომაში შეყვანილთა თავყრილობა იყო. ყრილობამ იმჯერად უპირატეს საქმედ კულტურულ-საგანმანათლებლო პრობლემები წამოსწია წინ, მაგრამ მალე წარმოჩნდა, რომ ასამბლეა მიზნად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ მებრძოლი საქართველოსა და აზერბაიჯანის შესაზღუდად შეიქმნა.

„ასამბლეას“ მალე ეწოდა **„კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია“** და გადაიქცა მილიტარიზებულ ორგანიზაციად. „კონფედერაციამ“ თავის საბოლოო მიზნად კავკასიაში მცხოვრებ მთიელ ხალხთა სრული დამოუკიდებლობა და ახალი სახელმწიფოს შექმნა გამოაცხადა, რომლის დედაქალაქად სოხუმს ვარაუდობდნენ. პირსისხლიანი საბჭოთა რეჟიმისაგან გასაოცარი იყო, რომ **ამ იდეას არანაირად არ უქმნიდნენ დაბრკოლებას საბჭოური სპეცსამსახურები**. არადა „კონფედერაციის“ საქმიანობა ამოვარდნილი იყო არა მარტო საბჭოური სამართლებრივი სისტემიდან, არამედ რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა იმ დროს გორბაჩოვის რეჟიმის მიერ მოწონებული აკადემიკოს სახაროვის იდეასაც, რომლის მიხედვითაც ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში მცხოვრებ უმცირესობებს უფლება ეძლეოდათ, გამოყოფოდნენ მოცემულ რესპუბლიკებს და პირდაპირ შესულიყვნენ მოდერნიზებული საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში, მიუხედავად იმისა, თუ როგორი იყო მათი რიცხოვნობა და ტერიტორია, ვისი საკუთრება იყო ეს ტერიტორია არამცთუ შორეულ ისტორიულ წარსულში, არამედ თუნდაც ერთი საუკუნის წინ. წყალბადის ბომბის შემქმნელი სახაროვის ეს ბოდვითი იდეა **გამორიცხავდა კავკასიაში რაიმე კონფედერაციული სახელმწიფოს წარმოქმნას**, მაგრამ, როგორც ითქვა, მოსკოვი ამ ორგანიზაციას არანაირად არ ზღუდავდა (ერთი წევრიც კი არ დაპატიმრებულა!), რაც ადასტურებს მოსაზრებას, რომ **ეს ორგანიზაცია რეალურად მოსკოვმა შექმნა თავისი კავკასიელი აგენტურისაგან**.

„კონფედერაცია“ მალევე დატოვეს საღად მოაზროვნე ძალებმა და წამყვანი ადგილი კომუნისტური რეჟიმის აგენტურამ და, მეორე მხრივ, იმ პირებმა დაიკავეს, ვინც სწორად ვერ აანალიზებდა რეალობას და სათანადო ცოდნის უქონლობის გამო ეგონა, თითქოს აფხაზი და ოსი სეპარატისტების ბრძოლა აფხაზეთისა და შიდა ქართლის საქართველოსაგან მოსახლეჩად სამართლიანი იყო.

აქვე დავძენ, რომ 1991 წლის მარტში მე და ყაბარდო-ბალყარეთში ვიზიტით მყოფ საქართველოს უზენაესი საბჭოს დელეგაციის სხვა წევრებს (ბიმურზა აფრასიძე-დადეშქელიანს, ანზორ კუდბას, გიორგი გულბანს, იოსებ კასრაძეს, სოხუმელ დოცენტს ვახტანგ ჭანიას) „კონფედერაციის“ ე.წ. პრეზიდენტმა **მუსა (იური) შანიბოვმა** დაგვიდასტურა, რომ **იგი მოქმედებდა საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.**

უკვე 1988 წლის შემოდგომიდან საბჭოთა რეჟიმმა შექმნა დაძაბულობა ოს და ქართველ მოსახლეობას შორის ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რაც უფრო და უფრო ღრმავდებოდა, ოსური ფსევდოეროვნული ორგანიზაცია **„ადამონ ნიხასი“** კი მოლაპარაკებაზე არ მოდიოდა. მეტიც, დაიწყო შეიარაღებული შეტაკებებიც. ოლქში ჩამდგარმა საბჭოთა სამხედრო ნაწილებმა სამხედრო ტექნიკით შეაიარაღა ე. წ. ოსური ეროვნული ძალები, რომლებიც ყოველგვარი ისტორიული და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გეგმავდნენ შიდა ქართლის მოწყვეტას საქართველოსაგან და ე.წ. ორი ოსეთის გაერთიანებას რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. დაიწყო ე. წ. კანონებით ომიც: სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის **სახალხო დეპუტატთა საბჭომ** 1990 წლის 20 სექტემბერს სრულიად უკანონოდ მიიღო დადგენილება ოლქის სტატუსის შეცვლის შესახებ, რის მიხედვითაც ცხინვალის მხარეს **„სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა“** უნდა დარქმეოდა, ხოლო 16 ოქტომბრის ახალი გადაწყვეტილებით იმავე საბჭომ ასევე უკანონოდ აირჩია ახალი ფსევდორესპუბლიკის **აღმასრულებელი კომიტეტი** და დაამტკიცა დებულება უკანონო უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ. ამგვარი იურიდიული პროვოკაციები გრძელდებოდა შემდგომშიც, რაც ბოლოს ნამდვილ ომშიც გადაიზარდა.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში საქართველოს ეროვნული ხელისუფლება ვალდებული იყო, მიეღო ზომები საიმისოდ, რათა აფხაზური **„აიდგილარასა“** და ოსური **„ადამონ ნიხასის“** მცდელობითა და საბჭოთა კავშირის მასშტაბური იდეოლოგიური მანქანის მიერ მთელ მსოფლიოში გავრცელებული ცრუ ინფორმაციების გასანეიტრალებლად და სიმართლის გასავრცელებლად. ამ მხრივ ძალზე აქტუალური გახდა როგორც სამხრეთ კავკასიის მეზობელ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობა და სწორი ინფორმაციის გავრცელება, ისე ჩრდილოეთ კავკასიის, კერძოდ კი „ასამბლეა-კონფედერაციის“ სახიფათოდ გააქტიურებული ფაქტორის ნეიტრალიზება. ამ მიზნების განსახორციელებლად პირადად ზვიად გამსახურდიამ ინტენსიური მუშაობა დაავალა **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეროვნებათშორის ურთიერთობათა და ეროვნული ერთიანობის ქვეკომისიის** წევრებსა და სამეცნიერო-კულტურული ინტელიგენციის იმ წარმომადგენ-

ლებს, რომლებსაც ხანგრძლივი საქმიანი და უმჭიდროესი პირადი ურთიერთობები ჰქონდათ ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლებთან. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს უშუალოდ პროფესიონალი ქართველი კავკასიოლოგი მეცნიერების, მწერლების, ხელოვნების წარმომადგენლებისა და პოლიტიკოსებისაგან უნდა მიეღოთ ზუსტი ინფორმაციები აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული ურთიერთობების, დაძაბულობის მიზეზების, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების პოლიტიკისა და სამომავლო გეგმების შესახებ. როგორც პროფესიონალი კავკასიოლოგი და უზენაესი საბჭოს ხსენებული ქვეკომისიის წევრი, ამ საქმის უშუალო მონაწილე მეც გახლდით.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებიდან საქმიანი ურთიერთობები ყველაზე ადრე, 1991 წლის 23 თებერვალს **დამყარდა ჩეჩნურ და ინგუშურ პოლიტიკურ ძალებთან.** ამას ხელი შეუწყო საქართველოს უზენაესი საბჭოს წარმომადგენლობითი დელეგაციის სტუმრობამ ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, აგრეთვე ოსების მიერ მიტაცებულ ინგუშურ სოფელ ანგუშტიში. მომდევნო ეტაპზე დამყარდა ასეთივე თბილი და საქმიანი კავშირები **ბალყარელთა ეროვნულ მოძრაობა „თიორესთან“, ყარაჩაელებთან, დაღესტნურ ორგანიზაციებთან.** განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა **ჩერქეზულ (ადიღეურ და ყაბარდოულ)** ეროვნულ ორგანიზაციებთან კავშირს. საქმე ის არის, რომ აფხაზ სეპარატისტებს ყველაზე ხშირი და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ჩერქეზებთან. ჩვენმა საქმიანმა კავშირებმა ყარაჩაელ-ბალყარელებთან დააფიქრა ჩერქეზი აქტივისტები, რომლებსაც სერიოზული უთანხმოება ჰქონდათ ყარაჩაელ-ბალყარელებთან, რომლებიც მოითხოვდნენ კანონიერი უფლებების გაფართოებას. გავლენა მოახდინა აგრეთვე ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის მშვიდობიანი მოლაპარაკების წარმატებამ და თანხმობის მიღწევამ. ამის შედეგი ის იყო, რომ 1991 წლის მიწურულისათვის ჩერქეზი აქტივისტების ახალგაზრდულმა ფრთებმა ადიღეშიც, ყარაჩაი-ჩერქეზეთშიცა და ყაბარდო-ბალყარეთშიც დაიწყო ჩვენთან კავშირის დამყარება და თანამშრომლობა.

არა მარტო ჩეჩნურ-ქართულ ურთიერთობებში, არამედ ზოგადკავკასიური თვალსაზრისითაც განსაკუთრებული როლი იკისრა ჩეჩნური ეროვნული მოძრაობის ახალმა ლიდერმა, გენერალმა **ჯოხარ დუდაევმა**, რომელიც ზვიად გამსახურდიას გავაცანით საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრებმა: ბიმურზა აფრასიძე-დადეშქელიანმა, ანზორ კუდბამ და მე, ჩვენ კი იგი გაგვაცნო ჩეჩნეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა, ბატონმა მათე ციხესაშვილმა. ზვიადისა და ჯოხარის თანამოაზრეობა და კაცური მეგობრობა საგანგებო მონოგრაფიულ კვლევას მოითხოვს, აქ კი მადლიერებით აღვნიშნავ: ჯოხარმა ბატონ ზვიადს ღვიძლი ძმის მაგივრობა გაუწია, როცა დაიხსნა იგი სომხეთში ტყვეობისაგან, ხოლო გარდაცვალების შემდეგ უჭირისუფლა მეგობარს და მაჰმადიანურ ქვეყანაში ქრისტიანული წესების სრული დაცვით, სამხედრო პატივით მიაბარა იგი ჩეჩნეთის მიწას, მის ოჯახს კი ყურადღებას არ აკლებდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში ვიზიტების დროს განვმარტავდით, რომ ოსურმა მხარემ დაარღვია თვით კომუნისტური რეჟიმის მიერ შექმნილი კანონები, როცა ყოფილ ავტონომიურ ოლქს ოფიციალური სტატუსი შეუცვალა იმ მმართველობითმა ორგანომ - **ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ**, რომელსაც საბჭოთა კანონმდებლობით **სრულებით არ ჰქონდა ამ საკითხის წამოჭრისა და გადაწყვეტის უფლება** (ცნობისათვის: მთელ საბჭოთა კავშირში ავტონომიურ ოლქებს არ ჰქონდათ უმაღლესი საბჭო, მათში არსებულ დეპუტატთა საბჭოებს კი სტატუსის განხილვის უფლებამოსილება არ მოეპოვებოდათ). გარდა ამისა, **ოლქი არ ფლობდა არც მოსახლეობის მასობრივი გამოკითხვის, ანუ რეფერენდუმის ჩატარების უფლებას**. უნდა განმარტებულიყო ისიც, რომ **1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნაც სავსებით უკანონო იყო** და სხვა. ზ. გამსახურდია გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდა“-სთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა:

„ოსმა სეპარატისტებმა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკა გამოაცხადეს და კონსტიტუციის საწინააღმდეგო არჩევნები მოაწყვეს. ამიტომ დავაჩქარეთ სამხრეთ ოსეთის ლიკვიდაცია, თუმცა თავდაპირველად ამას არ ვაპირებდით. მაგრამ ოსებმა თავიანთი მოქმედებით გადაგვადგმევინეს ეს ნაბიჯი“ (საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, 2013: 124).

ზ. გამსახურდიას დიდი პოლიტიკური მიღწევა იყო მისი შეხვედრა ყაზბეგში რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის ელცინთან 1991 წლის 23 მარტს და ამ შეხვედრის ოქმის შედგენა. პრეზიდენტი 25 მარტს საქართველოს ტელევიზიით გამოსვლის დროს აცხადებდა, რომ შეხვედრის უმთავრესი მიზანი იყო შიდა ქართლში მდგომარეობის სტაბილიზაცია; ხელმოწერილ ოქმში სრულებით არ იხსენიება ტერმინი **„სამხრეთ ოსეთი“**, მის ნაცვლად მოიხსენიება მხოლოდ **„ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“**; ოქმში ჩაიწერა, რომ შეიარაღებული კონფლიქტი ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე ინსპირირებული იყო საქართველოს საზღვრების გარედან; გადაწყდა, შექმნილიყო სამმხრივი კომისია საქართველოს რესპუბლიკის, რუსეთის სფსრ-ს უმაღლესი საბჭოსა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისაგან, რომელიც გააკონტროლებდა ვითარებას შიდა ქართლში; უნდა შექმნილიყო საქართველოსა და რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროების ერთობლივი სამხედრო რაზმები უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა განიარაღებისა და საომარი მოქმედებების შეწყვეტის მიზნით; რუსეთის ფედერაციის მთავრობას უნდა მიემართა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროსათვის, რათა ყოფილი ოლქის ტერიტორიიდან გაეყვანათ საბჭოთა ჯარის ნაწილები; უნდა დაწყებულიყო ლტოლვილთა დაბრუნება.

ამ ოქმმა უმალვე გამოიღო შედეგები და შეწყდა სროლები ცხინვალის მხარეში.

რაც შეეხება აფხაზეთის პრობლემებს, ამ მიმართულებით უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობის დროს ზვიად გამსახურდიას პოზიცია ასეთი იყო: **აფხაზებიცა და ქართველებიც არიან ავტოქთონური მოსახლეობა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამიტომ აფხაზეთს ეკუთვნის ავტონომია. სამომავლოდ იმაზე უკეთ უნდა იყოს დაცული აფხაზი ხალხის ეროვნული უფლებები, მათი დედაენა და კულტურა, ვიდრე მანამდე იყო.**

ეს პოზიცია საქმითაც განმტკიცდა 1991 წლის ზაფხულში, როცა ხანგრძლივი და მძიმე მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება აფხაზურ მხარესთან და დამტკიცდა **დროებითი კანონი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა არჩევნების ჩატარების წესების შესახებ**,

რომლის მიხედვითაც შემოღებულ იქნა სადეპუტატო ადგილების განაწილება ეთნიკური ნიშნის მიხედვით: აფხაზებს გამოეყო 28 ადგილი, ქართველებს - 26, ხოლო ყველა სხვა ეროვნებას - დანარჩენი 11 ადგილი. გარდა ამისა, კანონში ჩაიწერა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აფხაზი უნდა ყოფილიყო, მისი მოადგილე კი - ქართველი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები ქართველები იქნებოდნენ, მათი მოადგილეები კი - აფხაზები. არსებითი იყო ისიც, რომ მხარის ახალი იურიდიული სტატუსი აუცილებლობის დროს უნდა განსაზღ-ვრულიყო დეპუტატთა ხმების ორი მესამედით, ხოლო კანონის დარღვევის შემთხვევაში სამართლის დაცვის პრეროგატივა რჩებოდა საქართველოს პრეზიდენტსა და უზენაეს საბჭოს.

ამ ჯენტლმენურმა შეთანხმებამ ძალზე აამაღლა ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს ხელისუფლების ავტორიტეტი როგორც აფხაზ ხალხში, ისე მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში. სამწუხაროდ, 1991 წლის დეკემბერ-იანვარში თბილისში დაწყებულმა სამხედრო-კრიმინალურმა გადატრიალებამ წყალ-ში ჩაყარა მიღწევებიც და საქმე რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია-ანექსიამდე მიიყვანა.

დამოწმებული ლიტერატურა:

საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები. ტომი I, ზვიად გამსახურდია. თბ., 2013.

Teimurz Gvantseladze

President Zviad Gamsakhurdia's Caucasian Policy in the Context of Abkhaz-Georgian and Ossetian-Georgian Conflicts

The present article tells about the contacts maintained by its author (Member of the Subcommittee on Ethnic Relations of the Supreme Council of the Republic of Georgia) with North Caucasian national movements in the context of Abkhaz-Georgian and Ossetian-Georgian relations.

Based on facts, the article suggests that the government of the USSR tried to prevent Georgia from becoming independent in every possible way. It deliberately created problems between the Georgian authorities on the one hand, and Abkhazian and Ossetian sides on the other hand. In this context, it was especially significant to neutralize pro-separatist sentiments in the North Caucasus and to explain the true state of affairs regarding Abkhaz-Georgian and Ossetian-Georgian relations in Georgia.

ᲖᲘᲛᲣᲠᲖᲐ ᲓᲐᲓᲔᲨᲥᲔᲚᲘᲐᲜᲘ-ᲐᲤᲠᲐᲡᲘᲫᲔ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ქართულ სახელმწიფოს, მის არსებობას რუსეთის იმპერია სხვადასხვა თეორიების, კონცეფციების გამოყენებით ებრძოდა. აღსანიშნავია, რომ „საქართველო მცირე იმპერიის“ სახაროვის კონცეფცია სრულ თანხვედრაში იყო რუსული იმპერიის არქიტექტორების ალექსანდრე პირველის, დეკაბრისტების, ალექსანდრე მეორის, სტალინის, გორბაჩოვის, პრიმაკოვის, დუგინის, პუტინის, ჟირინოვსკის გეგმებთან.

მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიამ გადაწყვიტა, მდინარე ყუბანის შესართავიდან ფოთამდე, შავი ზღვის სანაპირო რუსი სამხედროებით დაესახლებინა და ადგილობრივი მოსახლეობისაგან კავკასიია დაეცარიელებინა. ამ გეგმას ალექსანდრე მეორე ადგილობრივი მოსახლეობის გენოციდით და მასიურად გადასახლებით ახორციელებდა. ასე დაცალეს სოჭი-ადლერ-ტუაფსეს სანაპირო ზოლი ჩერქეზი და უბიხი მოსახლეობისგან, რომლებიც მასიურად გადაასახლეს თურქეთში. იგივე გაგრძელდა აფხაზეთის სანაპირო ზოლში. კავკასიელი მუჰაჯირების გასახლება თურქეთში და თურქეთიდან სომეხთა და ბერძენთა ჩამოსახლება ორივე იმპერიის ინტერესში შედიოდა, რაც სამწუხაროდ წარმატებით განხორციელდა. მათ ადგილზე 1864-69 გადაასახლეს ათიათასობით ჩერქეზთა ოჯახი და დემოგრაფიული სურათი ასე შეცვალეს.

1864 წლიდან 1869 წლამდე ჩატარებული გენოციდის შედეგები:

შაფსუღები იყვნენ 300 000, დარჩა 1983 კაცი
აბაძეხები – 260 000, დარჩა – 14 660
ნათუხაელები – 240 000 დარჩა – 175
თემირღოელები – 80 000, დარჩა – 3140
ბჟედუღები – 60 000, დარჩა – 15 263
მახოშეველები – 8 000, დარჩა – 1204
ადამიელები – 3000, დარჩა – 230
უბიხები – 74 000, დარჩა – 0.

დაახლოებით ასი ათასი ჟანეველებისა და ხაკუჩებისაგან ცოცხალი არ დარჩენილა არცერთი (დადეშქელიანი-აფრასიძე, 2006: 5; Дроздов: 1877: 134).

რუსეთის იმპერიის ეს გეგმა დეკაბრისტების (პავლე პესტელი) მიერ მიღებულ კონსტიტუციაში იყო თავის დროზე ასახული, რომლის მეორე და მესამე მუხლებში ნათქვამია: „2. დაიყოს კავკასიიის ყველა ხალხი ორ ჯგუფად: მშვიდობიანებად და შფოთიანებად. პირველნი დატოვონ თავისსავე საცხოვრისში და დაუმყარონ მათ რუსული მმართველობა და წყობილება, ხოლო მეორენი ძალდატანებით გადაასახლონ შიდა რუსეთში და დაფანტონ მცირერიცხოვან ჯგუფებად ვოლოსტებში; 3. შემოიყვანონ კავკასიის მიწაზე რუსი მოსახლეობა და დაურიგოს მათ აქედან გადასახლებულთა მიწები. ამ საშუალებით კავკასიაში წაშალონ ყველანაირი ნიშანწყალი წინანდელი მკვიდრი მოსახლეობისა და გადააქციონ ეს მხარე წყნარ და კეთილ-მოწყობილ რუსულ ოლქად“ (პესტელი, 1906: 8). (ქართველთა ნიშანწყალის გაქრობას დღესაც გამუდმებით ცდილობენ გუდაუთის, ილორის, ბედიის ქართულ მონასტრებში, რაც ერთ-მორწმუნეობის პრინციპის არავითარ ჩარჩოებში არ ჯდება; არაფერს ვამბობთ ვანდალიზმზე, როგორც დანაშაულზე).

1880 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ აფხაზი ერი ოფიციალურად გამოაცხადა დამნაშავე ხალხად (1877-78 წწ. ანტიიმპერიული აჯანყების მოწყობის გამო). ეს ბრძანებულება უკრძალავდა ზღვისპირას, გზების მახლობლად, სოხუმში, გუდაუთაში, ოჩამჩირეში დასახლებას. ქართველი ერის გათიშვის მიზნით მეგრულისა და სვანურისათვის რუსულ გრაფიკაზე დაფუძნებული ანბანის შექმნის მცდელობაც იყო. იგივე მეორდებოდა აფხაზური ენისათვისაც, აფხაზებში მიმ-დინარეობდა ანტიქართული პროპაგანდა. რუსი შოვინისტი მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ მალე აფხაზური ენა გაქრებოდა და შესაბამისად მოხდებოდა აფხაზების ასიმილაციაც. იმის გამო, რომ აფხაზებს 1905-07 წწ. რევულიციაში მოანწილეობა არ მიუღიათ, ცარიზმმა გააუქმა ბრძანება დამნაშავე ერის შესახებ და აფხაზებს ეს სტატუსი მოეხსნათ. საპასუხოდ ქართველებს დაუწესეს ის შეზღუდვები, რაც მანამდე აფხაზებს ჰქონდათ, რი-თაც ხელოვნურად დაძაბეს ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობა. საბჭოთა ხელისუფლება აგრძელებდა ორ მოძმე ხალხებს შორის დაპირისპირების პოლიტიკას. ქართველებისა და აფხაზებისთვის „პრივილეგიების“ მონაცვლეობით მინი-ჭებით, ხან ერთ მხარეს იმადლიერებდა და ხან მეორეს. აფხაზების პრივილეგიების წლები იყო მეოცე საუკუნის 20-30-

იანი, 50-იანი, 70-80-იანი წლები, დანარჩენ დროს ქართველები იყვნენ „პრივილეგირებულნი“. ასე მაგალითად, 80-იან წლების სტატისტიკას თუ გადავხედავთ ყველა პრესტიჟულ თანამდებობებზე, ასევე ყველგან პირველი პირები მხოლოდ აფხაზები იყვნენ, მეორე პირების როლში ქართველები, სომხები, რუსები, რაც უკიდურესად ძაბავდა ერებს შორის ურთიერთობებს. ლიხნის ყრილობის მსგავსი რამ გაიმართა 1917 წელსაც (მაშინაც საქართველო დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა). საყურადღებოა გიორგი შერვაშიძის (აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი, კონსტანტინე დადეშქელიანის ცოლისძმა) გამოსვლა ე.წ. „აფხაზი ხალხის ყრილობაზე“ - 1917 წლის 8 ნოემბერს. „ყრილობის“ მკვეთრად გამოხატულმა ანტიქართულმა პათოსმა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა პროტესტი გამოიწვია. გიორგი შერვაშიძემ აფხაზურ ენაზე მიმართა „ყრილობის“ მონაწილეებს, აუხსნა მათ რუსეთში განვითარებული მოვლენების არსი, მიულოცა თავისუფლების მოახლოება და საფრთხეზე მიუთითა: „თქვენ თქვენს უფროს ძმებს მიჰყევით, მათთან ერთად იმოქმედეთ და იბრძოლეთ თავისუფლების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. ვიცი, ზოგიერთებს არ მოეწონებათ ჩემი ასეთი აზრი, რადგან ისინი მოსკოვისაკენ იყურებიან, მე კი – თბილისისაკენ. სხვა გზა არ არის და არც ყოფილა არადეს აფხაზეთისათვის, გარდა საქართველოსთან მჭიდრო კავშირისა და მასთან ყოფნისა განუყრელად ჭირში და ლხინში“. ამ ამბიდან სულ რაღაც სამ თვეში - 1918 წლის 19 თებერვალს - საქართველო შეძრა სოხუმიდან მოსულმა ცნობამ, რომ დიდი მამულიშვილი გარდაიცვალა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს, ლიხნის ყრილობა იყო ქართველი და აფხაზი ხალხების წინაღმდეგ კარგად დაგეგმილი პროვოკაცია, რომლის გამოძახილი იყო აპრილის პირველ რიცხვებში ანტიაფხაზური გამოსვლა (რაც მხოლოდ იმპერიის შენარჩუნების მსურველებს აწყობდათ და ეწინააღმდეგებოდა ამ ორი ხალხის მისწრაფებებს). მოსკოვის ეს პროვოკაცია ჩაშალეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ, როდესაც ეს გამოსვლა 1989 წლის 4 აპრილს მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნაში გადაზარდეს (აფხაზეთის წინააღმდეგ არსებული ყველა ლოზუნგი აპრილის მანიფესტაციებიდან გაქრა).

საინტერესოა ქართველი და აფხაზი დიდი მოღვაწეების ურთიერთობაც... კონსანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ ერთ–ერთი გმირის თარაშ ემხვარის პროტოტიპი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნული მთავრობის პირველი თავმჯდომარე და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე განისვენებს. 1927-1933 წლებში არზაყან ემუხვარი ხელმძღვანელობდა ქართულ კოლონიას პრაღაში, მეგობრობდა მიხეილ და ლიდია უბირიებთან და მათ ოჯახში პოულობდა სულიერ სიმშვიდეს.

1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერეს აფხაზებმა ვარლამ შერვაშიძემ და არზაყან ემუხვარმა. აფხაზეთის ავტონომიის აქტი მიიღეს 1919 წლის 20 მარტს - „პუნქტი 1) აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში როგორც მისი ავტონომიური ერთეული“. ამ აქტზე ხელისმომწერ აფხაზ არზაყან ემუხვარს სტალინმა და ნესტორ ლაკობამ სიკვდილი მიუსაჯეს. განაჩენი ნკვდმ აღასრულა 1930-იან წლებში პარიზში. 1939 წლის მარტის დამდეგს, მეგობრების თხოვნით, რათა უფრო ახლოს გასცნობოდა განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმდინარეობას და მასში უშუალო მონაწილეობა მიეღო არზაყან ემუხვარი პარიზს გაემგზავრა. მას დიდი სიხარულით შეხვდნენ მეგობრები: აკაკი ჩხენკელი, კონსტანტინე კანდელაკი, გრიგოლ ურატაძე და სხვები. პარიზში არზაყან ემუხვარი ყველასთვის მოულოდნელად 1939 წლის 24 მარტს სისხლის მოწამვლით კლოდ ბერნარის საავადმყოფოში გარდაიცვალა. არსებობს ეჭვი, რომ ის ბოლშევიკების აგენტებმა მოწამლეს.

არზაყან ემუხვარის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ ცხოვრება ძალიან გაუჭირდა საქართველოში დარჩენილ მის ოჯახს. არზაყანმა მომავალი მეუღლე მარიამ მიხეილის ასული ჩიკვაიძე (1880–1943 წწ.) ქუთაისში სწავლისას გაიცნო, 1902 წელს შეუღლდნენ და ჯვარი პეტრე-პავლეს ეკლესიაში დაიწერეს. აფხაზეთში მარიამი სათავეში ედგა ქართული ენის სწავლებას. წყვილს სამი შვილი შეეძინა: უფროსი ვაჟი 1908 წელს დაბადებული ვლადიმერი (კუჭიკო) 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა, შუათანა პატარაობაშივე გარდაიცვალა, გივი ემუხვარი (1921-2000 წწ.) კი მუდმივ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა. ერთხანს, სამშობლოდან გადახვეწილი, რუსეთში იმალებოდა. იქვე შეირთო

მეუღლე ლუდმილა მიხეილის ასული კოვალენსკაია, რომელთანაც ერთადერთი ასული მარინე ემუხვარი შეეძინა. მარინე ემუხვარი მეუღლესთან ამირან ხაჭაპურიძესა და ვაჟიშვილ დავითთან ერთად სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

კონსტანტინე გამსახურდიამ არზაყან ემუხვარის ვაჟს, ვლადიმერ ემუხვარს წერილი მისწერა:

„ჩემო პატარა ემუხვარო!

ჩემს ნაწარმოებში „მთვარის მოტაცებაში“ შენი მამის პროტოტიპად მთავარი გმირი, რომელშიდაც მე ჩემი სიყრმის მეგობარი კეთილი აფხაზი არძაყან იგივე დიმიტრი ემხვარი გამოვხატე, რომელთანაც გავატარე პარიზში ჩემი ცხოვრების ყველაზე ტკბილი დღენი.

ენგურის დიდ ზვირთებთან ბრძოლაში დავამარცხე, ვინაიდან მისი მიზნების განხორციელება არ ძალმიძდა. გიჟი ენგურის ზვირთებთან შეკაჟება ეს მისი იდეების შებრძოლება იყო მის იდეალისა და არსებული მიმდინარეობისა მომიტევეთ...“ (სიგუა, 2011).

გენერალ პასკევიჩს (ამ პასკევიჩმა 20 ათასი მუსულმანი ქართველი გაანადგურა და 55 ათასი კი თურქეთში გაასახლა... მათ ადგილზე ჩამოასახლეს 30 000 სომეხი, ბერძენი და ჯავახეთში შეცვალეს დემოგრაფიული სურათი) ნიკოლოზ პირველმა რუსეთ-თურქეთის ომის (1828-29 წწ.) წარმატებით დასრულების შემდეგ ახალი დავალება მისცა: „დაამთავრეთ რა ამრიგად ერთი დიდებული საქმე, მოგელით მეორე, პირდაპირი გაგებით უფრო მნიშვნელოვანი – ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა სრული განადგურება“.

სახაროვამდე სტალინმა გამოაცხადა საქართველო მცირე იმპერიად, რაც აისახა მის ყალბ და მტრულ განსაზღვრებებში: „ქართველები მებრძოლი შოვინისტები არიან – ისინი საშინლად ავიწროებენ სხვებს: სომხებს, აზერბაიჯანელებს, აფხაზებს, აჭარლებს, ოსებს; ქართველები არა ეროვნება, არამედ კონგლომერატია; საქართველოს არ შეუძლია რუსეთის გარეშე არსებობა“. სტალინმა საინგილოს აზერებისთვის გადაცემით დაიწყო ქართების მიერ დაპყრობილი ინგილოების „განთავისუფლება“ (საინგილოს აზერბაიჯანისთვის გადაცემაზე ხელი სტალინს აქვს ხელმოწერილი), შემდგომ ეს გააგრძელა შევარდნაძემ აფხაზებისა და ოსების „განთავისუფლებით“.

იმპერიის დეზინფორმაციის მანქანა ქართველებს ცილს სწამებდა, თითქოს მათი ლოზუნგი იყო „საქართველო ქართველებისათვის“ (როდიონოვი - 9 აპრილის ტრაგედიის ავტორი), პირველად „იზვესტიაში“ გაჩნდა ტერმინები „ზვიადისტები“, „პროვინციალური ფაშიზმი“, შემდეგ „ბუნკერი“ რათა გაეიგივებინათ ეროვნული ხელისუფლება ფაშიზმთან, ხოლო მხარდამჭერები კერპთაყვანისმცემლებად მოენათლათ.

ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ 1989 წლის 4 აპრილის აქციის მონაწილეებს შეაცვლევინეს ეროვნებათშორისი დაპირისპირების ლოზუნგები (რაც მხოლოდ კრემლის წისქვილზე ასხამდა წყალს) და ერთადერთი, დამოუკიდებლობის მოთხოვნა დარჩა აქციაზე, რის გამოც კრემლი 1989 წლის 9 აპრილს სასტიკად გაუსწორდა აქციის მონაწილეებს.

აღსანიშნავია ასევე, გორბაჩოვის სატელეფონო მუქარა პრეზიდენტ ზ. გამსახურდიასადმი: „საქართველოს საბჭოთა კავშირიდან შეუძლია გავიდეს, მაგრამ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარეშე“-ო.

სახაროვის „საქართველოს მცირე იმპერიის“ კონცეფციის საფუძველზე იქნა მიღებული რუსეთის იმპერიის დაკვეთით პრაღის 24-ე რეზოლუცია ქართველთა მიერ ვითომდა ეროვნული უმცირესობების შევიწროებისა და ოსთა გენოციდის შესახებ. აფხაზების და ოსების „განთავისუფლების“ შემდეგ რუსულ გეგმაშია სვანების, მეგრელების (პუტინის ყოფილი მრჩეველი დუგინი ამას საჯაროდ აცხადებს), აჭარლების, ჯავახების და სხვათა გამოყოფა ქართული სახელმწიფოს ლიკვიდაციამდე (დადეშქელიანი-აფრასიძე, 2016: 9).

სახაროვის „მცირე იმპერიის“ კონცეფციას წინ უძღოდა რუსეთის ცარიზმის და საბჭოთა იმპერიის ენობრივი პოლიტიკა; „რუსი მოხელეები შეეცადნენ, ქართველთა ნაწილისთვის გაეუცხოებინათ წინაპართა მიერ შექმნილი დედა ენა და კუთხური კილოები უმწერლობო ენებად გამოუცხადეს მათ (ი. ვოსტორგოვმა, ქ. პატკანიანმა); რუსეთის იმპერიის მიზანი იყო სხვადასხვა კილოზე მოლაპარაკე საქართველოს კუთხეების ქართველობა ცალკეულ ერებად წარმოედგინა“.

ბოლშევიკების იდეოლოგი ი. ჟვანია ამბობს: „რატომ არ არსებობს მეგრული ნაცია? — კითხვას სვამს იგი, - სამეგრელოს ხომ ყველა ის თავისებურება გააჩნია, რისგანაც იქმნება ნაცია: 1. კულტურისა და ყოფის ერთობა; 2. ტერიტორია, 3. ეკონომიკური ურთიერთობა; 4. ენა და ა.შ.“ (გამსახურდია, 1976: 5).

მოკლედ დღესაც გრძელდება იგივე რუსული პოლიტიკა ჰერეთის, საინგილოს, აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ქსნის საერისთავოს, დვალეთის, სამურზაყანოს, დალის სვანეთის (სანიგეთის) შემდეგ სამეგრელოს, აჭარის, სვანეთის, ჯავახეთის განთავისუფლებისა ქართებისაგან და რუსეთის საზღვრის უშუალოდ თურქეთთან გადატანისა (იხილეთ რუსი პოლიტიკოსის ჟირინოვსკის განცხადებები).

საქართველოში 1990-91 წწ. არ ირღვეოდა ეროვნული უმცირესობების უფლებები, კონსტიტუციაში ჩაიწერა საერთაშორისო სამართლის უპირატესობა ადგილობრივთან შედარებით ადამიანის უფლებების საქმეში, წარმატებით მიმდინარეობდა აფხაზთა ერთიან ქართულ სივრცეში ინტეგრაციის პროცესი, 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო სახალხო რეფერენდუმში 3 657 477 ამომრჩევლიდან 3 295 493 ამომრჩევლის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ხმის მიცემა უდიდესი სამართლებრივი აქტი გახლდათ. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში დამოუკიდებლობის აღდგენას ხმა მისცა რეფერენდუმში მონაწილეთა 97,73%-მა ანუ ამომრჩევლების საერთო რაოდენობის 59,84%-მა, მათ შორის ქ. სოხუმში კენჭისყრაში მონაწილეთა 96,6%-მა, ანუ ამომრჩევლების საერთო რაოდენობის 64, 02%-მა, გულრიფშის რაიონში 97, 85%-მა (83, 52% ცნობისთვის ქართველთა რაოდენობა 52, 71%, სომხები-25, 3%, რუსები 13, 81%), ოჩამჩირის რაიონში 91,1%-მა (54,27%), სოხუმის რაიონში 94, 44%-მა (60, 61%), გალის რაიონში 99, 71%-მა (97, 39%), გაგრაში 94, 01%-მა (დადეშქელიანი-აფრასიძე, 2006: 5-11).

1991 წელს აფხაზთა და ქართველთა ორმხრივმა კომისიამ (რუსების გარეშე) შეიმუშავა ახალი დროებითი საარჩევნო კანონი, რომლის მიხედვითაც აფხაზურ მხარეს ეძლეოდა დეპუტატის 28 ადგილი (43%), წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში 40, 7%-ის ნაცვლად, ქართული დეპუტაციისთვის გამოიყო 26 ადგილი (40%), წინა მოწვევის უმაღლესი საბჭოში 37, 9%-ის ნაცვლად. სხვა ეროვნების წარმომადგენლებს რჩებოდათ 11 ადგილი ანუ 17%-ი, წინა მოწვევის 21, 4%-ის ნაცვლად. საქართველოს „კონგრესის“ ანტიეროვნული საქმიანობამ (არჩევნების ბოიკოტირებამ) ქართველებს 11 ადგილიდან 3 ადგილი დააკარგვინა და ქართული ორიენტაციის დეპუტაციის მაჩვენებელმა შეადგინა 47, 6%-ი აფხაზეთში ქართული მოსახლეობის პროცენ-

ტული მაჩვენებელი ნაცვლად 52, 4%-ისა (წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში ქართული ორიენტაციის დეპუტაციამ შეადგინა 37, 9%-ი ანუ 10%-ით გაიზარდა ქართული დეპუტაციის რაოდენობამ უმაღლეს საბჭოში) ორმხრივი კომისიის შეთანხმებით ქართული მხრიდან უნდა დანიშნულიყო მთავრობის თავმჯდომარე, ძალოვანი მინისტრები (შსს, უშიშროება) და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. კონსტიტუციური ცვლილებებისთვის საჭირო იყო ხმების ორი მესამედი ანუ 43 ხმა, ეს მაშინ, როცა აფხაზები ფლობდნენ 36 ხმას. ამავე დროს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს საქართველოს კონსტიტუციის 121-4 მუხლის მე-13 პუნქტით უფლება ჰქონდა შეეჩერებინა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული აქტების მოქმედება, თუკი ისინი ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას და კანონებს. ამ კანონმა განმუხტა კრემლის მიერ აფხაზეთში შექმნილი დაძაბული ვითარება, აფხაზეთის კონფლიქტი თავიდან აგვაცილა... (ამ დაძაბულობის შექმნაში მონაწილეობდნენ ქართველი „კონგრესმენები“, რომლებიც ცრუ კინო-ფოტო მასალებით, პრაღის 24-ე რეზოლუციით „ამტკიცებდნენ“ ქართველების მიერ ოსების „გენოციდს“, აფხაზებისა და სხვა ეთნიკური ჯგუფების შევიწროებას, ამყარებდნენ გორბაჩოვ-სახაროვ-მამარ-დაშვილის მითს საქართველოს მცირე იმპერიის შესახებ) 28-26-11- დროებითი საარჩევნო კანონის მეშვეობით ქართველებმა და აფხაზებმა დიპლომატიური გამარჯვება მოიპოვეს მოსკოვზე, რადგან: 1. თავიდან იქნა აცილებული აფხაზეთში კონფლიქტი „ადგილობრივი მოსახლეობის გენოციდი და ქართველთა ეთნიკური წმენდა. 2. აფხაზებისთვის მოსახლეობის 17%-ის მიერ 43%-ი ადგილების მოპოვებით განეიტრალდა მითი „მცირე იმპერიის“ შესახებ. 3. აფხაზეთში მართვის ბერკეტებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ფლობდა. 4. აფხაზეთში არჩევნების მაგალითზე ჩრდილო კავკასიაში დაიწყო ავტოქთონი მოსახლეობის „თვითგამორკვევის“ პროცესი, დაჩქარდა „კავკასიური სახლის“ მშენებლობა. რუსეთმა იგრძნო რა კავკასიის დაკარგვის საფრთხე, 1992 წელს მოახდინა თბილისში სამხედრო გადატრიალება ადგილობრივი კრიმინალების მეშვეობით და 1992 წელს მისი მარიონეტების ხელით კონფლიქტის პროვოცირება. კიტოვანმა, არძინბამ, შევარდნაძემ აფხაზეთში კონფლიქტის გაჩაღებით გაყიდეს

აფხაზი, ქართველი და აფხაზეთი მიყიდეს რუსეთს, საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მოკლეს, 30 000 ადამიანი დაიხოცა, 300 000 აყარეს აფხაზეთიდან, სამეგრელო ხუთგზის დალაშქრეს, გადაწვეს სოფლები, 1 500 000 ქართველი საქართველოდან გააქციეს, ჩააბნელეს და ძაძებით შემოსეს მთელი საქართველო, 20 მილიარდი დოლარი ანაბრებით აართვეს მოსახლეობას, გააპარტახეს ეკონომიკა. სამწუხაროდ, ამ ომის პროვოცირებამ დიდად დააზარალა, როგორც აფხაზი, ისე ქართველი ერი. ომის შედეგები დამღუპველია მთლიანად საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, რომლის აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ ქართველთა და აფხაზთა ინტეგრაციაში. საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ასე მიმართავდა აფხაზებს: „აფხაზთა და ქართველთა ძმობა უხსოვარ დროიდან იწყება. ჩვენი საერთო კოლხური წარმოშობა, გენეტიკური ნათესაობა ჩვენს ხალხებსა და ენებს შორის, საერთო ისტორია, საერთო კულტურა გვავალებს დღეს დიდ დაფიქრებას ჩვენი ხალხების მომავალ ბედი-ღბალზე. ჩვენ ერთ მიწა-წყალზე ვცხოვრობდით მუდამ და ერთმანეთის ჭირ-ვარამს ვიზიარებდით. ჩვენ საერთო სამეფო გვქონდა საუკუნეთა განმავლობაში. ერთ ტაძარში ვლოცულობდით და ერთ ბრძოლის ველზე ვიბრძოდით საერთო მტრების წინააღმდეგ. აფხაზი მუდამ ამაღლებული, რაინდული კეთილშობილების სიმბოლო იყო ქართველის ცნობიერებაში“ (აფრასიძე... 1994: 4-5).

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში დამოუკიდებლობის აღდგენას ხმა მისცა რეფერენდუმში მონაწილეთა 97, 73%-მა, ასევე დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის სიმბოლოს ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევას ხმა აფხაზთა უმრავლესობამ მისცა, 28-26-11- დროებითი საარჩევნო კანონის მეშვეობით აფხაზებისთვის მოსახლეობის 17%-ის მიერ 43%-ი ადგილების მოპოვებით განეიტრალდა მითი „მცირე იმპერიის“ შესახებ, თავიდან იქნა აცილებული აფხაზეთში კონფლიქტი ადგილობრივი მოსახლეობის გენოციდი და ქართველთა ეთნიკური წმენდა. ეს იმპერიაზე მოპოვებული დიდი გამარჯვება იყო (დადეშქელიანი-აფრასიძე, 2006: 20-50).

აფხაზების, ოსების, სომხების, აზერბაიჯანელების დიდმა უმრავლესობამ რეფერენდუმში ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას. დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი ეყრდნობოდა

საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ შემუშავებულ პრინ-ციპებს, ადამიანის უფლებების დაცვას, ერთა თვითგამორკვევის პრინციპებს (1975 წელს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ შექმნეს ადამიანის უფლებების დამცველი „ჰელსინკის ჯგუფი“), ითვალისწინებდა ზოგადსაკაცობრიობო ღირებეუ-ლებებს. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებისათვის პოლიტი-კური ორიენტაცია წმიდა სახით არ იყო ან ევროპა ან ამერიკა, არამედ საქართველოს მოიაზრებდა ერთიან კავკასიურ სივრცეში (ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე მან იცოდა, რომ „საერთო კავკასიური სახლის“ საფუძვლები შექმნეს გორგასლმა, დავით აღმაშენებელმა, მეფე თამარმა, გიორგი ბრწყინვალემ და იმიტომ იყო მათი მეფობის დროს საქართველო ძლიერი სახელმწიფო) და აქედან გამომდინარე, ძირითადად დასავლეთ-თან ურთიერთობით ცდილობდა პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირებას (მან მმართველობის ფრანგული მოდელი აიღო საფუძვლად მმართველობის დასაწყისში; პრეფექტები, საკრებუ-ლოები) დასავლეთმა „ბოროტების იმპერიასთან“ მებრძოლი საქართველო პირველ ეტაპზე წაახალისა (რეიგანის დოქტრინაში თავსდებოდა ქართველ დისიდენტების ბრძოლა), რასაც მოყვა ცნობილი ყაზბეგის შეხვედრა რუსეთის ფედერაციის მეთაუ-რთან. ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტის მოგვარე-ბის მიზნით 1991 წლის 23 მარტს საქართველოს ტერიოტორიაზე, ყაზბეგში ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმ-ჯდომარე ბორის ელცინი და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. დაიგეგმა მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. უპირველესი და უმთავ-რესი მათ შორის იყო გადაწყვეტილება რუსეთ-საქართველოს შორის ახალი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, რომელიც დაიგეგმა თბილისში. გაფორმდა შეხვედრის და მოლაპარაკების ოქმი, რომელშიც, კერძოდ, აღინიშნა: 1. 1991 წლის აპრილის მანძილზე ხელმოსაწერად მომზადდეს რუსეთის სფსრ და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისო ურთი-ერთობის ხელშეკრულების პროექტი, რისთვისაც შეიქმნას სამუშაო ჯგუფები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის; ერთობლი-ვი მოქმედების მიზნით შეთანხმების შედეგად მხარეები მორიგდნენ: 2. რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 დღეში შექმნან ერთობლივი კომისია აღნიშნულ რეგიონში ვითარების შესასწავლად და მიმდინარე წლის 20 აპრილამდე სიტუაციის ობიექტურად შეფასების მიზნით. 3. რუსეთი სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 აპრილამდე შექმნან მილიციის გაერთიანებული რაზმი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირების განსაიარაღებლად. ამ რაზმს დაევალება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მოცემულ ტერიტორიაზე ვითარების სტაბილიზაციამდე. 4. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინადადება მიეცეს გაიყვანოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან აქ დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები. 5. რუსეთის სფსრ, საქართველოს რესპუბლიკის და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა დაუყოვნებლივ დაიწყონ საიმისო მუშაობა, რომ ლტოლვილებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების საშუალება შეექმნათ, უზრუნველყონ ადგილობრივი ხელისუფლების კანონიერი ორგანოების აღდგენა. 6. საქართველოს რესპუბლიკის, რუსეთის სფსრ და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მთავრობებმა შექმნან ლტოლვილებისათვის მიყენებული ზარალის შემფასებელი კომისია და დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური სახსრები გამოყონ ამ ზარალის ასანაზღაურებლად. 7. შექმნილი კომისიებისა და რაზმების საბოლოო ამოცანად ჩაითვალოს რეგიონში მშვიდობისა და სიმშვიდის აღდგენა. 8. შეიქმნას მუდმივი ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს ამ ოქმის შესრულებას და განიხილავს წამოჭრილ მიმდინარე საკითხებს. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე: ზვიად გამსახურდია რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე: ბორის ელცინი დაბა ყაზბეგი, 1991 წ. 23 მარტი“ (დადეშქელიანი-აფრასიძე, 2006: 5-6). დოკუმენტიდან ჩანს, რომ რუსეთი სცნობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გაუქმებულად. შეთანხმებაში ყველგან ნახმარია „ყოფილი სამხრეთ ოსეთი“! უფრო მეტიც, მოლაპარაკებებში იგი საერთოდ არ ფიგურირებს როგორც არსებული სუბიექტი. ასევე წერია - „გაიყვანოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან აქ დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები“.

კონფლიქტის თავიდან აცილება ცხინვალის რეგიონში, საოკუპაციო ჯარების გაყვანა სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმების ლეგიტიმურად ცნობა იყო ეროვნული ხელისუფლების უდიდესი მიღწევა. სამწუხაროდ, რუსეთმა ვერ დაინახა გამსახურდიას პოლიტიკის დადებითი მხარე კავკასიაში ერთა შორის დიალოგის გზით პრობლემების გადაწყვეტის (იგი კვლავ აგრძელებდა ინერციით „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკას - შექმნა მთიელ ხალხთა

კონფედერაცია სოხუმის დედაქალაქობით) და მას ბუმერანგივით შემოუტრიალდა მის მიერ პროვოცირებული კონფლიქტები ჩეჩნეთში, ინგუშეთში, დაღესტანში.

საბჭოთა კავშირის დაშლის პირველ ეტაპზე ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა სრულ ჰარმონიაში იყო მსოფლიო თანამეგობრობის პოლიტიკასთან.

1991 წლის 23 მარტს გამსახურდია-ელცინის შეხვედრის საფუძველზე 1991 წლის 14 მაისს საქართველოს, რუსეთისა და სსრკ-ს პარლამენტარებმა (ოსური მხარე მეთვალყურის როლში) მოვახდინეთ პარაფირება დოკუმენტის, რომელშიც დაფიქსირდა ცხინვალიდან და აფხაზეთიდან სსრკ-ს (რუსეთის) ჯარების დაუყონებლივ გაყვანის აუცილებლობის შესახებ და ამ რეგიონებში პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ საქართველოს პრიორიტეტად გამოცხადდა.

ასევე რუსეთის პარლამენტარებისა და პრეზიდენტ ელცინის მიერ აღიარებული იქნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულის გაუქმების მართლზომიერება და დამკვიდრდა ტერმინი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომია.

სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ანალოგიური შინაარსის დადგენილება ამ პარაფირებული დოკუმენტის საფუძველზე.

28-26-11 პრინციპით არჩევნების ჩატარება, ეროვნული უმცირესობების დიდი უმრავლესობის მიერ რეფერენდუმში დამოუკიდებლობისათვის და ტერიტორიული მთლიანობისათვის ხმის მიცემა, ყაზბეგის შეხვედრის ოქმი, სსრკ-ს პრეზიდიუმის დადგენილება და პარლამენტების (სსრკ-ს, რუსეთის და საქართველოს) მიერ მიღებული დადგენილებები იყო ქართველების, ოსების, აფხაზების დიდი გამარჯვება, რითაც შეიძლებოდა სისხლისღვრის თავიდან აცილება და ამ ხალხების გადარჩენა. ეს იყო ეროვნული ხელისუფლების უდიდესი მიღწევა.

დამოწმებული ლიტერატურა:

პესტელი, 1906: პ. ი. პესტელი, რუსსკაია პრავდა, სანკტ-პეტერბურგი, 1906;
სიგუა, 2011: ს. სიგუა, მარტვილი და ალამდარი, თბ., 2011;
აფრასიძე… 1994: ბ. აფრასიძე, ა. გვიშიანი, თ. გვანცელაძე, რა არის ჩვენი სიცოცხლე? ბრძოლა!, თბ., 1994;
დადეშქელიანი-აფრასიძე, 2006: ბ. დადეშქელიანი-აფრასიძე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემები, თბ., 2006;
გამსახურდია, 1976: ზ. გამსახურდია, სამეგრელოს საკითხი (ისაკი ჟვანია და სამეგრელოს „ავტონომია“), თბ., 1976;
Дроздов, 1877: Дроздов И. Последняя борьба с горцами на Западном Кавказе // Кавказский сборник, Тифлис, 1877.

Birmuza Dadeshkeliani-Aprasidze

Ethnic Politics of Russian Empire

Russian Empire had always been fighting against Georgian sovereignty with the use of different theories and concepts and this fight continues to these days. It must be noted, that concept of Sakharov – „Georgia – Little Empire“ was in full accordance with the plans of Russian Empire architects – Alexander I, Nicholas I, Decembrists, Alexander II, Stalin, Gorbachev, Primakov, Dugin, Putin, Zhirinovsky.

In 19th century Russian Empire decided to completely remove local population from entire coast spanning from river Kuban to town Poti and instead settle Russian military personnel there. This plan was carried out by Alexander I and Alexander II by conducting the genocide and mass-deportation against local population. With these methods entire coast of Sochi-Adler-Tuapse was cleansed from Circassians and Ubykhs, they were deported to Turkey. The same methods of cleansing were used for the coastal settlements of Abkhazia. Genocide of years 1864-1869 had following results:

Shapsughs were initially 300 000 people, remained only 1983.
Abzakhs were 260 000, remained – 14 660
Natukhais – 240 000, remained – 175
Temirgoys were 80 000, remained – 3140
Bzhedugs were 60 000, remained – 15 263
Mamkhegs – 8 000, remained – 1204
Adamiels – 3000, remained – 230
Ubykhs – 74 000, remained – 0.
From nearly 100 000 Zhaneys and Khakuchs none remained alive.

This plans of Russian Empire was also declared in constitution adapted by Decemberists (Pavel Pestel), its second and third paragraphs mentioned: „2. Caucasus shall be divided into two groups: peaceful and troublemaker. The firsts shall be left untouched in their settlements under Russian rule, though the seconds (Georgians, Circassians, Adygheans, Kabardians, Chechens, Ingushs, Avars, Lezgins…) must be forcefully relocated in the mid-Russian Volosts and diffused into the small groups. 3. Bring Russian population into the Caucasus and settle them down on the lands previously owned by the locals. With these actions, all the footprints of aboriginal population had to be erased and this area should be turned into the quiet and well-organized Russian oblast“. (They are trying to erase Georgian footprints from the Georgian monasteries of Gudauta, Ilori, Bedia, which is out of accordance with declared principle of „common belief“, not to mention vandalism, which is a crime). In the year 1880 Russian emperor Alexander II officially declared Abkhazian people as

criminals (because of the failed coup against rule of Empire in 1877-78). This order prohibited Abkhazians to settle down at the shoreline, close to the roads, in Sukhumi, Gudauta and Ochamchire.

In the same period there were attempts to disintegrate Georgian people by creating cyrillic-based alphabet for Megrelian and Svan „languages“, which were developed by the Russian officials on the base of Megrelian and Svan dialects of common Georgian language. The same was done for Abkhazian language, while also carrying out anti-Georgian propaganda. Russian chauvinist scientists insisted, that Abkhazian language would vanish soon and assimilation of Abkhazians would be unavoidable. As an act of appreciation for not participating in revolution of years 1905-07, Tsar regime abolished the order regarding criminal-nation and Abkhazians were released from that status. In response to that now Georgians went under scrutiny and same limitations were imposed on them as Abkhazians had before. By that action they put a tension on Georgian-Abkhazian relationship.

Soviet government continued its confrontational politics between two brother nations. By alternating privileges between them, government managed to get their loyalty. Years when Abkhazia was privileged were 18- 20’s, 30s’, 50’s, 70-80s’, for the remaining periods Georgia was the one getting political privileges. For example, if we look at the statistics of 1880s’, every prestigious government position were granted to Abkhazians, only second-rated positions were available for Georgians, Armenians and Russians… This made relationship between two nations very complex. Similar meeting to Likhni Meeting was held in 1917 (then time Georgia was fighting for independence). Very important event was speech of Giorgi Shervashidze (last lord of Abkhazia, brother-in-law of Konstantine Dadeshkeliani) at the „Congress of Abkhazian People“ on November 8, 1917. Anti-Georgian pathos of the „Congress“ provoked sense of protest of Georgian politicians.

Giorgi Shervashidze addressed the Congress in Abkhazian language, explained to them what was happening in Russia, congratulated upon nearing independence and indicated on possible dangers: „You shall follow your older brothers and fight with them for freedom. I know some may not like my advice, because they look towards Moscow and I look towards Tbilisi. There is no other way for Abkhazia except of having close relationship with Georgia and be with him through good and bad times“. General Paskevich (By his order 20 000 Muslim Georgians were killed and more 55 000 were expelled to Turkey… In their place 30 000 Armenians and Greeks were settles and by doing so he changed ethnic profile of Javakheti region). Nicholas I issued new order after his success in Russian-Turkish war (1828-29 years): „Now, as you finished one great task, another one is waiting for you, even more important than the first – to completely wipe out aboriginal population of North Caucasus“. Before

Sakharov, Stalin was the one who declared Georgia as a little empire, which found expression in his fake and hostile definitions: „Georgians

are militarist chauvinists – they bully other nations: Armenians, Azerbaijanians, Abkhazians, Adjarians, Ossetians; Georgians are not a nation, but a conglomerate; Georgia cannot exist without Russia“. Stalin begin freeing up Ingilo people conquered by historical Georgians by granting Saingilo to Azerbaijan (Stalin is the one who signed the order granting Saingilo to Azerbaijan), later this practice was continued by Shevardnadze who „set free“ Abkhazians and Ossetians.

Fake-information machine of Empire blamed Georgians, that their motto was „Georgia for Georgians“ (Rodionov – author of 9th April tragedy). First time terms „Zviadists“, „Provincial Fascism“, „Bunker“ were used in newspaper „Izvestia“ to relate National Government to fascism, and their supporters to pagans…

So-called Likhni meeting in time of Georgian national movement was well-planned provocation against Georgian and Abkhazian people. One of its outcomes was anti-Abkhazian speech about abolishing Abkhazian autonomy at the Republic Square on 4th April, 1989 (which served the interests of only people willing to maintain Empire and was against the interests of these two nations). This provocation, organized by Moscow was exposed by Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava, and they gave a new direction to the protests –towards only requesting independence of Georgia (all the banners against Abkhazia vanished from the mass-protest scene).

Kremlin wanted to worsen relationship between ethnic groups and became irritated about changing direction of the protests towards requesting only Georgian independence. That was the reason they oppressed the mass-demonstration by force on April 9, 1989. Idea of the „Renewed Soviet Union“ belongs to A. Sakharov, who is the author of the phrase „Georgia – the Small Empire“.

Soon after the agreement between Gorbachev and Bush on Malta, process of creating new legislation for „Renewed Soviet Union“ started according to the project of Sakharov-Mamardashvili, by which autonomous republics and autonomous oblasts were granted the same rights as Soviet republics with regards to decision of staying or leaving Soviet Union and their respective republics (this was the legalization of separatism).

This law has become the ground for Gorbachev’s threat to Gamsakhurdia on phone: „Georgia can leave Soviet Union but without Abkhazia and South Ossetia“.

On the basis of Sakharov’s concept „Georgia – Small Empire“ Prague resolution number 24 was issued by Russian Empire, regarding so called „oppression of ethnic minorities and genocide against Ossetians conducted by Georgia“. After „freeing up“ Abkhazians and Ossetians Russia plans to do the same with regards to Svanetians, Megrelians (Putin’s former advisor Dugin spoke about that openly), Adjarians, Javakhians and others, until the demise of the State of Georgia.

Sakharovs concept of the “Small Empire” was predated by the language politics of Russian Tsarism and Soviet Empire. Russian statesmen tried to belittle the role of Georgian language, they declared Georgian dialects as separate languages without an alphabet. Their (I. Vostorgov, K. Patkanian) goal was to present sub-ethnic groups of Georgians as separate nations.

…Ideologist of Bolsheviks’ I. Zhvania says: “Why there is no Megrelian nation? Samegrelo has all the signs of nation: 1. similarity of culture and everyday life; 2. territory; 3. economic relations; 4. language and etc… „I. Zhvania has not only planned to restore Megrelian separatism, but also tries to start Svanietian separatist movement“, Zviad Gamsakhurdia.

In short, the same politics of freeing up Samegrelo, Adjara, Svaneti, Javakheti from Georgians just like Heretia-Saingilo, Abkhazia, Samachablo, Qsani, Dvaleti, Samurzakano, Dali Svaneti (Sanigeti) is being carried out to these days. Goal is to move Russian border further to Turkey (see statements by Russian politician Zhirinovsky).

In the years 1990-91 no ethnic minority rights were abused in Georgia, constitution declared international law supremacy over local laws with regards to human rights, process of Abkhazian integration within Georgia was carried out successfully. On March 31, 1991 referendum was conducted regarding independence of Georgia. Out of 3 657 477 voters 3 295 493 voted in favor of Georgian independence. In the Autonomous Republic of Abkhazia 97,73% of the voters voted in favor of Georgian independence.

In 1991 commission of Georgians and Abkhazians (without the participation of Russians) accepted the new temporary Election Law, according to which Abkhazians were granted 28 seats in high council (43% of total seats), in place of previous 40,7%. For Georgians 26 seats were assigned (40%) instead of previous 37,9%. Other ethnic groups were left with 11 seats (17% instead of previous 24%). Number of Georgian deputates was 47,6% (which was the relative number of Georgians living in Abkhazia, in place of previous 52,4% of seats). In the previous High Council pro-Georgian deputation was 37,9%, hence Georgian seats number was increased by 10%.

This law improved previously tensed situation created by Kremlin in Abkhazia and made it possible to avoid military conflict…

28-26-11- by the help of temporary Election Law Georgians and Abkhazians made diplomatic win over Moscow, because: 1. Conflict in Abkhazia was avoided, as well as „genocide of local population and ethnic cleansing of Georgians“; 2. By getting 43% of the seats by Abkhazians instead of previous 17% the myth about „Small Empire“ was demolished. 3. Triggered by the example of elections in Abkhazia process of independence in North Caucasus started, building of Caucasian House speeded up. Russia sensed the danger of losing Caucasus and conducted military coup in Tbilisi with the help of local criminals and provoked the conflict by the hands of its puppets. By flaming conflict in Abkhazia Shevardnadze, Kitovani and Ardzinba betrayed Georgian and Abkhazian

people and sold Abkhazia to Russia. President of Georgia – Zviad Gamsakhurdia was kiled, 30 000 people were killed, 300 000 were moved away from their homes from Abkhazia, Samegrelo was raided five times, villages were burnt, 1 500 000 Georgians were made into migrants on foreign land, darkened entire Georgia, stole 20 billion worth of bank deposits from the people, destroyed state economy. Unfortunately this war had terrible impact on both – Georgians and Abkhazians, war results were disastrous for every citizen of Georgia.

Restoring this damage is only possible by the reconciliation and reintegration of Georgian and Abkhazian people.

Majority of Abkhazians, Ossetians, Armenians, Azerbaijanians voted in favor of Georgian independence and territorial integrity on referendum… Foreign policy of independent Georgia was founded upon the principles of United Nations, protection of human rights, principle of self-determination (in 1976 Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava created „Helsinki Group“ to protect human rights), took into consideration the general values of mankind. For Zviad Gamsakhurdia political orientation was not towards entirely Europe or America, but he considered Georgian's place to be in Caucasus (from historical experience he knew that foundations of „Caucasian House“ were made by King Gorgasal, David the Builder, King Tamar, Giorgi V the Brilliant, and that was the reason why Georgia was so strong in their times). And because of that he tries to form political institutions in relation to the West (he choose French model of governance in the beginning of his political career… prefectures, councils…) The West appreciated Georgia in the initial stage of its fight against the „Evil Empire“ (Georgian dissidents were mentioned in Reagan's doctrine), which was followed by famous „Kazbegi Meeting“ on the territory of Georgia, in Kazbegi, with the leader of Russian Federation on March 23 1991, for resolving the conflict surrounding Tskinvali region. In Kazbegi the Head of Russian High Council Boris Yeltsin and the Head of the Georgian High Council Zviad Gamsakhurdia met. Very important actions were planned. The most important from them was new bilateral agreement between Georgia and Russia, which was planned in Tbilisi. Protocol of the meeting and agreement was made…

By the April 1991 template of agreement between Georgia and Russian Federation shall be ready, for that purpose representative groups from both sides must be formed in order to help stabilizing situation in the former South Ossetian autonomy. For the purpose of mutual action, sides agreed, that Defense Ministry of USSR would recall soviet army parts remaining in the territory of South Ossetia. Ministerial Councils of Russian Federation, Georgian Republic and North Ossetia Autonomy shall start working mutually immediately to ensure refugees' comeback to their homes and restoration of local legitimate government organs. Governments of Russian Federation, Georgian Republic and North

Ossetia Autonomy shall create a commission for finding out amount of damage refugees experienced and ensure their rehabilitation. Final goal for these commissions and groups was to restore peace in the region. Permanent group was created for overseeing implementation of this protocol and discussing ongoing issues should they arise. By the signed agreement of town Kazbegi on March 23, 1991, the State Head of Georgia – Zviad Gamsakhurdia and the State Head of Russia – Boris Yeltsin agree upon abolition of South Ossetian Autonomous District. Everywhere in the agreement text „Former South Ossetia“ is used! It was not even a subject of discussions as an existing entity…

Also, agreement mentioned – „Recalling Soviet Army parts still dislocated on the territory of former South Ossetia“. Avoiding conflict in Tskhinvali region, recalling Soviet Army forces from Samachablo and Abkhazia, abolishing South Ossetian Autonomy – were great achievements of National Government.

Unfortunately, Russian could not appreciate positive effect of Gamsakhurdia's politics in solving problems by creating the dialogue between Caucasian people (Russian continued its politics of „Divide and Rule“ by creating Confederation of Mountainous People with Sukhumi as its capital) and finally Russian became the victim of its own politics in Chechnya, Ingushetia and Dagestan.

After March 23,1991 Gamsakhurdia-Yeltsin meeting, on May 14, 1991 Georgian, Russian and USSR parliaments (with Ossetians as observers) implemented the document which mentioned necessity to immediately move out USSR (Russian) army from Abkhazia and Tskinvali region. Solving the Tskhinvali region's problems had become discretion of Georgia.

Russian parliament and President Yeltsin also confirmed abolition of South Ossetia Autonomy and term „Former South Ossetia Autonomy“ entered the use.

USSR presidium issued the order with similar content on the basis of this document. Conducting elections by 28-26-11 principle, ethnic minorities' support of Georgian independence and territorial integrity in referendum, Kazbegi meeting protocol, USSR presidium order and orders issued by parliaments (USSR's, Russia's and Georgia's) were the great victory of Georgians, Ossetians, Abkhazians and it enabled avoiding bloodshed and save peoples' lives. These were the great achievements of National Government.

Lastly, it shall be said, that Kremlin fake-news machine often insinuated for the purpose of discrediting national government. These incidents were often reported by western media and diplomacy as true. To name one:

In 1991 influential French newspaper „Le Monde“ printed, that Gamsakhurdia issued the law in Georgia, which prohibited Ossetians to have more than one child! After several years, when Editor of this newspaper was asked by upset Georgians, what was the source of such news, he replied that informer was somebody he trusted very much, this person was Merab Mamardashvili.

მანანა ტაბიძე

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური სტრატეგიის მნიშვნელობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და დეოკუპაციის პროცესში

„მართალს ვიტყვი, შევიქნები
ტყუილისა მოამბე რად...“

რა შეიძლება ითქვას თანამედროვე საქართველოს შესახებ! წარმატებული ქვეყანაა იგი თუ წარუმატებელი, დამოუკიდებელია თუ არა? თავისუფალი სახელმწიფოა? დაცულია მისი საზღვრები? ქართული ენა არის საქართველოს სახელმწიფო ენა? გამართულია მისი ჯარი, ძალოვანი სისტემა, ეკონომიკა და ჰუმანიტარული სტრუქტურები? მისი საშინაო პოლიტიკა საკუთარ მოქალაქეთა მოთხოვნილებებზეა აგებული თუ უცხო სტანდარტებზე?

ამ კითხვებზე პასუხი რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს:

1. საქართველო საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით დამოუკიდებელი ქვეყანაა;
2. საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ცნობილი ტერიტორიები, უდავოდ, წარმოადგენს საქართველოს კანონიერ საკუთრებას;
3. ქართული ენა, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის ერთადერთი სახელმწიფო ენაა;
4. სამართლებრივად ქვეყანას აქვს თავისი სახელმწიფო ქონება და დეკლარირებული აქვს ჰუმანური და დემოკრატიული ღირებულებები.

ყველა ეს მონაპოვარი უკავშირდება ზვიად გამსახურდიას სახელს; მაგრამ

- დღევანდელი საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსული ჯარების მიერაა ოკუპირებული;
- დიდძალი ქონება გასხვისებულია;
- ქართული ენა მხოლოდ ქართველმა მოქალაქეებმა იციან;
- საქართველოს მოქალაქეთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი ფინანსური, სამეურნეო და ჰუმანიტარული პრობლემების უმრავლესობა მოსაგვარებელია.

ეს ვითარება ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების **დამხობას მოჰყვა** და მასზე პასუხისმგებლობა მომდევნო მთავრობებს ეკისრება (საკითხის ისტორიისათვის იხ. გამსახურდია, 2013; გაჩეჩილაძე 2004; ფუტკარაძე, 2016; ცომაია, 2018; შონია, 2020...).

ზვიად გამსახურდია დიდი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეა, რომლის არაჩვეულებრივმა ბიოგრაფიამ დაიტია ეპოქალური მოვლენები - დისიდენტობა, პატიმრობები, სახალხო მოძრაობა, პრეზიდენტობა, დამოუკიდებლობის გამოცხადება, დევნილობა, მტრის ხელით სიკვდილი... და მკვდრეთით აღდგომა, რაც ერთი მხრივ, ხალხის მიერ მისი სიკვდილის დაუჯერებლობასა და ვერმიღებაში გამოიხატა, ხოლო მეორე მხრივ, - იმ პარადოქსში, რომ მისი ხალხიც, მისი ოპონენტებიც და თვით მისი მკვლელებიც კი სულ რაღაც 26 წელიწადში ერთხმად მიაგებენ პატივს მის ღვაწლსა და მონაპოვარს.

როგორ დადგა ასეთი შედეგი?

როგორ შევაფასოთ საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) დატრიალებული მოვლენები - როგორც შემთხვევითობათა თავმოყრა, როგორც რომელიღაც უცხო სახელმწიფოს მიერ ნაჩუქარი თავისუფლება, თუ როგორც დიდი ეროვნული მოღვაწეების მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის თანმიმდევრული განხორციელება მომავალ კატაკლიზმებთან შესახვედრად ჩვენი მოსახლეობის მომზადების მიზნით... ამ კითხვებზე პასუხის პოვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო თითოეული ჩვენგანის პირადი წარსულის შესაფასებლად, არამედ იმის გამოსაცნობადაც, თუ როგორ გავიაზროთ დღეს მიმდინარე პროცესები და ვის ვენდოთ ახალი გამოწვევების დაძლევის გზაზე.

და მაინც, როგორი იყო ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური და იდეური გეზი? ხელმძღვანელობდა იგი მწყობრი პოლიტიკური სისტემით, თუ ოდენ ინტუიციასა და გრძნობას მიჰყვებოდა და ჩვენგანაც ამას ითხოვდა?.. როგორი იყო მისი სტრატეგია კომუნისტურ სისასტიკესთან ომში?

სტრატეგია ლექსიკონთა უმრავლესობაში განმარტებულია, როგორც **„შორეული ან საერთო მიზნის მისაღწევი გეგმა“.**

რა გეგმა უნდა ჰქონდეს გულშემატკივარ, შორსმჭვრეტელ, ნიჭიერ, განსწავლულსა და ფართოდ მოაზროვნე ადამიანს ისეთი ქვეყნის გამო, როგორიც საქართველო იყო მეოცე საუკუნის 80–იანი წლების ბოლოს?

ზვიად გამსახურდია საქართველოს პირველი პრეზიდენტია, მის სახელთანაა დაკავშირებული პირველი მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში, კანონიერი და მშვიდობიანი ფორმით ეროვნული ძალების მოსვლა ხელისუფლებაში, შესაბამისად, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე კანონიერად დანიშნული და ჩატარებული რეფერენდუმი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე (რომელიც მისი ძალადობრივი დამხობის შემდეგ მოსულებმა ნაწილ–ნაწილ „დაუკარგეს“ ჩვენს სახელმწიფოს), დამოუკიდებლობის გამოცხადება და ამ დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის გაწეული ღვაწლი... ეს ჩამონათვალი ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის შედეგთაგან მოიცავს მთავარ, მაგრამ არა ყველა დიდ მონაპოვარს... ცხადია, ასეთი შედეგები სტიქიურად არ მიიღება, მას დიდი ფიქრისა და განსჯის, მოქმედებისა და ბრძოლის ეტაპები უძღვის, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება იყო **საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საყოველთაო** და მრავალპარტიული არჩევნების გზით, მშვიდობიანად მოსული **ერთადერთი** მმართველობა, რომლის ბადალი ჯერჯერობით საქართველოს არ ღირსებია. სწორედ საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა ზედმიწევნით დაცულობამ განაპირობა ის, რომ მტერმა ჯერაც **ვერ დაიკანონა** საქართველოსგან მიტაცებული ტერიტორიები და ქონება, ვერ შეძლო სათნოებად გაესაღებინა სიბილწე და ჰუმანიზმად მოენათლა ძალადობა.

რამდენჯერაც არ უნდა გაიმეორონ, რომ გამსახურდია პოლიტიკოსი არ იყო და კეთილშობილი მისწრაფებების მიუხედავად შეცდომებს უშვებდა, ამ მტკიცებას საფუძველი ვერ ეძებნება; სწორედ სრულყოფილი პოლიტიკური გათვლებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ეროვნულმა ძალებმა, კომუნისტური სპეცსამსახურების ორგანიზებული ქსელის საწინააღმდეგოდ შეძლეს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოპოვება განსაკუთრებულად რთულ პირობებში (მოწინააღმდეგეს ჰქონდა მმართველობა, შიშის მექანიზმი, ფული და ფულთან დაკავშირებული ადამიანების საკუთარი კადრები, ელიტური ინტელიგენცია, რომლის სახელის, ავტორიტეტისა და ცნობადობის უზრუნველყოფაში უდიდესი ინვესტიციები იყო ჩადებული).

როგორი იყო ქვეყანა, რომელიც უნდა ემართა ახალ ხელისუფლებას დინების წინააღმდეგ, რა რესურსებიდან უნდა მომხდარიყო კადრების შერჩევა (მართვის გამოცდილების მქონე ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი საბჭოთა სპეცსამსახურების ხელდასხმით იყო დაწინაურებული, ხოლო არანომენკლატურულ სპეციალისტებს ჩრდილში ჰქონდათ გატარებული ცხოვრება და სახელმწიფო სამსახურისთვის მოსამზადებლად დრო სჭირდებოდათ...), როგორი იყო საერთაშორისო კონტექსტი, როგორი იყო დამოუკიდებლად მართვის გამოცდილება, საზოგადოებას, თანასწორობის უტოპიური მიზნით მონუსხულს, არ გააჩნდა იდეოლოგიური მზაობა რეფორმებისათვის; საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლა გულისხმობდა თავისუფლებას, მაგრამ ის ინსტიტუტები, რომლებიც ახალ, თავისუფალ საქართველოს უნდა შეექმნა, ფაქტობრივად, ყველაფრის თავიდან დაწყებას მოითხოვდა: ვეღარ იმუშავებდა კომუნისტური იდეოლოგია, რომლითაც გაჯერებული იყო ყველა სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო (და რომლებიც სასწრაფოდ უნდა შეცვლილიყო), ვერ იმუშავებდა კოლექტიური საკუთრების კომუნისტური ზღაპარი, უნდა მომზადებულიყო და განხორციელებულიყო პრივატიზაცია, ვეღარ გამოიყენებდი საერთაშორისო ურთიერთობების ძველ ტენდენციებს, აღარ გრჩებოდა ქონება, არ გყავდა ჯარი და საკუთარი, არასაბჭოური ძალოვანი სტრუქტურები, არ არსებობდა არასაბჭოური უშიშროების სამსახური, არარუსული ფულის ნიშნები, საკუთარი ეკონომიკა, ტრანსპორტი, საკუთარი კადრები, სულ მალე გადასაწყვეტი იქნებოდა სადავო საკითხები სსრკ–ს ახალ სახეობასთან ესენგესთან; საბჭოთა კავშირის ნგრევის წიაღშივე უნდა ჩასახულიყო თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო თავისი საზღვრებით, ფულით, საერთაშორისო სტატუსით... უდანაკარგოდ უნდა წამოგვეღო საკუთარი ტერიტორიები, რუსეთის იმპერიის მიერ მიტაცებული ქართული ქონება, ეროვნულ პლატფორმაზე გადმოსულიყო ეკონომიკა; უნდა გამოაშკარავებულიყო სუკის მიერ დაგებული მახეები.

მსოფლიო უნდობლად უყურებდა თვითმყოფად ეროვნულ ძალებს და მხოლოდ თვალს ადევნებდა მათ მოქმედებას. მაშინდელი დასავლეთის პოლიტიკურ თამაშებში საქართველო რუსეთის საბჭოთა იმპერიის დასუსტების ერთ–ერთი საშუალება იყო მხოლოდ, და არა მომავალი სრულფასოვანი პარტნიორი.

...და რაც მთავარია, მთელი ამ დროის მანძილზე (მაშინაც კი, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და რუსეთის ჯარებს საოკუპაციო ჯარების სტატუსი მიანიჭა) საქართველოში იდგა რუსული ჯარი, ხოლო ე.წ. ვაკე–საბურთალოს გზაზე საბჭოთა არმიის ამიერკავკასიური ნაწილების სამხედრო სარდლობა იყო მოკალათებული.

ხშირად ამბობენ, რომ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უწყვეტი, მუდმივი მდგომარეობაა, ის შესაძლოა, ბოლომდე ვერ იმარჯვებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ბოლომდე არც არასოდეს მარცხდება, ამიტომ ის სტრატეგიული გეგმა, რომელიც საბოლოო მიზნად მშვენიერ, საღვთო, თავისუფალ და შემოქმედებით საქართველოს ისახავს, საქართველოს უძველესი წარსულიდან იღებს სათავეს და სხვადასხვა ეტაპზე, ეპოქალური გამოწვევების შესაბამისად, ტრანსფორმირდება საქარველოს დიდი მეფეების, დიდი მწერლების, დიდი ღვთისმსახურების მიერ; თუმცა მოწამლული ისარი, ბერდანკა, თუ სტეჩკინი პერიოდულად ხელიდან გვართმევს წინამძღოლებს, მაგრამ სწორედ ამ საბედისწერო გასროლებით მტკიცდება იდეის მნიშვნელობაც, გმირთა სიდიადეც და მთავარი სტრატეგიული ხაზის უწყვეტობაც.

რადგან **ლეგიონს** არა აქვს არგუმენტი, არა აქვს სიმართლე, არა აქვს სხვა ძალა... **ტყვიის გარდა.**

ზვიად გამსახურდიას ღვაწლი მარტო ის კი არ არის, რომ მან დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საბჭოთა იმპერიას სამართლებრივად გამოჰგლიჯა საქართველო, არამედ ის, რომ მის სახელს საქართველოს ეროვნული ძალების კონსოლიდაცია კვლავაც შეუძლია, რომ მიუხედავად მეხსიერებასთან გამართული ამ გააზრებული ბრძოლისა, **საქართველოს სიყვარულის ნიშნით დაბადებული ნებისმიერი თაობა** ამ სახელთან ერთად უთუოდ გაიხსენებს, რა უნდა სურდეს, რას უნდა ესწრაფოდეს, რას ნიშნავს შავთეთრზოლიანი შინდისფერი აბრეშუმი, მამა–პაპის მიერ სათუთად გადანახული.

ჰქონდა თუ არა გამსახურდიას სტრატეგიული გეგმა... იცოდა თუ არა, რას აკეთებდა და რას ესწრაფოდა? თუ მოძრაობდა მოძრაობისათვის, იმპულსურად, ეგზალტირებულად, ეგოისტურად?

ყველას გვესმის, რაოდენ ორგანიზებული, გამოცდილი და დაუნდობელი იყო ის ძალა, რომელსაც უპირისპირდებოდა ეროვნული მოძრაობა; განა შეიძლებოდა მისი დამარცხება ოდენ **ენთუზიაზმით? ამ კითხვაზე ორივე შესაძლო პასუხი უაღრესად სანუგეშოა:** თუ ეროვნულმა მოძრაობამ უმოკლეს ვადაში შეძლო მომზადებაც და გამარჯვებაც, მაშასადამე **ის ამას კვლავ შეძლებს**; ხოლო თუ კარგად გაწვრთნილი საბჭოთა ურჩხული თავისუფლების მაძიებელმა სტიქიამ დაამარცხა, მაშინ გამოდის, რომ ნებისმიერ სხვა ძალადობრივ რეჟიმსაც, **ადრე თუ გვიან, გამოელევა ძალა.**

ჰქონდა თუ არა ზვიად გამსახურდიას წინამძღოლობით მოქმედ ეროვნულ მოძრაობას საკუთარი სტრატეგია, თუ ეს იყო თავისუფლებადაკარგული ხალხის ტკივილით და მუდმივი დისკომფორტით აღძრული გაუაზრებელი მოუსვენრობა, როდესაც ამ მოუსვენრობის არც მიზეზია ცნობილი და არც მიზანი?

ზვიად გამსახურდიას და მის უახლოეს თანამებრძოლსა და სულიერ ძმას მერაბ კოსტავას შესანიშნავად ესმოდათ არამარტო საქართველოს სატკივარი, არამედ ის საერთაშორისო კონტექსტიც, რომელშიც უნდა განხორციელებულიყო, ეარსება და შემდგომ თავი გაეტანა საქართველოს თავისუფლებას; ბრძოლა იყო ხანგრძლივი და მძიმე, მთავარი მოქმედი გმირი – საქართველოს მოსახლეობა – რეპრესიებით, იდეოლოგიური ზეწოლით, არაერთი მარცხითა და სულიერი სიმტკიცისათვის აუცილებელი ინტელექტუალური საზრდოს დეფიციტის პირობებში სკეპსისისა და განკერძოებული ეგოიზმის სენშეყრილი უარღესად ძნელი „ასამოძრავებელი“ ჩანდა... ამას ემატებოდა ფიზიკური და სულიერი ობლობის მტკივნეული განცდა, როდესაც ერს გულშემატკივარი არსად ეგულებოდა, და ყოველი კონკრეტული ისტორიული მომენტისათვის მხოლოდ იმ მომენტით დაინტერესებული დროებითი თანამოაზრე შეიძლება ეპოვა. ამიტომაც იყო, რომ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ბოლომდე ვერც რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის დისიდენტებს დაეყრდნობოდნენ, ვერც დემოკრატიის მაშინდელ ლიდერებს, რომელთა დემოკრატიაც ოდენ ერთი მიმართუ-

ლებით მიმდინარე წყალს მიჰყვებოდა და მის გამამდიდრებელ ნაკადულებსა და წყაროებს არად დაგიდევდათ.

აი, ამ ვითარებათა გათვალისწინებით იქმნებოდა ზვიად გამსახურდიას სტრატეგია, სტრატეგია ორეტაპოვანი მოქმედებისა: პირველი ეტაპი საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკურ მომზადებას გულისხმობდა რუსეთის საბჭოთა იმპერიის დაშლის პროცესიდან ყველაზე მარჯვე მომენტში ასამოძრავებლად და თავისუფლების მოსაპოვებლად, ხოლო მეორე – გაცილებით ხანგრძლივი, მძიმე და ხიფათიანი ეტაპი დღესაც მიმდინარეობს და საქართველოს სულიერი გადარჩენისა და სულიერი მისიის შესრულებას უკავშირდება: ამ ბრძოლას, დღეს თუ არა ხვალ მაინც, ექნება საერთაშორისო მასშტაბები, მასში ჩაებმებიან მთელ დედამიწაზე მიმოფანტული რწმენის ადამიანები, ზნეობრიობისა და სულიერების მცველნი, ბოროტისა და კეთილის უნივერსალური ორთაბრძოლის ქველი რაინდები, ამ ბრძოლაში აღარ იქნებიან უფრო მდიდრები და ნაკლებ მდიდრები, ატომური და ბაქტერიული იაღარით შეჭურვილნი და უიარაღონი, ბევრნი და ცოტანი... ამ ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდება სიკეთე და ბოროტება, ამ ბრძოლაში მთავარია არჩევანი – სად გინდა რომ იდგე... და ამ არჩევანის წინაშე უკვე მდგარ **ჩვენს ქვეყანას, ესოდენ დაღლილს, ესოდენ ნატანჯს, ესოდენ მშვენიერსა და სიკეთეს ესოდენ დანატრებულს, უკვე მიღებული აქვს მთავარი გაფრთხილება,** უკვე აქვს სტრატეგიული დევიზი, რომელიც 1990 წლის 26 მაისს ქარიშხალას სტადიონზე გაისმა: „ქართველო ერო, შენ წინაშე არის ორი გზა; შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზაგასაყართან. აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდისა, ზნეობისა, აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა! აირჩიე, ქართველო ერო! აირჩიეთ, ქართველებო! აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა! აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს! და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებული იყოს უკუნისამდე!“

დამოწმებული ლიტერატურა:

გამსახურდია, 2013: კ. ზ. გამსახურდია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე, თბ., 2013;
გაჩეჩილაძე 2004: გ. გაჩეჩილაძე, საით მიჰყვებიან მდინარეებას „მკვდარი თევზები“? თბ., 2004;
მრგვალი მაგიდის ისტორია, 1996: მრგვალი მაგიდის ისტორია /3 ნაწილად/, თბ., 1996;
ფუტკარაძე, 2016: ტ. ფუტკარაძე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ორიენტირები თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში; კრებული: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი“, თბ., 2016;
ცომაია, 2018: ლ. ცომაია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, თბ., 2018;
შონია, 2020: ჯ. შონია, „სიმართლე და სიცრუე ქართული სახელმწიფოსა და დემოკრატიის თანამედროვე პრობლემებზე“, თბ., 2020 წ. გამომცემლობა „უნივერსალი“ (იბეჭდება).

Manana Tabidze

The Importance of President Zviad Gamsakhurdia's Political Strategy in the Process of Restoring and De-Occupying Georgia's Independence

Zviad Gamsakhurdia's strategy includes two stage: the first stage was the political training of the Georgian population to move and gain freedom at the most right moment in the process of disintegration of the Russian Soviet Empire, and the second - much longer, more difficult and dangerous stage of Georgia's spiritual survival and it is related to the performance of it' s mission.

This struggle, if not today, tomorrow, will have an international scale, it will involve people of faith scattered all over the world, guardians of morality and spirituality, knights of the universal battle of evil and good, they will no longer be richer and less rich, armed with nuclear and bacterial weapons. , Many and few ... in this battle good and evil, with stand against each other, the battle for the most important choice - Where do you want to stand. Georgia will be involved in these processes with the ideology of Christianity, Georgian Classical Philosophy and Writing, and ideas of Ilia Chavchavadze and Zviad Gamsakhurdia.

ტარიელ ფუტკარაძე

მალტის შეთანხმება (02.12.1989), ეროვნული გმირები და საქართველოს პერსპექტივა[1]

ნაშრომის მიზანია ბოლო ნახევარ საუკუნეში მიმდინარე პროცესების ერთიანობაში გააზრებითა და ახალი თაობისათვის წინა თაობის შეცდომებისა თუ თავგანწირვის წარმოჩენით, **საქართველოს ამჟამინდელი გამოწვევების ანალიზი.**

გეოპოლიტიკური ბალანსის თვალსაზრისით კავკასიასა და შავ ზღვას ოდითგანვე ჰქონდა დიდი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა და აქვს დღესაც. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ბერლინის „რკინის ფარდით“ დედამიწა ორ გეოპოლიტიკურ სივრცედ გაიყო[2], შავი ზღვის დიდ ნაწილსა და კავკასიას (/საქართველოს) რუსეთი აკონტროლებდა.

---

[1] წარმოდგენილი სტატია წაკითხულია ორ მოხსენებად:
ტ. ფუტკარაძე, მალტის შეთანხმება (02.12.1989), 1992-93 წლების პუტჩი და 2008 წლის პლებისციტი თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია: „ზვიად გამსახურდია - 80“; 28 მარტი, 2019. T. Putkaradze, Malta Negotiation (02.12.1989), Putsch during 1992-1993 and Plebiscite of 2008 year, Scientific conference at St. Andrew The First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia: “Zviad Gamsakhurdia – 80”; 28 March, 2019. https://sangu.edu.ge/ka/article/kartvelologiis-aktualuri-problem (დამოწმება: 17.11.2019).
ტ. ფუტკარაძე, მერაბ კოსტავას როლი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის XII სამეცნიერო კონფერენცია: „მერაბ კოსტავა - 80“, 16 ოქტომბერი, 2019. T. Putkaradze, The Role of Merab Kostava in the National-Liberation Movement, St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia Kartvelological Center XII scientific conference: “Merab Kostava-80”, October 16, 2019. https://cutt.ly/Nyut5ae; https://cutt.ly/zyutBYP (დამოწმება: 1.12.2019).

[2] ორი ზესახლმწიფოს გავლენების საზღვარად იქცა **ბერლინის კედელი,** რომელიც აშენდა 1961 წელს. ბერლინის კედელი მიჯნავდა ნატოს ბლოკში გაერთიანებულ (04.04.1949; ვაშინგტონი) სახელმწიფოებსა და ვარშავის ხელშეკრულებაში იძულებით შეყვანილ (14.05.1955) ქვეყნებს. რუსი ოკუპანტების მიერ ანალოგიური „ბერლინის კედელი“ დღეს გავ-

გასული საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდა თეორიული შანსი, ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოები[3], მათ შორის საქართველო, გამოსულიყო რუსული იმპერიული ველიდან. ეს შესაძლებლობა კარგად გამოიყენეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა, აწ უკვე ეროვნულ გმირებად შერაცხულმა პიროვნებებმა - ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ. სწორედ მათ მიერ გასული საუკუნეების 70-იანი წლებიდან აღორძინებული **საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის** წიაღში ახალი სიცოცხლე შეიძინა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეამ. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერსპექტივა რეალური გახდა „ბერლინის კედლის“ დანგრევის შემდეგ (09.11.1989). დაიწყო დეოკუპაციის პროცესიც (1991). რუსული იმპერიული ველიდან გამოსვლის მძიმე პროცესი დღემდე გრძელდება. ნაშრომში გაანალიზებულია ამ პროცესის ეტაპები და წარმოჩენილია დასახელებული პიროვნებების გამორჩეული როლი თითოეულ ამ ეტაპზე (სიკვდილის შემდეგაც)[4].

ლებულია საქართველოში, კერძოდ, ერთი მხრივ, მდინარე ენგურზე, მეორე მხრივ - პერევი-ატოცი - დიცი - წითელუბანი-ორჭოსანის ხაზზე.

[3] ჩვენთვის უფრო მისაღებია კავკასიის რეგიონის დაყოფა სამ ნაწილად: ჩრდილო კავკასია (ამჟამად შედის რუსეთის ფედერაციაში; ცენტრალური კავკასია - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი; სამხრეთი კავკასია (ამჟამად შედის თურქეთის შემადგენლობაში).

[4] ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ არა მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა, პირადი უსაფრთხოება და, ბოლოს, სოცოცხლე შეწირეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, არამედ, რაც თანამედროვე რეალობაში ძნელი წარმოსადგენია, რუსეთის იმპერიასთან ბრძოლაში ფაქტობრივად გაწირეს საკუთარი ოჯახებიც. XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს მოსახლეობამ კარგად გააცნობიერა **თანამედროვეთა ეს სამაგალითო თავგანწირვა** და, არსებული დე ფაქტო ხელისუფლებების დამოკიდებულების მიუხედავად, რეალური გმირების სამუდამო განსასვენებელად განსაზღვრა გამოჩენილ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა და ხელოვანთა პანთეონი - მამადავითის ეკლესიის ეზო.

ვფიქრობ, 1974 წლიდან დღემდე არსებული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გამოსაყოფია ხუთი ეტაპი:

1. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდი: 1974-1988;
2. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მწვერვალი: 1989 წლის 9 აპრილი -1991 წლის ზაფხული.
3. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაღმავლობის პერიოდი: 1991 წლის შემოდგომა - 1993 წლის 31 დეკემბერი.
4. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განადგურება რუსეთის იმპერიის მიერ: 1994-1997 წლები.
5. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინების პირობების გაჩენა - 1998 წლიდან დღემდე.

ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას როლი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ პერიოდში (1974-1988).

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდის (1974-1988) დასაწყისად უნდა მივიჩ-ნიოთ 1974 წელს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ „ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის“ (ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, თეიმურაზ ჯანელიძე, ნიკოლოზ სამხარაძე, გივი მაღულარია და სხვ.) შექმნა, 1975 წელს ზვიად გამსახურდიას გაწევრიანება საერთაშორისო ორგანიზაციაში: „საერთაშორისო ამნისტია“ (Amnesty International) და ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ 1976 წელს „საქარ-თველოს ჰელსინკის ჯგუფის“ დაარსება [5] . საერთაშორისო მასშტაბში საქართველოს მდგომარეობისა და პერსპექტივის გააზრებით ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა 1975

[5] დოკუმენტური მასალისათვის იხ. „ოქროს საწმისი“ (შემდგენელი და რედაქტორი მანანა არჩვაძე-გამსახურდია), თბ., 2006 (გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“; „საქართველოს მოამბე“ (შემდგენელი და რედაქტორი მანანა არჩვაძე-გამსახურდია), თბ., 2007 (გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.

წლიდანვე ცდილობენ საბჭოთა იმპერიის ველში მოქცეული ქართველობისათვის, ზოგადად, საქართველოს მოქალაქეებისათვის, გაეცოცხლებინათ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალები და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. **საბჭოთა ხელისუფლებისადმი მათი მოთხოვნები და გრძელვადიანი გეგმები** არქივებში დაცული მასალის მიხედვით ასე გამოიყურება[6]:

მოთხოვნები კომუნისტური ხელისუფლებისადმი:

- დავით გარეჯის მონასტრისა და სხვა ტაძრების დაცვა განადგურებისაგან;
- რწმენის თავისუფლებისა და ტაძრებში მორწმუნეთა დაშვება;
- საწყობებად, თეატრებად და აბანოებად გამოყენებული ტაძრების გამოთავისუფლება;
- საქართველოს ისტორიის სწავლების შემოღება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში;
- ქართული ენისა და ლიტერატურის საათების გაზრდა სკოლებში;
- ქართველ ავტორთა სახელმძღვანელოების შექმნა და გამოყენება /რუსულიდან თარგმნილის ნაცვლად/;
- პოლიტპატიმრების გათავისუფლება;
- სამსახურებიდან სხვაგვარად მოაზროვნეთა დათხოვნის აკრძალვა;
- ქართველ წვევამდელთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა საქართველოში;
- ქართველ პატიმართა მიერ სასჯელის მოხდა საქართველოში;
- ქართული სოფლების ჩაძირვის ფასად დიდი ჰესების აშენების აკრძალვა;
- ტრანსკავკასიის მაგისტრალის მშენებლობის შეწყვეტა;
- ქართული ორიენტაციის მესხების სამშობლოში დაბრუნება და მათი არაკომპაქტურად ჩასახლება;
- ეკომიგრანტების ქვემო ქართლში ჩასახლება და მათთვის სახლების შეძენა...

გრძელვადიანი გეგმები:

- საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მოპოვება;
- საქართველოს ეროვნული კონსტიტუციის შექმნა;
- ქართული ეროვნული არმიის შექმნა.

---

[6] ინფორმაციების დაზუსტებისათვის მადლობას ვუხდი ქ-ნ ციცინო მაღლაფერიძეს - მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის დირექტორს.

ამ მოთხოვნებსა და **გრძელვადიანი სტრატეგიის ცალკეულ მონაკვეთებს** ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დისიდენტურ ლიტერატურასთან ერთად ბეჭდავდნენ თავიანთ არალეგალურ გამოცემებში, საუბრობდნენ ვიწრო წრეებში. ბუნებრივია, რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკებს გამცემთა დახმარებით წვდომა ჰქონდათ მათ გეგმებზე, ამიტომაც საბჭოთა იმპერიის ხელისუფლებამ ისინი მალევე (1977) დააპატიმრა. პარალელურად, **იმპერიის სპეცსამსახურებმა დაიწყეს ზვიადისა და მერაბის „დემონიზება“** (თანამედროვე ტერმინოლოგიით: „შავი პიარი“) „წითელი ინტელიგენციის“ გამოყენებით.

მერაბ კოსტავამ არაერთხელ განაცხადა, რომ ორივეს პატიმრობაში ყოფნა დიდად ავნებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას, ამიტომ შეთანხმდნენ, რომ ზვიად გამსახურდიას, როგორც მოძრაობის ლიდერს, თავი დაეღწია საპატიმროსათვის. აქვე ვიტყვი, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მერაბმა თავისი როლი „ავთანდილობით“ განსაზღვრა იხ. მისი ლექსი „ძმას ქრისტესმიერს (ზვიად გამსახურდიას)“[7].

„მავანი“ წლების მანძილზე ცდილობდა მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას დაპირისპირებას[8]. ეს არ გამოუვიდათ მერაბ კოსტავას სიცოცხლეში. მერაბ კოსტავას შეუდრეკელობამ ბევრი პრობლემა ააცილა როგორც ზვიად გამსახურდიას, ასევე, ზოგადად, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ვერც მერაბ კოსტავას ციმბირში გადასახლებამ და ვერც რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ დაგეგმილმა „შავმა პიარმა“ შედეგი ვერ გამოიღო.

---

[7] „ოდეს ტაძართა შედრკა მწირველი
და მიეფარა ღრუბელს უფალი
შენ აღიმართე ვითა პირველი
დაშრეტილ რწმენის ჭირისუფალი...
ხომ ხედავ როგორ გართულდა ომი,
ვაჰ, თუ ძალები შემომელია,
თუმცა მარადში ვარ თანამდგომი,
ავთანდილობა ერთობ ძნელია“...
https://burusi.wordpress.com/2010/03/29/merab-kostava-11/
(დამოწმება:27.11.2019)

[8] ზოგი იმპერიის მოხელეების დავალებით, ზოგიც - კაენური შურისა თუ ბოღმის გამო.

1974-1988 წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა - ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ - ქართველი ერისათვის სასიცოცხლო თემების წინ წამოწევითა და კარგად გააზრებული სტრატეგიით შეძლეს ახალგაზრდობის გარშემოკრება და საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება. 1988 წლიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ გამორჩეულმა ლიდერებმა ახალ ლიდერებთან (გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი...) ერთად ფართო საზოგადოების თვალშიც რეალური გახადეს **საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის** იდეა.

ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას როლი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე პერიოდში (1989 წლის 9 აპრილი - 1991 წლის ზაფხული).

80-იანი წლებში სერიოზული რყევა განიცადა საბჭოთა იდეოლოგიამ. ამას დაემატა რ. რეიგანის გონივრული საერთაშორისო პოლიტიკა, რამაც ძალიან დაასუსტა საბჭოთა იმპერია და გაჩნდა შესაძლებლობა, საბჭოთა რუსეთის ოკუპაცია-ანექსიისაგან განთავისუფლებულიყო საქართველო.

რუსი ოკუპანტების მხარეს მყოფი აფხაზების (თვითსახელწოდებით: აფსუა) ნაწილმა 1989 წლის 18 მარტს ჩაატარეს „ლიხნის კრება“, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა შეეფერხებინათ[9]. საქართველოს **ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები სეპარატისტ აფხაზებს კი არა, უშუალოდ კრემლს დავუპირისპირდით** და მრავალათასიანი მიტინგებით საქართველოს დამოუკიდებლობა მოვითხოვეთ. რუსული იმპერიული ველიდან საქართველოს

[9] **ისტორიის ირონია:** ლიხნში პირველი დიდი სახალხო შეკრება გაიმართა 1861 წელს, რომელიც შემდეგ **ანტირუსულ აჯანყებაში** გადაიზარდა. 1989 წლის შეკრება საპირისპირო მიზნით ჩატარდა: ლიხნის მეორე შეკრება უკვე **რუსებმა დაგეგმეს საქართველოს წინააღმდეგ:** შემთხვევითი არ არის, რომ 1989 წლის ლიხნში შექმნილ დოკუმენტს ხელს აწერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბორის ადლეიბა.

გამოსასვლელად **ზვიად გამსახურდიამ რამდენიმე საფეხურიანი გეგმა შეიმუშავა:**

- არასაბჭოთა მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვების გზით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოსვლა ხელისუფლებაში (რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ნაკლები მსხვერპლითა და ლეგიტიმური გზით წარმართულიყო);
- საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესში რეფერენდუმი იქნებოდა **ძლიერი არგუმენტი** რუსეთის იმპერიასთან დაპირისპირებული ცივილიზებული მსოფლიოსათვის;
- საგანგებო აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება წარმომადგენლობითი ორგანოს - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს (საქართველოს პარლამენტის) - მიერ; რომ ქართველი ერის, საქართველოს მოსახლეობის ნების დამადასტურებელი სამუდამო დოკუმენტი შექმნილიყო;
- იმპერიულ კრემლთან სახიფათო დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად პირველ ეტაპზე (საქართველოს დეოკუპაციის პროცესში) საქართველოს მიერ „აქტიური ნეიტრალიტეტის“ დეკლარირებას, გარდამავალი პერიოდის გამოცხადებას;
- საქართველოს თანამიმდევრულ დეოკუპაციას და საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიული და ქართულენოვანი სახელმწიფოს ინტეგრირება მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში[10].

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მწვერვალი ნამდვილად არის დრო 1989 წლის 9 აპრილიდან 1991 წლის 26 მაისამდე (დემოკრატიული არჩევნებით 1991 წლის 26 მაისს ზვიად გამსახურდია არჩეულ იქნა პრეზიდენტად). **ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ავტორიტეტით** დროის ამ მცირე მონაკვეთში **საქართველოს მოსახლეობა** თითქმის სრულად გაერთიანდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეის

[10] ამ თვალსაზრისით საინტერესო ზვიად გამსახურდიას ტექსტისათვის იხ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას საახალწლო მიმართვა 1990 წელს https://bit.ly/3ekZvMm; https://www.myvideo.ge/v/3107677 (დამოწმება: 24.03.2019).

გარშემო მიუხედავად მცირე ჯგუფების წინააღმდეგობისა და მათი დემაგოგიისა. ერთ ფაქტს დავიმოწმებ:

1989 წლის 9 აპრილის მძიმე ღამეს რუსეთის იმპერიის დამსჯელი შენაერთების პირისპირ მდგარ ქართველობას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გამოგვიცხადა, რომ „ახლოსაა საშიშროება, ამიტომ რუსთაველის ქუჩიდან გადავიდეთ ქაშვეთის ეკლესიაში სალოცავად“... პატრიარქს დავალებული ჰქონდა, ხალხი გაეფრთხილებინა მოსალოდნელი ბრძოლის წინ; ბუნებრივია, მას არ უნდოდა მსხვერპლი. ხალხი ვალდებული იყო, დაეცვა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის იდეა. 7 წუთის მანძილზე დუმდა ხალხი დიდი საშიშროების წინ: ჩვენ უკან დახევას არ ვაპირებდით[11]. მერაბ კოსტავამ საოცრად ზუსტად შეაფასა რა ისტორიული მომენტი, მომიტინგეებს გვითხრა:

„ძმანო და დანო, საქართველოს ისტორიაში ყოფილა დიდებული წამები და ეს წამი არის ერთ-ერთი უდიდებულესი, როდესაც ამ 70 წლის მანძილზე, ამ ტანჯვასა და ვაებაში, ამ სისხლისღვრაში პირველად, ასე შეკრული, ასე მთლიანი, წარმოდგა ქართველი ერი, ღვთის წინაშე!“[12].

უმძიმეს წუთებში ასეთი საოცარი სიტყვით გამოსვლა მხოლოდ **უდიდეს პატრიოტს შეუძლია.** მერაბ კოსტავას ასეთი შეუპოვრობა, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, მისი უნარი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი კალაპოტიდან არ გაეშვა მეტ-ნაკლებად განსხვავებული ხედვისა თუ ქცევის მქონე ადამიანები, **იყო დიდი ერთიანობის გარანტი.** ეს კარგად იცოდა რუსეთის იმპერიამ, ამიტომაც, სავსებით დამაჯერებელია ვერსია, რომ 1989 წლის 13 ოქტომბრის ტრაგიკული ავარია უბედური შემთხვევა კი არა, ფილიგრანულად ორგანიზებული მკვლელობა იყო. ზვიად გამსახურდიასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა წარმომადგენელთა ზეწოლით კომუნისტური ხელისუფლება დათანხმდა, მერაბ კოსტავა მთაწმინდაზე დასაფლავებულიყო.

---

[11] პატრიარქის გამოსვლისა და დუმილის ამსახველი დოკუმენტური მასალისათვის იხ. https://cutt.ly/hyuu2Ed (დამოწმება: 15.10.2019).

[12] მერაბ კოსტავას გამოსვლა 9 აპრილს: https://cutt.ly/6yuu5DE (დამოწმება: 15.10.2019).

მერაბ კოსტავას ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა შორის მალევე გაღვივდა დაპირისპირება; ხალხმა მხარი დაუჭირა ზვიად გამსახურდიას მიერ შეთავაზებულ სტრატეგიას. აქვე აღვნიშნავ: 1990-91 წლებში მერაბ კოსტავას დიდებული დედის - ოლღა დემურია-კოსტავას - ხაზგასმული ყოფნა ზვიად გამსახურდიას გვერდით, მთელი ერის თვალში ცხადყოფდა ზვიად გამ-სახურდიასა და მერაბ კოსტავას მიზნებისა და სტრატეგიის ერთიანობას[13].

ზვიად გამსახურდიას გარშემო გაერთიანებულმა საქარ-თველოს მოქალაქეებმა 1990-1991 წლებში, **ზვიად გამსახურდიას შორსგათვლილი სტრატეგიის შესამაბისად, საქართველოს ისტორიაში ჩაწერეს ოთხი ბრწყინვალე ფურცელი:**

- 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს მოქალაქეებმა (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად) მრავალპარტიულ არასაბჭოთა და საყოველთაო არჩევნებში მხარი დაუჭირეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე ძლიერ ფრთას - „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“ (ლიდერი ზვიად გამსახურდია) და **მშვიდო-ბიანი გზით** ხელისუფლებაში მოიყვანეს ეროვნულ-განმა-თავისუფლებელი მოძრაობა;

[13] საქართველოს მოქალაქეთა დიდმა უმრავლესობამ არ მიიღო გია ჭანტურიას, ირაკლი წერეთელის, მამუკა გიორგაძის, ირაკლი ბათი-აშვილის და სხვა „კონგრესმენთა“ (ეროვნული კონგრესის წევრთა ის სტრატეგია (იხ. https://lessonsgeo.files.wordpress.com/2015/08/1.jpg) (დამოწმება: 10.10.2019), რომელიც ითვალისწინებდა ჯერ საქართველოს დეკოლონიზაცია-დეოკუპაციას, შემდეგ საქართველოს კონსტიტუციის შექმნას და ეროვნული ხელისუფლების არჩევას.
შდრ.: ზვიად გამსახურდიას (და მერაბ კოსტავას) სტრატეგიის მიხედვით, ეროვნული ძალები ხელისუფლებაში უნდა მოსულიყვნენ მრავალპარტიული არჩევნებით, რომ რეალური ბერკეტებით ებრძოლათ საქართველოს დეოკუპაციისა და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის სრულფასოვანი აღდგენისათვის (გარკვეულ-წილად განსხვავებული მსჯელობისათვის იხ. დავით გამცემლიძე, ეროვნული კონგრესი, თბ., 2019:
https://cutt.ly/Ct0VVBR (დამოწმება: 10.10.2019). ამგვარი პერსპქტივა დღესაც არსებითია, თუკი ხელისუფლება დაკომპლექტდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებებით.

- 1991 წლის 31 მარტის საერთო სახალხო რეფერენდუმზე საქართველოს მოქალაქეებმა (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად) მხარი დაუჭირეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე; რეფერენდუმის კითხვა: **„თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“**[14].
- 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა **საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი**[15];
- 1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სპეციალური დადგენილებით **„საოკუპაციო ჯარების სტატუსი“** მიანიჭა საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ სსრ კავშირის (რუსეთის იმპერიის) სამხედრო შენაერთებს.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“[16], სადაც „საერთაშორისო სამართლის პრიმატის“ შესახებ საგანგებო ჩანაწერია:

---

[14] 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შესახებ https://cutt.ly/dt0V2kd (დამოწმება: 25.11.2019).

[15] ბედნიერი ვარ, რომ ამ აქტს მეც ვაწერ ხელს: 1990 წლის 28 ოქტომბერს მე, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია: „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ წევრი, ამირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად. ვიყავი ადამიანის უფლებათა კომიტეტის პასუხიმგებელი მდივანი; უზენაესი საბჭოს დევნილობის დროს - კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; ბოლოს - კომიტეტის თავმჯდომარე.

[16] 1991 წლის 9 აპრილს სიტყვით გამოსვლისას ზვიად გამსახურდიამ საგანგებოდ აღნიშნა, რომ სიმბოლურია „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ გამოცხადება 9 აპრილს, რამდენადაც საქართველოს დამოუკიდებლობა იყო 1989 9 აპრილის გმირების მიზანი: https://clck.ru/N7zWp (დამოწმება: 5. 12. 2019).

ისტორიული გადასახედიდან, 9 აპრილი მართლაც არის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის თავგანწირული ბრძოლისა და ამ დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. https://cutt.ly/SyuorSv (დამოწმება: 5. 12. 2019).

„საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად. საქართველოს რესპუბლიკა ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისი სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფის ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო აქტები და კონვენციები... საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი მტკიცე გარანტია იქნება“[17].

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მწვერვალზე - 1989 წლის 9 აპრილიდან 1991 წლის შემოდგომამდე პერიოდში - ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ბლოკის უმთავრესი წარმატება იყო **საქართველოს დამოუკიდებლობის დეიურე გამოცხადება საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე.** 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმსა და 9 აპრილის „დამოუკიდებლობის აქტს“ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, აქვს დღესაც და ექნება მომავალშიც, რადგანაც, საქართველოს ტერიტორიის დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გამო მსოფლიოს წინაშე ასეთი ფორმით დადასტურებული ხალხის ნების გარეშე, რუსეთი არასოდეს დათმობდა საქართველოს. 9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და დამოუკიდებლობის აღდგენის სახე-სიმბოლოა! **თავისი მნიშვნელობით 9 აპრილი არის საქართველოს ახალი დიდგორი.**

9 აპრილის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის იმპერიის საოკუპაციო ჯარის გაყვანა შესაძლებელი იყო მოსახლეობის ეროვნული ერთიანობისა და საერთაშორისო მხარდაჭერის შემთხვევაში[18].

---

[17] https://cutt.ly/Xt0V7zT (დამოწმება: 24.03.2019).

[18] ოფიციალურად სწორედ 9 აპრილი უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, რადგანაც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულმა საქართველოს რესპუბლიკამ დე ფაქტო მხოლოდ 3 წელი იარსება (დე

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბევრი მცდელობა ჰქონდა, სსრ კავშირის ხელისუფლებასთანაც და ბ. ელცინთანაც გაგრძელებულიყო მშვიდობიანი თანაარსებობა იხ. ქვემოთ), მაგრამ რუსეთს არ სურდა კავკასიის დათმობა და ჩვენგან ითხოვდა რუსულ იმპერიულ (სამხედრო) ველში საქართველოს დარჩენას. **ეს კი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს.**

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, ზოგადად, ჩვენს ხელისუფლებას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ **დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება იყო დეოკუპაციის დასაწყისი**[19]**.** დავიმოწმებთ ამ თვალსაზრისით საინტერესო ერთ ფრაგმენტს 1991 წლის 9 აპრილს უზენაესი საბჭოს სხდომაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას გამოსვლიდან:

„მართალია, ჩვენ ვაცნობიერებთ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იურიდიულ ფაქტსა და **იმპერიის ტყვეობიდან საქართველოს ფაქტობრივ განთავისუფლებას შორის,** მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სამართლებრივი და საკანონმდებლო საფუძველი უმთავრესია ასეთ შემთხვევაში, რათა მოხდეს მსოფლიოს სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დე იურე ცნობა, მისი შესვლა გაერთიანებაში და სხვა ორგანიზაციებში. ამის შემდეგ უფრო შესაძლებელი გახდება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ცენტრთან მოლაპარაკება **საოკუპაციო ჯარების გაყვანის თობაზე.** საქართველოს რესპუბლიკა ავტონომიის შენარჩუნების მტკიცე კონსტიტუციურ გარანტიას აძლევს აფხაზ ხალხს, ხოლო აჭარის ავტონომიის საკითხი გადაწყდება რეფერენდუმით“[20].

იურე საქართველოს სახელმწიფო არსებობს 20 საუკუნეზე მეტია!). 9 აპრილის ეპოპეის მნიშვნელობის მიუხედავად დღემდე არის მცდელობა, ამ დღის რეალური არსი გადაიფაროს ასევე მნიშვნელოვანი თარიღით - 1918 წელს დამოუკიდებლობის აღდგენისა (რომელი დამოუკიდებლობაც დე ფაქტო დასრულდა 3 წელში რუსული ოკუპაცია-ანექსიის გამო) და პირველი რესპუბლიკის გამოცხადების დღით - 26 მაისით. მიზეზი მარტივია: საბჭოთა ოკუპაციის მიჩქმალვა და ისტორიის გაყალბებით ახალი თაობის დეზორიენტირება. დე იურე საქართველო დამოუკიდებლი სახელმწიფოა მრავალი საუკუნეა.

[19] წინ იყო არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ საკანონმდებლო, ეკონომიკური, მენტალური, ბიუროკრატიული „ჩახსნა“ სსრ კავშირთან, რასაც დიდი დრო ესაჭიროებოდა (ამიტომაც გამოვაცხადეთ „გარდამავალი პერიოდი“).

[20] საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. - 10 აპრილი. - №70 (90), გვ. 2, 3. აჭარის უკანონო ავტონომიისადმი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას

ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას როლი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე პერიოდში (1991 წლის 2 სექტემბერი - 1993 წლის 31 დეკემბერი).

1991 წლის 2 სექტემბრიდან - 1993 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს ჩვენ ვუწოდებთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაღმავლობის პერიოდს. ამ პერიოდში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ლიდერი გია ჭანტურია) და „ეროვნული კონგრესის“ სხვა პარტიები რადიკალურად უპირისპირდებიან პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერ ხელისუფლებას. 1991 წლის შემოდგომაზე ისინი, ასევე შეეცადნენ მერაბ კოსტავას ოჯახის ზოგი წევრისა თუ ახლობლის გამოყენებით, გარდაცვლილი მერაბ კოსტავას დიდი ავტორიტეტი დაეპირისპირებინათ ზვიად გამსახურდიასათვის; არადა, ზვიად გამსახურდია ამ დროს იბრძოდა საქართველოს სრული დეოკუპაციისათვის - რუსულიმპერიული სივრციდან საქართველოს დე ფაქტო გამოსვლისათვის (9 აპრილს საქართველომ მხოლოდ დე იურე დატოვა საბჭოთა კავშირი).

სამწუხაროდ, საქართველოს სასარგებლო არ იყო არც საერთაშორისო პოლიტიკური „დღის წესრიგი“:

ამერიკასა და სსრ კავშირს (რუსეთის იმპერიას) შორის ცივი ომი გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დასრულდა საბჭოთა იმპერიის უკან დახევით. ამერიკას ხელს არ აძლევდა სსრ კავშირის მთლიანი დემონტაჟი ბირთვული იარაღის შესაძლო უკონტროლობის გამო: ამერიკული გეგმა ითვალისწინებდა რუსეთის იმპერიის **თანდათანობით დემონტაჟს:** პირველ ეტაპზე - დასავლეთის მიერ არაღიარებული ბალტიის ქვეყნების გასვლას სსრ კავშირიდან. ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობის შესახებ ამერიკამ რუსეთი დაითანხმა 1989 წლის 2 დეკემბერს მალტის შეხვედრის დროს.

1990 წლის 28 ოქტომბრიდან საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა შეერთებული შტატების მხარდაჭერის მოპოვებას, მაგრამ, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებს, ასევე, ზოგადად, დასავლეთს ბორკავდა მალტის შეთანხმება. **დამოუკიდებლობის**

დამოკიდებულების შესახებ; იხ. ასევე: ა. ფუტკარაძე, 2001; ტ. ფუტკარაძე, 1999; ტ. ფუტკარაძე, 2019ა.

მოსურნე საქართველოს ბედი დამოკიდებული იყო მოსახლეობის კონსოლიდაციის ხარისხზე (1991 წლის შემოდგომაზე ოპოზიციურობის აქტიურობამ, ასევე, ზოგმა საკამათო გადაწყვეტილებამ, სწორედ ამ მიმართულებით შეუქმნა პრობლემა ზვიად გამსახურდიას!).

მალტის ამერიკა-სსრ კავშირის შეთანხმებით (02.12.1989) გამყარებულმა რუსეთის იმპერიამ გააძლიერა საინფორმაციო ზეწოლა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაზე. საკადრო პოლიტიკასა თუ მოქმედების ტაქტიკაში მთავრობის ცალკეული (ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ტერმინოლოგიური) შეცდომების გამო, რაც მთავარია, საქართველოს გარედან ორგანიზებული ძლიერი საინფორმაციო ზეწოლისა („შავი პიარის“) და რუსეთის პოლიტიკურ ელიტასთან (მ. გორბაჩოვი, ე. შევარდნაძე, ბ. ელცინი...) ოპოზიციის თანამშრომლობის პირობებში [21], საქართველოს კანონიერმა ხელისუფლებამ 1991 წლის ბოლოს ვეღარ მოახერხა საქართველოს მოქალაქეთა კონსოლიდაცია, რომ მასშტუბარი წინააღმდეგობა გაეწია შეაიარღებული ოპოზიციისათვის, რომელსაც მხარს უჭერდა რუსეთის იმპერია. ვერც რუსეთმა შეძლო საქართველოში, სომხეთისა და აზერბაიჯანის მსგავსად, **ვადამდელი არჩევნებით მოეყვანა პრორუსული ხელისუფლება**[22], ამიტომ 1991 წლის 22 დეკემბერს საქართვე-

[21] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის პროცესში რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო ელიტასთან კოორდინაციაზე ბევრი პუტჩისტი თავადვე წერს საკუთარ წერილებსა თუ მემუარებში; მაგ., იხ. ირაკლი ბათიაშვილის ვრცელი წერილი: „მანკიერი წრე“ (გაზეთი: „ივერია ექსპრესი“ #5. 08.02.1994 წ.); გენერალ-მაიორ თამაზ დუმბაძის ავტობიოგრაფიული წიგნი: „თქვენ გასაგონად ბიჭებო“ (თბ., 1999); გენერალ ლევან შარაშენიძის ავტობიოგრაფიული წიგნი (თბ., 2006); ჯაბა იოსელიანის ავტობიოგრაფიული წიგნი: „სამი განზომილება“ (თბ., 2013 წ.) და სხვ.

[22] „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო“ - საქართველოს პარლამენტი - არჩეულ იქნა 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული და არასაბჭოთა არჩევნების გზით. ზვიად გამსახურდია პრეზიდენტად არჩეულ იქნა 1991 წლის 26 მაისს ჩატარებული კონკურენტუნარიანი და დემოკრატიული არჩევნებით. ამის მიუხედავად 1991 წლის სექტემბრიდან რუსეთისაგან მართული ოპოზიცია აყენებდა ახალარჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის ახალი არჩევნების დანიშვნას.

ლოში დაიწყო კრემლისაგან ორგანიზებული სამხედრო გადატრიალება. 1992-93 წლებში ყოფილ კომუნისტ ჩინოვნიკთა ნაწილის, „მრგვალი მაგიდიდან“ გარიცხული პირებისა და „საქართველოს ეროვნული კონგრესის“ ზოგი სუბიექტის გამოყენებით ბეპაევის, ბალტინისა და რუსეთის სხვა სამხედრო შენაერთებმა დაამხო საქართველოს კანონიერი ხელისუფლება.

პუტჩის შემდეგ რუსეთმა საქართველოს ხელისუფლებაში მოიყვანა ხუნტა, მოკლა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, განსაკუთრებული სისასტიკით ააოხრა და მიიტაცა საქართველოს ორი კუთხე (აფხაზეთი და სამეგრელო)[23] . ხუნტამ თბილისში დახვრიტა ასეულათასიანი არაერთი მიტინგი და **საქართველო დააბრუნა რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში - „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“.**

1992-93 წლებში, საქართველოს მოსახლეობის დეზორიენტირების მიზნით, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ხელისუფლებაში მოყვანილმა სუბიექტებმა **ზვიად გამსახურდიას, ზოგადად, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ღიად დაუპირისპირეს მერაბ კოსტავას სახელიც კი;** კერძოდ, სამხედრო გადატრიალების სულისჩამდგმელი ედუარდ შევარდნაძე გახდა თუ არა „სახელმწიფოს მეთაური“, სამუშაო კაბინეტში **ლენინის სურათის ნაცვლად დაიკიდა მერაბ კოსტავას სურათი** (ასევე, სხვა პუტჩისტებმაც)[24]. გარდა ამისა, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ხელისუფლებაში მოყვანილმა ხუნტამ (თ. სიგუა, თ. კიტოვანი, ე. შევარდნაძე, ჯ. იოსელიანი) მერაბ კოსტავას ყოფილი ცოლი - რუსუდან ბერიძე - ჯერ ე.წ. სახელმწიფო საბჭოში შეიყვანა, შემდეგ დანიშნა უკანონო წარმონაქმნის - ე.წ. „იმედის პარლამენტის“ (1992-1995) - სპიკერის მოადგილედ, ბოლოს კი უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ.

შედარებით ვრცლად **მალტის გარიგების,** როგორც 1992-93 წლების სახელმწიფო გადატრიალების საფუძვლის, შესახებ:

ცნობილია, რომ ცივი ომი დასრულდა 1989 წლის 2-3 დეკემბერს კუნძულ მალტაზე ჯორჯ ბუშისა და მიხეილ გორბა-

[23] სადაც ორი წლის მანძილზე პოზიციებს ინარჩუნებდნენ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები და მხარდამჭერები.

[24] როგორც თვითმხილველები ყვებიან, პუტჩისტებმა კაბინეტებიდან მერაბ კოსტავას სურათები ჩამოხსნეს 1992 წლის ზაფხულშივე.

ჩოვის შეხვედრაზე. შეხვედრის მთავარი თემები იყო: ცივი ომის დასრულება, „რკინის ფარდის“ დაშვება და ევროპის ახალ გეოპოლიტიკურ რუკაზე შეთანხმება. „ბერლინის კედლის“ დაშლიდან რამდენიმე დღეში დანიშნულ ამ შეხვედრაზე გადაწყდა გერმანიის გაერთიანება, რუსული ჯარების გასვლა აღმოსავლეთ ევროპიდან და სსრ კავშირის ნაწილობრივი ტრანსფორმაცია - სსრ კავშირის შემადგენლობიდან მხოლოდ ლიტვის (/ლიეტუის), ლატვიისა და ესტონეთის გასვლა.

მალტაში მხოლოდ ამ სამი „საბჭოთა რესპუბლიკის“ სსრ კავშირიდან გასვლის საკითხი გადაწყდა იმიტომ, რომ, **საქართველოსგან განსხვავებით, ცივილიზებულ დასავლეთს 1940 წელს ოკუპირებული ეს სამი რესპუბლიკა არასოდეს უცვნია სსრ კავშირის შემადგენლობაში**; გარდა ამისა, რუსული იმპერიული ველიდან სხვა რესპუბლიკების გასვლას შეეძლო გამოეწვია ბირთვული იარაღის უკონტროლო გავრცელება; შესაბამისად, **ჯორჯ ბუში არაორაზროვნად ითხოვდა,** რომ უკრაინას, საქართველოს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს ხელი მოეწერათ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე. ბუნებრივია, მ. გორბაჩოვმაც ოფიციალურად შესთავაზა 12 მოკავშირე რესპუბლიკას სსრ კავშირის მსგავს ახალ გაერთიანებაში შესვლა. მოკავშირე რესპუბლიკის ხელისუფალთაგან ღიად მხოლოდ ზვიად გამსახურდია იყო წინააღმდეგი, დაბრუნებულიყო რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში[25]. ამ ფაქტს ზვიად გამსახურდია ასე იხსენებს (ინტერვიუ გამოქვეყნებულია გაზეთ „იბერია-სპექტრში“ 1991 წლის ნოემბერში):

„რამდენიმე ხნის წინ მიხეილ გორბაჩოვმა, ალბათ, როგორც სხვებს, მე გამომიგზავნა ტელეგრამა, რომელშიც მთხოვა ჩავსულიყავი ნოვოოგარიოვოში[26] და შევერთებოდი მათ გადაწყვეტილებას. მე მას წერი-

[25] 1991 წლის გაზაფხულზე ბუშმა საჯაროდ ურჩია უკრაინას, დარჩენილიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამავე გამოსვლაში ჯ. ბუშმა ზ. გამსახურდიას პოლიტიკური კურსი შეაფასა, როგორც „სვლა დინების საწინააღმდეგოდ“.

[26] 1991 წლის 20 აგვისტოს გორბაჩოვს რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის ძალაუფალთან ერთად ახალ საკავშირო ხელშეკრულებაზე ხელი უნდა მოეწერა, მაგრამ 19 აგვისტოს, პუტჩის მცდელობამ გორბაჩოვს საშუალება არ მისცა, მას შეექმნა სსრ კავშირის სამართალმემკვიდრე ახალი გაერთიანება. ეს ფუნქცია რამდენიმე თვის შედეგ შეასრულა ბორის ელცინმა ბელორუსიის, უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის

ლით ვუპასუხე, რომ თუ ჩვენ მართლა სუვერენული სახელმწიფოები ვართ, ოფიციალურად გვცანით ასეთებად და მხოლოდ ამის შემდეგ ვთვლი-მეთქი შესაძლებლად ვილაპარაკოთ ნებისმიერ ხელშეკრულებაზე – პოლიტიკურზე, ეკონომიკურზე ან სხვა სახის კავშირურთიერთობაზე, ვინაიდან თუ სახელმწიფო სახელმწიფოს არ ცნობს, მათ შორის არავითარ კავშირზე და ალიანსზე არ შეიძლება ლაპარაკი. ცენტრი ჩვენ არ გვცნობს, აქედან გამომდინარე, იგი ჩვენ სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირში კი არ გვეპატიჟება, არამედ კვლავ იმპერიაში, სადაც სიტყვა „სუვერენული“ ისეთივე სიყალბეა, როგორი ყალბიც იყო უწინ[27].

აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა ჯერ კიდევ 1990 წლის ნოემბერში (არჩევისთანავე); კერძოდ, 1990 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე ჩვენ მივიღეთ შემდეგი შინაარსის განცხადება: სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს (სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის თაობაზე): საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო უარს ამბობს „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციის“ დეტალურ განხილვაზე, რამდენადაც მისი ნებისმიერი ფორმა მიუღებელია საქართველოს რეპუბლიკისათვის, რომელიც ჯერ მხოლოდ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე გარდამავალი პერიოდის დასაწყისში იმყოფება. ეს განცხადება მოწონებული და მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია (https://bit.ly/34Ekrtu).

კავშირის შექმნით (08.12.1991 წ.); პროცესი გაგრძელდა ალმა-ათაში და დასრულდა ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ, როდესაც „ურჩ რესპუბლიკას“ - საქართველოს - შევარდნაძის უკანონო რეჟიმის სახელით მოაწერინეს ხელი დსთ-ში შესვლაზე.

[27] საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები; ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები; ტომი II; ზვიად გამსახურდია; საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1991); თბილისი 2013 (შემდგენელი მზია ხოსიტაშვილი), გვ. 391. 1991-93 წლების პუტჩის შესახებ მასალებისა და ამ მასალების ანალიზისათვის იხ. ასევე: ბ. აფრასიძე, 1994; მრგვალი მაგიდის ისტორია, 1996; ტ. ფუტკარაძე, 2000; ა. ფუტკარაძე, 2001; გ. გაჩეჩილაძე 2004; ბ. დადეშქელიანი-აფრასიძე, 2006; დ. შველიძე, 2008; ზვიად გამსახურდია, 2009; კ. ზ. გამსახურდია, 2013; რ. ჩხეიძე, 2015; დ. კიზირია, 2018; ა. რცხილაძე, 2018; ლ. ცომაია, 2018; მ. ზაქარაია 2019; ზვიად გამსახურდია, 2019.

ბალტიის ქვეყნებისა და საქართველოსადმი განსხვავებულ მიდგომას „დემოკრატი“ მ. გორბაჩოვი, რომელსაც იმედი ჰქონდა, შეინარჩუნებდა სსრ კავშირის პრეზიდენტობას, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე უარს ამბობდა ღიმილის-მომგვრელი საბაბით: **„საქართველოში ჯერ დემოკრატია არ გვაქვსო“** - მსგავსი ფრაზა უთხრა მიხეილ გორბაჩოვმა 1991 წლის სექტემბრის დასაწყისში საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს აკაკი ასათიანს საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დროს, რომელსაც პირადად მეც ვესწრებოდი[28].

შენიშვნა: რუსეთის მხრიდან დაახლოებით იგივე ცრუ ბრალდება იყო ოფიციალურად წამოყენენებული ბ. ელცინის მიერ 1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ათაში ზვიად გამსახურდიას წარმომადგენლისადმი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ნემო ბურჭულაძისადმი; კულისებში კი ელცინმა ნ. ბურჭულაძეს მოსთხოვა, 22 დეკემბრამდე დსთ-ში გაწევრიანება; სხვა შემთხვევაში „პრობლემების შექმნით“ დაიმუქრა[29].

მოგვიანებით ჯეიმს ბეიკერიც განაცხადებს, რომ შევარდნაძე არის მისი მეგობარი, ხოლო გამსახურდიას დროს „საქართველოში იყო ავტორიტარული რეჟიმი“[30]... გასაკვირი ის არის,

---

[28] ყრილობა ჩატარდა 1991 წლის სექტემბრის დასაწყისში. მე ვესწრებოდი, როგორც საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი, აკაკი ასათიანთან და კიდევ რამდენიმე დეპუტატთან ერთად. მ. გორბაჩოვმა საქართველოს პრეზიდენტის არადემოკრატიულობის მაჩვენებლად დაასახელა თბილისში 2 სექტემბერს მიტინგის დარბევა. სინამდვილეში ეს პროვოკაცია ორგანიზებული იყო იმ პირთა მიერ, ვინც შემდეგ მონაწილეობა მიიღო რუსეთის ორგანიზებით განხორციელებულ პუტჩში - პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში.

[29] იხ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ნემო ბურჭულაძის გამოსვლის ტექსტი ქართული უნივერსიტეტის 2019 წლის 28 მარტის სამეცნიერო კონფერენციაზე: ზვიად გამსახურდია - 80“.

[30] ქართულენოვან სივრცეში ბოლო დრომდე აქტუალურია ჯ. ბეიკერის გამონათქვამები; იხ. მაგ.: „ჯეიმს ბეიკერი თბილისში (1994 წ.)“ https://for.ge/view/52780/jeims-beikeri-TbilisSi.html (დამოწმება: 11.11.2019); „ჯეიმს ბეიკერი: ისტორია შევარდნაძეს გამორჩეულ ადგილს მიაკუთვნებს“ (2014 წ.) https://www.radiotavisupleba.ge/a/james-baker-

რომ დღევანდელი ზოგი „ნეიტრალური“ ექსპერტიც, მოქცეულია რა ცალმხრივი ინფორმაციის გავლენის ქვეშ, იგივეს იმეორებს (იხ. მაგ., ს. ჯონსი, 2013)[31] . ნიშანდობლივია: ზოგი უცხოელი ექსპერტი „ვერ ხედავს“ 1992-95 წლებში არსებული უკანონო რეჟიმის (ხუნტის) მიერ ჩადენილ მკვლელობებს, მიტინგების დახვრეტებს, ქვეყნის ძარცვით ჩინოვნიკების მილიონერებად გადაქცევას და საქართველოში ჯერ კიდევ 1976 წელს „ჰელსინკის ჯგუფის“ დამაარსებელს, საქართველოში ადამიანთა უფლებების, უმცირესობებისა [32] თუ დეპორტირებული ჯგუფების (მაგ., ახალციხის მხარეში მცხოვრები მუსლიმანების) უფლებების პირველ დამცველს, შემდეგ კი დემოკრატიული წესით არჩეულ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, რომელიც მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში იყო პრეზიდენტი, დიქტატორს, „ტოტალიტარიზმისა“ თუ „ავტოკრატიის“ შემქნელს უწოდებენ. რუსეთისაგან ორგანიზებულ პუტჩს კი, **რუსული იდეოლოგემების** შესაბამისად, ე.წ. სამოქალაქო ომად“ ნათლავენ. არსებითია აღვნიშნოთ ისიც, რომ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო; შესაბამისად, ჯარსა და პოლიციას კრემლი მართავდა.

---

interview/25455481.html (დამოწმება: 15.11.2019). აღმოსავლეთ ევროპიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარის გაყვნის საქმეში მართლაც მნიშვნელოვანია მისი როლი, მაგრამ ასევე, შევარდნაძის „შემოქმედებაა“ საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობა, მრავალწიანი სისხლიანი, რეპრესიული რეჟიმის დამყარება და 1992-93 წლებიდან საქართველოს დაბრუნება რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში.

[31]ს. ჯონსი ზვიად გამსახურდიას პიროვნული თვისებებისა თუ 1990-91 (და შემდგომ) წლებში მომხდარი სისხლიანი მოვლენების შესახებ წერს სახელმწიფო დამნაშავეების - ქართველი პუტჩისტების - მონაყოლის მიხედვით; შესაბამისად, მისი დასკვნები, რბილად რომ ვთქვათ, დაუბალანსებელია. აქვე აღვნიშავ, რომ პუტჩისტებისა თუ მათი მემკვიდრეებისაგან დღესაც არის სერიოზული მცდელობა, ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის გაყალბებით, მისთვის სახელისა და ღირსების შებღალვით, გაამართლონ გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩადენილი დანაშაული - რუსი სამხედოების მხარდაჭერიტ განხორციელებული სამხედრო გადატრიალებაში. სამწუხაროდ, არაიშვიათად, საამისოდ იყენებენ უცხოელ სპეციალისტებსაც.

[32] ზვიად გამსახურდია ემოციურად აკრიტიკებდა ქართველებისა თუ უმცირესობების იმ ცალკეულ ჯგუფებს, რომლებიც კრემლთან თანამშრომლობდნენ საქართველოს წინააღმდეგ.

„ექსპერტისაგან“ განსხვავებით, ჯ. ბუშისა თუ ჯ. ბეიკერის ზვიად გამსახურდიასადმი დამოკიდებულების ახსნა შესაძლებელია: ისინი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიზანმიმართულად „აკრიტიკებდნენ“ იმიტომ, რომ პატარა საქართველოს პრეზიდენტი შეეწინააღმდეგა დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების მიერ მალტის სამიტზე შედგენილ გლობალურ „დღის წესრიგს“.

საქართველოში „დიქტატურის“ არსებობასთან დაკავშირებით საინტერესოა ზვიად გამსახურდიას 1991 წლის 27 ნოემბრის ინტერვიუს ერთი ფრაგმენტი[33]:

ჟურნალისტი: ჩვენი ოპოზიცია ლაპარაკობს, საქართველოს დასავლეთი არ ცნობს იმის გამოო, რომ ჩვენში...

პრეზიდენტი: დიქტატურააო, არა?

ჟურნალისტი: დიახ.

პრეზიდენტი: დასავლეთი არ ცნობს უკრაინას, მოლდოვას, სომხეთს, მაშ, იქაც დიქტატურა ყოფილა. არა, ეს არ არის სიმართლე. დასავლეთი არ ცნობს ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობას იმიტომ, რომ ეს არ უნდა მოსკოვს, კრემლს.

ჟურნალისტი: მაგრამ დასავლეთმა უკვე დაიწყო ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ცნობა. რატომ?

პრეზიდენტი: ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა საკითხებში მათ მოილაპარაკეს და შეთანხმებას მიაღწიეს. დანარჩენი რესპუბლიკების შესახებ კი მათ შორის სხვანაირი მოლაპარაკებაა. ესე იგი საქმე გვაქვს მოლაპარაკებასთან დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ასე რომ, ჩვენს რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობის მიზეზით ვითომდა ჩვენი არცნობა აბსურდული და პოლიტიკურად უმეცრულია[34].

---

[33] ბუნებრივია, საბჭოთა ჯარის თბილისში არსებობის პირობებში ზვიად გამსახურდიას „დიქტატურა“ ლოგიკურადაც ვერ იარსებებდა; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე უარის თქმის რეალური საფუძველი იყო კრემლის იმპერიული ამბიციებისათვის კავკასიის რეგიონის მნიშვნელობა; ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის მალტაში მიღწეული შეთანხმებით ეს რეგიონი დარჩა რუსეთს. 1990-91 წლებში სსრ კავშირის გარეთ აღმოჩნდებოდნენ მხოლოდ ის რესპუბლიკები, რომლებიც არასოდეს უცვნია შეერთებულ შტატებს სსრ კავშირის შემადგენლობაში.

[34] საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, 2013, გვ. 292.

საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ მე 1991 წლის 28 სექტემბერს გამოვაქვეყნე ვრცელი წერილი: **„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, ანუ მიმდინარე პროცესების შესახებ“,** სადაც ვწერდი:

„საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა უკანასკნელ ყრილობაზე არაერთხელ აღინიშნა, რომ გადემოკრატებული რუსეთი ხელს არ შეუშლის დამოუკიდებლობის მოსურნე რესპუბლიკათა სწრაფვას, მაგრამ **კონკრეტულად განხილულ იქნა მხოლოდ ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი...** ნიშანდობლივია ერთი გარემოებაც: ბოლო წლის განმავლობაში მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები განუწყვეტლივ ლაპარაკობენ ბალტიის ქვეყნების დამოუ-კიდებლობაზე; დასავლეთის მეთაურებმა არაერთგზის შეახსენეს სსრ კავშირის ხელისუფლებას ბალტიისპირეთის საკითხი, მაგრამ, მიუხედავად ჩვენში მიმდინარე დემოკრატიული პროცესებისა, არჩევნებისა, ჩვენ ყველა დუმილით გვივლიდა გვერდს. ნათელია, რომ როგორც მსოფლიო, ასევე, სსრკ საზოგადოებრივი აზრის შემუშავება, **მალტის გეგმისამებრ,** ხდება მხოლოდ ბალტიის ქვეყნებთან დაკავშირებით“.

1991 წელს გამოქვეყნებულ ამავე წერილში მალტის შეთან-ხმების შესახებ, ასევე, ვწერდი:

„ბუშ-ბეიკერისა და გორბაჩოვ-შევარდნაძის მალტის მოლაპარაკების ერთი პუნქტი რომ სსრკ-ს შემდგომ ბედს ეხებოდა, უდავოა. საკამათო არც ის უნდა იყოს, რომ ამ გარიგების მიხედვით კომუნისტურმა იმპერიამ თავისუფალ სამყაროს დაუთმო ბალტიისპირეთი და დათმო კომუნისტური იდეალები. რუსეთის იმპერია ასევე იოლად შეელევა მოლდოვეთსაც, მაგრამ საქართველოს დაკარგვას იგი ვერ შეეგუება... **მალტის გარიგების მიხედვით,** რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიაში კავკასიაც უნდა შესულიყო; საქართველოში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ კი დაიწყო მალტაში „ჩაწყობილი კარტების“ „არევა“...[35]

---

[35] „რაცა ღმერთსა არა სწადდეს...“ ანუ მიმდინარე პროცესების შესა-ხებ“ (საქართველოს რესპუბლიკა“, 28 სექტემბერი, 1991 წ.). იმხანად ცოტა თუ წერდა მალტის სამიტის დეტალების შესახებ; მით უმეტეს, 1990-91 წლებში ჩვენ არ გვქონდა სრული ინფორმაცია მალტის

მართლაც, ჩვენი ხელისუფლება წავიდა „დინების“ საწინააღმდეგოდ, რის გამოც უსამართლოდ დაისაჯა კიდეც. აქვე დავსვამ კითხვას:

ჰქონდა თუ არა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მანევრირების საშუალება? კერძოდ, შეეძლო თუ არა, კრემლის მიერ შექმნილი რესპუბლიკების ახალ კავშირში შესვლით უარი ეთქვა საქართველოს რეალურ დამოუკიდებლობაზე და დაბრუნებულიყო კრემლის გეოპოლიტიკურ ველში?[36]

ჩემი აზრით, არ შეეძლო, რამდენადაც, ასეთ შემთხვევაში ზვიად გამსახურდია წავიდოდა ხალხის განწყობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დინამიკის წინააღმდეგ; რაც მთავარია: 12 რესპუბლიკის ახალ კავშირსა თუ უფრო გვიანდელ დსთ-ში გაწევრიანებით **საქართველოს ხელისუფლება უარყოფდა** 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებს და დაუპირისპირდებოდა მაშინდელი აქტიური საზოგადოების უმთავრეს მიზანს - **საქართველოს გამოსვლას რუსულიმპერიული ველიდან,** ზოგადად, ქართულ მებრძოლ ხასიათს, რომელიც 200-წლოვანი რუსული ოკუპაციის შემდეგ ახალი აღორძინებული იყო 9 აპრილის ეპოპეით.

ზვიად გამსახურდია, რომელიც წლების მანძილზე იბრძოდა, რომ საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებამდე მიეყვანა, ქვეყანას ისევ რუსულ იმპერიულ გეოპოლიტიკურ ველში თუ მიაბრუნებდა, მრავალი ათეული წლით ჩაკლავდა ქართველი ერის სწრაფვას თავისუფლებისაკან. ვერც მიაბრუნებდა: მცდელობის შემთხვევაში კი პრეზიდენტ ზვიად

შეთანხმების შესახებ. ახლა კი ბევრი ინფორმაცია არსებობს; იხ. მაგ.: Joshua R. Itzkowitz Shifrinson, The Malta Summit and US-Soviet Relations: Testing the Waters Amidst Stormy Seas https://cutt.ly/Ayeb7Vz; 1989 Malta Summit: Watching the World Wake Up from History https://cutt.ly/CyenquT (დამოწმება: 1.12.2019).

[36] შდრ.: 1992-93 წლებში რუსეთის მიერ ორგანიზებული პუტჩის შემდეგ რუსეთის და დასავლეთის ნებით საქართველოში ძალაუფლება აიღო ე. შევარდნაძის რეჟიმმა, რომელმაც ჯერ საქართველო ჩაითრია აფხაზეთის კონფლიქტში, რითაც პუტჩის შემდეგ საბოლოოდ დათრგუნა საქართველოს მოსახლეობა და შემდეგ გამოაცხადა საქართველოს გაწევრიანება დსთ-ში.

გამსახურდიას ხელისუფლებას მართლა დაამხობდა ქართველი ხალხი, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების მოღალატეს[37].

აღსანიშნავია ერთი მთავარი გარემოებაც:

1991 წლის ზაფხულში საქართველოს ხელისუფლებას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ცივილიზებული დასავლეთი მხარს დაუჭერდა ქართველი ხალხის ნებას, რეალურად აღედგინა საქართველოს დამოუკიდებლობა.

1991 წელს ზვიად გამსახურდია შეეცადა, მოლაპარაკება ეწარმოებინა ბ. ელცინთანაც (1991 წლის 23 მარტს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ელცინი საქართველოშიც კი ჩამოიყვანა, სადაც ბ. ელცინმა აღიარა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმების კანონიერება), დასავლეთის ლიდერებთანაც, მაგრამ ამაოდ. **საბოლოო ჯამში, საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის პერსპექტივის შესანარჩუნებლად პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხოლოდ რადიკალური ქმედების გზა დარჩა:** რუსეთის ჯარს მიანიჭა საოკუპაციო ჯარის სტატუსი[38] და, მხოლოდ 1992 წლის დასაწყისში, პუტჩის შემდეგ, უსაყვედურა ცივილიზებულ დასავლეთს რუსეთის იმპერიისადმი მხარდაჭერის გამო[39].

---

[37] ე. შევარდნაძის ხუნტამაც კი, რომელმაც საქართველოს ბევრი უბედურება მოუტანა (სამეგრელოსა და აფხაზეთის აწიოკება, მრავალათასიანი მიტინგების დარბევა; აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში ქართველთა გენოციდი, ამ ტერიტორიების დათმობა რუსეთისათვის; მთლიანი მოსახლეობის დამშევა და გაუბედურება...), **ქართველთა დიდი ნაწილი მაინც ვერ შეაგუა დსთ-ში შეყვანას.**

[38] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 15 სექტემბერს მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის სამხედრო შენაერთებისათვის „საოკუპაციო ჯარის სტატუსის მინიჭების შესახებ“.

[39] იხ. პრეზიდენტ ზიად გამსახურდიას წერილი: „ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ბატონ ჯეიმს ბეიკერს“: „როგორც ცნობილი გახდა, თქვენ აპირებთ საქართველოში ჩამობრძანებას ქართველი ხალხის სისხლიან ჯალათთან, ედუარდ შევარდნაძესთან ერთად. ედუარდ შევარდნაძე იყო იმ სამხედრო გადატრიალებისა და პუტჩის ორგანიზატორი, რომელმაც სისხლში ჩაახშო ქართველი ხალხის დემოკრატიული მონაპოვარი. ეს ავლენს თქვენს პირდაპირ ალიანსს

სსრ კავშირი ისე დაიშალა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არ აღიარა. სსრ კავშირის ოფიციალურ დაშლამდე, 1991 წლის დეკემბრამდე, საქართველოს დამოუკიდებლობა არ უცვნია არც ამერიკის შეერთებულ შტატებს. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ დღემდე არ არსებობს ოფიციალური დოკუმენტი რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ[40]. დღეს

დანაშაულებრივ ხუნტასთან, რომელიც ყოველდღიურად ღვრის უდანაშაულო ადამიანების სისხლს, ხვრიტავს მშვიდობიან მიტინგებს და დემონსტრანტებს, აპატიმრებს ასობით ადამიანს, უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს, თრგუნავს პიროვნების თავისუფლებას. იმუქრება, რომ ადგილზე დახვრეტს ყველას, ვინც კანონიერი ხელისუფლების დასაცავ მიტინგში გაბედავს მონაწილეობის მიღებას. ყოველივე ეს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის დისკრედიტაციას, რომელიც თავის თავს დემოკრატიულ ქვეყნად მიიჩნევს...“ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, 8 თებერვალი, 1992 წ. (სრული ტექსტისათვის იხ. გაზ. „ქართული აზრი“ №6, 1992, 26 თებერვალი.- №6. – გვ.2. https://bit.ly/3a7sMqn (დამოწმება: 20.11.2019).

[40] ნიშანდობლივია ისიც, რომ პრეზიდენტ ელცინის ხელისუფლებას და არც შემდგომ ხელისუფლებებს ოფიციალურად არ უცვნია საქართველოს დამოუკიდებლობა. შევარდნაძის უკანონო რეჟიმთან დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობა დღეს გაწყვეტილია. შდრ. სხვა ქვეყნების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა 1991-92 წლებში: 27 აგვისტო - რუმინეთი; 27 აგვისტო - მოლდოვა; 30 აგვისტო - აზერბაიჯანი; 13 სექტემბერი - სომხეთი; 16 დეკემბერი - თურქეთი; 20 დეკემბერი - ლიტვა; 20 დეკემბერი - მონღოლეთი; **25 დეკემბერი - აშშ;** 25 დეკემბერი - ირანი; 25 დეკემბერი - კანადა; 26 დეკემბერი - ბრაზილია; 26 დეკემბერი - ინდოეთი; 26 დეკემბერი - კუბა; 26 დეკემბერი - ტაილანდი; 27 დეკემბერი - ალჟირი; 27 დეკემბერი - ბელორუსი; 27 დეკემბერი - ეგვიპტე; 27 დეკემბერი - ვიეტნამი; 27 დეკემბერი - ჩინეთი; 27 დეკემბერი - სლოვენია; 28 დეკემბერი - იორდანია; 28 დეკემბერი - ხორვატია; 30 დეკემბერი - ლიბანი; 31 დეკემბერი - პაკისტანი; **1992:** 2 იანვარი - ეთიოპია; 2 იანვარი - ერაყი; 2 იანვარი - ლაოსი; 23 იანვარი - ბულგარეთი; 24 იანვარი - სლოვაკეთი; 24 იანვარი - ჩეხეთი; 4 მარტი - პერუ; 6 მარტი - იუგოსლავია; 9 მარტი - არგენტინა; 17 მარტი - ზიმბაბვე; 19 მარტი - ნორვეგია; 23 მარტი - ესპანეთი; 23 მარტი - ისლანდია; 23 მარტი - იტალია; 23 მარტი - ირლანდია; 23 მარტი - ლუქსემბურგი; 23 მარტი - დიდი ბრიტანეთი; 23 მარტი - გერმანია; 23 მარტი - საბერძნეთი; 23 მარტი - საფრანგეთი; 23 მარტი - ბელგია; 23 მარტი - პორტუგალია; 23 მარტი - ნიდერლანდები; 24 მარტი - პოლონეთი; 25 მარტი - ავსტრია; 26 მარტი - ისრაელი; 26 მარტი - მექსიკა; 27 მარტი - ფინეთი; 28 მარტი -

რუსეთის იმპერიას მხოლოდ ერთი ოფიციალაური სტატუსი აქვს: **ოკუპანტი,** რომელიც მას მიანიჭა ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ 1991 წლის 15 სექტემბერს (ეს სტატუსი მოუხსნა შევარდნაძის უკანონო რეჟიმმა, მაგრამ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აღუდგინა სააკაშვილის ხელისუფლებამ)[41].

ბუნებრივია, იმპერიულ რუსეთს (/საბჭოთა კავშირს) არ სურდა კავკასიის, როგორც გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანი სივრცის დათმობა, ამიტომ, საქართველოს ხელისუფლების კონსტრუქციული პოლიტიკის მიუხედავად (იხ. ბ. ელცინისა და ზ. გამსახურდიას 1991 წლის შეხვედრა ყაზბეგში), უარი თქვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე და 1992-93 წლებში დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობის მოსურნე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება... [42] კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ამ სამხედრო აგრესიისაკენ რუსეთის სვლას ხელი შეუწყო 1989 წლის 2-3 დეკემბრის **მალტის გარიგებამ.**

რუსეთის სამხედრო შენაერთების აქტიური მონაწილეობით 1992 წლის დასაწყისში საქართველოდან განდევნილი კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები: პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მთავრობის წევრები და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები შევიკრიბეთ ქალაქ გროზნოში, რომელსაც ჯერ კიდევ აკონტროლებდა პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი; ჩვენ დევნილობაში ჩავატარეთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორი სხდომა. უზენაესი საბჭო შეიკრიბა ერთი წლის შემდეგაც ქალაქ ზუგდიდში, ამ დროს გროზნოდან საქართველოში დაბრუნდა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაც, რომლის მიზანი იყო შეეჩერებინა პრორუსი აფხაზებისა და უკანონო ხუნტის მიერ რუსეთის გეგმის შესაბამისად აფხაზეთში პროვოცირებული კონფლიქტი. რუსეთის სამხედრო შენაერთებმა

ბურუნდი; 29 მარტი - ავსტრალია; 2 აპრილი - შვედეთი; 3 აპრილი - იაპონია; 6 აპრილი - ავღანეთი; 6 აპრილი - ჩრდილოეთი კორეა; 7 აპრილი - კვიპროსი; 21 აპრილი - შვეიცარია (ამ სიაში რუსეთი არც იყო და არც ახლა არის).

[41] საკითხის ისტორიისათვის ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, 2016, გვ. 45-59.

[42] კონკრეტული გვარები და ფაქტები დაფიქსერებულია მრავალრიცხოვან ქართულენოვან თუ რუსულენოვან პუბლიკაციებში, რომელთა მოძიება იოლად შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს.

(შევარდნაძის რეჟიმთან ერთად) გაანადგურეს როგორც კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე მხარდამჭერები. **საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მცდელობა წარუმატებლად დასრულდა.** პარალელურად რუსეთის მიერ საქართველოს ხელისუფლებაში მოყვანილი ხუნტა 1992 წლის ნოემბერში შეეცადა, უკანონო არჩევნებით დაეკანონებინა თავი. ნიშანდობლივია, რომ ხუნტის სათავეში იდგა ე. შევარდნაძე - ერთ-ერთი საბჭოთა ლიდერი და მალტის სამიტის ერთ-ერთი მონაწილე[43]. ამ ე.წ. არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა დევნილი ხელისუფლების მხარდამჭერმა პოლიტიკურმა პარტიებმა და საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა; თუმცა, **მას შემდეგ რაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მოკლეს,** ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალებისათვის შეუძლებელი გახდა პოლიტიკური პროცესების შემობრუნება.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეოთხე პერიოდი (1994-1997) - სიტუაცია ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ფიზიკური განადგურების შემდეგ.

1994-1997 წლებში ე. შევარდნაძის არალეგიტიმური ხელისუფლება, ერთი მხრივ, აგრძელებს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გადარჩენილ წევრთა ფიზიკურ თუ მორალურ განადგურებას, მეორე მხრივ კი ცდილობს, მერაბ კოსტავას ავტორიტეტის წარმოჩინებას. ამ პერიოდში ისინი ამახინჯებენ უახლოეს წარსულს, საუბრობენ ზვიადსა და მერაბს შორის თითქოსდა არსებულ დაპირისპირებაზე და მრავალი მიმართულებით დამნაშავედ აცხადებენ საქართველოსათვის შეწირულ გმირ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას...

[43] პირუთვნელი ისტორიკოსი თუ ექსპერტი ე. შევარდნაძის გაუმართლებელი ქმედებების შესახებ საინტერესო ფაქტებს წაიკითხავს ზვიად გამსახურდიას წერილში: „ღია წერილი ედუარდ შევარდნაძეს“. პირველად გამოქვეყნდა 1992 წელს „გაზეთ თავისუფალ საქართველოში“. 2002 წელს წერილი კომენტარითურთ დაბეჭდა პროფესორმა პაატა ბუხრაშვილმა სამეცნიერო ჟურნალში: „ამირანი“ /კავკასიოლოგიის საერთაშორისო-სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე/, VI http://www.caucasology.com/amirani7/gamsakhurdia.pdf (დამოწმება: 25.11.2019). სამწუხაროდ, უცხოელი ექსპერტებისა თუ ისტორიკოსებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ პუტჩისტთა „მემუარები“ და მათ „ისტორიკოსთა“ მიერ გაყალბებული „ფაქტები“.

ამ პერიოდში თითქმის სრულად ნადგურდება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მხოლოდ ცალკეული პირები თუ ახერხებენ სიმართლის თქმას ზოგ გაზეთსა თუ თვითგამოცემებში; იხ. მაგ., პროფესორ თენგიზ კიკაჩეიშვილის, გაზეთ „იბერია-სპექტრის რედაქტორის, ირაკლი გოცირიძისა და სხვათა აქტიურობა (დოკუმენტური მასალის ერთი ნაწილისათვის იხ. ტ. ფუტკარაძე, 1999).

ეროვნული გმირების - ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ავტორიტეტის როლი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეხუთე პერიოდში (1998 წლიდან დღემდე).

რამდენიმე ფაქტორის გამო ვთვლი, რომ ძლიერი ფსევდოლიბერალური[44] და რუსულიმპერიული ზეწოლების მიუხედავად, ბოლო 20 წლის მანძილზე იყო პირობები, აღორძინებულიყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. **ეს ფაქტორებია:**

- დევნილი ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოს სესიების განახლება თბილისში;
- 1999 წლის სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილება;
- პარლამენტის 2000 და 2005 წლების დადგენილებები;
- ზვიად გამსახურდიას ნაწილობრივი რეაბლიტაცია (2004);
- 2008 წლის პლებისციტი;

---

[44] ფსევდოლიბერალიზმი ცალკე მსჯელობის საკითხია; აქ მოკლედ ვიტყვი: დასავლური ღირებულებების უმთავრეს მიმართულებად **ლგბტ თემის პროპაგანდის** წარმოჩენა ფსევდოლიბერალიზმია; დასავლეთს ბევრი ფასეულობა აქვს; ერთ-ერთია **უმცირესობათა დაცვა,** რაც არც ქართული მენტალობისთვისაა უცხო. ქართველებში ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებს გრანტსდახარბებული ცალკეული ქართული ჯგუფების მიერ ლგბტ პროპაგანდა. სამართლიანობისათვის აქვე აღვნიშნავ, რომ ლგბტ პროპაგანდაა ასევე ფსევდოპატრიოტული ჯგუფების მიერ ლგბტ თემის ცხოვრების წესის გაუთავებელი გმობა (ლანძღვა ირიბი რეკლამაა და ზოგჯერ პირდაპირ პროპაგანდაზე უფრო ეფექტურია). ქართველის ბუნება არის ლიბერალური; ამას ცხადყოფს საუკუნოვანი ტოლერანტული დამოკიდებულება რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობებისადმი (იხ. მაგ., ცეკვა „კინტაური"); თუმცა, ყველა ნორმალური ადამიანისათვის მიუღებელია **ცხოვრების არანორმალური წესის,** ასევე, ამორალიზმის, ნარკომანიის... **პროპაგანდა.**

- ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასათვის ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ ეროვნული გმირის წოდების მინიჭება (2013).

მოკლედ თითოეული ფაქტორის შესახებ:

ა) 1998 წლის 14 ნოემბერს საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისში, ბიმურზა აფრასიძე-დადეშქელიანის სახლში ჩატარდა რუსეთის სამხედრო შენაერთებისა და მათი მხარდამჭერი ქართველი პუტჩისტების მიერ ხელისუფლებიდან 1992-93 წლებში განდევნილი **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია.** ხელისუფლებიდან განდევნილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა შეკრებას „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური ბლოკის პარტიების სახელით ორგანიზება გაუკეთა ქ-ნმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ (არც მანამდე შეუწყვეტია არსებობა საქართველოს რამდენიმე პოლიტიკური პარტიის გაერთიანებას: „მრგვალ მაგიდას“: პროფ. თენგიზ კიკაჩეიშვილის ხელმძღვანელობით „მრგვალი მაგიდა“ გეგმავდა ხოლმე რუსეთის იმპერიის მამხილებელ პოლიტიკურ აქციებს). **1999 წლიდან** გრანდიოზული შიმშილობებითა და აქციებით აქტიურად განახლდა 1992-93 წლებში განდევნილი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენის მოთხოვნა.

ბ) 1999 წლიდან საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში გააქტიურდა რუსეთის ჯარის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვების საკითხი; **კერძოდ, 1999 წლის ნოემბერში სტამბოლში ჩატარდა ეუთოს სამიტი,** რომელმაც განიხილა საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხი. სტამბოლის შეხვედრაზე შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინს ხელი მოაწერინა დოკუმენტზე, რომლის მიხედვითაც რუსეთის ჯარს უნდა დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია 2005 წლამდე (ვრცლად იხ. ქვემოთ).

გ) ე. შევარდნაძის დე ფაქტო ხელისუფლება ვეღარ უძლებს როგორც საერთაშორისო, ასევე, საქართველოს მოქალაქეთა დაწოლას; შედეგად საქართველოს პარლამენტი იღებს დადგენილებას (#262; 20/04/2000) „1991-1992 წლებში დაწყებული სამო-

ქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ (ხელს აწერს ზურაბ ჟვანია)“[45].

დადგენილების პირველი პუნქტი ასეა ჩამოყალიბებული:

„დაგმობილ იქნეს სახელმწიფოში პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრა და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის ყოველგვარი მცდელობა“... დადგენილებაში საერთოდ არაა ნახსენები, რომ ლეგიტიმური ხელისუფლება დამხობილ იქნა რუსეთის აქტიური მონაწილეობით; მეტიც, დადგენილების მიხედვით ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის მიზეზია სამოქალაქო დაპირისპირება.

ამგვარი ორმაგი სტანდარტის გამო დადგენილებამ მნიშვნელოვნად ვერ შეცვალა რეალობა; პოზიტივი კი იყო **შეთითხნილი ბრალდებებით დაჭერილი პოლიტპატიმრების გათავისუფლება.**

ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით არსებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რეაბილიტაციის პროცესი ინტენსიური გახდა პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილის არჩევის შემდეგ; კერძოდ, 2005 წელს ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის დადგენილება „1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“ [46]. ამ დადგენილების პირველი პუნქტით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ზოგადად, ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება ლეგიტიმურად გამოცხადდა 1995 წლის ჩათვლით; მეორე პუნქტში კი უფრო კონკრეტული ჩანაწერი გაჩნდა: **„დაიგმოს 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება“.**

---

[45] საქართველოს პარლამენტის დადგენილება (#262; 20/04/2000; სსმ, 36, 25/04/2000) „1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ“https://matsne.gov.ge/ka/document/view/40276?publication=0 (დამოწმება: 20.11.2019).

[46] საქართველოს პარლამენტის დადგენილება „1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“ (#1104; 11/03/2005; სსმ, 32, 22/03/2005); ხელს აწერს მიხეილ მაჭავარიანი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/42880?publication=0.(დამოწმება: 23.11.2019).

აქვე აღვნიშნავ:

საქართველოს დეოკუპაციის მიზნით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინების პერსპექტივა ჰქონდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს 2004 წელს; კერძოდ, მისი ერთ-ერთი პირველი განკარგულება (#174) იყო **„1991-1993 წლებში ხელისუფლების უკანონოდ შეცვლასთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“ (14.02.2004**), სადაც ვკითხულობთ: შეიქმნას საქართველოში 1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: **ივანე მერაბიშვილი** - საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, კომისიის თავმჯდომარე; **ზურაბ ადეიშვილი** - საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი; **ირაკლი ოქრუაშვილი** - საქართველოს გენერალური პროკურორი; **გიორგი ანდრიაძე** - საქართველოს საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი; **მანანა არჩვაძე-გამსახურდია** - კომისიის წევრი; **ტარიელ ფუტკარაძე** - კომისიის წევრი; **მანანა ტაბიძე** - კომისიის წევრი; **მერაბ რაფავა** - კომისიის წევრი. ეს **სახელმწიფო კომისია არც ერთხელ არ შეკრებილა.** უფრო საქმიანი იყო 2004 წელსვე გენერალურ პროკურორთან შექმნილი კომისია (რომლის წევრებიც ვიყავით მანანა ტაბიძე და მე), რომელმაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მოუხსნა შევარდნაძის რეჟიმის მიერ წაყენებული ცილისმწამებლური ბრალი. პირადად ჩემი და ქ-ნ მანანა ტაბიძის მრავალი ცდის მიუხედავად, **სააკაშვილის ხელისუფლებამ არ გამოიყენა კარგი შესაძლებლობა, 1992-93 წლებში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის პროცესში გამოეკვეთა რუსეთის ხელისუფლების როლი, რაც უთუოდ წაადგებოდა საქართველოს დეოკუპაციის სტრატეგიას.** ობიექტურობა ითხოვს აღვნიშნოთ ისიც, რომ მიხეილ სააკაშვილმა მეორე საპრეზიდენტო ვადა დაასრულა 2013 წლის 26 ოქტომბრის განკარგულებით, რომლის მიხედვითაც **ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა ზვიად გამსახურდიასა და**

მერაბ კოსტავას (საქართველოსათვის წამებულ სხვა პიროვნებათა გვერდით)[47].

დ) 2008 წლის 5 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად დაინიშნა საქართველოს ნატოში გაწევრიანების პლებისციტი. პლებისციტის კითხვა: **„უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში** (ნატო)?“; შედეგები: დიახ - 77 %; არა - 23 %. შესაბამისად, 1991 წლის 31 მარტის შემდეგ საქართველოს მოქალაქეებმა მეორედ დააფიქსირეს რუსეთის იმპერიის ველიდან გამოსვლის ნება.

ე) XXI საუკუნის დასაწყისიდან ფართო საზოგადოება, რომელიც ნელ-ნელა გამოდის რა 1992-93 წლების პუტჩით მიყენებული შოკიდან, აცნობიერებს რეალობას: **საქართველოს დევნილი კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას „რეაბილიტაციასაც“, მერაბ კოსტავას ქება-დიდებასაც, დამოწმებულ დადგენილებებსა თუ განკარგულებებსაც წინასაარჩევნოდ საზოგადოების მიმხრობისათვის იყენებდნენ პუტჩის შემდგომ არსებული პოლიტიკური ჯგუფები და დე ფაქტო ხელისუფლებები.**

მართალია, ზვიად გამსახურდიას ეროვნულმა ხელისუფლებამ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მშვიდობიანი გზით რადიკალურად შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ვექტორი - საქართველომ განაცხადი გააკეთა, რომ გამოდიოდა რუსული გეოპოლიტიკური სივრციდან, მაგრამ **საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია იმჟამინდელი საერთაშორისო ვითარების გამო:** ისტორიის ამ მონაკვეთში **დასავლეთისათვის არსებითი იყო აღმოსავლეთ ევროპა;** პრაგმატული პოლიტიკის დღის წესრიგში ჯერ არ იდგა რუსული სივრციდან ცენტრალური კავკასიის გამოყვანის დრო: 1991-1998 წლებში დასავლეთის დახმარებით რუსეთმა შეძლო თავისი გავლენის ველში დაეტოვებინა კავკასია, მოლდოვა-უკრაინა-ბელორუსია და შუა აზია.

დასავლეთის მიერ რუსეთის იმპერიის „მორღვევის“ მეორე ეტაპი იწყება 10 წლის შემდეგ - 1999 წელს სტამბოლის სამიტით.

---

[47] იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 ოქტომბრის განკარგულება №26/10/03 „საქართველოს ეროვნული გმირის ორდენით დაჯილდოების შესახებ“.

1999 წლის 17 ნოემბერს ეუთოს სტამბოლის სამიტზე ცივილიზებული დასავლეთის ზეწოლით რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა საქართველოდან სამხედრო შენაერთების გაყვანის ვალდებულებას (იხ. ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ადაპტირებული ხელშეკრულება /CFE/). სტამბოლის შეთანხმების მიხედვით, რუსეთის ფედერაციას 2001 წლის 1 ივლისამდე უნდა მოეხდინა ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია, ხოლო 2000 წლის განმავლობაში უნდა დასრულებულიყო მხარეთა მოლაპარაკებები ახალქალაქისა და ბათუმის სამხედრო ბაზების ფუნქციონირების ვადებისა და პირობების შესახებ. მალევე დაიწყო რუსული ჯარების გაყვანის პროცესი. პარალელურად, დასავლეთი გააქტიურდა კავკასიაში, მაგრამ **შევარდნაძის მთავრობა არ დგამდა მკვეთრ ნაბიჯებს დასავლეთის მიმართულებით** და ფაქტობრივად გამოუცხადებელ ნეიტრალიტეტს ახორციელებდა ცივილიზებულ დასავლეთსა და იმპერიულ რუსეთს შორის.

ე. შევარდნაძის პასიური პოლიტიკა მიუღებელი გახდა დასავლეთისათვის; შედეგად დასავლეთის მხარდაჭერით ხელისუფლებაში მოდის მიხეილ სააკაშვილი. შევარდნაძის შემდეგ მოსულმა მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ მკვეთრი ნაბიჯები გადადგა დასავლეთის მიმართულებით; ყველაზე მკვეთრი სვლა იყო **პლებისციტი საქართველოს ნატოში გასაწევრიანებლად.** პლებისციტის კითხვა იყო: „უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო)?“

	დიახ	**არა**	**სულ**
ხმების რაოდენობა	1,355,328	404,943	1,760,271
%	77.00	23.00	100.00

ამ შედეგებით გამოჩნდა, რომ საქართველომ ნატოს გზა აირჩია, მაგრამ **დასავლეთმა დააყოვნა საქართველოს მაპის ფორმატით დაცვა**. რუსეთმა ამით ისარგებლა და, პლებისციტის შედეგების გამო, 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში პროვოცირებული საბაბით დასაჯა საქართველო: სტამბოლის სამიტის გადა-

წყვეტილების დარღვევით, თავისი სამხედრო შენაერთები დააბრუნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკანონოდ გახსნილ ბაზებში.

მაშასადამე, პროდასავლური არჩევანის გამო ბოლო 25 წელიწადში საქართველო მეორედ დაარბია რუსულმა ჯარმა (პირველად 1992-93 წლებში).

ბოლო 20 წლის მანძილზე იყო პირობები, საქართველო წინ სწრაფად წასულიყო, მაგრამ ეს არ მოხდა პოლიტიკური ელიტის არათანმიმდევრულობისა თუ მავნებლური პოლიტიკის გამო:

ძირითადად პუტჩისტთა მემკვიდრე პოლიტიკურმა სუბიექტებმა, ბუნებრივია, სათანადო შეფასება არ მისცეს 1991-93 წლებში განხორციელებულ რუსულ აგრესიას (კანონიერი ხელისუფლების დამხობა, აფხაზეთსა და ცხივნალის მხარეში ქართველთა გენოციდი...) და 90-იან წლებში თავისი დანაშაულებრივი ქმედების „გასაპრავებლად“ მიიღო რუსეთის მიერ შემოთავაზებული ტერმინოლოგიური შეფასებები (სინამდვილეში - ტერმინოლოგიური დივერსიები): „სამოქალაქო ომი“, „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი“, „ქართულ-ოსური კონფლიქტი“... ამანაც შეუწყო ხელი ბოლო პერიოდში რუსეთის გავლენის გაძლიერებას საქართველოში, ზოგადად, კავკასიაში.

დავძენ:

აფხაზეთში დარჩენილი პრორუსი ლიდერებიც და შევარდნაძის კლანის წევრებიც დღემდე ვერ „ხედავენ“ საქართველოში რუსეთის აგრესიას და, მაგ., რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციას საქართველო-რუსეთის ომს უწოდებენ; პარალელურად, ვითომდა ერთმანეთს აბრალებენ ე.წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებას [48]. არადა, უეჭველია, რომ პრორუსი

[48] შდრ., მაგ., 2012 წელს სოხუმში გამართული საერთაშორისო კონფერენციის მასალები, სადაც აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა „აფხაზეთის კონფლიქტის“ რუსული ვერსიის „არგუმენტად“ იყენებს შევარდნაძის კლანის ერთ-ერთი წევრის, გენერალ ლ. შარაშენიძის „თვითაღიარებას“ და აფხაზეთში ომის წამომწყებად საქართველოს აცხადებს და არა - რუსეთს: „20-летию начала Отечественной войны народа Абхазии 1992-1993 г.г. посвящена международная научная конференция «Войны на Кавказе: уроки истории». Она организована Абхазским институтом гуманитарных исследований им. Д.И. Гулиа“... „Особый интерес у присутствовавших вызвал доклад историка и секретаря Совета Безопасности Абхазии Станислава Лакоба:

აფხაზი ლიდერებიც და შევარდნაძეც საქართველოს გარეთ დაწერილი სტრატეგიული გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ. კავკასიის მიმართ „გათიშე და იბატონეს“ კონცეფციაზე დაფუძნებული რუსული იმპერიული სტრატეგია დღემდე უცვლელია: თავისი გავლენის ქვეშ მყოფი ძალებით რუსეთი ახლაც ცდილობს შექმნას დაპირისპირება საქართველოს მოქალაქეებს შორის, ასევე, აზერბაიჯანელთა და სომეხთა, თუ ჩრდილო-კავკასიელ ხალხთა შორის და ამ გზით შეინარჩუნოს კავკასიაზე კონტროლი.

დღეს, 2019 წლის დასასრულს, ჯერჯერობით უტოპიაა ფიქრი იმაზე, რომ რადიკალურად დაპირისპირებული **რუსეთი და ნატო** შეთანხმდებიან ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოს (საქართველოს) ნეიტრალიტეტზე, რადგანაც სწორედ საქართველოა სერიოზული გეოპოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრში: რუსეთის იმპერიული მიზნებისათვის მნიშვნელოვანია **როგორც სახმელეთო გზა გუიმრის ბაზამდე,** ასევე, **შავი ზღვისა თუ ცენტრალური კავკასიის მაგისტრალები.** იგივე გეოსტრატეგიული სივრცე არსებითად განსაზღვრავს დასავლეთის უსაფრთხოებას, შესაბამისად კავკასიის ცენტრალური ნაწილი სტრატეგიული მნიშვნელობისაა დასავლეთისთვისაც (აშშ, ევრო-კავშირი); არ უნდა დავივიწყოთ კავკასიისადმი ჩინეთის მზარდი ინტერესიც.

მოკლედ შავი ზღვის მნიშვნელობის შესახებ:

საქართველოს წილი შავი ზღვის თემა მიბმულია კონკრეტულ ქართულ მხარეებზე: აჭარაზე, გურიაზე, სამეგრელოსა და აფხაზეთზე. გურიის მონაკვეთი უმნიშვნელოა. რუსეთს აფხაზეთი ოკუპირებული აქვს; დარჩა აჭარა და სამეგრელო, სადაც არის თავმოყრილი გეოპოლიტიკური სიმძლავრები; კერძოდ, რუსეთს შავი ზღვის კონტროლისათვის ოჩამჩირის პორტის გარდა ესაჭიროება ბათუმი-ფოთი-ანაკლიის ზონაც; შესაბამისად, **ამჟამად რუსეთის ინტერესებშია,** აჭარისა და სამეგრელოს

«Бывший министр обороны Грузии: О войне и ситуации вокруг Абхазии 1992-1993г.г.», в нем он привел интересные факты из воспоминаний генерала Левана Шарашенидзе, который возглавлял главное военное ведомство Грузии с января по май 1992 г., касавшиеся событий, предшествовавших началу войны Грузии против Абхазии“.
Источник: http://www.apsnypress.info/news/voyny-na-kavkaze-uroki-istorii (დამოწმება: 12.12.2019).

მოსახლეობაზე ზეწოლით აღადგინოს თავისი გავლენა საქართველოს ამ ორ ისტორიულ მხარეზეც. საამისოდ ახორციელებს ენობრივ-ეთნიკურ და რელიგიურ დივერსიებს; ცდილობს, საინფორმაციო ზეწოლით („რბილი ძალის“ პოლიტიკით) შეცვალოს საქართველოს ამ მხარის მოსახლეობის ცნობიერება - ქართველი ერი დაანაწევროს ენობრივ-ეთნიკურად[49], რელიგიურ-ეთნიკურად[50] და „დემოგრაფიული სიმძლავრის“ გამოყენებით („გათიშე და იბატონე“) კონტროლი დაამყაროს მისთვის სასურველ ტერიტორიაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჰაერო, სახმელეთო თუ საზღვაო მაგისტრალების გამო დასავლეთსაც აქვს თავისი ინტერესები კავკასიაში და, ამავე დროს სურს, გვერდით დაუდგეს რუსული იმპერიული ველიდან გამოსვლის მოსურნე პოსტსაბჭოთა ქვეყნებს.

დღეს რუსეთი აგრესიულია; ფეხქვეშ თელავს ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს; **საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, გადარჩენის პერსპექტივა მხოლოდ ცივილიზებული დასავლეთის მხარდაჭერითაა შესაძლებელი:** საქართველოს ხელისუფლებას მხოლოდ ერთი გზა აქვს: წავიდეს იმ მიმართულებით, რომელსაც დაუჭირა მხარი საქართველოს მოსახლეობამ 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტით.

ამჟამინდელი გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით საქართველოს მიერ თვითგამოცხადებული ნეიტრალიტეტი გრძელვადიან პერსპექტივაშიც კი შეუძლებელია რეალურად

---

[49] რუსეთის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მცდლობის შესახებ იხ. ტ. ფუტკარაძე, 2019. დღეს განსაკუთრებით გააქტიურებულია ერთი ჯგუფი, რომელსაც სურს, **„რეგიონული ან უმცირესობის ენათა ევროპის ქარტიის“ არსის გაყალბებით,** ადგილობრივი კილოკავების მიხედვით შექმნას მეგრული, სვანური, ლაზური „სტანდარტული ენები“ (იხ. მაგ. ალ. ჭაჭიას ჯგუფის, ასევე, გ. სიჭინავას და სხვათა განცხადებები); ეს ჯგუფი ვერ შეძლებს, სამეგრელოს მოსახლეობას გაუუცხოვოს იოვანე ლაზის, ჭყონდიდლებისა თუ გამსახურდიების მიერ შექმნილი მრავალსაუკუნოვანი დედაენა - ქართველთა სამწიგნობო ენა.

[50] ანტიქართული (/იმპერიული) ძალების მიერ აჭარაში პროცესების პროვოცირების ისტორიის შესახებ იხ. ტ. ფუტკარაძე, 2009, გვ. 111-136 http://www.scribd.com/doc/3809567/batumi-geostrategia
(დამოწმება: 21.11.2019).
იხ. ასევე: ა. ფუტკარაძე, 2001, გვ. 209-306; ტ. ფუტკარაძე, 1999; ტ. ფუტკარაძე, 2019ა.

განხორციელდეს [51] , რადგან ცალმხრივი ნეიტრალიტეტი არ არსებობს, მით უმტეს, თუ ნეიტრალიტეტის გამომცხადებელი პატარა სახელმწიფოა და დიდი გეოპოლიტიკური მოთამეშენი არ არიან გარანტიორები (გარდა ამისა, ნეიტრალიტეტი დგინდება მხოლოდ „იერარქიული წესრიგის“ მქონე მსოფლიოში). დღეს კავკასიის ნეიტრალიტეტის შესახებ ნატო და რუსეთი ვერ შეთანხმდებიან.

ამჟამად საქართველოს პირველი რიგის ამოცანაა საქართველოს დეოკუპაცია - რუსეთის ჯარის გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან. დეოკუპაცია შეიძლება განხორციელდეს საქართველოს მოსახლეობის შეუქცევადი ნების შემთხვევაში და მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობის მხარდაჭერით. ქართველი ხალხი ამ ყოველივეს კარგად აცნობიერებს. ამიტომაც დაუჭირა მხარი 2008 წლის პლებისციტში საქართველოს გაწევრიანებას ნატოში. უახლოეს მომავალში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ცივილიზებული დასავლეთის აქტიური მხარდაჭერით.

დასავლეთსაც მხოლოდ ერთი გზა აქვს: რუსეთის საფრთხე რომ შეამციროს და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ცენტრალური კავკასიის გეოპოლიტიკური სიმძლავრეები, აქტიურად უნდა დაეხმაროს საქართველოს დეოკუპაციის პროცესში; მით უმეტეს, რუსეთის ჯარები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დგას სტამბოლის 1999 წლის სამიტის გადაწყვეტილების საპირისპიროდ. მთელი მსოფლიო წინ თუ არ აღუდგება რუსეთის მიერ სტამბოლის სამიტის გადაწყვეტლების დარღვევას, დედამიწისათვის რუსული საფრთხე უფრო და უფრო გაიზრდება. ევრაზიის სასიცოცხლო სატრანსპორტო მაგისტრალებისათვის რუსული საფრთხე მკვეთრად „შეიბოჭება“, თუკი ცენტრალური კავკასიის ცენტრალური სახელმწიფო - საქართველო - გახდება ნატოს წევრი. **დასავლეთს საქართველოში მყარი გარანტიები ექნება, თუკი დასავლეთი ხელს შეუწყობს არამხოლოდ დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარებას, არამედ ქართულენოვანი სახელმწიფოს გაძლიერებას და ქართული ფასეულობების დაცვას.**

[51] ნეიტრალიტეტი ფინანსურადაც ძალიან ძვირია, რამდენადაც ნეიტრალიტეტის სამხედრო უზრუნველყოფა დიდ ხარჯებს მოითხოვს (ნატოს წევრი და ნეიტრალური ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტების შესახებ მონაცემებისათვის იხ. კ. კაციტაძე, 2001, გვ. 157-161) https://cutt.ly/st0Bs2B (დამოწმება: 17.11.2019).

მსჯელობას დავასრულებ ბატონი **იენს სტოლტენბერგის** 2019 წლის 25 მარტის ძალიან მნიშვნელოვანი გამოსვლის კომენტირებით[52]:

ნატოს გენერალურმა მდივანმა თბილისში რამდენიმე მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა, საიდანაც ნათლად ჩანს:

- ნატო, ცივილიზებული დასავლეთი (რუსეთისაგან განსხვავებით) მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და რუსეთს მოუწოდებს, დატოვოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები;
- რუსეთის მიერ სტამბოლის სამიტისა და სხვა შეთანხმებების დარღვევის გამო ნატო აძლიერებს სამხედრო დანაყოფებს შავ ზღვაში;
- ჩვენ მივესალმებით შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებულ როლს...
- საქართველო ნატოს საუკეთესო პარტნიორია, მაგრამ საქართველოს **ნატოში** გასაწევრიანებლად **ნატოს ს**ურს, იხილოს კიდევ უფრო მეტი წინსვლა დემოკრატიული რეფორმების ფარგლებში...

ჩემი აზრით, საქართველო ასე ახლოს არასოდეს ყოფილა ნატოსთან, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ დღეს, რუსეთისაგან მოსალოდნელი რეალური აგრესიის პირობებში, საქართველოს „დემოკრატიულ რეფორმებზე“ არაპროპორციული აქცენტირება გვავარაუდებინებს ცივილიზებული დასავლეთის **ზედმეტ შიშს** რუსეთის მიმართ. ეს „ზედმეტი შიში“ თუ „სიფრთხილე“ საქართველოს ისეთივე კატასტროფად შეიძლება დაუჯდეს, რაც მოხდა 1991 წელს: 1991 წელს მალტის შეთანხმების დაცვის პროცესში დასავლეთმა გაწირა რეალურად პროდასავლურად განწყობილი საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია[53].

---

[52] იენს სტოლტენბერგი - ვაგრძელებთ მუშაობას, რომ საქართველო გახდეს ნატოს წევრი, იმედი მაქვს, მალე მოგესალმებით ნატოში https://cutt.ly/Uyek0nJ (დამოწმება: 3.11.2019).; იენს სტოლტენბერგი: მოვუწოდებთ რუსეთს, გაიწვიოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების განცხადება და გაიყვანოს ჯარები (25.03.2019) https://bit.ly/2RENl7d (დამოწმება: 3.11.2019).

[53] ზოგი ექსპერტის მსგავსად, დასავლეთელ პოლიტიკოსთა ნაწილს არა აქვს საკმარისი ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ (ან აქვს, მაგრამ „გლობალურ წესრიგს“ ეწირება საქართველოს ინტერესები). შდრ., მაგ.: ჰ. ტალიავნის კომისიის აზრით

დასავლეთის ასევე „ზედმეტი სიფრთხილის“ გამო 2008 წელს დაგვიანდა საქართველოსათვის მაპის მიცემა და მივიღეთ რუსეთის ახალი აგრესია (08. 08. 08).

უახლოეს მომავალში საქართველოში შეიძლება განმეორდეს რუსეთის აგრესია, რაც გაცილებით დიდი ხნით „შებოჭავს“ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღორძინებას.

ეს ცუდი იქნება დასავლეთისთვისაც: ცივილიზებული დასავლეთი, ნატო დაკარგავს პერსპექტივას შავ ზღვაზე, ასევე, **კავკასიაზე გამავალ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სატრანსპორტო, საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო მაგისტრალებზე.** რუსეთის აგრესიას ხელი შეიძლება შეუწყოს რამდენიმე გარემოებამ:

- საქართველოს მოსახლეობა დასავლეთისგან ელის უფრო აქტიურ მხარდაჭერას. საქართველოში რუსეთის აგრესიის აქტივიზაციისას დასავლეთელი ლიდერების მხოლოდ „შეშფოთების“ გამო; ასევე, დასავლეთის სახელით მოსაუბრე ზოგი ევროპელი თუ ამერიკელი ფსევდოლიბერლისა თუ ე.წ. „გლობალისტის“ საეჭვო განცხადებების გამოც, საქართველოს მოსახლეობაში უფრო და უფრო მცირდება დასავლეთისადმი ნდობა. **ხაზგასმით აღვნიშნავ:** პრორუსული ჯგუფების მიერ შეთხზული „ფაქტების“ გამოყენებითა თუ რუსული პროპაგანდის ინერციით, ზოგი ევროპელი „მეგობარი“ (თუ რუსებისაგან დაქირავებული პროპაგანდისტი) ზვიად გამსახურდიას რამდენიმე-

(https://cutt.ly/Gyelu3m) (დამოწმება: 20.11.2019), 1990-91 წლებში საქართველოში იყო შოვინიზმი და შიდა ქაოსი... ამ კომისიამ რატომღაც ვერ გამოიკვლია, რომ 1990-91 წლებში საქართველო იბრძოდა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, ხოლო გამსახურდიას ხელისუფლება დაამხო რუსეთის იმპერიამ დასავლეთის წაყრუების ფონზე. 1990-93 წლებში არ იყო სამოქალაქო ომი, ხოლო შოვინიზმის ნასახიც კი არ ყოფილა; ამ პერიოდში დაამხეს დემოკრატიული და თავისუფალი საქართველოს იდეა. „ძლიერთა ამა სოფლისა“ საქართველოს კანონიერი ხელისუფლებაც გაწირეს და საქართველოც. ჰ. ტალიავინის დასკვნა იხ. ანგარიში, საქართველოს კონფლიქტის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია (Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia (IIFFMCG)). ("ტალიავინის ანგარიში"):https://cutt.ly/Uyellfq; https://cutt.ly/xyelcYz;https://cutt.ly/zyelmg5; https://smr.gov.ge/uploads/prev/eb7e7f.pdf (დამოწმება: 20.11.2019).

თვიან მმართველობას სრულიად უსაფუძვლოდ თვლის **ავტოკრატიად** /Autocracy/;

- პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენელთა გამდიდრების ფონზე ეკონომიკურ კრიზისში მუდმივად მყოფი ფართო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი თანდათან კარგავს ინტერესს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფასეულობების მიმართ;
- დასავლეთიდან უდიდესი ფინანსური მხარდაჭერის მიუხედავად მიმდინარე ეტაპზე საქართველოში უფრო აქტიურია პრორუსული პროპაგანდა, ვიდრე - პროდასავლური. ეს შეპირობებულია ვითომდა პროდასავლური (სინამდვილეში - ფსევდოლიბერალური) ქართული პოლიტიკური სპექტრისა და ე.წ. არასამთავრობოების ორმაგი სტანდარტით;
- ძლიერი საინფორმაციო ზეწოლით პრორუსული ჯგუფები დღემდე ახერხებენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ანტიიმპერიული სტრატეგიის არასწორად წარმოჩენას და ხელს უშლიან საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდაციას;
- 1992-93 წლების პუტჩის მონაწილე პოლიტიკური ჯგუფები, „წითელი ინტელიგენცია“ და ფინანსური კლანები (თუ მათი მემკვიდრენი) დღემდე ინარჩუნებენ ძლიერ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ბერკეტებს და მათ შესანარჩუნებლად აქტიურად ცდილობენ საქართველოს უახლესი წარსულის გაყალბებას; მაგ., 1989 წლის 9 აპრილის რეალური არსის, 31 მარტის რეფერენდუმისა და 9 აპრილის „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ რეალური მნიშვნელობის მიჩქმალვით არასწორად წარმოაჩენენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სტრატეგიას და მას, მალტის გარიგების თანამდევი „პოლიტიკური სცენარის“ შესაბამისად, „დიქტატორად“ აცხადებენ. პარალელურად, **საქართველოს დევნილი კანონიერი ხელისუფლების დამცველთ** „დიქტატორ გამსახურდიას“ მომხრე „ზვიადისტებად“ წარმოაჩენენ. ასეთი ხერხებით აბუნდოვნებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორიენტირებს და ცდილობენ, **ფართო საზოგადოების თვალში** კიდევ დიდხანს „შეფუთონ“ თავიანთი (თუ წინამორბედების) გაუმართლებელი ქმედება გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც რუსეთის ჯარის მხარდაჭერით ამხობდნენ **საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელ** პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას **ხელისუფლებას.**

ძირითადი დასკვნები:

1. საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურმა კრახმა და ეკონომიკურმა დასუსტებამ (რაც განპირობებული იყო რ. რეიგანის გონივრული პოლიტიკითაც) გასული საუკუნის 80-იან წლებში შექმნა საფუძველი, წარმატებით განხორციელებულიყო საბჭოთა იმპერიის (მთელი სოციალური სისტემის) ნაწილობრივი დემონტაჟი, რომლის ბოლო ეტაპი ისტორიაში „გარდაქმნის“ (1985–1991 წწ.) სახელწოდებით შევიდა. მ. გორბაჩოვმა სსრ კავშირის დაშლა ოფიციალურად გამოაცხადა 1991 წლის 25 დეკემბერს (შდრ.: ვ. გურული, 2007, გვ. 17-19). მალტის შეთანხმებამ რუსეთს საშუალება მისცა 1992-93 წლებში იარაღის ძალით დაემხო საქართველოს (ასევე: აზერბაიჯანის, იჩქერიის) დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლება[54]. 1992-93 წლებში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობას მოჰყვა საქართველოსათვის მძიმე შედეგები; კერძოდ, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე - აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში განახორციელა ქართველთა გენოციდი; ანტირუსულად განწყობილი ცოცხლად გადარჩენილი პირები (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად: ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები...) კი საქართველოს ამ კუთხეებიდან გამოდევნეს (400 000-ზე მეტი ადამიანი დევნილად აქციეს)[55]. **ცივილიზებულმა მსოფლიომ**

---

[54] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბრალს სდებენ, რომ მან მორჩილება გამოუცხადა იანაევისა და სხვათა მიერ ორგანიზებულ 1991 წლის აგვისტოს პუტჩს და არა - გორბაჩოვ-ელცინის ტანდემს; არადა, მრავალი ფაქტი ადასტურებს, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარი არ დაუჭერია გეკაჩეპესათვის; იხ. მაგ., გაზეთი „ფიგარო“: „ვიცი, რომ გორბაჩოვი ამჟამად საბჭოთა კავშირში ძალას აღარ წარმოადგენს. რაც შეეხება ელცინს, სასიხარულოა, რომ მან დიდი გამარჯვება მოიპოვა. მე მხარს ვუჭერ მის პოლიტიკურ მიზნებს“ /ერიკ ფლამანი, 1991 წელი. 31 აგვისტო; საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 31 აგვისტო - #170 (190), გვ. 3. ეს და სხვა მასალები დაბეჭდილია კრებულში: საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები; ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები; ტომი II; ზვიად გამსახურდია; საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1991); თბილისი 2013.

[55] საქართველოში მიმდინარე კონფლიქტების არსის შესახებ იხ. ტ. ფუტკარაძე, 2009, გვ. 221-234; 173-183 https://cutt.ly/5t0Bly5 ; ტ. ფუტკარაძე, 2008;

ობიექტურად უნდა შეაფასოს მე-20 საუკუნის 90-იან წლებში კავკასიაში განხორციელებული რუსული აგრესია; დღეს მაინც რეალურად უნდა წარმოჩნდეს 1992-93 წლების სამხედრო გადატრიალების არსი და აფხაზეთსა თუ ცხინვალის მხარეში მიმდინარე კონფლიქტის რეალური შინაარსი: **1991-92 წლებშიც და 2008 წელსაც რუსეთმა საქართველო დასაჯა დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და პროდასავლური არჩევანის გამო**[56]**;** საქართველოს ისტორიულ კუთხეებში - აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში კი გვაქვს არა „ეთნოკონფლიქტები", არამედ - 1991 წლის 22 დეკემბრიდან აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში მიმდინარეობს რუსეთის ომი ცივილიზიებულ დასავლეთზე ორიენტირებული საქართველოს წინააღმდეგ.

2. საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებასა თუ ისტორიულ პროცესზე **დიდი ადამიანების გავლენა გრძელდება გარდაცვალების შემდეგაც.** დიდი კონსტანტინე გამსახურდიას ველში აღზრდილმა ეროვნულმა გმირებმა ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ძირითად მიზნად დაუსახეს 1921 წელს დაკარგული **საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენა, ადამიანის უფლებების დაცვა და ქართული კულტურის შენარჩუნება-განვითარება.** ბოლო 45 წელიწადში საქართველომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა (რეფერენდუმი, დამოუკიდებლობის დე იურე აღდგენა, რუსეთის ჯარის „საოკუპაციო ჯარის" სტატუსი, პლებისციტი ნატოში გაწევრიანების თემაზე...), **მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა: საქართველოს მეხუთედი დღემდე ოკუპირებულია რუსეთის იმპერიის მიერ, ისევ ილახება ადამიანის უფლებები და ისევ დიდი საფრთხის ქვეშაა ქართული იდენტობა...** შესაბამისად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დღის წესრიგი ბოლომდეა შესასრულებელი. ამ პროცესში **ისევ მნიშვნელოვანია ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ორიენტირების გათვალისწინებაც და მათი გმირული თავგანწირვის მაგალითიც.**

---

https://cutt.ly/7t0Bc4q (დამოწმება: 24.03.2019).

[56] 1991-92 წლებში რუსეთმა პროდასავლური (/პროთურქული) კურსის გამო აზერბაიჯანში დაამხო პრეზიდენტ ელჩიბეის ხელისუფლება; პარალელურად, ყარაბაღში პროვოცირებული კონფლიქტით აზერბაიჯანმა დაკარგა ყარაბახი და გაუბედურდა ბევრი აზერბაიჯანული თუ სომხური ოჯახი; ამავე კონფლიქტით, რუსეთმა „ხელში დაიჭირა" სომხეთი.

3. ზვიად გამსახურდიას „ქრისტესმიერი ძმა“ მერაბ კოსტავა თავისი შეუპოვრობითა და ავტორიტეტით რეალურ აწმყოში აბალანსებდა თანამებრძოლთა განწყობას. მეოცე საუკუნის ეს ორი რაინდი პოლიტიკურად ერთი მთლიანობაა; შესაბამისად, ის ვინც მერაბ კოსტავას სურათის ფონზე ზვიად გამსახურდიას ჩრდილს აყენებდა (ან - პირიქით!), საკუთარი დანაშაულის დამალვას ცდილობდა; ანდა, უარესი: ეწინააღმდეგებოდა საქართველოს მოსახლეობის სწორ ორიენტირებასა და საქართველოს სრულ დეოკუპაციას. დღეს ამგვარი მანიპულაციით საზოგადოების დეზორიენტირება უკვე შეუძლებელია, ვინაიდან **დღევანდელი თაობისათვის** კომუნისტური სუკის პროვოკაციები, ეროვნული გმირის ზოგი ახლობლის შეცდომები თუ ზვიადისა და მერაბის ყოფილ თანამებრძოლთა ნეგატიური კონტექსტები ვეღარაფერს ცვლის. **ახლა სხვა პრობლემაა:** დღევანდელი ახალგაზრდობის დიდი ნაწილისათვის **ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა** საქართველოსათვის თავშეწირული, მაგრამ წარსული დროის ეროვნული გმირები არიან. **ახლო მომავალში მაინც საქართველოს განათლების სისტემამ და ახალმა პოლიტიკურმა სპექტრმა დროულად უნდა შეძლოს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ორიენტირების წარმოჩენა,** ამ ორინტირების გარშემო ახალი თაობის, ზოგადად, ფართო საზოგადოებისა და საერთაშორისო ყურადღების მობილიზება. მხოლოდ სწორი პოლიტიკური სტრატეგიითა და საერთაშორისო თანადგომითაა შესაძლებელი საქართველოს სრული დეოკუპაცია, დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების შექმნა და **ნახევარსაუკუნოვანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებით დასრულება.**

დამოწმებული ლიტერატურა:

აფრასიძე... 1994: ბ. აფრასიძე, ა. გვიშიანი, თ. გვანცელაძე... რა არის ჩვენი სიცოცხლე? ბრძოლა! თბ., 1994;
დადეშქელიანი-აფრასიძე, 2006: ბ. დადეშქელიანი-აფრასიძე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემები, თბ., 2006;
ზვიად გამსახურდია, 2009: ზვიად გამსახურდია – 70 (წიგნი ეძღვნება ზვიად გამსახურდიას 70 წლის იუბილეს; სარედაქციო საბჭო: გურამ აბსანძე, გოჩა ბიჭაშვილი), გამომცემლობა „ზანი“, თბ., 2009;
ზვიად გამსახურდია, 2019: 2019 წლის 10-12 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და გამომცემლობა „არტანუჯის“ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია: **ზვიად გამსახურდია - 80“**. მოხსენებები იბეჭდება კრებულში: „ზვიად გამსახურდია, პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა“ (შემდგენელ-რედაქტორები: გიორგი არქანია, ლევან ბებურიშვილი), თბ., 2020, გამომცემლობა "არტანუჯი";
გამსახურდია, 2013: კ. ზ. გამსახურდია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე, თბ., 2013;
გაჩეჩილაძე 2004: გ. გაჩეჩილაძე, საით მიჰყვებიან მდინარებას „მკვდარი თევზები“? თბ., 2004;
გურული, 2007: ვ. გურული, საბჭოთა კავშირის დაშლა, თბ., 2007;
ზაქარაია, 2019: მ. ზაქარაია, „სახელმწიფოსა და დემოკრატიის საკითხისადმი დისპარატულ მიდგომაზე“, თბ. 2019 წ. გამომც. „უნივერსალი“;
კაციტაძე, 2001: კ. კაციტაძე გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში, თბ., 2001;
კიზირია, 2018: დ. კიზირია, პუტჩი, თბ., 2018 გამომცემლობა „არტანუჯი“;
მრგვალი მაგიდის ისტორია, 1996: მრგვალი მაგიდის ისტორია /3 ნაწილად/, თბ., 1996;
რცხილაძე, 2018: ა. რცხილაძე, მზე კავკასიისა, თბ., 2018;
საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, 2013: საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები; ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები; ტომი II; ზვიად გამსა-

ხურდია; საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1991); თბ., 2013 (შემდგენელი მზია ხოსიტაშვილი);
ფუტკარაძე, 2001: ა. ფუტკარაძე, ლექსები, აჭარის ამბები, მოგონებები, დღიურები, ქუთაისი, 2001;
ფუტკარაძე, 1999: ტ. ფუტკარაძე, აფსირტედან გამსახურდიამდე ანუ აწმყოს უდაბნოში, სტატიათა კრებული საქართველოს უძველესი და უახლესი ისტორიის საკითხების შესახებ, გვ. 1-315, თბ., 1999;
From Aphsirte to Gamsakhurdia or in the Dessert of the Present (collection of articles on the oldest and the newest history of Georgia), pg. 1-315, Tb., 1999 http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/313696
ფუტკარაძე, 2008: ტ. ფუტკარაძე კონფლიქტი აფხაზეთში, საქართველოს ფედერალურ ერთეულებად დაშლის მცდელობა და პერსპექტივები (საქართველოს ენობრივი სიტუაციის ანალიზი), ჟურნალი „ჩვენებური“, № 4 (16), 2008;
https://cutt.ly/jt0BOrZ (დამოწმება: 24.03.2019).
ფუტკარაძე, 2009: ტ. ფუტკარაძე საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის რამდენიმე ასპექტი: ქართველოლოგიის პოლიტიზების საკითხისათვის; კრებული: საქართველოში არსებული კონფლიქტი და მშვიდობის პერსპექტივები, საქართველოს საპატრიარქო, კონრად ადენაუერის ფონდი, თბ., 2009, გვ. 221-234. T.Putkaradze, Some Aspects of the Geopolitical Strategy of Georgia (on Politicization of the Kartvelological Studies), Causes of War Prospects for Peace, Georgian Orthodox Church Konrad-Adenauer-Foundation, Tb. 2009, p. 173-183; On December 2-3, 2008 the Holy Synod of the Georgian Orthodox Church and the Konrad-Adenauer-Foundation held a scientific conference on the theme: Causes of War - Prospects for Peace. https://cutt.ly/Ot0BRcr;
ფუტკარაძე, 2009ა: ტ. ფუტკარაძე, გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება ამიერკავკასიაში: ბათუმი 1878, 1920, 1991, 2008; კრებული: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში“; აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასლები; გამომცემლობა: „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2009;
ფუტკარაძე, 2016: ტ. ფუტკარაძე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ორიენტირები თანამედროვე გეოპოლიტიკურ

კონტექსტში; კრებული: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი“, თბ., 2016;
ფუტკარაძე, 2019: ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები, თბ., 2019;
ფუტკარაძე, 2019ა: ტ. ფუტკარაძე, 1991 წლის აპრილ-მაისში აჭარაში განვითარებული მოვლენები, „უახლესი ისტორიის ცენტრის“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია, 10-12 აპრილი, 2019. უახლესი ისტორიის ცენტრის კრებული: ზვიად გამსახურდია - პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა, გვ. 196–220. თბ., 2020. გამომცემლობა „არტანუჯი“ (იბეჭდება); Occurrences during April-May, 1991 in Achara, Collection of the Center of Recent History: Zviad Gamsakhurdia – Politics, Science, Literature, pg.196-220. Tb., 2020. Publishing House “Artanuji”. The Center of Recent History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Humanitarian Science Faculty and Publishing House “Arjanuji” joint scientific conference, April 10-12, 2019, Tb.
შარაშენიძე, 2006: Л. Шарашенидзе, Заметки десантника-комиссара, Тбилиси, 2006;
შველიძე, 2008: დ. შველიძე, პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წ.წ), თბ., 2008;
შონია, 2020: ჯ. შონია, „სიმართლე და სიცრუე ქართული სახელმწიფოსა და დემოკრატიის თანამედროვე პრობლემებზე“, თბ., 2020 წ. გამომცემლობა „უნივერსალი“(იბეჭდება);
ჩხეიძე, 2015: რ. ჩხეიძე, ეკლის გვირგვინი, თბ., 2015;
ცომაია, 2018: ლ. ცომაია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, თბ., 2018;
ჯონსი, 2013: ს. ჯონსი, საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თბ., 2013. Stephen Jones, Georgia: A Political History since Independence, Tb., 2013.

Tariel Putkaradze

Malta Negotiation (02.12.1989), National Heros and Perspective of Georgia

The failure of the soviet ideology and economic system (partly thanks to R. Reagan's wise policy) in 1980s, paved the way for successful modernization of the soviet empire. The last stage of this process, covering the period 1985-1991, went down in history with the name Perestroika ("restructuring" in Russian). The finale of Perestroika was the agreement reached during the Malta Summit of December 2, 1989. Based on that agreement, in September 1991 the Soviet Union ceded the Easter Europe and three Baltic republics to the West. Russia used Malta Summit as an excuse for using armed forces to overthrow the Georgian Government that announced independence. In 1992-1993, the overthrow of Georgia's legitimate government was followed by grave results for Georgia. Particularly, in Abkhazia and Tskhinvali region – historical territories of Georgia – the armed formations of the Russian Empire committed genocide of Georgian people and ousted the survivors resisting the Russian occupation (regardless of their ethnic origin: Georgians, Abkhazians, Russians, Armenians…) from those territories (turning more than 400 000 people into IDPs). **The civilized world should make an impartial assessment** of the aggression committed by Russia in the Caucasus in 1990s; it is time to lay bare the true essence of the 1992-1993 coup d'état and the conflicts going in Abkhazia and Tskhinvali: **both times, in 1991-1992 and in 2008, Russia punished Georgia for announcing independence and making a pro-western choice**. What we are facing in Abkhazia and Tskhinvali region – historical districts of Georgia – are not "ethnic conflicts", but the war Russia has been waging against Georgia since December 22, 1991, for its orientation to the civilized west.

Great figures can influence public awareness even after their death. Since 1970s, Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava had been leading the national-liberation movement to achieve the goal they had set – **to restore the independence of the Republic of Georgia, which had been lost in 1921; to ensure protection of human rights and to preserve and develop the Georgian culture.** During the last 45 years, Georgia made significant steps in that direction (a referendum, de jure restoration of independence, the status of occupant give to the Russian army, a plebiscite on NATO membership etc.**). However, the struggle is not over**

yet: the fifth part of Georgian territory continues to be occupied by the Russian Empire, human rights are still violated and the Georgian identity is still at risk… Thus, there are more issues on the agenda, which need to be addressed. In this respect, it is significant to consider the policy pursued by Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava and to appreciate their self-sacrifice in the fight against the Russian Empire. Unfortunately, attempts are still made to discredit their names and distort their statements. Therefore, **in the near future the educational system and the new political spectrum of Georgia need to advance the true guiding principles of Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava** and to draw the attention of wide public and international community to those principles. Only through the correct political strategy and the support of international community is it possible to ensure the full de-occupation of Georgia, establishment of state institutions and **successful completion of the 50-year-old national-liberation movement.**

ქეთევან შენგელია

„მამა ხარ ყოველთა, ძეთათვის მზრუნველი“...
(ზვიად გამსახურდიას პოეზიის მიხედვით)

ყოფილი დისიდენტი, შემდგომში საქართველოს პირველი პრეზიდენტი, მეცნიერი და მკვლევარი, მთარგმნელი და პოეტი ზვიად გამსახურდია მხსნელად მოგვევლინა, როცა ერის გამოღვიძება და თითქმის განკურნება აუცილებელი იყო ჩვენი მარადმებრძოლი ქვეყნისთვის. გამხდარიყავი საქართველოს პირველი პრეზიდენტი „წითელი საბჭოეთის“ დროს, იყო უძნელესი, მაგრამ გამხდარიყავი საქართველოს ეროვნული გმირი, თან იმ ეპოქაში, რომელსაც გმირთა შობის დიდი რესურსი კარგა ხანია აღარ გააჩნდა, ეს იყო საოცრება. ზვიად გამსახურდიამ ორივე მოახერხა და, თან ისე, რომ ერში დარჩენილი საბრძოლო რესურსი და ეროვნული ღირსება მთლიანად გამოამჟღავნა. ამ მრავალმხრივი პიროვნების შესახებ დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, მით უფრო, რომ მტრობაც სასტიკი ფორმით გამოუცხადეს სამშობლოს სიყვარულისთვის. მისი ბრძოლის და შრომის თანამგზავრი ყოველთვის იყო ხელოვნება და მეცნიერება. ვიცით, რომ, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე, ისე იჩქერიაში დევნილობის პერიოდშიც კი, ზვიად გამსახურდიას არ შეუწყვეტია ლიტერატურულ-სამეცნიერო ძიებები. მას სამშობლოს და ლიტერატურის გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო. ჩვენი დიდი მეფეების მსგავსად, პოეზია მისი ცხოვრების ერთ-ერთი თანამგზავრი იყო. მწუხარების ჟამს თეიმურაზ მეფე, არჩილი, დავით აღმაშენებელი... ქართველი კაცისთვის არა გასართობად და სალხენად, არამედ თავისი მრწამსის გასამხელად, პიროვნული ღირსების გასამჟღავნებლად პოეზიას მიმართავდნენ, როგორც დიდ და მნიშვნელოვან თავშესაფარს. ამგვარი აზროვნების გამგრძელებელი იყო ზვიად გამსახურდიაც. ოღონდ, მეფენი, პირდაპირ ადიოდნენ ტახტზე, ხალხის მერყეობის გარეშე და მტრობა მერე იწყებოდა, აქ კი, ერის ლიდერობისთვის არა მარტო საქართველოს მტრებს, ქართველ მოშურნეებსაც „გაუსკდათ გული“, რასაც ქვეყნის წინსვლაც გადააყოლეს. ისტორია კი, თავის სახელს არქმევს უკვე ყველაფერს. ამჟამად კი, ჩვენ გვაინტერესებს ზვიად გამსახურდია, როგორც პოეტი. მის შემოქმედებაზე ფიქრი ხელახალი კვლევებით უნდა გაგრძელდეს. ყოველი ახალი ლიტერატურული პერიოდისთვის ისედაც დამახასიათებელია ნებისმიერი მნიშვნელოვანი ავტორის შეფასება თავისი ისტორიული დროის თვალსაწიერიდან.

არიან ხელოვანი ადამიანები, რომლებიც სრულებით არ ჰგვანან თავიანთ შემოქმედებას, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთა მხატვრული ტექსტებიც საოცრად ემსგავსებიან ავტორის ცხოვრებისეულ წესს. მათ შემოქმედებაში წარმოჩენილი ზოგადსაკაცობრიო, ფილოსოფიური თუ სხვა თემები, ისეთივე მნიშვნელოვანია პოეტისთვის, როგორც მისი ლირიკული ორეულისთვის. ასეთ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის ზვიად გამსახურდიაც და რადგან ადამიანის ბუნების საუკეთესო თვისებათაგანი აზროვნებაა, აქვე ჩნდება ერთი კითხვა: სიკეთისკენ არის მიდრეკილი პიროვნების აზროვნება თუ ბოროტებისკენ? სწორედ ამას აქვს მნიშვნელობა, რაკი მოაზროვნეთა ნაწილს, მსოფლიო ისტორია რიგ შემთხვევებში საქციელს ვერ უწონებს და იგივე შეიძლება ითქვას შემოქმედთა ცხოვრებისეულ განაცხადზეც. ზვიად გამსახურდიას პოეზია მისი ღირსეული ცხოვრების ანარეკლია. „არ მეგულება კაცი, რომელიც გადარჩება, თუ იგი უსამართლობას აღუდგება წინ. არა, ვისაც სურს, რომ თუნდაც მცირე ხნით გადარჩეს, სამართლიანობის მქადაგებელ კერძო კაცად უნდა დარჩეს, საზოგადოებრივ სარბიელზე კი ფეხიც არ შედგას“ (სოკრატე, 2013: 39). ეს კარგად უნდა სცოდნოდა ზვიად გამსახურდიას და მაინც იტვირთა საქართველოს ბედზე ზრუნვა, ამიტომ, თუ „ლიტერატურულ სიმართლეზე“ ვისაუბრებთ მის პოეტურ ქმნილებებში კითხვის დასმაც კი ზედმეტი გარჯა იქნება. ამ ასპექტის მხრივ, ვერც ერთი ლექსი, ზვიად გამსახურდიას პოეზიაში, რომელიც ჩვენს წარსულსა და ქვეყანას, სარწმუნოებას ეხება, ეჭვის საგანი ვერ გახდება.

მკითხველის თანაგანცდა დამოკიდებულია უპირველეს ყოვლისა იმაზე, თუ რის მოსმენა სურს მას მწერლისგან. თუ მხატვრულ ტექსტში არ იკვეთება შემოქმედის ეროვნება, აგრეთვე, დრო და სივრცე, რაშიც მოქცეულია ავტორის ლირიკული ორეული, მაშინ არც წარსული ჩანს ტექსტში და აქედან გამომდინარე - არც აწმყო; ამიტომ, ინტერესიც ბევრად ნაკლებია, რადგან ადამიანის ბუნება მიდრეკილია მისთვის გასაგები და მარადიული პრიორიტეტებისკენ.

ფილოსოფიურ ლირიკას ახასიათებს ხცოვრების რაობის შესახებ დასმული კითხვები: საიდან იბადება ადამიანში სწრაფვა საკუთარი პიროვნებისა და სულის შესაცნობად? სად იწყება და მარადიულობის საკუთრება როგორ ხდება მშვენიერება? ამქვეყნიური არსებობის მიღმა, კიდევ რას უნდა მიენდოს ადამიანი? რა არის ღალატი ან მარტოობა? ამგვარი კითხვებით გაჯერებულია ზვიად გამსახურდიას პოეზია.

„პირველადი და უმთავრესი საკითხი ესაა სამყაროსა და მარადისობისადმი ჩვენი მიმართება, რომელიც უსათუოდ უნდა დაეყრდნოს სულის უკვდავების იდეას. მარადისობა თუ მართლაც მარადისობაა, ამსოფლად, მას მხოლოდ ადამიანის უკვდავი სული შეესატყვისება...“ (კოსტავა, 1991: 25) ამ საკითხსაც მოიაზრებს, სხვა დანარჩენთან ერთად ზ. გამსახურდიას ლირიკა.

„მამა ხარ ყოველთა, ძეთათვის მზრუნველი...
უფალო, ამაცდინე, ესე სასუმელი.“

(გამსახურდია, 1989: 66)

როცა პოეზიაზე ვსაუბრობთ განსახილველია ზვიად გამსახურდიას შემოქმედების თემატური პრიორიტეტები და ის ასპექტები, სადაც ავტორი რელიგიურსა და სამშობლოს თემას განუყოფელ მთლიანობად მიიჩნევს. საინტერესოა მისი ფილოსოფიური და მსოფლმხედველობრივი კრედო; მოვიგონოთ ლექსი „მესხეთისადმი“:

„შენ გეზმანება ვაჰანი და ძველი ვარძია,
სამსარი, კლდეში შეხიზნული გედივით წუნდა,
შოთას აკვანი მადლიანი ვინაც არწია,
ვინაც ჯვარცმული იყო მარად და არ შეძრწუნდა.
შენ გეზმანება გარუჯული სამცხის სერები,
მუნჯი მოწამე წარსულისა - მდუმარე მტკვარი,
ცისკაბადონზე სპილენძის და ტყვიის ფერები,
კუმურდოს თაღი დაღარული და ზარზმის ზარი.“

(გამსახურდია, 1989: 8)

ეს საკმაოდ ვრცელი ლექსია, ათი კუპლეტისგან შედგება. სადაც დასახელებულია საქართველოს ტაძართა და ისტორიულ ადგილთა საკმაოდ დიდი რაოდენობა: ოლთისი და მდუმარე ბანა, იშხანი, ოშკი, პარხალი, ხახული, ხანძთის უდაბნო, თმოგვი, ვარძია... აქვე გვხვდებიან სარგის თმოგველი და თამარ მეფე, ავტორი მოიგონებს შავთელსა და რუსთველს. აღტაცებით უმღერის პოეტი საქართველოს აღზევების ხანას. ამ ლექსს ახასიათებს ორთემიანობა. აქ პატრიოტული მოტივი და მართლმადიდებლური ასპექტი ერთად არის წარმოდგენილი. იგივე ლექსი, სწორედ წმინდანის ხატის გაცოცხლებით მთავრდება:

„გარდასულ ჟამის ამ ხილვებით მარად ნეტარი,
მტკიცე ნაბიჯით მომავლისკენ მიიკვლევ შარას,
წმინდა გიორგი, საქართველოს სულის მხედარი,
ფერისცვალების მაღალ მთაზე დაგიდგამს კარავს.“

(გამსახურდია, 1989: 9)

ამგვარი ორი თემის შემოტანით ხასიათდება ზ. გამსახურდიას სხვა ლექსებიც მის პოეზიაში: წრომი, ქაშვეთი, ლაშარის ხატი, მთაწმინდა და სხვა.

ზვიად გამსახურდია ძირითადად ინტიმურ-მედიტაციურ პოეზიას გვთავაზობს, იშვიათად შეინიშნება მასთან სამოქალაქო-პუბლიცისტური პოეტური განაცხადები, თუმცა ამ მიმართულების ლექსებს მთლიანად ვერ გამოვრიცხავთ მასთან. მედიტაციური პოეზია, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მეტ ლირიზმსა და ლირიკულ განწყობილებებს გულისხმობს, ამიტომ, თვით ისეთი ლექსებიც, რომლებიც თითქოს საომარ კიჟინას და ომახიან შეძახილებს უნდა გულისხმობდნენ აქ სრულიად განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი. ამ სტრიქონებში თავიდან ბოლომდე (ლექსი რვა კუპლეტიანია) მხატვრული სახეთა სიჭარბე შეიმჩნევა, მუსიკალური ჰაეროვნებაც საგრძნობია კარგი რიტმის გამო, რასაც იწვევს მარცვალთა თანაბრობა სტრიქონებში. გარდა ამისა, პოეტი აცოცხლებს მივიწყებულ, ძველ ქართულ სიტყვებს, რაც ენის გამდიდრებისთვის ესოდენ სასურველი და აუცილებელია დღეს. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ლექსი - მარაბდა:

„ზრიალი ზუჩთა და ზარადთა
ზმა არი ზოგან და ზარი,
ანდეზობს ზაკვილი მარაბდა
ფარციხეს დაეტყო ზარი.
შაჰის მოკაშკაშე შიმშერი
გიორგის ელვარე გორდა
მარჯან-მოჯარული გიშერი
შთენია ქართა და ქორთა“...

(გამსახურდია, 1989: 31)

ზ. გამსახურდიას პოეზიაში ჭარბობს სამშობლოს „ხატი“. დავასახელოთ თუნდაც ლექსები: „მესხეთისადმი“, „განთიადი არმაზისხევში“, „ქაშვეთი“... არის მხოლოდ რელიგიურ თემაზე შექმნილი ლექსებიც. მიძღვნითი ხასიათის თემაც საკმაოდ გვხვდება მის პოეტურ სამყაროში. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ლექსები: „მთვარის ნიშნობა“ (გალაკტიონ ტაბიძისადმი), „კონსტანტინე ჭიჭინაძისადმი“, „ქართველი ჯარისკაცი კიევთან“ (ზურაბ ფალავანდიშვილის ხსოვნას), „ლაშარის ხატი“ (ვახტანგ რაზიკაშვილისადმი), „პალადიუმის რაინდისადმი“ (ბაირონისადმი), „ბოდლერი“, „დავით კაკაბაძე“ და სხვა. სიყვარულის თემას ვერსად წაუვა პოეტი, ზვიად გამსახურდიას პოეზიაშიც ვხვდებით ამ თემას. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „შენი ღიმილი (სონეტი მანანასადმი)“, რომელიც ავტორს ძვირფასი მეუღლის-

თვის მიუძღვნია. ეს ლექსიც შეიძლება მივაკუთვნოთ ორთემიან მხატვრულ ტექსტს (მიძღვნითი ხასიათის და სიყვარულის თემა), არც ერთი არ იქნება შეცდომა.

„სევდიან ღამით მომაგონდა შენი ღიმილი
და ოცნებათა განწირულ გზებს მიჰყვა ფიქრები,
ვიცი დღეიდან მწუხარებით შეიფიფქები,
ჩაღამდებიან ეგ ღაწვები, იდუმალმშვენი.

. . .

გამართე მზერა, მოიმარჯვე იმედის ფარი,
გრძნობათა შენთა საკმეველი უკმიე ხატებს,
და როს დიდებით განიხვნება აღსავლის კარი
შეიწირავენ ლოცვას შენსას მოანდამატეს.“

(გამსახურდია, 1989: 52)

ავტორის ზოგადი ინტერესების გათვალისწინება, რომელიც პოეზიის სფეროს ეხება, მსოფლიო ლიტერატურის თვალსაზრისით ყოველთვის საინტერესოა. ხშირ შემთხვევაში წარსულის გამოცდილება ასაზრდოვებს პოეტს და სანამ საკუთარი სულიერი სამყაროს ლაბორატორიაში ხელახალ სიცოცხლეს შეიძენენ განცდები, ავტორი შექმნამდე ემორჩილება ინფორმაციულ „მუდმივ-მიმღეობის“ მდგომარეობას (რაღა თქმა უნდა ინტელექტუალურ ავტორებს ვგულისხმობთ). ამ მხრივ, არ შეიძლება არ ვახსენოთ შარლ ბოდლერის „ლექსები პროზად“, რომელიც გამსახურდიას მიერ არის თარგმნილი. მთარგმნელი, ფრანგული მოდერნის ერთ-ერთი ფუძემდებლის პოეტურ მრწამსს და სიმბოლოებით აზროვნების სისტემას სრულად გადმოგვცემს. ფრანგულმა ლიტერატურამ მაშინ ახალი ეტაპი დაიწყო მსოფლიო ლიტერატურაში. თუ კარგად დავუკვირდებით ზ. გამსახურდიას ინტერესს მსოფლიო ლიტერატურის მიმართ, მივხვდებით, რაოდენ მასშტაბური და ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ავტორების სააზროვნო სივრცეებია მისთვის მისაღები. „ადამიანური პიროვნების ყოვლისმომცველობა, მარადიულობა, აღძრავს ენთუზიაზმს პოეზიისას“ (გამსახურდია, 1991: 266) - წერს ის უოლტ უიტმენის მიმართ მიძღვნილ წერილში. მას ხიბლავს, რომ უიტმენის შემოქმედებისთვის, ადამიანი არის, როგორც ხატი ღვთისა და აგრეთვე, როგორც თავად მიწიერი ღმერთი. საინტერესოა მისი კოსმიური არქეტიპებიც. გამსახურდია ხსნის უიტმენისა და მისგან სრულიად განსხვავებული ამერიკელი პოეტის - კარლ სენდბერგის რეალისტური რეფორმების თემას. ეს სამი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული პოეტი გასაოცარი სიფაქიზით მოაქვს ჩვენამდე მას.

გათვალისწინებულია ზვიად გამსახურდიას დიდი ინტერესიც ჩვენი რენესანსული ხელოვნების უმაღლესი მწვერვალით -

ვეფხისტყაოსნითაც. ამის გარეშეც ძნელი გახდებოდა ამ მასშტაბური და თითქმის ენციკლოპედიური ცოდნის მქონე პიროვნების შემოქმედების განხილვა. მოვიგონით ლექსი - „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“ და მისი წიგნი, რომელიც ვეფხისტყაოსანს ეხება - „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“.

გასათვალისწინებელია თვით ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულება ლიტერატურის კვლევის მეთოდოლოგიის მიმართაც. ის, თავად მიიჩნევს, რომ ლიტერატურის ისტორია განუყოფელია აზროვნების, სულის ისტორიისგან. დიდი ლიტერატურა ყოველთვის ღრმა ურთიერთკავშირში იმყოფებოდა თავისი ეპოქის მითოლოგიურ, რელიგიურ-ფილოსოფიურ, თუ მხატვრულ აზროვნებასთან და თავად იყო გამომხატველი ყოველივე ამისა. ზ. გამსახურდიას შემოქმედების განხილვის დროს, განსაკუთრებით უნდა გამოიკვეთოს ის ლექსები, რომლებიც სამშობლოსა და რელიგიის თემებს ეხება და შემდგომისათვის უფრო ზედმიწევნით გაირჩეს, სადღეისოდ, ჩვენ მხოლოდ ნაწილი წარმოვადგინეთ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მის პოეზიას ახასიათებს მხოლოდ განწყობილებითი ხასიათის (რომლებსაც თემა არ გააჩნიათ) ლექსებიც.

ზვიად გამსახურდიას პოეზიის განხილვისას გამორჩეულად უნდა დაეთმოს ყურადღება სალექსო საზომსა და რითმას, სადაც რითმისა და რიტმის განსხვავებული სახეები იკვეთება. რითმიან ლექსებს მიეკუთვნება მისი პოეზია. ხშირ შემთხვევაში ის იყენებს ჯვარედინ, ან ინტერვალიან რითმის სახეს. იყენებს სხვადასხვა მარცვალთა რაოდენობას სტრიქონებში. ზოგი ლექსი თოთხმეტრმარცვლიანი საზომით აქვს შექნმილი, ზოგი თერთმეტმარცვლიანით, ცხრა მარცვლიანით და ასე შემდეგ. ის მკვეთრად არ ანიჭებს უპირატესობას რვა, ათ ან თექვსმეტმარცვლიან ლექსებს, რაც ძალიან გავრცელებულია ქართულ პოეზიაში; თუმცა, თითეულ ლექსში იცავს კონკრეტულად იმ ლექსთვის არჩეულ საზომს და მასში მარცვალთა ზუსტ რაოდენობას, რაც განსაზღვრავს მუსიკალურ ფონს და რიტმულ თავისებურებას.

პოეზია არ არსებობს მხატვრული სახეებისა და მხატვრული აზროვნების გარეშე. ამ მხრივ, ზვიად გამსახურდიას პოეტური ხატები და პრობლემათა დასმის ორიგინალურობა განსაკუთრებულ ინტერსს ბადებს. მოვიგონოთ, თუდაც, ლექსი „პოეტი და მუზა“, სადაც მუზამ აიღო ქრთამი. აქ ორიგინალურია პრობლების მიმართ მიდგომა.

მხატვრული სახეებით აზროვნება ლექსის ლირიზმის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ასპექტია. ამის მაგალითები უხვად არის ზვიად გამსახურდიას პოეზიაში: „მწუხრის დავანების“ ნიშანი: „ვარსკვლავთა მძივია“, „მოწამე მისანი მტკვარია“, მგლისფერი

თვალები სატანის ვალებთან არის გაიგივებული, მწუხარება შედარებულია ათენას გველთან, „მთები ფერხულში ჩაბმული დევები“ არიან და სხვა.

ისტორიზმები, მითოსი, ანტიკური სივრცე, გამორჩეულად ქრისტიანული აზროვნება, ქართულ გეოგრაფიულ მიდამოთა უხვად გაცოცხლება და ლირიკული სამყაროს ნაწილობრივი რაციონალიზირება, შემეცნებითი ღირებულებების გამჟღავნება და ფილოსოფიური ასპექტები დამახასიათებელია ზვიად გამსახურდიას პოეზიისთვის. ერთი შეხედვით, ყოველივე ეს, თითქოს ნაკლებად შეიმჩნევა, სინამდვილეში კი ვხვდებით, რომ მხოლოდ ხელმეორედ წაკითხვის შემდეგ შეიძლება მისი მხატვრული ტექსტების გააზრებაზე ფიქრის დაწყება.

ქართულ ლიტერატურაში წარსულში დაფუძნებულ ლიტერატურულ მიმდინარეობათა და სკოლათა ანარეკლიც ჩნდება ზ. გამსახურდიას პოეზიაში: რომანტიზმის ნიშნები იქნება ეს თუ „აკადემიური ასოციაციის“ მიერ დამკვიდრებული ორიენტირები, ოღონდ ის სრულებით განსხვავებული მხატვრული სახეებით აზროვნებს. ზვიად გამსახურდიას საკუთარი პოეტური ხელწერა აქვს.

ყოველი შემოქმედისთვის სამწერლო ენა მთავარ ბერკეტს წარმოადგენს. დღეს, ზოგიერთი „მწერლისთვის“ აკადემიზმი „მოდაში“ აღარ არის, რაც არასასურველ პრობლემას შეუქმნის კულტურას. ამ მხრივაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზვიად გამსახურდიას სამწერლო ენა და მისი პოეზია. ის თავისუფალია სკაბრეზისა და ბარბარიზმის „სახადისგან“. ავტორისეული სამწერლო ენის სისადავე და დახვეწილობა, მივიწყებული სიტყვების გაცოცხლება მიუთითებს პოეტის ინტელექტუალურ განაცხადზე. მიხეილ ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ენა ყველაზე მთავარი ბერკეტია მწერლისთვის, ამის გარეშე ღირებულს ვერაფერს შექმნის ავტორიო. ამ თვალსაზრისს იზიარებს ზვიად გამსახურდიაც საკუთარ სამწერლო ენასთან მიმართებით.

დამოწმებული ლიტერატურა:

გამსახურდია, 1989: ზ. გამსახურდია, მთვარის ნიშნობა, თბ.,1989;
გამსახურდია, 1991: ზ. გამსახურდია, წერილები, ესეები, თბ.,1991;
კოსტავა, 1991: მ. კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ.,1991;
სოკრატე, 2013: სოკრატე, სიბრძნის ენციკლოპედია, თბ., 1991

Ketevan Shengelia

„You are the Father of All Things, Guardian of Your Sons" (According to Zviad Gamsakhurdia Poetry)

The introduction of the speech is dedicated to a general discussion of the personality of Zviad Gamsakhurdia. Later he is presented as a poet and a writer.

Is shown thematic priorities of Zviad Gamsakhurdia and the aspects, where the author perceives religious theme and the theme of homeland as an inseparable one; these motives are of prior importance in his poetry. There are some specific group of poems that are dedications to some people or events and the poems - revealing the sentiments; coverage of two themes simultaneously is also observed.

His philosophical and world view credos are discussed as well; are stated his extended interest towards the world literature. Zviad Gamsakhurdia's translations of poetry are also observed.

The present work covers a personal attitude of Zviad Gamsakhurdia towards the methods of research of literature. Poet's attitude towards mythology is also shown.

When discussing poetry of Zviad Gamsakhurdia, we pay attention to the rhythm and ntersyllabic pauses, where the different forms of rhyme and rhythm are detected.

There is no poetry without an artistic images and creative thinking. In this respect, poetic images and the original way of presenting the problems in Zviad Gamsakhurdia works, invite special interest. This theme is thoroughly covered in the presented work.

Historicism, myths, antic space, outstanding orthodox thinking,vivification of geographical objects and partial rationalization of a poetic world, unveiling the cognitive values and philosophical aspects are characteristic features of Zviad Gamsakhurdia poetry.

Literary language is a main leverage for each creative worker. Today academism is out of "fashion" among some, so called "writers," which will bring some undesirable problems into the cultural sphere. In this respect, literary language and poetry of Zviad Gamsazurdia also calls for a special attention. He is free from the threat of being infected by barbarisms and scabrousness; his style is refined and simple. These very topics will be covered in the conclusion of the given speech.

ლევან ჯიქია

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება და კონსტიტუციური პრობლემები საქართველოში

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი დაიწყო, საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა ვერ აკონტროლებდა სიტუაციას, ქვეყანაში ფაქტიურად ორხელისუფლებიანობა დამყარდა. ხელისუფლება იძულებული გახდა 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში უზენაესი საბჭოს არჩევნები დაენიშნა, რომელშიც გაიმარჯვა საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“. საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ეროვნული მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია გახდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე დღის წესრიგში დადგა უმნიშვნელოვანესი საკითხი: რომელი უზენაესი კანონით ანუ კონსტიტუციით უნდა მომხდარიყო ქვეყნის მართვა?

საქართველოში პირველი კონსტიტუცია 1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცდა, თუმცა, საბჭოთა ოკუპაციის გამო, მას არ უმუშავია. საბჭოთა საქართველოში სხვადასხვა დროს ოთხჯერ მიიღეს კონსტიტუცია, მათ შორის ბოლო კონსტიტუცია 1978 წლის 15 აპრილს დამტკიცდა, რომელშიც ცვლილებები და დამატებები შევიდა 1984 წლის 7 იანვარს, 1986 წლის 5 ივლისს, 1989 წლის 18 ნოემბერსა და 1990 წლის 20 მარტს.

ახალი კონსტიტუციის შემუშავება და მიღება, ცხადია, გარკვეულ დროს მოითხოვდა, მანამდე კი ქვეყანას უნდა ეხელმძღვანელა ან მოქმედი, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციით ან აღდგენილად გამოეცხადებინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მიღებული კონსტიტუცია. 1921 წლის კონსტიტუციას ჰქონდა ძლიერი და სუსტი მხარეები, თუმცა მისი აღდგენა ცვლილებების გარეშე გარკვეულ უხერხულობას შექმნიდა, კერძოდ:

ა) 1921 წლის კონსტიტუციაში არ ფიგურირებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. როგორც ვიცით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ბოლშევიკებმა 1922 წელს ხელოვნურად შექმნეს. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კრემლის წაქეზებით, ოსი სეპარატისტები

გააქტიურდნენ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება ან სტატუსის შეცვლა, მათ სეპარატისტულ მისწრაფებებს კიდევ უფრო გააძლიერებდა. შესაბამისად, 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის შემთხვევაში, აუცილებელი იქნებოდა მასში ცვლილების შეტანა სამხრეთ ოსეთის სტატუსთან მიმართებაში;

ბ) 1921 წლის კონსტიტუციაში აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის ოლქი) და ზაქათალას (ზაქათალას ოლქი) ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა ენიჭებოდათ (საქართველოს კონსტიტუცია, 1992: 30). საბჭოთა საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციით აფხაზეთსა და აჭარას მინიჭებული ჰქონდათ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში (საქართველოს კონსტიტუცია, 1990: 28-29). აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის თავში „აფხაზეთის ასსრ ეროვნულ-სახელმწიფო და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობილება“ აღნიშნული იყო: „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უფლებების ფარგლებს გარეთ აფხაზეთის ასსრ დამოუკიდებლად სწყვეტს საკითხებს, რომლებიც მის უფლებამოსილებაში შედის“ (აფხაზეთის კონსტიტუცია, 1925: 18). აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შეცვლა, კრემლის წაქეზებით, ასევე აფხაზი სეპარატისტების გააქტიურებას გამოიწვევდა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის გარდა, გამყარებული იყო 1921 წლის 13 ოქტომბერს დადებული ყარსის ხელშეკრულებით. ყარსის ხელშეკრულების გაუქმებას ოთხივე ხელმომწერი სახელმწიფოს (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი) თანხმობა სჭირდებოდა. აჭარის მიმართ თურქეთის გეოსტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, ცხადია, ამის მიღწევა არც ისე ადვილი იყო. რაც შეეხება ზაქათალას (ჭარბელაქანს), ის საბჭოთა საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ საბჭოთა აზერბაიჯანს დაუთმო და საქართველოს შემადგენლობაში არ შედიოდა;

გ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებისას არ არსებობდა საბჭოთა კავშირი და, ცხადია, მისი კონსტიტუციაც. აქედან გამომდინარე, 1921 წლის კონსტიტუცია არ შეიცავდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციისაგან დამცავ იურიდიულ მექანიზმს;

დ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობის ფორმა, სახელმწიფო ინსტიტუტები და ა.შ. მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა საბჭოთა საქართველოში 70 წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული ინსტიტუტებისაგან. აქედან გამომდინარე, ცხადია, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებისთვის 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა სახელმწიფო ინსტიტუტების შეუფერხებელ ფუნქციონირებას გარკვეულ საფრთხეს შეუქმნიდა.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებებიდან გამომდინარე უალტერნატივო გახდა 1978 წლის კონსტიტუციის ძალაში დატოვება, თუმცა მისი მიღება რედაქტირების გარეშე, ცხადია, შეუძლებელი იყო.

აღნიშნულ პრობლემაზე საუბრობდა 1990 წლის 14 ნოემბერს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია: „...დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო და მისი კონსტიტუცია იურიდიული თვალსაზრისით დღესაც განაგრძობს არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ ამ კონსტიტუციის მოქმედება დროებით შეჩერდა ანექსიის შედეგად, საქართველოს ტერიტორია იურიდიულად კვლავ ერთიანი და განუყოფელია, მასზე არ მოქმედებს არც ერთი უცხო სახელმწიფოს კონსტიტუცია, მათ შორის არც სსრკ-ს კონსტიტუციები 1936 და 1978 წლისა. მართალია საბჭოთა იმპერიამ საქართველოს ძალადობით თავს მოახვია თავისი კონსტიტუცია, მაგრამ ჩვენი თვალსაზრისით მისი მოქმედება დღემდე მხოლოდ ფაქტობრივი იყო და არა იურიდიული.

ამჯერად ჩვენ წინაშე დგას ორი არჩევანი. დამოუკიდებელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების მიერ შედგენილი კონსტიტუციის აღდგენა, მისი მოქმედების განახლება ვერ გამოიღებს სასურველ ნაყოფს, ვინაიდან გაძნელდება მისი მისადაგება თანამედროვე პოლიტიკური ვითარებისადმი. გარდა ამისა, იგი არ შეიცავს იმპერიული კონსტიტუციისაგან დამცავ იურიდიულ მექანიზმს, როგორიც აქვს დღესდღეობით არსებულ კონსტიტუციას მისი 77-ე მუხლის სახით (ეს მუხლი გულისხმობდა შემდეგს: სსრ კავშირის კანონებსა და რესპუბლიკის კანონებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში მოქმედებენ საქართველოს რესპუბლიკის კანონები - ლ. ჯ.).

ამიტომ ჩვენი აზრით, გარდამავალი პერიოდის დროებითი ძირითადი კანონი უნდა დაფუძნდეს ისევ არსებულ კონსტიტუციაზე მასში ფუნდამენტური ცვლილებებისა და დამატებების შეტანის გზით, რათა არ შეიქმნას საკონსტიტუციო ვაკუუმი ახალი ეროვნული კონსტიტუციის შექმნამდე...“ (ხოსიტაშვილი, I, 2013: 25-27).

1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ ხელი მოაწერა კანონს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ. შესაბამისად საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები და მასში ჩაიწერა: „ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს არსებული კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით იმოქმედებს გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი.

კონსტიტუციის დასახელებასა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, „საქართველოს სსრ რესპუბლიკა“, „საქართველოს სსრ“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკა“ (ხოსიტაშვილი, I, 2013: 26). კონსტიტუციის 68-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „საქართველოს რესპუბლიკა არის სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრე სახელმწიფო. იგი ძალადობით არის შეყვანილი სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამ რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკა მხოლოდ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში იძულებულია უზრუნველყოს სსრ კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით, გარდა ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-11 პუნქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებისა.

ზემოთ აღნიშნულ ფარგლებს გარეთ საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე“ (ხოსიტაშვილი, I, 2013: 20). ცვლილებები შევიდა კონსტიტუციის იმ მუხლებში, რომლებიც სახელმწიფო გერბს, დროშას და ჰიმნს ეხებოდა (ხოსიტაშვილი, I, 2013: 21-22).

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ცდილობდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებისათვის სეპარატისტული ძალები დაეპირისპირებინა და ამ გზით საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი შეეჩერებინა. კრემლიდან მხარდაჭერილი სეპარატისტები, უკანონოდ მიღებული კანონებით, არღვევდნენ საქართველოს კონსტიტუციას, შესაბამისად საქართველოს უზენაეს საბჭოს იძულებითი კონტრნაბიჯების გადადგმა და რესპუბლიკის კონსტიტუციაში გარკვეული ცვლილებების შეტანა უწევდა. მაგალითად 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. დადგენილებაში ნათქვამია, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სეპარატისტული ძალები ცდილობენ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ შექმნით მოახდინონ სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია, რაც ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, ისე საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას და საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს. 9 დეკემბერს ჩატარდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები. საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო შემდეგი დადგენილება:

1. „გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.
2. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, მისი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო - აღმასრულებელი კომიტეტი და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები.
3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის N2 დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“ და საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“.
4. დადასტურდეს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები სეპარატისტული ძალების მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად გარდაქმნის ანტიკონსტიტუციურობის შესახებ. ცნობილ იქნეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები.

5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიამ წარმოადგინოს წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.
6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ:
   - საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ;
   - განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ზომები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, თვითმარქვია ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფუნქციონირების აღსაკვეთად;
   - შეუსაბამოს მთავრობის გადაწყვეტილებები ამ კანონს.
7. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ განიხილოს და გადაწყვიტოს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არ დაემორჩილნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებებს, უხეშად დაარღვიეს კონსტიტუციით დადგენილი არჩევნების ჩატარების წესები, ხელყვეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, ბოროტად გამოიყენეს თანამდებობის პირთათვის კანონით მინიჭებული უფლებები და რწმუნებები.
8. კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე“ (უწყებები, 1990: 10-12). კონსტიტუციის მე-9 თავი ამოღებულ იქნა. კონსტიტუციის 71-ე, 72-ე, 104-ე, 108-ე, 112-ე, 119-ე, 125-ე, 128-ე, 137-ე, 150-ე, 163-ე, 164-ე, 177-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნა სიტყვა სამხრეთ ოსეთი. კონსტიტუციის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატა შემდეგი სიტყვები: „ავტონომიური ოლქების გაუქმება“. კონსტიტუციის 113-ე მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „აქვეყნებს ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისათვის - ავტონომიური რესპუბლიკის ენაზე საქართველოს რესპუბლიკის კანონებსა და სხვა აქტებს, რომლებსაც მიიღებენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე“ (უწყებები, №12, 1990: 9-10).

უკიდურესად დაიძაბა ვითარება სამხრეთ ოსეთში. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას ბრალს სდებდა კონსტიტუციურ შეტევაში. ამასთან დაკავშირებით ზვიად გამსახურდია აცხადებდა: „...ჩვენ საბჭოთა კონსტიტუციას თავის ფარგლებში არ ვეხებით, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა მოქმედებდეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია. ასეთია ჩვენი პოზიცია. მაგრამ ისინი უძახიან კონსტიტუციურ შეტევას საბჭოთა კონსტიტუციაზე. დაუკვირდით ამ ტერმინებს, ე. ი. ფაქტობრივად, დაწყებულია კონსტიტუციური ომი სამაჩაბლოს საკითხებთან დაკავშირებით“ (ხოსიტაშვილი, I, 2013: 106).

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ დააფიქსირა პოზიცია აჭარის ავტონომიის მიმართ და აღნიშნა: „ავტონომია საქართველოს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ არაქართულ მოსახლეობას; ქართველთა ავტონომია საქართველოში, მკაცრად რომ არ ვთქვათ, დიდი შეუსაბამობაა, ამიტომ ის, რა თქმა უნდა, გასაუქმებელია; ჩვენი აზრით, მისი გაუქმების საკითხი თავად აჭარლებმა უნდა დააყენონ: მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება გაუქმების ფაქტი სამართლიანი და ბუნებრივი. ჩვენ არ ჩავერევით აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხში“ (ხოსიტაშვილი, I, 2013: 13).

თუმცა აქ ზვიად გამსახურდია არ ეხებოდა კიდევ ერთ პრობლემას - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შექმნილი იყო საერთაშორისო სამართლის აქტით, 1921 წლის 13 ოქტომბერს დადებული ყარსის ხელშეკრულებით და ავტონომიის გაუქმება შიდა სამართლებრივი აქტით, ცხადია, შეუძლებელი იყო.

ზვიად გამსახურდია აჭარის ავტონომიის საკითხს შეეხო 1990 წლის 7 დეკემბერს ამერიკელ ჟურნალისტ ედმუნდ სტივენსთან საუბრისას, სადაც მან აღნიშნა: „...ჩვენ გავაუქმებთ აჭარის ავტონომიას მხოლოდ აჭარელთა თანხმობით. ე. ი. რეფერენდუმის გზით... საქართველოში ქართველთა ავტონომიას არავინ არ იწონებს, აჭარის კომუნისტური მაფიის გარდა“ (ხოსიტაშვილი, I, 2013: 63).

არასახარბიელო ვითარება იყო აფხაზეთშიც. 1991 წლის 27 მარტს ზვიად გამსახურდიამ ვლადისლავ არძინბას მიმართა, რომელშიც აღნიშნა, რომ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ვალდებული იყო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოეყვანა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია, რაც არ

შესრულდა. „ამით თქვენ საფრთხეს შეუქმნით მოქალაქეთა მშვიდობიან ცხოვრებას, აღვივებთ ეროვნულ შუღლს, იწვევთ ყოვლად გაუმართლებელ დაპირისპირებას ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის, უხეშად არღვევთ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას“ - ნათქვამია მიმართვაში (ხოსიტაშვილი, I, 2013: 243).

საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის 5 აგვისტოს გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც შეჩერებულად გამოცხადდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 20 ივლისის ბრძანებულება „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ“, რადგან ის ეწინააღმდეგებოდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას და აფხაზეთის ასსრ კანონს „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ვერ მოხვდნენ გულრიფშის, ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონების აღმასკომების მიერ წარდგენილი კანდიდატურები. შესაბამისად დაირღვა აფხაზეთის ასსრ საარჩევნო კანონის მე-20 მუხლი, რომლის თანახმადაც ცენტრალური საარჩევნო კომისია უნდა დაკომპლექტებულიყო რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების წინადადებების გათვალისწინებით (ხოსიტაშვილი, I, 2013: 261-262).

1991 წლის 9 ივლისს აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 92-ე მუხლის მე-14 პუნქტში და 156-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, რომლის თანახმადაც აფხაზეთის ასსრ პროკურორი უნდა დანიშნულიყო სსრკ გენერალური პროკურორისა და საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანხმობით. ეს კანონი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 117-ე მუხლს, რომლის თანახმადაც „საქართველოს რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს ნიშნავდა საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოს წარდგინებით. 5 აგვისტოს გამოიცა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბრძანებულება, რომლითაც შეჩერებულად გამოცხადდა აფხაზეთის ასსრ 1991 წლის 9 ივლისის კანონი (ხოსიტაშვილი, II, 2013: 263-264).

1991 წლის 8 ოქტომბერს გამოიცა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ბრძანებულება, რომელშიც ვკითხულობთ: „1991 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის

ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ, რომლის სტრუქტურის, შტატებისა და საქმიანობის საკითხები შეუთანხმა სსრკ საბაჟო კომიტეტს.

პრეზიდიუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 15 სექტემბრის კანონს „საბაჟოს შესახებ“, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას არ მიაკუთვნებს საბაჟო სამსახურების შექმნას; ეწინააღმდეგება აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 82-ე მუხლს, რომლის თანახმადაც საქართველოს რესპუბლიკის კანონები სავალდებულოა და თანაბარი ძალით მოქმედებენ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე.

გარდა ამისა, პრეზიდიუმმა დაარღვია აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 103-ე მუხლი, რომელიც არ ანიჭებს მას კანონმდებლობითი ხასიათის გადაწყვეტილებათა მიღების უფლებას. ამით პრეზიდიუმმა გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას“. ზვიად გამსახურდიამ შეაჩერა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის აღნიშნული დადგენილება (უწყებები, №10, 1991: 13).

1991 წლის 24 ოქტომბერს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას განკარგულებით შეჩერდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“ და „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის იურისდიქციაში გადასვლის ღონისძიებათა შესახებ“ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება და მიჩნეულ იქნა ისინი იურიდიული ძალის არმქონედ (უწყებები, №10, 1991: 22-23).

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1991 წლის 26 ნოემბერს მიიღო დადგენილება „სამობილიზაციო რეზერვების მდგომარეობისა და აფხაზეთში ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ“. 1991 წლის 3 დეკემბერს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ: ეს აქტი აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულებას „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ“. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის

104-ე მუხლის 24-ე პუნქტის საფუძველზე საქართველოს რესპუ-ბლიკის უზენაესმა საბჭომ აფხაზეთის სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 26 ნოემბრის დადგენილება ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა (უწყებები, №12, 1991: 37-38).

ამდენად, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება იდგა არჩე-ვანის წინაშე: საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდე-ბლობის აღდგენის შემდეგ ეხელმძღვანელა საქართველოს დემოკ-რატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციით ან 1978 წლის საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციით. საქართველოს დე-მოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია არ შეიცავდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციისაგან დამცავ იურიდიულ მექანიზმს, გარდა ამისა 1921 წლის კონსტიტუციის ამოქმედება შექმნიდა გარკვეულ უხერხულობას საქართველოს შემადგენლობაში არსე-ბულ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან, აფხაზეთის ავტო-ნომიურ რესპუბლიკასთან და აჭარის ავტონომიურ რესპუბლი-კასთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ ძალაში დატოვა და ცვლილებები და დამატებები შეიტანა საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციაში. იმპერიული ძალები აქეზებდნენ აფხაზ და ოს სეპარატისტებს, რომელთა მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილებები საფრთხეს უქმნიდნენ საქართველოს კონსტიტუციის მოქმედებას ქვეყნის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება იძუ-ლებული იყო გარკვეული კონტრღონისძიებები გაეტარებინა. მართალია, დიდი ძალისხმევის შედეგად, თუმცა ზვიად გამსა-ხურდიას ხელისუფლებამ მოახერხა საქართველოს ტერიტორიუ-ლი მთლიანობის შენარჩუნება.

დამოწმებული ლიტერატურა:

აფხაზეთის კონსტიტუცია, 1925: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), თბ., 1925;
საქართველოს კონსტიტუცია, 1992: საქართველოს კონსტიტუცია, მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, თბ., 1992;
საქართველოს კონსტიტუცია, 1978: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), მიღებულია საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის მიერ 1978 წლის 15 აპრილს, თბ., 1990;
უწყებები, №12, 1990: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №12, თბ., 1990;
უწყებები, №10, 1991: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №10, თბ., 1991;
უწყებები, №12, 1991: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №12, თბ., 1991.
ხოსიტაშვილი, I, 2013: საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტომი I. ზვიად გამსახურდია (უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1990-1991), შემდგენელი მზია ხოსიტაშვილი, თბ., 2013;
ხოსიტაშვილი, II, 2013: საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტომი II. ზვიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1991), შემდგენელი მზია ხოსიტაშვილი, თბ., 2013.

Levan Jikia

The Government under Zviad Gamsakhurdia's presidency and Constitutional Problems in Georgia

Since 80s of the 20th century new stage of the national movement started in Georgia, the government of Soviet Georgia was not able to control the situation and actually two governments were established in Georgia. The soviet government of Georgia was forced to announce elections of Supreme Council on October 28, 1990 in which the electoral party "Round Table – Freedom of Georgia" won. The chairman of The Supreme Council of Georgia – Zviad Gamsakhurdia became a leader of the national movement. Zviad Gamsakhurdia's government faced two alternatives – to pursue the constitution of the soviet Georgia adopted in 1978 or to declare the constitution 1921 of Democratic Republic of Georgia as restored. It is noteworthy that the constitution of Democratic Republic of Georgia did not include juridical mechanisms in order to defend from the constitution of the Soviet Union. Therefore Zviad Gamsakhurdia's government left the constitution 1978 of Georgia into force and made several amendments to it. Imperial forces encouraged Abkhazian and Ossetian Separatists and the illegal decisions taken by them posed threats towards action of the constitution of Georgia in certain parts of the territory of the country. Zviad Gamsakhurdia's government was forced to take some counter-measures that were reflected in the constitution of Republic of Georgia. Zviad Gamsakhurdia's government managed to maintain territorial unity of Georgia though as a result of great efforts.

ნემო ბურჭულაძე

დსთ-ს მიმართ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნეგატიური დამოკიდებულების შესახებ /ალმა-ათის შეხვედრის ანალიზი/

(მოგონება)

კაცობრიობის ისტორიაში იშვიათია ისეთი მნიშვნელობის მოვლენა, როგორიც სსრკ-ს დაშლა, რომლის სრული ანალიზი, მიზეზები თუ მასში მონაწილე სახელმწიფოებისა და პიროვნებების როლის შესწავლა-შეფასება რთული, ხანგრძლივი პროცესია და მას არაერთი თაობის შრომა და კვლევა მიეძღვნება.

საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, რომლის 80 წლის იუბილეს დღეს აღვნიშნავთ, ყველაზე მეტი ფიზიკური თუ სულიერი ტკივილი გადაიტანა, რომ თავისუფლება მოეტანა ჩვენი ქვეყნისთვის. მისი ღვაწლი გამორჩეულია მსოფლიოს ამ მეტასტასებგადგმული ავთვისებიანი სიმსივნის, ბოროტების იმპერიის - სსრკ-სგან ხსნაში.

რა თქმა უნდა, ცივილიზებული სამყარო საბჭოთა კავშირის, ფაშიზმზე უარესი „რუსული სოციალიზმის“ დემონტაჟს დაარსების დღიდან ცდილობდა, მაგრამ ამას 70 წელი დასჭირდა.

ეკონიმიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა გასული საუკუნის 80-იან წლებში იმპერიის მმართველები აიძულა ადამიანებისათვის (დღევანდელი თაობისთვის ალბათ უცნაურია) საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება მიეცათ, როგორც თვითონ უწოდეს - პლურალიზმი. თუმცა ვერ გაითვალისწინეს, რომ ადამიანებიც და ერებიც მოითხოვდნენ მთავარს - თავისუფლებას.

განსაკუთრებით გააქტიურდნენ არარუსი დისიდენტები. რუს დისიდენტებს იმპერიის გაკეთილშობილება - გადემოკრატიულება სურდათ, დანარჩენებისთვის კი მიუღებელი და გაუგებარი იყო ტერმინი - „დემოკრატიული იმპერია“ და ძირითადი აქცენტი გადაიტანეს ეროვნულ თავისუფლებაზე, ვინაიდან დამონებულ ერში პიროვნული თავისუფლება წარმოუდგენელია.

საბჭოთა რესპუბლიკებში ჩამოყალიბდა და გააქტიურდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, რომელთა შორისაც ლიდერის პოზიციას საქართველო და მისი გამათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლი - ზვიად გამსახურდია იკავებდა.

აგონიაში მყოფმა იმპერიამ ნაცად ხერხს მიმართა და 1989 წლის 9 აპრილს თბილისში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნით ქუჩაში გამოსული მომიტინგეები, მათ

შორის მოშიმშილეები მესანგრის ნიჩბებით აჩეხა, ასობით ადამიანი კი საერთაშორისო ნორმებით აკრძალული მომწამლავი აირით წლების მანძილზე იღუპებოდა, მაგრამ ამან არათუ დააშინა, არამედ უფრო გააძლიერა ბრძოლისუნარიანობა დამპყრობლის მიმართ.

1990 წლის გაზაფხულზე ეროვნულმა მოძრაობამ, რომელიც ფაქტიურად მართავდა პროცესებს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს მიაღებინა დადგენილება, რომლის მიხედვით საქართველო 1921 წელს რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული. იმავე წლის 28 ოქტომბერს ჩატარებულ სსრკ-ს ისტორიაში პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში გაიმარჯვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“, რომლის უპირობო ლიდერი ზვიად გამსახურდია გახლდათ და რომელიც საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ იქნა არჩეული (მე, ჩემი შვილები და შვილიშვილები ვამაყობთ, რომ ვიყავი მისი მოადგილე).

დღემდე ეს არჩევნები ერთადერთია საქართველოში, როდესაც არც ერთ დამარცხებულს არ წამოცდენია, რომ თუნდაც ერთი ხმა გაუყალბეს.

გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი, ჩატარდა პირველად საქართველოში რეფერენდუმი და, რადგან ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა ხალხის ნებას მისცეს კანონის სახე, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, პირადად მისმა თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ, გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. იმავე წლის 26 მაისს კი ზვიად გამსახურდია არჩეულ იქნა საქართველოს პირველ პრეზიდენტად.

რუსეთი კი ცდილობს შეინარჩუნოს იმპერია და ახალ-ახალ მეთოდებს იგონებს: საკავშირო რეფერენდუმი, ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება, ხოლო საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი გორბაჩოვი აფრთხილებს ჩვენს პრეზიდენტს, რომ, თუ საქართველო სსრკ-დან გავა, ეს მოხდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე.

საქართველოს და ბალტიის რესპუბლიკების შემდეგ დამოუკიდებლობას აცხადებენ სხვა რესპუბლიკებიც, მათ შორის რუსეთი.

საბჭოთა კავშირის დაშლა გარდაუვალი ხდება და რუსეთი კვლავ იგონებს იმპერიის ახალ ფორმას „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას“.

1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ათაში შეიქმნა ე.წ. დსთ და არსებობა შეწყვიტა სსრკ-მ. სამიტს ესწრებოდნენ რესპუბლიკების პრეზიდენტები და პრემიერები (გარდა ბალტიის ქვეყნებისა) და

სსრკ-ს თავდაცვის მინისტრი შაპოშნიკოვი. საქართველოს დამ-კვირვებლის სტატუსით წარმოვადგენდით მე და ვიცე-პრემიერი გურამ აბსანძე. შეხვედრა იყო დახურული და დაძაბულად მიმდინარეობდა, თუმცა ეს ცალკე თემაა და რეგლამენტი მისი დეტალური აღწერის საშუალებას არ იძლევა. შეხვედრა ნურ-სულთან ნაზარბაევმა გახსნა (როგორც მასპინძელმა) და როდესაც ელცინი შეეცადა ხელში აეღო სამიტის მართვის სადავეები, მკაცრად გააფრთხილა: აქ მე მიმყავს შეხვედრა და თქვენ ისევ უფროსი ძმა ხომ არ გგონიათ თავიო. ელცინი კი ცდილობდა იმპერიის რაიმე ფორმით შენარჩუნებას. მაგალითად რუსეთი და მოსკოვი უნდა ყოფილიყო დსთ-ს ცენტრი, უნდა ყოფილიყო მისი ცენტრალიზებული მართვა, დარჩენილიყო საერთო შეია-რაღებული ძალები, საერთო საგარეო პოლიტიკა და ა. შ. სხვათა შორის საინტერესო იყო თარიღების დამთხვევა - საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა მისი ყველაზე დიდი და სასტიკი მმართველის, სტალინის დაბადების დღეზე.

ყველაზე მთავარი ჩემთვის და ბატონი გურამისთვის ელცი-ნის მიერ შესვენებაზე ნათქვამი გაფრთხილება გახლდათ: „დი-ლის 8 საათამდე ველოდები ზვიად გამსახურდიას ზარს, რომ სა-ქართველო გახდება დსთ-ს წევრი. თუ არა გექნებათ პრობლე-მები“.

დილით ზუსტად 8 საათზე მთავრობის სახლის მიმარ-თულებით გავარდა პირველი ტყვია, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა და მისმა მე-5 კოლონამ, რომელიც თავს ოპოზიციას უწოდებდა ცეცხლი გაუხსნა საქართველოს თავისუფლებას, დაიწყო რუსეთ-საქართველოს მორიგი ომი, რასაც მოჰყვა კანონიერი ხელისუფლების დამხობა, ქართული ტერიტორიების დაპყრობა, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაცია, დაღუპული 30 000 ადამიანი, ნახევარ მილიონამდე დევნილი, 2 მილიონამდე ემიგრირებული და ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სავალალო ტერიტორიული, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა.

ხშირად ამბობენ რომ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა არ ესმოდა, როგორ გაბედა ბუშის კიევში ნათქვამზე - საბჭოთა კავშირი არ უნდა დაიშალოსო, ერთადერთმა განაცხადა - საბჭო-თა კავშირი დაიშლება და საქართველო თავისუფალი ქვეყანა იქნებაო. ანდა იმავე ბუშის ნათქვამს - გამსახურდია დინების წინააღმდეგ მიცურავსო უპასუხა - დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიანო. ბიბლია ამბობს: ხე ნაყოფით იცნობაო. დრომ აჩვენა ვინ იყო მართალი. დღევანდელი ევრაზიის რუკაზე 25-ზე მეტი ახალი სახელმწიფოა იმ პერიოდთან შედარებით და აღარც საბჭოთა კავშირი არსებობს, როგორც ჩვენი პრეზიდენტი

ამბობდა. ამასვე ადასტურებს უმცროსი ბუშის სიტყვები თბილისში: თქვენი დაბადების დღე 9 აპრილიაო (თუმცა ჩვენს ხელისუფლებას ეს ვერ გავაგებინეთ). მთელი მისი გამოსვლა იყო სინანული სსრკ-ს დაშლის პერიოდში აშშ-ს არასწორი პოზიციის გამო.

ბატონებო, უაზრობაა წარსულის გახსენება, მისი ანალიზი, თუ ის არ ემსახურება მომავალს. უკან ხანდახან უნდა მოიხედო, რომ არაფერი დაგავიწყდეს, მუდმივი მზერა და ზრუნვა კი მომავლისკენ უნდა იყოს მიპყრობილი.

ბოროტების იმპერიის ოფიციალურ მემკვიდრეს იგივე იმპერიული მისწრაფებები აქვს, დაიპყროს ახალ-ახალი მიწები. ამის ნიმუშია საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიების ოკუპაცია და როგორც მათი პრეზიდენტი უწოდებს: „მე-20 საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური ტრაგედიის“ შედეგების აღმოფხვრა, ჯერ საბჭოთა კავშირის აღდგენა და შემდეგ კი დანარჩენი მსოფლიოს ექსპანსიაა. თუმცა დღეს ცივილიზებული სამყარო კარგად ხედავს, აფასებს და საპასუხო სვლებსაც აკეთებს რუსული აგრესიის საპასუხოდ, რაც ჩვენც გვაძლევს უკეთესი მომავლის იმედს.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება კი, დღევანდელი ქართული სახელმწიფოს დაფუძნების დღეს 9 აპრილს გლოვით აღნიშნავს, ყველანაირად ცდილობს მიჩქმალოს პირველი პრეზიდენტის არა მხოლოდ დამსახურებები, არამედ მისი სახელიც. მათ ხომ არ იციან, რომ ზვიად გამსახურდია არღვევს პერსპექტივის კანონს (საგანი რაც უფრო შორსაა მით უფრო პატარა ჩანს) და რაც უფრო დაგვშორდება დროში უფრო და უფრო დიდი გამოჩნდება.

ვულოცავ საქართველოს თავისუფლებისა და მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს ზვიად გამსახურდიას, მე-20 საუკუნის გამორჩეული პოლიტიკოსის 80 წლის იუბილეს. მისადმი პატივისცემის და მისი სიყვარულის ყველაზე დიდი გამოვლინება მისი საქმის გაგრძელებაა. ხოლო სიყვარულის საზომი ერთეული - თავგანწირვა, რასაც გვასწავლის ზვიად გამსახურდიას მთელი სიცოცხლე და სიკვდილი.

დიდება ზვიადს! დიდება სამშობლოსათვის თავდადებულებს! დიდება თავისუფლებას!

ამირან არაბული

ეროვნული ერთიანობის იდეა საისტორიო მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში

ქვეყნის ფიზიკური სიმტკიცის, უტეხობისა და სულიერი სიძლიერის წინაპირობაა ეროვნული ერთიანობა, რაც ცალკეულ კუთხეებსა თუ მხარეებს შორის ურთიერთთანადგომასა და მათი ინტერესების მაქსიმალურ თანხვედრას გულისხმობს.

ესაა ანბანური ჭეშმარიტება, მრავალგზის რომ გამოიცადა საქართველოს ავბედითი ისტორიისა და თავგადასავლის მრუმე ხვეულებში.

ერი, რომელიც საერთო, საზიარო მიზნისკენ მიდის, იოლად ძლევს ყოველგვარ „საბრხეს“, ბარიერსა და დაბრკოლებას. მისთვის გადაულახავი სირთულე და სიძნელე არ არსებობს. ერთი კუთხის ფიზიკური და სულიერი ღონე მეორისას ერთვის, ემატება და იმ აუღებელ ციხე-სიმაგრედ იქცევა, რომელსაც მტერი, დამპყრობლური ვნებითა და სულისკვეთებით შეპყრობილი დაუპატიჟებელი მომხვდური, ვერაფერს აკლებს, ვერ ერევა.

გაუტანლობისა და მოღალატეობის მიზეზით ბევრჯერ ჩამოიშალა ჩვენი იმედის გოდოლი და, ღვთის ნებით, ისევ აღდგა და გამაგრდა. ეს სიმბოლურად და სინამდვილეშიც ბევრია შემთხვევა, როცა რენეგატთა პირადი სურვილებისა და ავი ზრახვების კარნახით ლამის მიწასთან გასწორებული, უმოწყალოდ დარბეული და გაჩანაგებული ქვეყანა კვლავ ფეხზე დგებოდა, წელში სწორდებოდა, იარებს ირჩენდა, იშუშებდა და კვლავ ვაჟკაცური შემართებით ებმებოდა შრომისა და ბრძოლის კევრსა თუ უღელში.

ერის საარსებო სივრცისა და ნაციონალური ინტერსების შუაგულში მედგარი დგომაა გარანტი იმისა, რომ გარსმოჯარულ ავისმსურველთა ლეგიონებს საკადრისი პასუხი გაეცეთ და მოეკითხოთ სტუმარმასპინძლობის წესებისა თუ ნორმების ელემენტარული მოთხოვნების ცოდნა, დაცვა და გათვალისწინება.

ეროვნული ერთიანობა ხომ ის ღვთისმიერი მადლია, რომელსაც უფალი მხოლოდ მის მოთაყვანეთათვის იმეტებს. პროვიდენციული თვალთახედვა, ყველაფერს ბედისწერის უალტერნატივო გადაწყვეტილებით რომ ხსნის და განმარტავს, ხშირ შემთხვევაში ისტორიულ სინამდვილეს, მოვლენათა

მიზეზშედეგობრივ კავშირებს სხვაგვარად წარმოსახავს და ჩვენდაუნებურად პირადი აქტიურობი შენელებისკენ გვიბიძგებს.

კოსმიური სიჩქარით ცვლადი მოვლენების ასპარეზად ქცეულ საქართველოში მუდამ მწვავედ იდგა ეროვნული მთლიანობისა და ერთიანობის საკითხი. მეფეთა თუ დიდებულთა თვადაუ-ზოგავი გარჯა და ბრძოლაც ყოველთვის აქეთ იყო მიმართული. მოწყვეტილი ნაწილების უკან დაბრუნება და ისევ სახელმწი-ფოებრიობის ოდინდელ საზღვრებში გაერთმთლიანება უზღვავი სისხლისა და სიმწრის ოფლის ფასად უჯდებოდათ ქვეყნის ხელისუფალთ... და გრძელდებოდა ასე ასწლეულებისა და ათასწლეულების განმავლობაში.

„ნიკოფსიიდან დარუბანდისა ზღუადმდე“ გადაჭიმული ქვეყნის გაძლება და დღეგრძელობა დიდწილად იყო დამოკიდე-ბული მის აბორიგენ მკვიდრთა შეგნებასა და მამულიშვილურ შემართებაზე. ხალხი – ისტორიის მამოძრავებელი მთავარი ძალა – განსაზღვრავდა საკუთარ ბედსა და მომავალს; ხალხის გონიერებაზე, სიბრძნესა და სიდარბაისლეზე გახლდათ დამოკი-დებული მისი მიწაწყლის მდგომარეობა, ხან შაგრენის ტყავივით რომ მცირდებოდა, ცოტავდებოდა, ხან კიდევ შვებით მოით-ქვამდა გამწარებულ სულს და შედარებით მშვიდი, უშფოთველი ყოფაცხოვრების საშუალება ეძლეოდა.

ციხე, როგორც წესი, მეტწილად შიგნიდან ტყდებოდა და მის გამთელებას, ბზარების ამოვსებას, წყლულების მორჩენასა და ერთიანი სხეულის გაჯანსაღებას წელიწადები ჭირდებოდა.

„ცული რას დამაკლებდა, ჩემივე მოძმე რომ არ ეხმარე-ბოდესო...“ მრავლისმეტყველია ეს ანდაზა, დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას რომ ემყარება და მოიარებით მიანიშნებს იმ სულ-გაყიდულ ადამიანებზე, ქვეგამხედვარებსა და სამშობლოს მოღა-ლატეებზე, მტრის მხარეზე რომ აღმოჩნდებოდნენ ხოლმე და ხელს უწყობდნენ ჩვენს მამულში მათ შემოჭრას, შემოღწევას და, ზოგიერთ შემთხვევაში, საბოლოოდ დამკვიდრებას.

დასუსტებული, დაძაბუნებული, გათითოკაცებული ქვეყანა ყვავ-ყორნების საძიძგნად იქცეოდა და, ვაჟა-ფშაველას „არწივი-სა“ არ იყოს, „ცუდი დროის“ კლანჭებში უხდებოდა მოხვედრა...

საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნის სათავეებთან ბაგრატ III დგას. მის ბრძნულ, წინდახედულ ნაბიჯებსა და სწორ გადაწყვეტილებებს უკავშირდება ქვეყნის სწორი, გონივრული მართვა და მისი საბოლოოდ შეკვრა და

შეკავშირება. ბაგრატ III-მ, როგორც ცნობილია, მომავლის წინასწარხედვაზე დამყარებული სათანადო ზომები მიიღო კახეთისა და ისტორიული ჰერეთის მიმართ და დიდი ძალისხ-მევის წყალობით ეს ორი უმნიშვნელოვანესი მხარეც შემოიერთა. ხსენებული მეფის ეპოქაში, კონკრეტულად, XI საუკუნის დამდე-გისთვის, დასრულდა ქვეყნის გაერთიანება. ამ დროისთვის ქვეყნის ერთიანობის გარეთ რჩებოდა მარტოდენ თბილისის საამირო. და მის შემოერთებამდე საქართველოს დედაქალაქს ქუთაისი წარმოადგენდა.

ქვეყნის ერთიანობის სასიცოცხლო მნიშვნელობა და ისტო-რიული აუცილებლობა დიდწილად იყო შეპირობებული გარე საფრთხეების თანდათანობითი ზრდითა და საორბედო ბრძოლების გარდუვალობით. ამ დროისათვის საქართველო მწვავე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. მის არსებობას ახალი ჭირი და თავსატეხი დაემუქრა თურქ-სელჩუკთა ძლევამოსილი დამპყრობლის სახით.

ხოლო მანამდე, სახელდობრ, IX საუკუნეში, გრიგოლ ხანძთელმა „ტაო-კლარჯეთში შექმნა ქართლის ნაცვალი ცენტრი, რომლის მთავარი მიზანი იყო საქართველოს გაერთიანება და არაბთა ბატონობის დაძლევა“ (სირაძე, 2005: 91).

აქვე ჩაეყარა მყარი საძირკველი ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას და ჩაისახა ქართველი მეფეების ღვთიური წარმომავ-ლობის (ე.წ. „ღვთისნებითობის“) იდეა, რაც თავდაპირველად, დიდმა საუკლესიო მოღვაწემ, „ზეცისა კაცმა და ქუეყანი-სა“ ანგელოზმა“, გრიგოლ ხანძთელმა წარმოსთქვა აშოტ კურა-პალატის წინაშე, მასთან პირისპირ საუბარში.

ხოლო ყოველივე ეს მრავალტანჯული საქართველოს ისტო-რიაში ახალი ეპოქის დადგომას მოასწავებდა...

ვიდრე უშუალოდ ხალხური სიტყვიერების კონკრეტული ნიმუშების გაცნობასა და განხილვაზე გადავიდოდეთ, მიზან-შეწონილად ვთვლით მცირე ფოლკლორულ-ისტორიული ექს-კურსის ჩატარებას ბაგრატიონთა სამეფო სახლის, ასე ვთქვათ, ღვთივდაცულობის მოტივის ირგვლივ.

ამგვარი გადახვევა მთავარი, მაგისტრალური თემიდან განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს ზეობა და, საერთოდ, ბედი თუ უბედობა, ბევრი თვალსაზრისით სწორედ ბაგრატიონთა გვარ-ჩამომავლობასთან არის დაკავშირებული.

* * *

ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის შემოსვა თვალისმომ-ჭრელი შარავანდედით, აღჭურვა ზემატერიალური ატრიბუტე-ბით და შემკობა ღვთიური წარმომავლობის აშკარა ნიშნებით არ გახლავთ ხშირი, სადაგი მოვლენა ცოდვითდაცემული კაცობ-რიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ეს სწორედ ის გამონაკლისური შემთხვევაა, რომელიც მეფობის მიწიერ განზო-მილებაში ცალსახად გამორიცხავს თვალხილულ ლტოლვასა და ინტერესს პირადი განდიდებისადმი, მატერიალურ ფასეულო-ბათა წინ წამოწევისადმი, წარმავალი და, თავისი არსით ხრწნადი, კვდომადი, ჟამიერი ღირებულებებისადმი.

ნათქვამის გამყარებისთვის სავსებით საკმარისია მოვიხმოთ ნაწყვეტი „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტიდან, სადაც ნათლად და საუცხოო სიცხადით ჩანს ქართველთა „ღმრთისა სწორი“ მზე-ქალის სახე და ხასიათი: „...და ესეოდენთა დიდებათა და სიმდიდრეთა გარდარეულთა და სიმაღლეთა შინა ესრეთ იყო, ვითარცა ყოვლად არა რაი ჰქონებოდა, და უარეს და უგლახაკეს ყოველთა კაცთასა შეერაცხა თავი თვისი“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 28).

მეფობა, ვითარცა ადამის მოდგმის ჩვეულებრივი ყოფიე-რებისა თუ მოღვაწეობისაგან გარკვეულწილად განსხვავებული სოციალური მოვლენა, ძველთუძველესი კულტურის მქონე ქვეყ-ნების მცხოვრებთა შეხედულებით, ჩამოსულია ციდან, უნაპირო სამყაროს სივრცეთა უსასრულობიდან და, ამდენად, ის თავის-თავადაა უკვე ღვთიური, ზებუნებრივი, უკვდავებასთან წილ-დებული. მეფის ბედი და მისი მომავალი წარმატება-წარუმატებლობა ცაში წყდება და დგინდება. იგი ამ ცოდვილ მიწაზე მოვლინებულია იმისათვის, რათა ქაოსი და უწესრიგობა აღკვეთოს, არეულობის ადგილას ჰარმონია შექმნას, მოკვდავთა ჩაწყვდიადებული სამყოფელი სულიერების შუქით გააცისკროვ-ნოს და ქვეყნის უკეთეს მერმისს ჩაუყაროს საფუძველი.

„მეფე ქვეყანაში ღვთის მონაცვლეა, მას მეფობა ღმრთისაგან აქვს რწმუნებული... მეფე სულიწმიდის „მობერვით“ მოქმედებს, აქედან ცხადია, მისი მოქმედება უცდომელია“ (კარბელაშვილი, 1999: 101).

მეფობის განგებისმიერი მომდინარეობის ვერსიის მოცემული სქემისა თუ მოდელის მისადაგება ბაგრატიონთა სამეფო გვარის ცალკეული წარმომადგენლების ბიოგრაფიულ მონაცემებთან და

დაკვირვების გზით მიღებული საგულისხმო დასკვნები არაორაზროვნად მეტყველებს იმას, რომ კულტურული ერების ცოდნა და თვალსაზრისი ბევრი რამით იყო ერთურთის მსგავსი თუნდაც ისეთ უნივერსალურ საკითხთან მიმართებაში, როგორიცაა ქვეყნის მმართველ საგვარეულოთა დასაბამი და წარმომავლობა, მათი გენეტიკური ხაზი და ამქვეყნიური ცხოვრების მკრთალი თუ მკვეთრი თავისებურებანი.

მსოფლიო ისტორია იცნობს ზეკაცური სიმაღლით მორჭმულ ინდივიდებსა და სამეფო დინასტიებს, რომელთა დაბადებაში, ზრდასა და საამსოფლო მოღვაწეობაში, მემატიანეთა მოწმობით და ხალხური გადმოცემებით, ღვთის ხელი ურევია, ღვთის ნებასურვილი ცხადდება. მათი საგანგებო, სრულიად განსხვავებული მისია და მოწოდებაც, რასაც დიდი წარმატებით ახორციელებენ ომიანობისა თუ მშვიდობიანობის ჟამს, ღვთისმიერი თანხმობადასტურის უტყური ნიშნებით არის აღბეჭდილი.

ქართულ სინამდვილეში ამ კუთხით ერთობ საჩინო, დაწინაურებული და გამოცალკევებულია ბაგრატიონთა სამეფო სახლი და ეგვარ-გუჯაბი. ამ გვარის სამეფო დინასტიის არსებობის, ღვწისა და ზეობის დიადი ხანა თითქმის თორმეტ ათასწლეულს წვდება და მოიცავს, ისევე, როგორც არაერთ სხვა ქვეყანასა და ამ ქვეყნების ხელისუფალთ, მათაც დასდგომიათ დასუსტების, დაძაბუნების, დაღმასვლისა და დაცემის ხანგრძლივი თუ ხანმოკლე პერიოდები, მაგრამ, მთლიანობაში, ბაგრატიონებმა ღონივრად ზიდეს მათზე მინდობილი საპატიო სახელმწიფოებრივი ტვირთი. სხვა საუკუნეებსა თუ ათწლეულებზე რომ აღარაფერი ითქვას, სწორედ მათი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლების, თანამედროვეთა და მადლიერ შთამომავალთა მიერ ღვთაებათა რანგში აყვანილი მეფეების – დავით აღმაშენებლისა და თამარის უკიდეგანო ღვაწლისა და წყალობის შედეგია შუა საუკუნეების საქართველოს „ოქროს ხანა“; ქვეყნის განმტკიცება, გაძლიერება და მანამდე არნახული აღმასვლა.

მესიანისტური იდეა, როგორც მძლავრი იმპულსი, ბიძგი და სტიმული ერის ღირსეული არსებობის, განვითარებისა და გადარჩენის დიდ საქმეში, ამა თუ იმ სახით, ხასიათითა და ოდენობით მრავალ ქვეყანაში არსებობდა და დღესაც არსებობს. ხოლო ამ ლამაზი იდეის უმთავრეს მიზანს ეროვნული ხელჩაქნეულობის, უიმედობის, ნიჰილიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და კაცობრიობის მყოფობის კონტრასტებით აღსავსე კონტექსტში თვითდამკვიდრებისაკენ დაუოკებელი სვლა და სწრაფვა შეადგენს.

თუკი გავითვალისწინებთ და გონების თვალით გადავხედავთ საქართველოს შორეულ წარსულს, პერმანენტული მტრიანობისა და განსაცდელის უმძიმეს პერიოდებს, ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, უცხო რჯულისა და მოდგმის მრავალრიცხოვანი ხალხების გარემოცვაში ყოფნას და იმ რეალურ გართულებებს, რაც მათი მხრიდან ყოველწამიერად იყო მოსალოდნელი, სავსებით კანონზომიერი და ისტორიული აუცილებლობით ნაკარნახევი გამოჩნდება ქართული მესიანისტური იდეის ესოდენი სიფართოვე, მასშტაბი და დაუსაზღვრავი განფენილობა.

ბაგრატიონთა საგვარეულოს, დაბადებიდან ვიდრე დღევანდლამდე, განუშორებლად თან სდევს და, ხან მკრთალად, ხან კიდევ ცხადლივ და მკაფიოდ აჩნია დავლათიანობის, ღვთიურ საწყისებთან წილდებულობის, ერთადერთობისა და განსაკუთრებულობის დაღი (შდრ. ხალხური: „დავლათი ღუდუშაურთა ღვთისგნით აქვს ნაბოძვარიო“).

ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის ნათესავად ბაგრატიონთა სამეფო გვარის გამოცხადებით დაედო სათავე და საძირკველი მათი ულუმპიანობისა და სვიანობის საყოველთაოდ ცნობილ იდეას. ბაგრატიონთა გენეალოგიის ხაზი დავით წინასწარმეტყველიდან იწყება, რაც ქართველი ბაგრატიონებისა და ქრისტეს უცილო ნათესაობაზე მიუთითებდა, მათ სულისმიერსა და სისხლისმიერ სიახლოვეს მოწმობდა, ხოლო საბოლოოდ ამ სამეფო დინასტიის განუმეორებლობას ქადაგებდა და ცხადყოფდა.

როგორც ქართული, ასევე უცხოენოვანი ზეპირი თუ წერილობითი წყაროები, გარდა დავით წინასწარმეტყველისა, ბაგრატიონების საგვარეულოს წინაპრებად ასახელებენ ჰურიასტანის მეფე სოლომონს, გუარამ კურუპალატს, ებრაელ ტყვე შამბათს და ფარნავაზიანთა სამეფო დინასტიას.

სწორედ ფარნავაზი ითვლება საქართველოში პირველი სამეფო დინასტიის ხელდამსხმელად და მესაძირკვლედ. ასე რომ მზიურობის ნიშნით გამორჩეული მეფის მიერ დაწყებულ აღმშენებლობით გზას ძალმოსილი გამაგრძელებლები გამოუჩნდნენ მისი შთამომავლების, ე.ი. ბაგრატიონების სახით.

ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ვახუშტი ბაგრატიონი (ბატონიშვილი) აღნიშნავს, რომ ბაგრატიონნი ცნობილნი იყვნენ „მხნეობითა, სიბრძნე-ქველობითა და ქვეყნისათვის

თავდადებულობითა“ (ქართული მწერლობა, 1990: 59). და იქვე: „გარნა გლეხთა უწიგნოთაცა უწყიან ძლიერება გორგასლისა, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფისა“.

„უბირი“ გლეხების გული და გონება ახლოს არ იკარებს და ხსოვნის სახიზრებში არ ინახავს ისეთ რასმეს, რაც მისთვის უცხო და მიუღებელია; რაც არაა ღირსი „ხელისხელ“ ზიდვისა, გაფრთხილებისა და საუკუნეების ქარცეცხლში უბით გამოტარებისა; რაც მის გემოვნებას, გრძნობასა და მსოფლმხედველობას არ ეთანადება.

შესაბამის ფაქტორივ და თეორიულ პოსტულატებზე დაყრდნობით ქართულ საისტორიო მეცნიერებაში შემუშავებულია შეხედულება, რომლის მიხედვით „ქართველ ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის კონცეფციის შემქმნელის პრიორიტეტი გრიგოლ ხანძთელს ან მისი ცხოვრების აღმწერელს – გიორგი მერჩულეს ეკუთვნის“ (მამისთვალიშვილი, 1998: 20).

მოტანილი თვალსაზრისი, ვფიქრობთ, კრიტიკულ გადახედვას საჭიროებს.

ავტორი იმავე ნაშრომში წერს: „დიდი ხნის განმავლობაში მოარულმა ლეგენდამ ბაგრატიონთა გვარის წარმოშობისა და მისი განსაკუთრებული დანიშნულების შესახებ ოფიციალური აღიარება ჰპოვა, რისი მიღწევა მხოლოდ ეკლესიის თანხმობითა და შეწევნით შეიძლებოდა“ (მამისთვალიშვილი, 1998: 17).

რახან ზემოხსენებული ლეგენდა ბევრად ადრე იყო შექმნილი, გასული და გავრცელებული ხალხის ფართო მასებში, რაღა თქმა უნდა, ბაგრატიონთა ღვთიური მოდენილობის თეორიაც, თუნდაც ჩანასახოვან, „ემბრიონალურ“ მდგომარეობაში, თავისთავად იარსებებდა და მისი ლეგიტიმაცია, დახვეწა და წერილობითი სახით გამოთქმა „ეკლესიის თანხმობითა და შეწევნით გრიგოლ ხანძთელს ან მისი ცხოვრების აღმწერს მოუწია“.

ხოლო აღნიშნული თეორიის „არქეტიპად“, პირველსახედ, წინამარცვლად ანუ იმ ნოყიერ ნიადაგად, რამაც ბაგრატიონთა გენეალოგიის შესახებ ცალსახა რწმენა-წარმოდგენის ჩასახვა და გაჩენა განაპირობა, დიახაც რომ ფარნავაზის სიზმარი უნდა ვიგულვოთ; სიზმარი, რომლის აზრი და, გნებავთ, მიზანდასახულობა გაცილებით ღრმა, ვრცელი და შორსმიმავალია, ვიდრე ამას რიგითი მოკვდავის მიერ ნანახი, ხევსურულ შესატყვისს რომ მივმართოთ, „საოცარი“ გულისხმობს.

ღვთიური მადლით განათლულ, სიმბოლური მინიშნებებით გაჯერებულ, უცნაური სიგნალებით დატვირთულ სიზმარს სინჯავს არა მდაბიო, სოფლის ჩვეულებრივი მკვიდრი თუ მოსახლე, არამედ თავისი სოციალური სტატუსით მთის მწვერვალზე შესადგომად გამზადებული პიროვნება, ვინც დასაბამი უნდა მისცეს და სამომავლო გზა დაულოცოს პირველ სამეფო დინასტიას საქართველოში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ ბაგრატიონთა საგვარეულოს ღვთიური წარმომავლობის იდეა თავდაპირველად ხალხურ სიტყვიერებაში, ამბის ზეპირად თხზვის ტრადიციაში ჩაისახა და მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღის გავლით მხოლოდღა შემდგომ მოხდა მისი ლიტერატურული ფიქსაცია და ჩამოყალიბება.

ბაგრატიონთა ღვთისმიერობის, ანუ ივ. ჯავახიშვილის მიერ მარჯვედ მიკვლეული და გამოყენებული გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, „ღვთისნებითობის“ საკითხი მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიასთან.

ეროვნული იდეოლოგიის შექმნა და ქრისტიანული ქვეყნის ხელისუფალთა სამომავლო მოღვაწეობის გონივრული გეგმის შემუშავება უსათუოდ მოითხოვდა ისეთი „მექანიზმის“ მოფიქრებასა და ამუშავებას, ისეთი თვალსაზრისის დანერგვასა და გავრცელებას, რომელიც სასრული ყოფითობის საზღვრებში კი არ მოაქცევდა ობიექტურ შეხედულებას ადამიანურ შესაძლებლობათა შეზღუდულობაზე, პირიქით, ხელს შეუწყობდა საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა ხარიზმატულობის სანუკვარი რწმენის თანდათანობით გაღვივებასა და გამარადიულებას.

აქეთკენ ისწრაფვოდა მართლმადიდებლური ეკლესია; აქეთკენ იყო მიმართული სამეფო კართან დაახლოებული საერო პირების რუდუნება და ძალისხმევა; ამავე მიმართულებით დუღდა და დიოდა მდაბიოთა თუ დიდგვაროვანთა ფიქრი და საწუხარი. და ასე, წლიდან წლამდე მყარდებოდა და იკრებდა ძალღონეს იდეა საქართველოს ხელისუფლების სვიანობისა, საკრალურობისა და განუმეორებელი, მანამდე არგაგონილი ძლიერებისა.

ხოლო ეს ყოველივე, თავის მხრივ, ქვეყნის ერთიანობისათვის წარმატებული ბრძოლის წისქვილზე ასხამდა წყალს; წისქვილზე, რომელიც განურჩევლად ფქვავდა მომცდარი ყანის უღალო და წმინდა, ჯიშიან პურის მარცვალს.

* * *

როცა საუბარია ქვეყნის ერთიანობაზე, ლოგიკურად მივდივართ იმ მიზეზების ძიებამდე, რაც ჩვენს წარუმატებლობას, დაძაბუნებასა და დამარცხებას განაპირობებდა. გმირი, რომელიც, არცთუ იშვიათად, ღირსეულად ხვდება და უმკლავდება მოწინააღმდეგეს, შესაძლოა სამშობლოსთვის თუ მშოლიური წყალ-ჭალისთვის ზიანისა და გამოუსწორებელი ვნების მომტანიც აღმოჩნდეს. ის, ერთი მხრივ, მედგრად იცავს თავის კუთხეს, თავის ქვეყანას, მიდის მთის გადაღმა და მტერს აწიოკებს, ხოლო, მეორე მხრივ, შინაური შფოთისა და აშლილობის ინსპირატორია, თავისი შეგნებული თუ გაუაზრებელი ნაბიჯებით მეზობელ თანამოძმეებს უჩენს თავსატეხს და გვეცნობა, როგორც სამთელ-ქვეყნო ინტერესების არადჩამგდები და ფეხქვეშ გამთელავი „ძე შეცთომილი“.

ამგვარ გმირებს (უფრო სწორად – ანტიგმირებს) იცნობს ჩვენი ზეპირსიტყვიერება და, მათ შორის, შეიძლება ითქვას, გამოირჩევა გორგი თილისძე, თუში ვაჟკაცი, რომელსაც თედო რაზიკაშვილი „ლეკების სულთამხუთავს“ უწოდებს. თილისძეს ფოლკლორული ტრადიცია ერეკლე მეფის თანამედროვედ თვლის. ლექსების ციკლი მას წარმოგვიდგენს იმ მებრძოლად, ვისაც ჩრდილო-კავკასიური ასპარეზი არ ჰყოფნის, ლეკების რბევას არ ჯერდება და დაუნდობლად იქცევა ფშავის ერთერთ უცნობილეს სოფელ ხოშარაში. დრამატული ჟღერადობის ლექსში შესარიგებლად და დანაშაულის მოსანანიებლად ფშავში გადასულ გორგი თილისძეს ფშავლები მწვავე საყვედურით და გულისწყრომით მიმართავენ:

შენ აქ არ მოგევალოდა,
დიდი ჰქენ ცოდვა-ბრალიო...
ჩამოხვე ხოშარაშია,
ცისაკ აუშვი ალიო.
შაჰყარე დიაც-ყმაწვილი,
კალოდ გალეწე მკვდარიო,
ნაკვეთაურის ჭერხოსა
შენ შეხსენ რკინის კარიო,
სალუდე დასჭერ ქობები,
ღმერთს მისდიოდა ჩქამიო.

(ხიზანაშვილი, 1887: 33-34)

ერთხელაც, ფშავზე მოულოდნელი თავდასხმისას, მწარე მარცხი იწვნია გორგი თილისძემ და გადაწყვიტა მეზობლებთან

შერიგება: თავლაშარის ჯვრიდან ბროლის ქვა წაიღო და ჩიღოს მაღლა ფშავლების უმთავრესი სალოცავის ნიში დააარსა. თავისი ნამოქმედარის ცივი გონებით შეფასებამ გმირს პოზიტიური ნაბიჯი გადაადგმევინა და კუთხეთა ერთიანობის საძირკველში დროგამძლე ქვა ჩაადებინა.

* * *

მთიელთა თემების პირისწყლისა და ერთობის შემნახავ ქმედით ფაქტორთა შორის მოიაზრება ჯვარ-ხატების სახელ-წოდებით ცნობილ საკულტო ნაგებობებში დავანებული ღვთისშვილების მეგობრობა და ე.წ. „მოდე-მოძმეობა“. ლო-კალური ღვთაებები თავიანთი საყმოს, სახელდობრ, ხუცეს-დასტურების თანხლებით მოგზაურობენ ხევსურეთიდან მთების გადაღმა მდებარე თუშეთში და მრევლსა თუ მლოცველს ფხოველთა ერთად ყოფნის, ერთიანობის აუცილებლობას შეახსენებენ.

გასული საუკუნის 50-იან წლებამდე მოაღწია საკრალურმა რიტუალმა, რომელსაც ტრადიციულ საზოგადოებებში „ჯვა-რიონს“ ანუ „ხატიონს“ უწოდებენ. ხახმატისა და კარატის ჯვრების „აბმული“ (ე.ი. აღკაზმული, დამშვენებული) დროშები რიტუა-ლურ მოგზაურობას ათენგენობის დღეებში იწყებდნენ და კვირის თავზე გომეწრის ხეობაში ამთავრებდნენ.

ჯერ კიდევ IV საუკუნეში ხევსურეთიდან თუშეთში საცხოვ-რებლად გადასულ („ხოლო ფხოველთა დაუტევეს ადგილი მათი დაგარდავიდეს თუშეთს“, – გვეუბნება „ქართლის ცხოვრება“) ხევსურებს თან მიჰქონდათ თავიანთი სალოცავების ნივთიერი ნიშნები და ახალ სამოსახლოში საკულტო კერებს აფუძნებდნენ... ასე დაარსდა პირიქითისა თუ გომეწრის ხეობებში ხახმატისა და კარატის სახელობის სალოცავები. შესაბამისად, სუფთა, ურიოშო ადგილებში გაჩნდა მომცრო ტერიტორიები, რომლებიც „ხევსურთ მოე“-დ და „ხევსურთ წაე“-დ არის სახელდებული... ერთ-ერთი ინფორმატორის სიტყვით, „თუშეთში ხევსურეთიდან წასული ხალხი ცხოვრობდა. ნიშები ჰქონდათ წაღებული. ჯავრხატები თავიანთ ყმებს მიჰყვებოდნენ თუშეთში. სხვანაირი ახსნა „ჯვარიონს“ არ აქვს“.

გარდა ამისა, საზაფხულო დღეობებში („ათნიგენობები“ ერთ თვემდე გრძელება თუშეთის სოფლებში) ერთმანეთს ხვდებონენ ბახტრიონის 1859 წლის ბრძოლის მონაწილეთა შორეული შთა-მომავლები და ამით თუშეთისა და ხევსურეთის ძმობას კიდევ უფრო აღრმავებდნენ და განამტკიცებდნენ.

* * *

ნანატრი მდგომარეობა, როცა მრავალ ჭირგამოვლილი ქვეყნის სულსა და გულში ერთობისა და სიჯანსაღის ღადარი ღვივის, სანიმუშო ლაკონიზმით არის უკუფენილი გიორგი მერჩულის ქრესტომათიულ სიტყვებში: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

ესაა მოწესრიგებული სამონასტრო ცხოვრების გრანდიოზული სურათი, არა უტყვი და სტატიკური, არამედ ცოცხალი, შთამბეჭდავი, სრულფასოვანი და მრავლისმეტყველი.

საერო და საეკლესიო პირთა ერთობლივი ძალისხმევა დაგვირგვინდა შედეგით, რაც იშვიათია თუნდაც განახლების გზაზე დამდგარი ცივილიზებული ქვეყნების ცხოვრებაში...

საისტორიო წყაროებში დაწურული სახით გამოცემული სახელმწიფოებრივი ვითარება, გარკვეული სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილია როგორც სიტყვაკაზმულ ქართულ მწერლობაში, ასევე ხალხურ სიტყვიერებაში.

აღსანიშნავია, რომ ფოლკლორული შემოქმედების შემთხვევაში მეტწილად საქმე გვაქვს არა მთლიანი ქვეყნის, ერთიანი საქართველოს წარმოჩენის ცდასთან, არამედ მის კუთხეებს შორის არსებული კონფლიქტებისა თუ თანახმიერების კონკრეტულ გამოვლინებებთან.

ერთი რამ ცხადია: ხალხური პოეზიისა და პროზაული ნარატივების უჩინარ ავტორთა მოწონებასა და აღფრთოვანებას იწვევს ყოველი ცალკე აღებული ინიციატივა და წადილი, რაც ერის ერთობისკენ, გაძლიერებისკენ და სამომავლო ორიენტირებისკენ არის მიმართული.

დამოწმებული ლიტერატურა:

კარბელაშვილი, 1999: მ. კარბელაშვილი, „ბაგრატიონთა დინასტია და ქართული პოლიტიკური თეოლოგია“. ლიტერატურული ძიებანი, XX. თბ., 1999;
მამისთვალიშვილი, 1998: ე. მამისთვალიშვილი, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გაღვთიურების საკითხისათვის, ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული. თბ., 1998;
სირაძე, 2005: რ. სირაძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბ., 2005;
ქართული მწერლობა, 1990: ქართული მწერლობა, 8. თბ., 1990;
ქართლის ცხოვრება, 1959: ქართლის ცხოვრება, II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959;
ხიზანაშვილი, 1887: დ. ხიზანაშვილი, ფშაური ლექსები. ტფ., 1887.

Amiran Arabuli

The Idea of National Unity in the Georgian Historical Literature and Folk Sources

In the medieval Georgian chronicles and hagiographical texts the most prominent political and ecclesiastical figures, the supporters of the Georgian unity (King David the Builder, Queen Tamar, King Heraclius II…), are represented as executors of God's desire. The same tendencies are impressively reflected in Georgian folk sources.

The article discusses Georgian historical literature and oral sources which emphasize the idea of Georgian unity.

კესო გეჯუა

მეგრული ლექსიკა სულხან-საბას „სიტყვის კონის“ მიხედვით

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის („სიტყვის კონა“) შექმნის უმთავრესი მიზეზი, როგორც „ანდერძ-ნამაგიდან“ ჩანს, იყო ქართული ენის გადარჩენა შერყვნისა თუ გაქრობისაგან: „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილ იყო... ვინაჲთგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თავის ნებაზედ გაერ-ყვნათ“ (ორბელიანი, 1991: 27). ლექსიკოგრაფის მიზანი იყო, ესწავლათ „ენა ქართული, შესრულებული და განვრცელებული და განრკვეული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ“ (ორბელიანი, 1991: 28). აქედან ჩანს, რომ სულხან-საბა ორბელიანისთვის შესაკრებ ფონდს წარმოადგენდა საერ-თოქართველური მასალა („შესრულებული და განვრცელებუ-ლი“ ფარნავაზ მეფის დროიდან მოყოლებული - კ. გ.) როგორც წერილობითი წყაროებიდან, ისე ზეპირი გზით მოპოვებული. სწორედ ამიტომ გვხვდება მის ლექსიკონში არაერთი დიალექტური ერთეული, როგორც სამწიგნობრო ენის გამდიდ-რების უმთავრესი წყარო.

დიალექტური მასალის განმარტებისას გამოკვეთილად ჩანს ავტორის დამოკიდებულება სალიტერატურო ენისა და დიალექ-ტების ლექსიკური მასალის მიმართ:

1. ე.წ. დიალექტური სიტყვა-ფორმის განმარტებისას იგი არ მიუთითებს ამ სიტყვათა სადაურობაზე; მაშინ, როცა უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებზე ყოველთვის აღნიშნავს, რომ ეს ლექსემა ქართული არაა; მაგ.: **„სხვათა ენაა“, „თათართა ენაა“, „სომხურია“, „ბერძნულია“...** მაგ.: **„ეგირი** თათრულია, ქარ-თულად კოთხუჯი ჰქვიან“; **„აზატი** სომხურია, თავისუფალს ჰქვიან“; **„მოროს** ბერძნუ[ად] სულელს უწოდენ“...
2. დიალექტური მასალა განმარტებულია როგორც გარკვეულ სოციალურ წრეში მოხმარებული ფორმა: **„მსოფლიონი... უწოდებენ“**, ან **„გლეხურად“/„გლეხნი... უწოდებენ“;** ზოგჯერ კი კუთხეზეცაა მინიშნება, მაგ.: **„მათე** მცირე ფოსო გლეხურად“; **„ბებია** გლეხნი ყრმათ ამქმელს უწოდებენ“; **„კუდური** კუდიანი. ამას მსოფლიონი გრძნეულს უწოდებენ“; **„დასტი** ჭანნი კოკას

უᲭმობენ; საღვინეა დიდი“; **„კოხუᲯი** (კოხუნᲯი) იმერული ქალამანი“; **„ოᲯიᲯი** ბადე მეგრულად“; **„Ჟარე** იარე მესხურად“.

3. ჩვენი საკითხისათვის, მეგრულთან დაკავშირებით, საინტერესო მიმოხილვას აკეთებს მწიგნობარი **Ჟღურტულის** განმარტებისას: „მეგრელთაგან მრუდი ლაპარაკი, გინა ჩხიკვთა და კაჭკაჭთაგან ლაპარაკი Z. ესე არს მეგრელთა და მისთანათა ავენოანთა ლაპარაკი, გინა ჩხიკვთა და კაჭკაჭთაგან ლაპარაკი AB. მეგრელთა და მისთანათა ავენოანთაგან ლაპარაკი Cb“...

ირკვევა, რომ სულხან-საბა ორბელიანისთვის მეგრული არის „მრუდი, ავენოანთა“, ანუ არანორმირებული, სალიტერატუროსაგან განსხვავებული მეტყველება. ამასთან მეცნიერი კ. დანელია მიუთითებს, რომ **Ჟღურტულის** განმარტება „ზოგადად ამᲟღავნებს ავტორის შეხედულებას მეგრულ მეტყველებაზე, როგორც ქართულთან მიმართებით ძლიერ შეცვლილ („მრუდ“) სახეობაზე (წინააღმდეგ შემთხვევაში დამოუკიდებელი ენის სიმრუდეზე ლაპარაკი უაზრობა იქნებოდა)“ (დანელია, 1991: 615).

პროფ. თ. გვანცელაძის აზრით, „ტერმინები **„ავენოანთა ლაპარაკი“** და **„მრუდი ლაპარაკი“** არასტანდარტული მეტყველების, კუთხური საუბრის აღმნიშვნელია. **„მეგრელთა და მისთანათა ავენოანთა ლაპარაკი“ მისთანათა** გულისხმობს, რომ მეგრელები და **ზოგი სხვა კუთხის** მცხოვრებნი სამწიგნობრო ენისაგან ან ზეპირი კოინესაგან განსხვავებული ინტონაციით მეტყველებენ (Ჟღურტულებენ)“ (გვანცელაძე, 2006: 71).

პროფ. რ. შეროზია მიუთითებს ლექსიკონში დადასტურებულ **ავენაობის** ანტონიმურ ცნებაზე **ენამზეობა - ენაგანათლებულობა.** თვლის, რომ **„ენაგანათლებულობა** აუცილებლად გულისხმობს სალიტერატურო ენის ცოდნას, მასზე მეტყველებას. **ენაგანათლებულთ** ერთნაირად უპირისპირდებიან როგორც „გლეხურად“, ისე „მრუდედ“ მოსაუბრენი, „ავენოანნი“, ანუ სხვადასხვა („მისთანათა“) დიალექტებზე მოლაპარაკენი... [სულ-ხანსაბასთვის] მეგრულ-ლაზური დამოუკიდებელი, სხვა ენა რომ ყოფილიყო, ერთეულებს... დაურთავდა „სხვათა ენაო“, ან „მეგრელთა ენაო“ (შეროზია, 2007: 391-392).

პროფ. ე. დადიანის მიხედვით, „სულხან-საბასთვის მეგრული და ჭანური (იმერულის, მესხურის... მსგავსად) ქართული ენის კილოებია და არა ენები... „ავენაობა“ და „მრუდი ლაპარაკი“ სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულ, დამახინᲯებულ ვარიანტს, დიალექტურ მეტყველებას აღნიშნავს“ (დადიანი, 2009: 67-68).

„სიტყვის კონაში“ ფიქსირებული მეგრულ-ლაზური ერთეულების გამოვლენაზე დღემდე არაერთ მეცნიერს აქვს ნამუშევარი (ი. ყიფშიძე (1914), ივ. ჯავახიშვილი (1937), მ. ალავიძე (1959), კ. დანელია (1991), თ. ბოლქვაძე (2005), რ. შეროზია (2007, 2015), ე. დადიანი (2009)). ლექსიკონის დამუშავებისას, მკვლევართა მიერ აქამდე გაანალიზებული ერთეულების გარდა, კიდევ აღმოჩნდა მეგრული წარმომავლობის სიტყვაფორმები:

1. **განლიგება** (+ 6, 40 ბარუქ ZA) გაშტერებით უჴმოობა ZAB. ლექსიკონში ვხვდებით ამ ერთეულის ძირეულ ფორმასაც **ლიგ-** ი „შტერის“ განმარტებით.

აღსანიშნავია, რომ საბასთან ფიქსირებულ ფორმებში დასტურდება **ლიგ-** ძირი; მეგრულ ლექსიკონებსა და ქეგლში შეტანილ ერთეულებში თავს იჩენს **ვ: მეგრ.: ლიგვა** 1. ბლაგვი, 2. მოდებილო, ყეყეჩი; **ლიგვალი** - მოსულელო; უნიათო; მოდებილო; **ლიგვინი** - გამოშტერებული ყურება **(ილიგვინანს, ოლიგვინანს,** „გამოშტერებული იყურება“) (ქაჯაია, 2001). ქეგლში მეგრულისგან განსხვავებული მნიშვნელობითაა დაფიქსირებული **გალიგვდება** „გაიყინება, დაზრება, გაითოშება; **გალიგვება** სახელი ამ ზმნათა მოქმედებისა; **გალიგვებული** გაყინული, გათოშილი, დამზრალი“, რომლებზეც მითითებულია რომ კუთხური ფორმებია (ქეგლი). **გალიგვება** ფორმა დასტურდება გურულსა და ლეჩხუმურში „გაყინვა, ძალზე გაცივება“ (ღლონტი, 1984). როგორც ვხედავთ, მეგრულის სემანტიკასთან მათი დაკავშირება სირთულეს არ წარმოადგენს, გათოშილი, დამზრალი ადამიანის გამოხედვა იგულისხმება.

ასევე საყურადღებოა, რომ მეგრულ მეტყველებაში ამავე ძირს **ა** გახმოვანებითაც იყენებენ, რომელიც პიროვნულ მახასიათებელს გამოხატავს და სიარულისა და მეტყველების მანერას ახასიათებს: **ლაგვ-ა Იაგვა** „ზარმაცი, უგერგილო, უმაქნისი, უნიათო, უქნარა; მოჩურჩუტო (ქაჯაია, 2003); **ლაგვალი** „უშნო, უგერგილო ლაპარაკი; (ქაჯაია, 2003), უნიათო სიარული, ჩლუნგი კაცის ლაპარაკი, ბოდიალი“ (ქობალია, 2010).

საინტერესოა **ლაგვას** პარალელურად დადასტურებული **ლოგო** ფორმა „შტერი“. ასევე ამავე ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული მტკნარი (უმარილო, უგემური საჭმლის) აღმნიშვნელი სიტყვა **ლიგე** (ჭარაია, 1997), სხვაგან ვხვდებით **ლაგე** ფორმითაც (ქაჯაია, 2001-2002), ანუ **ვ**-ს გარეშე და **ა** გახმოვანებით.

პროფ. მ. ჩუხუას აზრით, საკვლევია **ვ**-ს არსებობის საკითხი ზანურში, შენიშნავს: „თუ ფონეტიკური დანართია, ქართულშიც რატომ ვლინდება?“ ს.ქართვ. ძირად აღადგენს ***ლიგ(ᲩᲣ)-** „შტერი, გაშტერება“ ძირს > **ქართ. ლიგ-ი, ლიგვ-|| ლიგ-** : **ზან. ლიგვ-ალ-ი, ლიგვ- / ლაგვ-** (ჩუხუა, 2000-2003: 141). ამასთან შევნიშნავთ, რომ დღესაც გამოიყენება **ლიგუ** ფორმა, ხოლო **ლიგვალი** სიტყვის გამოთქმისას, გაბმულ მეტყველებაში ისმის **ᲩᲣ (ლიგᲩᲣალი).** რაც შეეხება **ვ-ს** საკითხს, ის წარმოადგენს ს. ქართვ. აღდგენილი **ᲩᲣ-ს** დავიწროებულ ვარიანტს. სალიტერატუროში კი იმიტომ გვხვდება, რომ თვითონ ფორმა დასავლურ ქართველურიდან, მეგრულიდან არის დამკვიდრებული მასში.

2.„სიტყვის კონაში“ გარდა **გული**სა და მისგან ნაწარმოები სხვა არაერთი ლექსიკური ერთეულისა (გულანი, გულითადი, გულისობა, იგულვა, ორგული, უგულისყურო...), ვხვდებით მეგრულ ფორმასაც **გურიობა.**

სულხან-საბა შენიშნავს ხოლმე, რომ გარჩევა და დაზუსტება სჭირდება ზოგ განმარტებას. მაგ.: **გურიობა** (გვრიობა D) (13, 20 იგავ.) მიდევნება არევით, თუ მიდევნება ოგურთა ZA. კიდევ გასინჯე, გარჩევა უნდა არეულობაა თუ მიდევნება (+ სიბრძ. 4,12; იგავ. 13 20 Cb). იქვე მიგვითითებს ნ. აგურიობდა. აგურიობდა (32,13 რიცხ.) Ab. სქოლიოში მიუთითებს: წყაროშია „აგურიობნა“-ო.

სულხან-საბასეული **გურიობა** ფორმობრივ-სემანტიკურად იგივეა, რაც მეგრ. **გურიობა/გურობა/გურება** „გულისობა, დიდ-გულობა; გულფიცხობა; გულობა“ (ქობალია, 2010). ო. ქაჯაიას თავის „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ **გურება** განმარტებული აქვს, როგორც „გულობა, გულით ნდომება“ და მაგალითიც მოჰ-ყავს: გური იშენი გურენც - გული მაინც გულობს (ქაჯაია, 2002). ამ კონტექსტის მიხედვით მისი განმარტება შეესაბამება შინა-არსს, თუმცა ამ ერთეულის მნიშვნელობა გულისხმობს უთან-ხმოებას და გულმოსულობას, უგულობას.

აკად. არნ. ჩიქობავამ გამოყო **გ**- ძირი და ფუძის მაწარმოებე-ლი აფიქსები: ქართ. -**ურ-**, მეგრ.-ჭან. -**ურ-;** სვანურში **-უ-** დაშლილია **-ᲩᲘ-**დ და გვხვდება **ლ**-ს მოკვეცითაც და **ლ**-იანადაც (გ-ᲩᲘ//გ-ᲩᲘლ-დ) (ჩიქობავა, 2008: 82). ჰ. ფენრიხისა და ზ. სარ-ჯველაძის ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, კი საერთო-ქართველური ფუძე ენის დონეზე აღდგენილია ***გულ-** არქეტიპი, რომელსაც მეგრულ-ლაზურში კანონზომიერად შეესატყვისება **გურ-,** სვანურში კი **გᲩ**-ი (ფენრიხ... 2000: 155-156).

საინტერესოა, რომ **გულ-: გურ-** ძირებისაგან მრავალი ფუძეა ნაწარმოები სალიტერატურო ენასა და მეგრულში, რაც გულის სემანტიკას უკავშირდება. მეგრულ-ლაზურში ამავე ძირისგანაა ნაწარმოები სწავლასთან დაკავშირებული ფორმებიც: **გურ-აფ-ა** „სწავლა“, **ო-გურ-აფ-უ** „სასწავლებელი“, **მ-ა-გურ-აფ-უ** „მსწავ-ლელი; მასწავლებელი“.

ვფიქრობ, „სიტყვის კონაში“ უშუალოდ მეგრულ-ლაზუ-რიდან მოხვდა. განხილული ფორმა არ დასტურდება ქეგლში.

3. საინტერესო ჩანს ლექსიკონში შესული ერთეული **დაჩინჩება** სავაჭროზე(დ) შესიტყვა ZABC. ძირეული ფორმა **ჩინჩ-** მეგ-რული წარმოშობისაა; ლექსიკონებში შესულია როგორც სახე-ლური, ისე მისგან ნაწამოები ზმნური ფორმები: **ჩინჩოლუა** - крошить; ср. ფუჩხოლუა (ყიფშიძე, 1994); ფშვენა, ფშვნეტა, ფშხვნა (ჭარაია, 1997); **ჩინჩი** - წვრილი; წვრილმანი, ჩია-ჩია (ქობალია, 2010). ლექსიკონებში ფორმები **ნ**-ს გარეშეც გვხვდება: **ჩიჩოლუა** დაფშვნა, დამარცვლა; დაფშვნეტა, დაკაკვლა (სიმინდისა); **ჩიჩოლირი** დაფშვნილი, დამარცვლული, დაკაკლული (ქობალია, 2010).

არნ. ჩიქობავას ეტიმოლოგიის მიხედვით **მეგრ. ჩიჩ-ოლ** უნ-და უკავშირდებოდეს **ქართ. ქურჩ-** (ნა-ქურჩ-ალ-ი) ძირს, ისევე როგორც **ჭან. ქურჩ-ოლ** „სიმინდის დაფშვნა“: „სიმინდის ფშვნი-სათვის, რომ ქართულშიც უნდა გვქონოდა ამავე ძირის (ქურჩ-) ზმნა, ჩანს სიტყვიდან: „ნა-ქურჩ-ალ-ი“ - სიმინდის ტაროს შიგნი-თა ნაწილი, რაზედაც მარცვლებია... მეგრული **ჩიჩ-ოლ**- იმავე **ქურჩ-** ძირს უნდა შეიცავდეს: **ქუჩ- - ქიჩ- >ჩიჩ-... უ>ი** მეგრულის-თვის ბუნებრივია; **ქ>ჩ** შეიძლება ასიმილაციის ნიადაგზე წარ-მომდგარიყოს... რაც შეეხება **რ**-ს (ქუ**რ**ჩ-) უფრო საფიქრებელია ჭანურსა და ქართულში ის განვითარებული იყოს, ვინემ მეგ-რულს დაჰკარგვოდეს... ამის სასარგებლოდ ისიც ლაპარაკობს, რომ ქართულში უ-**რ**-აეო ვარიანტიც მოგვეპოვება (ნა-ქუჩ-ალ-ი) (ჩიქობავა, 2008: 333).

ამ შემთხვევაში მეგრულში (ჩიჩ-<ქუჩ-) **ნ**-ს განვითარებაზე საუბარიც ბუნებრივი იქნება (ჩი**ნ**ჩ-).

პროფ. მ. ჩუხუა საანალიზო ერთეულს სულ სხვა ფორმას უპირისპირებს და ფუძე ენის დონეზე აღადგენს ***ცაც**- არქეტიპს:

ს. ქართვ. ***ცაც**- „მტვრევა, დაშლა, დანამცეცება“ > **ქართ. ‘ცეც’**, ნა-მ-ცეც-ი : **ზან. ჩინჩ-|| ჩგნჩ- < *ჩოჩ- : სვან. ჩჩ- || ჩუნჩ- < *ჩაჩ-.** ქართულში დამოუკიდებელი ცეც- ზმნური ძირი ვერ

გამოვავლინეთ. ისტორიულად მის არსებობაზე მიუთითებს ნაზმნარი სახელი ნა-მ-ცეც-ი. ფუძის გახმოვანება აქ მეორეულია ***ცაც- > ცეც- (შდრ. ჭარ- > || ჭერ-)** - ისევე, როგორც სხვა ქართველურ ენებში: ზანური ę/ი საწყის სახეობად ო-ს ვარაუდობს (ქართ. ა **(>ე) : ზან. ო),** ხოლო სვანური **უ (ჩუნჩ-)** ასიმილირებული **ა>/ე** არის - **ჩანჩ-ურ- > *ჩუნჩ-ურ-.** ინლაუტური **ნ** ფონეტიკური ჩანართია ზანურსა და სვანურში. ქართველურ ფუძეთა სემანტიკური ჩვენება იგივეობრივია (ჩუხუა, 2003: 331).

როგორც აღინიშნა, ნაზმნარი სახელები **ნა-ქურჩ-ალ-ი** და **ნა-მ-ცეც-ი** მიუთითებს ქართულში ამავე ძირის ზმნების არსებობაზე, რომელთა გამოვლენაც ვერ მოხერხდა. ვფიქრობთ, საბას ლექსიკონში სწორედ ამ მნიშვნელობის გამოსახატავად ზეპირი მეტყველებიდან შევიდა დაჩინჩება (ჩინჩება), თუმცა აბსოლუტურად სხვა სემანტიკით.

ქეგლშიც შესულია **ჩინჩი**[1], როგორც ჯანჯლობა (ვაჭრობაში), ღიჯინი და **ჩინჩი**[2] იგივე, რაც ჩრჩილი. მისი მეგრული მნიშვნელობა ნახსენები არ არის.

4. **კოლომანი** - მწარე დიდად Z. ნ. მწარე.

კოლომანი მეგრული გახმოვანების ფორმაა. როგორც პროფ. რ. შეროზია მიიჩნევს, კოლომანი შესულია ძველ ქართულშივე, რაც ლექსიკოგრაფის მიერ ძველი ტექსტების დამოწმებიდანაც ჩანს: **კოლომანი - „ესაიას თავიდან“** და შემორჩენილი აქვს მეგრულს **კოლო**-ს ფორმით (შეროზია, 2015: 194). ლექსიკონებში ასეა განმარტებული: **კოლო** - горький – „კოლო-ჭურა“ кубышка (горькая тыква მწარე კვახი); კოლინჯი (< კოლო+ჯინჯი корень) горький корень, кирказонъ (ძირმწარე); კოლომანი весьма горький (ყიფშიძე, 1994); მწარე (მაგ. ქინაქინა), ხოლო პიმპილის სიმწარეს მეგრულად ჰქვია ნწარე, შდ. ლექს, კოლომანი დიდად მწარე (ჭარაია, 1997). გვხვდება მისგან ნაწარმოები ვაზის ჯიშის სახელები: კოლოში, კოლოშინა, კოლოშონა, კოლოშური. კოლომია – ხეა ერთნაირი (ქაჯაია, 2002).

კოლო//კოლომანი სხვა დიალექტებში არ დასტურდება. მეგრულ მეტყველებაში გამოიყენება **კოლო** ფორმით, მისგან ნაწარმოებია ზმნური ფორმა გი-**კოლ**-უ-ან-ს. ქეგლში შესულია **კოლომანი** სულხან-საბასეული განმარტებით.

5. **ნარინ** (+ ქართლის ცხ. Z) მეფის პირი ZAa.

ვფიქრობთ, როგორც ეტიმოლოგიურ ლექსიკონებშია მითითებული, ამოსავალია ს.ქართვ. **რ-** ძირი, რომელიც სალიტერატურაში ენაში შემორჩენილია **ვ-ა-რ, ხ-ა-რ, ა-რ-ი-ს** და **გან-რ-ინ-ებ-ა** ფორმებში.

არნ. ჩიქობავა ამ ძირის ანალიზს იწყებს **ა-რ-ი-ს** „ყოფნა“ ზმნით და იქვე შენიშნავს, რომ **არი-||ორე-** ფუძეთა ძირი **რ-** უნდა იყოსო. ამ ძირისაგან ნაწარმოებად მიიჩნევს მეგრულ და ჭანურ **რინ-** ფუძეს. ჭანური: დორინუ - მოგება (დაბადება - კ. გ.); მეგრულში რინა, რინი - ყოფნა; სხვადასხვა პრევერბებით: გე-რინა - დგომა, მორინა - მხარის დაჭერა, გიმარინა - მაღალ რამეზე ყოფნა და სხვა (ჩიქობავა, 2008: 301-302).

დამაფიქრებელია, რომ ჰ. ფენრიხ, ზ. სარჯველაძის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ცალ-ცალკე ვხვდებით ს.ქართვ. **რ-** არქეტიპის აღდგენას **ვ-ა-რ, ა-რ-ს** შესაბამისად **მეგრ. ვ-ო-რ-ე-ქ,** „ვარ“, **ვ-ო-რ-დ-ი** „ვიყავი“, **რ-ე** „არის“, **რ-ინ-ა/რ-ინ-ი** „ყოფნა“; **მ-ა-რ-ენჯ-ი** „მყოფი“, **ო-რ-ენჯ-ი** „მომავალი“ (უნდა იყოს „სამყოფელი“- კ. გ.) და **გან-რ-ომ-ა, გან-რ-ინ-ებ-ა** ფორმებისთვის. ამასთან **გან-რ-ომ-ა, გან-რ-ინ-ებ-ა, გან-ე-რ-ა** ფორმებთან მეგრულში იმავე ძირისად ასახელებს **ვ-ო-რ-ინ-უნ-ან-ქ** „ვიფარებ“ (უნდა იყოს ვაყენებ, ვაბინავებ - კ. გ.), **დგ-ვ-ო-რ-ინ-ე** „შევიფარე“ (უნდა იყოს დავაყენე, დავაბინავე - კ. გ.) (ფენრიხი... 2000: 374-375).

ვფიქრობთ, წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულებისთვის ერთი ქუდის ქვეშ შეიძლებოდა ს.ქართვ. **რ-** არქეტიპის გამოვლენა, რომლისგანაც ნაწარმოებია როგორც **რ-ე** არის**, რ-ინ-ა** ყოფნა, ასევე ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესო **გე-რ-ინ-ა** (**გე-რ-ე** დგას) დგომა, **ნა-რ-ინ**-ი ნამყოფი, **გ-ნარ-ინ-ი** ნადგომი ერთეულები.

აქედან ვასკვნით, რომ **ნარინ**-ში იგივე სემანტიკაა შენარჩუნებული, რაც მეგრულში აქვს **ნამყოფი,** ამ კონკრეტულ შემთხვევაში **მეფის კარზე მდგომი//ნამყოფი** იგულისხმება.

ქეგლში ეს ფორმა არ გვხვდება.

6. **საყუდელი** (4,7 იერემ.) სამყოფი ZA.

ამ ფორმაში ნათელია **ყუდ**->**ცუდ**-ე „სახლი“ ძირის მეგრული წარმომავლობა. სალიტერატურო ქართულში იგივე ძირისაგანაა ნაწარმოები **მყუდრო, მყუდროება, საყუდარი, დაყუდება, საყდარი** ერთეულები. თუმცა გასათვალისწინებელია ზოგი მათგანის სემანტიკური ცვლილებებიც:

საყუდელი სულხან-საბა ორბელიანთან ისევეა განმარტებული, როგორც ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში (აბულაძე, 1973), მაგრამ **საყდარი** ძველ ქართულში დასაჯდომს, ტახტს ნიშნავდა, დღეს კი ეკლესიას, ტაძარს ნიშნავს. **დაყუდება** დაცხრომა, დამშვიდება, დადუმება, მონაზვნობას აღნიშნავდა, დღეს მისი ეს მნიშვნელობა მხოლოდ ეკლესიურ ტერმინად

ბერად შედგომა, განდეგილობის აღმნიშვნელად შემორჩა, სხვა მხრივ კი, რამეზე დაყენების, დაყრდნობის; ფეხზე გაჩერების, დგომის სემანტიკა შეიძინა. **მყუდრო/ყუდრო, მყუდროება/ყუდროება** სიტყვებმა დღემდე შეინარჩუნა სემანტიკა „წყნარი, მშვიდი“, „სიწყნარე, სიმშვიდე“.

ქართ. ყუდ- ძირის **მეგრული** შესატყვისად გამოვლენილია **ცუდ-** და სვანური **ყუ̈ედ-** ძირები. საერთოქართველურ არქეტიპად კი აღდგენილია **ყუ̈ედ-** ძირი (სვანური მასალის მიხედვით ხერხდება ადრეული საფეხურისთვის **ე** ძირეული ხმოვნის აღდგენა) (ფენრიხი... 2000: 535-536).

სხვა ქართველურ დიალექტებში გვხვდება ყუდ ძირისგან ნაწარმოები შემდეგი ფორმები: **აჭარ. ყუდარი** - მყუდრო, ჩრდილი ადგილი, სადაც წვიმა არ ჩამოდის; შეყუდრებული - წვიმას შეფარებული. **გურ. ყუდრება, შეყუდრება, გადაყუდრება** - წვი-მის დროს თავის შეფარება. მოხეურსა და ფშაურში გამოიყენება **ყუდელა** - მოხეტიალე; **ყუდიერა** - ადამიანი, რომელიც სულ დგას და ელოდება (ღლონტი, 1984).

7. ლექსიკონში ორჯერ ვხვდებით **ფელიკი** ერთეულს: 1. **ფელიკი** (+36, 9 გამოსლ. ZAB) კარვის ზღუდე ZABCq. ფელიკად ითქმის სიდიდისაგან, რომელი არა იზიდებოდეს, და მოკვეთილად ანუ შეიკრვოდეს, ანუ შეიმზადებოდეს ნაკვეთისაგანი ერთი ანუ ორი (+ და Ca) ათი და ვიდრე მრავალამდე. ზღუდენი კარავთანი, გინა მისთანანი, რაიც რავე იყოს Cab. 2. **ფელიკი** შაშხის ნაკვეთს უწოდენ გლეხნი ZA. შაშხის ნაკვეთს ფელიკად უწოდენ გლეხნი B. ღორის ჩამონასხეპი, გინა თევზისა Cb.

ქეგლში შეტანილია **ფელიკი** „ხერხემალზე სიგრძეზე გაკვეთილი საკლავის თხელფერდზე გადანაჭერის ერთ-ერთი ნაწილი - საკლავის მეოთხედი; 2. კუთხ. რაჭ. დაკლული ღორის ნახევარი, სიგრძისად გაჭრილი; **დაფელიკება** „ფელიკებად დაჭრა“ ფორმები. სალიტერატურო ქართულში ზმნური ფორმა არ იძებნება.

ფელეკი//ფელიკი განაპობს, ჩამონაჭერს, ჩამონათალს გულისხმობს. ეს ერთეული ფორმობრივ-სემანტიკურად მეგრულია. დასტურდება ზმნური ფორმაც **ფელეკ-ან-ს** (და არა **ფელიკ-ან-ს**) ხლეჩს, აპობს, შუაზე ჭრის (ქაჯაია, 2001-2002). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამოსავალი იყოს **ე**-ნიანი ფორმა **ფელეკ-.**

ფელიკი დასტურდება გურულ, რაჭულ და ქიზიყურ დიალექტებშიც როგორც „დიდი ნაჭერი ხორცისა“. ხევსურულში კი - **ფელკი** ფორმით „გამოწელილი საკლავის ნახევარი; გამოწელილ საკლავს რომ ხერხემლის გაყოლებაზე ორად გაჭრიან, ამ ერთ ნახევარს ფელკს ეძახიან“ (ღლონტი, 1984).

დამოწმებული ლიტერატურა:

ალავიძე, 1959: მ. ალავიძე, უცნობი დიალექტიზმები საბას ლექსიკონში, ლიტერატურული კრებული „რიონი“, №2, ქუთაისი, 1959;
ბოლქვაძე, 2005: თ. ბოლქვაძე, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ შექმნის სოციოლინგვისტური კონტექსტი, იდეოლოგიზებული ღირებულებები, თბ., 2005;
გვანცელაძე, 2006: თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006;
დადიანი, 2009: ე. დადიანი, მეგრულ-ჭანური სიტყვაფორ-მებისათვის სულხან-საბას „სიტყვის კონის“ მიხედვით, ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, I ტომი, თბ., 2009;
დანელია, 1991: კ. დანელია, მეგრულ-ჭანური ლექსიკის საკითხები, ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები), II ტომი, თბ., 1991;
ორბელიანი, 1991-1993: ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, I ტომი, 1991, II ტომი 1991;
ფენრიხი... 2000: ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000;
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), თბ., 1950-1964;
ქაჯაია, 2001-2002: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, II, III ტომი, თბ., 2001-2002;
ქობალია, 2010: ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010;
ღლონტი, 1984: ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984;
ყიფშიძე, 1914: Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, С.ПБ., 1914: წიგნში: ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებები, თბილისი, 1994;
შეროზია, 2007: რ. შეროზია, ქართველური სალიტერატურო ენისა და სულხან-საბას „სიტყვის კონის“ ზოგადი საკითხისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, XI ტომი, 2007;
შეროზია, 2015: რ. შეროზია, მეგრულ-ლაზური სიტყვა-ფორმებისათვის „სიტყვის კონასა“ და უძველეს ქართველურ ძეგლებში, ქართველური მემკვიდრეობა, XIX ტომი, 2015;

ჩიქობავა, 2008: არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, შრომები IV ტომი, თბ., 2008;
ჩუხუა, 2000-2003: მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003;
ჭარაია, 1997: პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ, 1997;
ჯავახიშვილი, 1937: ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937; წიგნში: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. X, თბ., 1992.

Keso Gejua

Megrelian vocabulary according to Sulkhan-Saba's "Sitkvis kona"

Many scientists still work on the detection of Megrelian-Laz units recorded in Sulkhan-Saba Orbeliani's "Sitkvis kona" (I. Kipshidze (1914), Iv. Javakhishvili (1937), M. Alavidze (1959), K. Danelia (1991)), T. Bolkvadze (2005), R. Sherozia (2007,2015), E. Dadiani (2009)). During the development of the dictionary, in addition to the units previously analyzed by researchers, word forms of Megrelian origin were also found. The article analyzes the units of order, **განლიგება** [**ganligeba**], **გურიობა** [**gurioba**], **დაჩინჩება** [**dačinčeba**], **კოლომანი** [**ḳolomani**], **ნარინ** [**narin**], **საყუდელი** [**saq̣udeli**], **ფელიკი** [**peliḳi**].

სერგო ვარდოსანიძე

მიხეილ ქავთარია, როგორც საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი

პროფესორი მიხეილ ქავთარია იყო დიდი ფილოლოგი, ისტორიკოსი, ტექსტოლოგი, რომელიც თანაბარი გატაცებით იკვლევდა როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიის, ხელ-ნაწერების, სიგელ-გუჯრების, ასევე საქართველოს მართლ-მადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის საკითხებს.

XX საუკუნის 20-80-იან წლებში საოკუპაციო ათეისტური ხელისუფლების მმართველობის ჟამს, საქართველოს მართლ-მადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხებზე მსჯელობა მატერიალისტური აზროვნების ქართული კულტურის განვითა-რების ჩარჩოებში შეიძლებოდა წარმოჩენილიყო. საერო მეცნიე-რთა შორის თითქმის არავინ იყო, ვინც მიუკერძოებლად, მეცნიერული კეთილსინდისიერებით მოგვითხრობდა მრავალ-საუკუნოვანი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიას. პროფესორი მიხეილ ქავთარია იყო ერთადერთი მეცნიერი, რომელიც ანგარიშს არ უწევდა ოფიცია-ლურ კონიუქტურას და ობიექტურად იკვლევდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებს. ახალგაზრდობიდან მისი ამ პრობლემებით დაინტერესება იმან განაპირობა, რომ ბატონი მიხეილის ბავშვობა და სტუდენტობა ორი დიდი პიროვნების, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე ცინცაძის საახლობლო წრეს უკავშირდება. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მეშვეობით მან თითქმის ყველაფერი იცოდა დიდი პატრიარქების კირიონის, ლეონიდეს და ამბროსის შესახებ, ასევე XIX-XX საუკუნეების ქართველოლოგიური მეცნიერებების წინაშე არსებულ გამოწვევებზე. პატრიარქი კალისტრატე იყო XIX-XX საუკუნის საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცოცხალი მატიანე.

მომავალში ალბათ უფრო სერიოზული ნაშრომი დაიწერება საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემებზე მიხეილ ქავთარიას ნაშრომების შესახებ. ამჯერად მინდა ვისაუბრო პროფესორ მიხეილ ქავთარიას დამოკიდებულებაზე უწმიდეს და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ზე და უწმიდეს და უნეტარეს კათოლიკოს-პატრიარქ კალის-

ტრატეზე. ურთულესი იყო ცხოვრების და მოღვაწეობის ის გზა, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ I განვლო, საერო ცხოვრებაში პირადი ტრაგედიის შემდეგ მან ეკლესიას მიაშურა, 18 წლის ასაკში (1738 წ.) იგი ბერად აღიკვეცა და ეწოდა სახელად ანტონი, 1739 წელს გახდა გელათის წინამძღვარი, 1740 წელს (20 წლის ასაკში) ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა კათოლიკოს გრიგოლის ლოცვა-კურთხევით გახდა ქუთათელი მიტროპოლიტი, 1744 წელს იგი აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს (1744-1755 / 1764-1788). პატრიარქი ანტონ I იდევნებოდა ჯერ ირან-რუსეთის ინტერესების დამცველი პოლიტიკური ჯგუფის მიერ, ხოლო შემდეგ ეკლესიის და სასულიერო წოდების მარგინალიზაციის მიზნით ანტირელიგიური ისტერიის წლებში (1922-1938 წ.წ.) გამოიყენეს მისი მოწინააღმდეგეების მიერ გავრცელებული ცილისწამება თითქოს ანტონ I-მა ცეცხლს მისცა ,,ვეფხისტყაოსანის“ ხელნაწერები. პროფესორმა მიხეილ ქავთარიამ გასული საუკუნის 70-იან წლებში მიზნად დაისახა უსამართლოდ დაჩაგრული დიდი საეკლესიო მოღვაწის და მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ობიექტური სურათის წარმოჩენა, მაგრამ გამოკვლევის სათაური ეპოქის სირთულის პირობებში ასე შენიღბა: ,,XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“ (ქავთარია, 1977: 3) (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა).

მან ამ მონოგრაფიით გააბათილა კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ პირველის შესახებ არსებული ყველა უსამართლო ბრალდება და ეს საეკლესიო მოღვაწე თავისი სიდიდით დაუბრუნა ქართულ სინამდვილეს. ბატონმა მიხეილმა კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ პირველზე მოიძია ყველა მასალა როგორც გამოქვეყნებული, ასევე გამოუქვეყნებელი ხელნაწერები, დოკუმენტები და მათი ანალიზის საფუძველზე აღადგინა XVIII საუკუნის 40-80-იანი წლების საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღელვარე ეპოქა. მისი კვლევის სტილი იყო უბრალო მაგრამ ტევადი. მაგალითისთვის მას მოჰყავს A904, ფ.163 ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერი: ,,თუესა აგვისტოსა იკურთხა კათოლიკოზად მეფის ძე ანტონი“ (ქავთარია, 1977: 3.) და აგრძელებს რომ იშვიათი იყო საქართველოს ეკლესიის ისტორიაში მსგავსი მაგალითი როდესაც 24 წლის ახალგაზრდა საქართველოს ეკლესიის წინამძღოლი გახდა. პატრიარქ ანტონ I არა მარტო ქართველი სასულიერო პირების ნაწილი და ათეისტი მეცნიერები აკრიტიკებდნენ, არამედ ვინმე გ. მირზოიანმა იგი რეაქციონერ-სქოლასტიკოსად მიიჩნია. პროფესორმა მიხეილ

ქავთარიამ მეცნიერული არგუმენტების მოხმობით უარყო გ. მირზოიანის მოსაზრება და განავითარა ის თვალსაზრისი, რომ ,,კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის სახით საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგა დიდი ნიჭის და ერუდიციის ადამიანი, რომელმაც ქართლ-კახეთის მეფეთა მხარდაჭერით კულტურული ცხოვრების განვითარების ფართო გეგმა შეადგინა“ (ქავთარია, 1977: 4). მიხეილ ქავთარიას მართებული დასკვნით, დაპირისპირება პატრიარქ ანტონ პირველსა და თეიმურაზ მეორის მოძღვრის ზაქარია გაბაშვილის ბანაკებს შორის იყო ბრძოლა ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრისათვის. პატრიარქი ანტონ I იყო ევროპული ორიენტაციისა და საქართველოს მომავალს ევროპაში ხედავდა, ხოლო ზაქარია გაბაშვილის ჯგუფი რუსულ-ირანულ ინტერესებს გამოხატავდა. მეცნიერის დასკვნით პატრიარქი ანტონ I უფრო მისი პოლიტიკური ორიენტაციის მსხვერპლი იყო, ვიდრე რელიგიური ცდომილებებისა. ოპონენტებმა ორი რამ არ აპატიეს კათოლიკოს-პატრიარქს: 1. ანტონ I შეეცადა მატერიალურ კეთილდღეობაზე გადართულ ეპისკოპატის გაკონტროლებას და სულიერებისკენ მობრუნებას; 2. მისი პოლიტიკური ორიენტაცია დიდ საგანმანათლებლო რეფორმას და ინტელექტს მოითხოვდა. ამიტომ გამოიყენეს მისი კავშირები კათოლიკე მისიონერებთან, ბრალი დასდეს კათოლიკურ ცდომილებაში. რუსეთისკენ მოძრავ თეიმურაზ II-ის მხარდაჭერით 1756 წლის 4 აპრილს მოწვეულ საეკლესიო კრებაზე გადააყენეს პატრიარქობიდან და საქარ-თველოდან გააძევეს. პროფესორ მიხეილ ქავთარიას სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს 1756 წლის საეკლესიო კრების დოკუ-მენტური მასალა, პატრიარქ ანტონის ,,მონანიების“ წერილი, შემდეგ მანამდე გამოუქვეყნებელი წყაროების ანალიზის საფუ-ძველზე აღადგენს მის მოგზაურობას რუსეთში, რუსეთის სინოდის წინაშე გამოსვლას, სადაც 1757 წლის 16 მარტს მან წა-რუდგინა ,,სიმბოლო სარწმუნოებისა“ (ქავთარია, 1977: 29), რომელშიც მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი რელიგიური მრწამსი. როგორც ცნობილია რუსეთის სინოდმა 1757 წლის დეკემბერში ანტონი დანიშნა ვლადიმირის ეპისკოპოსად. რუსეთისათვის მთავარი იყო ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ევროპული ორიენ-ტაციის მეთავე პიროვნება უკვე მის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფილიყო და მისთვის ეპარქიას არ დაიშურებდა.

1762 წლის 8 იანვარს ქართლის მეფე თეიმურაზ II გარდა-იცვალა. მიხეილ ქავთარია იმოწმებს ერეკლე II-ის ანტონ კათოლიკოსისადმი გაგზავნილ წერილს: ,,რა წახველ... მას აქეთა მეცა სიცოცხლესა და გონებისა სიხარული გამრებია, დამიჯერე,

ახლოს ვერ მოგახსენებდი ამას, მაგრამ ახლავ მოგახსენებ... შენ საქართველოს ეკლესიის მარილი და მეფეების გვირგვინი გაგვეცალე... შენი ამ ქვეყნიდან დაკარგვა ჩვენ უნდა დაგვემძიმოს“ (ქავთარია, 1977: 46). ანტონ I, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მოწვევით, დაბრუნდა საქართველოში და 1764 წელს კვლავ დაიკავა კათოლიკოს-პატრიარქის ტახტი, მან თავდაპირველად სცადა ზაქარია გაბაშვილის ჯგუფთან მოლაპარაკება, მაგრამ რაკი ეს მცდელობა უშედეგო იყო ამიტომ ზაქარია ეკლესიიდან განაყენა. „გამოჩნდა უკვე ჩვენსა ამას ეპარქიასა შინა კაცი გამრყვნელი ქრისტეს სავენახისა, ზაქარია უკვე ხუცესი ამაღლებული მეცნიერებასა ზედა ღვთისასა“ (ქავთარია, 1977: 47). პროფესორ მიხეილ ქავთარიას ამ გამოკვლევაში მოხმობილი აქვს არაერთი მანამდე მეცნიერული წრეებისათვის უცნობი დოკუმენტები, რომელნიც ნათლად წარმოაჩენს ეპოქას, იმ დროს მოღვაწე ადამიანებს. ბატონი მიხეილ ქავთარია ყურადღებით ეკიდება თითოეულ პიროვნებას, ცდილობს დოკუმენტებში მოხსენიებულ პირთა შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მოძიებას და წარმატებით ახერხებს ამას. მაგალითისთვის გიორგი XIII ჰყავდა სამი ცოლი, პირველი ადრევე გაუშვა, მეორე ქეთევან ანდრონიკაშვილი გარდაიცვალა 1782 წლის 3 ივნისს, დასაფლავებულია გარეჯის უდაბნოში, მესამე მარიამ გიორგის ასული ციციშვილი (იხ. პლ. იოსელიანი ,,ცხოვრება გიორგი XIII-სა გვ. 14) (ქავთარია, 1977: 206), სწორედ ამ პიროვნებას გულისხმობს ანტონ I. პროფესორმა მიხეილ ქავთარიამ ამ გამოკვლევით გააცოცხლა XVIII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო ისტორიის არაერთი უცნობი ფაქტი, მოვლენა და მომავალ თაობებს შესაძლებლობა მისცა ახლებურად გაეაზრებინათ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I ეპოქა და მისი მოღვაწეობა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უახლოესი ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს XX საუკუნის დიდი პატრიარქის კირიონის, ლეონიდეს, ამბროსის, კალისტრატეს ჩანაწერებს, საარქივო დოკუმენტებს. მიხეილ ქავთარიას წინასიტყვაობით გამოიცა კათოლიკოს-პატრიარქების ამბროსისა და კალისტრატეს ჩანაწერები. განსაკუთრებით ფასეულია უწმიდესი კალისტრატეს მოგონებები, რომელშიც დავწრილებითაა გადმოცემული XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან რუსეთის ეგზარქოსების საქმიანობა 1917 წლამდე, ასევე საქართველოს მართლმადიებელი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი მოვლენები. მიხეილ ქავთარიას ფხიზელ თვალს

შეუმჩნეველი არ დარჩა ის არასასურველი პროცესები, რაც ფართო საზოგადოებისათვის უცნობი იყო, მაგრამ კარგად ჩანდა კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის ჩანაწერებში. სასულიერო პირთა ერთი ნაწილის კომფორმიზმი, საოკუპაციო ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, ეკლესიისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეალების ერთგული სასულიერო პირების დევნა-შევიწროება და უსამართლო ცილისწამების კორიანტელში გახვევა. პროფესორ მიხეილ ქავთარიას შენიშვნებითა და ბოლოსიტყვაობით 1994 წელს გამომცემლობა „კანდელმა“ გამოსცა პატრიარქ კალისტრატეს მიტროპოლიტობის დროინდელი ენციკლოპედიური ნაშრომი „ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესია ტფილისში“. საქართველოს ეკლესია-მონასტრებზე არაერთი საინტერესო გამოკვლევა არსებობს, მაგრამ იშვიათად მინახავს ასეთი სრულყოფილი გამოკვლევა, რომელიც არა მარტო ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიასთან დაკავშირებულ ყველა კითხვას პასუხობს და აცოცხლებს XVIII-XX საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორიის არაერთ მნიშნელოვან მოვლენას. წიგნის ბოლოსიტყვაობაში პროფესორი მიხეილ ქავთარია წერდა: „ქვაშვეთის ეკლესიის ისტორია, როგორც წიგნს ჰქვია, ავტორის ჩანაფიქრით მხოლოდ ერთი, თუნდაც დიდებული ტაძრის ისტორია კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ თბილისის სიძველეთა ისტორიაც და კეთილშობილური ვალის მოხდაც იმ ადამიანთა ხსოვნის წინაშე, რომელნიც უხმაუროდ აკეთებენ თავიანთ საქმეს, ინახავდნენ განათლების კეთილშობილურ ტრადიციებს და ქვეყნის სიყვარულის ჩირაღდანს“ (ცინცაძე, 1994: 263). პროფესორი მიხეილ ქავთარია პატრიარქ კალისტრატეს როგორც პიროვნების და მეცნიერის შეფასებისას იშველიებს აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს: „თუ არა ეკლესია, კალისტრატეს სახით ქართულ ფილოლოგიას და ეკლესიის ისტორიას მაღალი რანგის მკვლევარი ეყოლებოდაო“. უწმიდესი პატრიარქის მოწინააღმდეგენიც ვერ მალავდნენ მის გამორჩეულობას ამის დასტურად ბატონ მიხეილს გამოუქვეყნებელი საარქივო მასალებიდან მოაქვს ქუთათელი მიტროპოლიტის დავით კაჭახიძის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა სინოდის სხდომაზე: „აბა ერთი თვალი გადავავლოთ ჩვენ წარსულ საეკლესიო ცხოვრებას ამ უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში, რომელი სასულიერო პირი უფრო ხშირად, უფრო მეტი პატივისცემით იხსენიებოდა ჩვენს წრეში... კალისტრატე, კალისტრატე აი, ეს კალისტრატე ინტელექტუალურადაც და მოქმედებითაც უპირატესად ცნობილი იყო ჩვენს შორის“. მიხეილ ქავთარია აზუსტებს პატრიარქ კალისტრატეს როლს ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში, მოკლედ მიმოიხილავს მის პირველ

სადიპლომო ნაშრომს, შემდგომ 1917 წლის ივნისში პეტროგრადში მოლაპარაკებებს რუსეთის დროებით მთავრობასთან, პატრიარქ ტიხონის წერილზე ლეონიდე კათოლიკოსის პასუხს, რომელიც იმხანად დეკანოზ კალისტრატეს დაუწერია, ასევე ხაზს უსვამს 1943 წლის 31 ოქტომბერს რუსეთის ეკლესიის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიის ცნობაში პატრიარქ კალისტრატეს როლს.

პროფესორმა მიხეილ ქავთარიამ შესანიშნავად იცოდა XX საუკუნის საქართველოს ეკლესიის ისტორიის ისეთი ფაქტები და მოვლენები, რომელნიც ფართო საზოგადოებისათვის დაფარული იყო (მოსაყდრის პრობლემა პატრიარქ ამბროსის დროს, ქუთაისის 1926 წლის დეკემბრის ყრილობა, შიდა ინტრიგები და დაპირისპირებები ეკლესიაში 1950-60-იან წლებში, 1968 წლის საეკლესიო ამბოხი, მიტროპოლიტ გაიოზ კერატიშვილის საქმე). ამ უამრავი პირველხარისხოვანი ინფორმაციების პატრონი იყო საოცრად თავშეკავებული ადამიანი. ამ, ერთი შეხედვით, ღია, თავისუფალ, მეგობრულ კაცს ჰქონდა თავისი მაღალი მოქალაქეობრივი და მეცნიერული პრინციპები და ამ გზიდან ვერავინ ვერასოდეს ვერ გადაიყვანდა. მიხეილ ქავთარია არასოდეს ავზე კარგს და კარგზე ავს არ იტყოდა. უხმაუროდ დიდ საქმეს აკეთებდა, ინახავდა და აცოცხლებდა საქართველოს ეკლესიის დიდ ისტორიის და გარშემომყოფთ გვაჩვენებდა როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მეცნიერი, თავისი საქმის, ქვეყნის პატრიოტი. მისი ამ სოფლიდან გასვლა ჩვენთვის დიდი ტკივილია, მაგრამ მეცნიერული მემკვიდრეობა და სახელი ის სიმაღლეა, რომელიც აისბერგივით დიდხანს გამოჩნდება და იბრწყინებს ქართულ ინტელექტუალურ სივრცეში.

დამოწმებული ლიტერატურა:

ქავთარია, 1977: მ. ქავთარია, „XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“ თბ., 1977;

ცინცაძე, 1994: კ. ცინცაძე, „ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში“, თბ., 1994.

Sergo Vardosanidze

Mikheil Kavtaria as a Researcher of the History of the Georgian Church

Professor Mikheil Kavtaria was a great philologist, historian and textual scholar who researched with equal enthusiasm the history of Georgian literature, manuscripts and historic documents as well as the matters of the History of the Georgian Orthodox Apostolic Church.

In ‘20s to‘80s of the 20th century, during the occupant and atheist government ruling, discussions around historic matters of the Georgian Orthodox Church could be manifested within the developmental frames of materialistic thinking of the Georgian culture. Among the secular scientists there was hardly anyone who would recount the centuries-old history of the Georgian Orthodox Apostolic Church impartially and with scientific honesty. Professor Mikheil Kavtaria was the only scientist who disregarded the official political conjuncture and objectively researched the history of the Georgian Church.

Professor Mikheil Kantaria was well aware of historic facts and events of the 20th century Georgian Church that were hidden from the general public (the issue of co-regent During the Patriarch Ambrosi, December 1926 Congress in Kutaisi, inner intrigues and oppositions within the Church in 1950s and 1960s, Church revolt of 1968, the case of Metropolitan Gaioz Keratishvili). The person aware of the top priority information was remarkably reserved. This man, who seemed to be an open, free and friendly person, had high civic and scientific principles that no one could ever make him divert from. Mikheil Kavtaria would never praise vice or denounce virtue. He quietly pursued great deeds, preserved and kept alive the great history of the Georgian Church and to all of us served as an embodiment of a true scholar and a real patriot devoted to his cause and country. His passing brings us great pain however his scientific legacy and his name alike towering iceberg will shine in the Georgian intellectual sphere for many years to come.

გაბრიელ თაგაური

ქართული ზღაპრის შესწავლის სამომავლო პერსპექტივები

საქართველოში ბევრი ზღაპარი დაწერილა, ქართულ ხალხურ და ლიტერატურულ ზღაპრებზე არაერთიც თქმულა, თუმცა შექმნილი ვითარება დღის წესრიგში აყენებს იმ სასარგებლო აუცილებლობას, რომ სკოლის მოსწავლეებს მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ ზღაპრების შესახებ, მოვუთხროთ სახელოვან ქართველ მწერალთა დღეისათვის ნაკლებადცნობილ მხარეებზე, გავაცნოთ ფართო საზოგადოებისათვის უცნობი ნაწარმოებები, და ეგებ, ერთობლივი ძალებით ბაღისა თუ სკოლის სახელმძღვანელოებიდან უსამართლოდ გამოდევნილი ქართული ზღაპრები კვლავ დავაბრუნოთ სასწავლო პროგრამაში. ვიფიქრობთ, ეს მოსწავლეში კლასგარეშე ლიტერატურის გაცნობის ინტერესსა და მოტივაციასაც საგრძნობლად გაზრდის, რამდენადაც ჩამოქნის მათ „ნებაყოფლობით მკითხველებად“, ამავე დროს, შეაგრძნობინებს ქართული სიტყვის ძალასა და სილამაზეს, გააცნობს ქართულ (აქ: მშობლიურ) ყოფას, წარმოდგენას შეუქმნის ძველი ქართველების საქმიანობისა და მდიდარი ტრადიციების შესახებ. საქმე ისაა, რომ ყველასათვის ნაცნობი დიდი ქართველი მწერლები ლექსების, დრამების, მოთხრობების, ნოველებისა თუ რომანების პარალელურად წერდნენ ზღაპრებსაც. სულ მალე გამოიცემა ალექსანდრე ყაზბეგის უცნობი თხზულებები, სადაც ლექსებთან, პოემებთან და მოთხრობებთან ერთად შესულია რამდენიმე ზღაპარიც; ამით იმის თქმა გვსურს, რომ სახელოვანი ავტორების კიდევ არაერთი ზღაპარი ელის მკვლევარსა და დამფასებელს, და ვინ მოსთვლის - კიდევ რამდენია გასაკეთებელი... საინტერესოა საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ბ-ნი ზვიად გამსახურდიას ერთი პატარა წინასწარმეტყველური ზღაპარი - „სასწორთვალა და აუწონავი ხმის ჭაბუკი“. ეს უკანასკნელი პოლიტიკური პრიზმით ახსნა და ავტორის ძნელად გასავლელ გზას დაუკავშირა პროფ. თენგიზ ჯანჯღავამ. პირველად ეს ზღაპარი 1971 წელს გამოიცა ჟურნ. „ცისკრის“ მე-11 ნ-ში. 20 წლის შემდეგ, 1991 წელს, ერთ-ერთი

სატელევიზიო გამოსვლისას ბ-ნ ზვიად გამსახურდიამ საზოგადოებას გაანდო, რომ ამ რამდენიმე წლის წინ მე დავწერე ზღაპარი, რომელიც მაშინ ბევრმა ვერ გაიგო და რომელსაც მომავალში მევე გავშიფრავო. გაზ. „სარანგმა“ პრეზიდენტის ეს ნათქვამი მისი მოღვაწეობის დარად სცნო და 1993 წლის 3 ნოემბრის ნომერში ხელახლა გადაბეჭდა ზღაპარი აუწონავ ხმის ჭაბუკზე. ზღაპარი, გარდა იმისა, რომ მკვლევარისა და პრეზიდენტის დაწერილია, გამოირჩევა კიდევ ავტორის უხვი ფანტაზიისა და ლიტერატურულად მდიდარ სახეთა დახატვის უნარით; აქ არაერთ გამოგონილ პერსონაჟსა თუ ქვეყანა-სახელმწიფოს შეხვდებით, როგორეზიცაა: „სასწორთვალა, აუწონავი ხმის ჭაბუკი, ყინულეთი, დავიწყების ქალაქი, უკვდავების სახაბაზო, ცოფიანი კატების მინდორი, ცივი თუთიყუშის კლდე, თაღლითი მძივების მდინარე, სიცილის ხიდი, მელისყურა არწივი, დავიწყების მდინარე“. მაგრამ საკითხავიც სწორედ ესაა - გამოგონილია, თუ ალეგორიაა? ჩანს, ავტორმა ალეგორია გამოიყენა, როგორც იმ რეალობის შენიღბვის ხერხი, რომელშიც თავად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და სინამდვილეში ყველა მისი გამოგონილი პერსონაჟის უკან იმდროინდელი გავლენიანი პოლიტიკოსები დახატა, რომელთა კრახიც (აწ განცდილი, თუ მოსალოდნელი) ოსტატურად აჩვენა ზღაპრის მეშვეობით. ჩვენი ღრმა რწმენით, „მელისყურა არწივში“ „მელ“ აბრევიაცია ამოიკითხება, რომელიც, თავისმხრივ, იშიფრება შემდეგნაირად: მარქსი - ენგელსი - ლენინი. შესაბამისად, მელისყურა არწივი გამოდის მაქრსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მიმდევარ-გამტარებელთა ფარდი ტერმინი; ამდენად, ზღაპრის ავტორს მტკიცედ სჯეროდა, რომ მოვიდოდა დრო, სადაც ბავშვები არა მომწამვლელ იდეოლოგიაზე, არამედ ეროვნული გმირების სამაგალითო ისტორიაზე აღიზრდებოდნენ.

მკითხველისათვის თითქმის უცნობია გრიგოლ რობაქიძის გაუხმაურებელი ზღაპარი „ორი ძმა“, რის გამოც საჭიროდ ვთვლით მასზე ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. ზღაპარი „ორი ძმა“ დაიბეჭდა 1942 წელს ვესტერმანის ყოველთვიურ ჟურნალში „Westermanns monatshefte“. თვითონ, გრ. რობაქიძე არსად აღნიშნავს ამ ზღაპრის არსებობის შესახებ. მას პირველად მიაკვლია დოქტ. მარგარეტ შუხარდმა გიოტინგენის

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. გერმანული ენიდან თარგმნა ნუგეშა გაგნიძემ, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნ. არავის 2016 წ-ის მე-2 ნომერში (32-35). ეს ბრწყინვალე და აქამდე ბედის ირონიით „დამალული“ ზღაპარი სწორედ ზემოხსენებული თარგმანის მეშვეობით შემოიჭრა ქართულ მიმოქცევაში. ზღაპარში მწერლური ოსტატობითაა მოთხრობილი ბედნიერების მაძიებელი ორი ძმის ამბავი. მეფის ვაჟებს თავიანთი სამეფო არ ჰყოფნით და დაუოკებელი სურვილის დასაკმაყოფილებლად სახლიდან ძალიან შორს მიემგზავრებიან. წასვლამდე ისინი დანიშნული ქვის ქვეშ თავიანთ ბეჭდებს ათავსებენ, რათა ასე გაიგონ დაბრუნების შემდეგ ერთმანეთის ავან-ჩავანი; თუ რომელიმე მათგანს დათქმულ დროს ბეჭედი კვლავ იმ ადგილზე დახვდა, ე.ი. ბეჭდის პატრონი გასაჭირშია და დახმარება ესაჭიროება. ერთი წლის მერე უფროსი ბრუნდება, ხოლო უმცროსი ძმის ბეჭედი ადგილზე ხვდება. იგი მიემართება თავისი ნაბოლარა ძმის საპოვნელად და გადასარჩენად. ხანგრძლივი და შრომატევადი ძიების წყალობით ის სამეფო სასახლეში იპოვის სიცოცხლისაგან დაცლილ, უსულოდყოფილ ძმას, ჯადოსნური ყვავილის მეშვეობით გააცოცხლებს, დაიხსნის გასაჭირისაგან უმცროსი ძმის საცოლეს და მფრინავი ოქროს პერანგით შინ ბრუნდებიან. ასეთია ძალიან მოკლედ ამ ზღაპრის შინაარსი. მოკლე შინაარსიდანაც კი კარგად ვხედავთ, თუ როგორ დეტალურად მისდევს ჯადოსნური ზღაპრის მოქმედ პერსონაჟთა ფუნქციებს რობაქიძის ეს ზღაპარი, რაც უთუოდ, მწერლის სასახელოდ ჩაითვლება. სულ ასეთი 31 ფუნქციით გახლავთ შემკული ჯადოსნური ზღაპრის გმირი, საიდანაც პირველია ოჯახის ერთ-ერთი წევრის სახლიდან წასვლა, ბოლო კი - ამავე გმირის უკან დაბრუნება, ქორწინება და გამეფება. ფაქტობრივად, ავტორი საოცარ წრიულ და ლოგიკურად გადანასკვულ ჯაჭვს ქმნის და ამავდროულად თავისი ზღაპრის გმირებს ფუნქციათა მრავალფეროვნებითაც ტვირთავს, კერძოდ: ყველა (აქ: ორივე, და არა „ერთი“) გმირი გადის სახლიდან - ერთ-ერთი ბრუნდება - კვლავ ტოვებს თავის სამფლობელოს - მოჰყავს უმცროსი ძმა - ეს ძმა ქორწინდება მეფის ასულზე და მეფდება. ყურადღებას იქცევს უფროსი ძმის რობაქიძისეული სახეც; როგორც წესი, ქართულ ხალხურ ზღაპრებში უმცროსი ძმა გარეგნულადაც და მორალურადაც უფრო ძლიერია თავის უფროს ძმებზე, აქ კი, თითქოს, „დაჩაგრული“ უფროსი ძმის ძალზედ ორიგინალურ რეპრეზენტაციას (ტრანსფორმაციას)

გვთავაზობს ავტორი (შენიშნულ ფუნქციათა შესახებ ვრცელი მსჯელობისათვის იხ. პროპი, 1984: 70-106).

ვ. ი. პროპის მიერ გამოვლენილი 31 ფუნქცია ჯადოსნური ზღაპრისა, უფრო უნივერსალურია, მაგრამ რამდენადაც ზღაპარი ნაციონალურ დაღს ასვამს ნარატივს, კვლევისათვის საინტერესო და საყურადღებო უნდა გამოდგეს, თუ როგორი ეროვნული ხაზით განვითარდა საერთო ზღაპრული მოტივები, როგორი მოდიფიკაციის გზა განვლო ამა თუ იმ განსაზღვრულმა ფუნქციამ და ასევე ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, თუ რა ასახვა ჰპოვა ნაციონალურმა ბაზისმა ქართული ხალხური და ლიტერატურული ზღაპრის ტექსტში. ნაყოფიერი შედეგის მისაღწევად, საჭიროა დავადგინოთ, თუ რას ცვლის მწერალი - ლიტერატურული ზღაპრის ავტორი ლიტერატურულ ზღაპარზე მუშაობისას, როგორ ინარჩუნებს სიახლოვეს ხალხურ ზღაპართან და ამისათვის რა ხერხებს, რა ენობრივ საშუალებებს მიმართავს, რამდენად ასხვაფერებს შინაარსსა და რა დოზით ახდენს ზღაპრული პერსონაჟის ტრანსფორმირებას. ზუსტი სურათის მისაღებად მიზანშეწონილად მივიჩნევთ შესადარებელ ტექსტთა დიაქრონიულ ხაზზე დალაგებას, რაც საბოლოოდ დაგვანახებს, ვინ უფრო მარჯვედ ახერხებს ზღაპრისათვის დამახასიათებელი არქაულობის დაცვას, ძველი თუ, - თანამედროვე ავტორი. ხალხური ზღაპრების უთვალავი რაოდენობიდან გამომდინარე, სასურველია, თავდაპირველ ეტაპზე, დამუშავებულ იქნეს, ჯერ ლიტერატურული ტექსტები, შემდგომ ეტაპზე კი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, თითოეულ ავტორისეულ ზღაპარს მოეძებნოს ანალოგი ხალხურ (ფოლკლორულ) ზღაპარში. **ამგვარი სამუშაო მეთოდით შევძლებთ ერთ ლოგიკურ ბადეში კვლევის საბოლოო შედეგების მოქცევას. ასევე, უპრიანია, ლინგვისტური მასალის ასახვა ლექსიკური სინსეტების ცხრილში, რაც კიდევ უფრო მკვეთრად და ნათლად წარმოაჩენს მსგავსებას ამ ორ ახლობელ მონაცემს შორის.**

ცნობილი მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე და ქართული ფოლკლორის დაუღალავი მკვლევარი მ. ჩიქოვანი წერდა: **„ფოლკლორული ნაწარმოების განხილვა და შესწავლა იმავე წესით შეიძლება, რა წესითაც მწერლის თხზულება ისწავლება. განსხვავება მათ შორის იმ სპეციფიკურ ფორმაშია, რომლითაც,**

ვთქვათ, ზღაპარი განსხვავდება მოთხრობისაგან“ (ჩიქოვანი, 1938: 12). დღეს არსებული სალექსიკონო განმარტებები არ იძლევა საშუალებას გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ჟანრულად ახლომდგომი მონაცემები - ზღაპარი, იგავ-არაკი, მოთხრობა თუ ნოველა, რაც თავისმხრივ, გამოიწვია განსამარტ ცნებათა დეფინიციებში უხვად თავჩენილმა გადაკვეთის, შეხების წერტილებმა. მაგალითისათვის, სულხან-საბა ორბელიანი ვერ ხედავდა მიჯნას იგავსა და არაკს შორის; არაკის მისებური განმარტება ასეთია: „**არაკი** სომხურად იგავს ჰქვიან.“ გაურკვევლობას ქმნის ზღაპრის საბასეული ახსნაც, ვინაიდან გამოდგება არაკის განმარტებადაც. კერძოდ: „**ზღაპარი** არს მოგონებული ტყუილი, ამბავად შემჭევრებული და არა ქმნილი მყოფობით.“ **საერთო სურათის თანახმად, ზღაპარი არის გამოგონილი, ფანტასტიკური შინაარის მქონე ამბავი, თუმცა წილი გამონაგონისა შეიძლება ყველა ლიტერატურულ ჟანრში შეგვხვდეს. ვფიქრობთ, მეცნიერულ დონეზეა შესამუშავებელი ის ჟანრული, და ამავე დროს, მკაცრად სპეციფიკური კრიტერიუმები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება მოცემული ტექსტის ჟანრობრივი კვალიფიცირება, ანუ დადგინდება მისი ჟანრული რაობა, ამისათვის კი, თითოეული ფორმის (ზღაპარი, იგავი, არაკი, მოთხრობა) იდეურ-სტრუქტურული სიღრმისეული შესწავლაა საჭირო.** აქვე ვიტყვით, რომ „ტყუილი“ და „გამონაგონი“ ვერ მოგვევლინებიან ფარდ ცნებებად, ვინაიდან ზღაპრებში გამოგონილი ფონი სიმართლის გამოაშკარავებასა და უკეთურების მხილებას ემსახურება. მაშასადამე, ზღაპარში ალეგორია სიმართლის თქმის ერთგვარი ხერხია, და, ამდენად, ერთი შეხედვით ფანტასტიკურ, მოგონილ ამბებსაც კი უტყუარი სიმართლე ასაზრდოვებთ. მაშასადამე, „ზღაპარის ტყუილი“ განსხვავ-დება „რეალური ტყუილისაგან“, რადგან იგი სიმართლის საბურველით გახლავთ მოსილი, და ამრიგად, ზღაპრებში ტყუილი „ზოგი ტყული მარგებელიას“ პრინციპით, სიმართლის ერთ-ერთ ვარიანტად რეალიზდება. **პარა-დოქსულად ჟღერს, მაგრამ ფაქტია, რომ, სამწუხაროდ, /ზღაპარ/ ფუძით ნაწარმოები სიტყვები, როგორებიცაა ზღაპ-რობა, ზღაპრობანი, მეზღაპრე, მეზღაპრეობა, „ზღაპრული“, ზღაპრისგუდა, მუცლითმეზღაპრე, „მატყუარას“ მნიშვნე-**

ლობით დამკვიდრდნენ ენაში, მაშინ როდესაც, ზღაპრების მიზანს სრულებითაც არ წარმოადგენს სიცრუეზე აპელირება. შენიშნული სურათის ჩამოძერწვა, ჩვენი აზრით, გამოიწვია ხალხის შეხედულებამ იმის თაობაზე, რომ, თითქოს, ზღაპრები ტყუილ, გამონაგონ ამბებს გვიამბობდნენ, მაგრამ მათ მხედველობიდან გამორჩათ ის უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომ ალეგორია და ფანტასტიკური ფონი ზღაპრის ავტორთა მიერ შემოთავაზებული სიმართლის თქმის თავისებური და ორიგინალური ხერხია. **სინამდვილეში, ზღაპრის მთავარი პერსონაჟის გასავლელი გზის გავლა, შეიძლება ჩვენც - რეალურ ადამიანებსაც მოგვიწიოს და ამ თვალსაზრისით, ზღაპრები უხვად გვაწვდიან მზა ფორმულებს, თუ როგორ გავუმკლავდეთ ვერაგი ცხოვრების მიერ მომზადებულ განსაცდელებს, რომლებიც არ ვიცით სად და როდის შეგვხვდება.** თითქოს, ზღაპრის უცნობი ავტორი ან ავტორთა კოლექტივი ერთგვარ პროპაგანდირებას უწევდნენ კეთილ საქმეთა დასახვასა და აღსრულებას, მიუთითებდნენ შრომისა და გარჯის გარდაუვალ დაფასებაზე და ამით მოტივაციას ზრდიდნენ მკითხველთა თუ მსმენელებში. **სინამდვილეში, ბოროტების გაშიშვლებული და გამძაფრებული სახით წარმოჩენა ზღაპრებში მიზნად ისახავს იმ მწარე და გარდაუვალი რეალობის ჩვენებასა თუ უწყებულებას, რომ ბოროტებას საზღვარი არ აქვს, ცხოვრება ისეთი მშვენიერი არაა, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, და ერთგვარად, ასეთი უკიდურესი (მაქსიმალისტური) გადაწყვეტილებით გვამზადებს სამომავლო იმედგაცრუებებისათვის, თუმცა პროტაგონისტის (კეთილი გმირის) მეშვეობით შეგვაგონებს, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.** სწორედ ამიტომაც იმარჯვებს კეთილი ბოროტზე, ამიტომაც უძებნიან ზღაპრებს ბედნიერ დასასრულს მეზღაპრეები. მ. ჩიქოვანი ბრძანებდა: „საუკუნეთა მანძილზე ქართველმა ხალხმა სულიერი და ნივთიერი კულტურის მდიდარი საგანძური შექმნა. ეროვნული კულტურის ამ საგანძურში საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენს მრავალსაუკუნოვან ზეპირსიტყვიერებას. საბედნიეროდ, ხალხური პროზა, კერძოდ ზღაპარი, ჩვენი საზოგადოების ყველა ფენისა და ასაკის წარმომადგენელთა ყავლგაუსვლელი ინტერესით სარგებლობს დღესაც. ვისაც სურს შეისწავლოს ქართველი ხალხის წარსული, მისი

მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ, ჩასწვდეს თავისუფლებისადმი ჩვენი შეუნელებელი სწრაფვის საიდუმლოს, ის ისტორიულ წყაროებთან, მხატვრულ ლიტერატურასთან და მატერიალური კულტურის ძეგლებთან ერთად აუცილებლად ხალხურ სიტყვიერებასაც უნდა გაეცნოს“ (ჩიქოვანი, 1991: 3-4). **ამდენად, ზღაპრებს არ გააჩნიათ ასაკობრივი შეზღუდვა და სასწრაფოდ გადასინჯვას მოითხოვს ხალხში დამკვიდრებული არაჯანსაღი ჰიპოთეზა, რომ ზღაპრები ბავშვებისათვის იწერება. თუ ზღაპრები, მართლაც, ტყუილების ქადაგებასა და პროპაგანდირებას ეწევიან, მაშინ რაში მდგომარეობს ზღაპრების რეალური ფუნქცია, რაღატომ ვუკითხავთ უფროსები მცირეწლოვან ბავშვებს ზღაპრებს, განა, ტყუილის ქმნას ვასწავლით?** უნდა ითქვას, რომ ზღაპარი თავისი გამორჩეული დიდაქტივიზმით ფილოსოფიური აზროვნების შედეგს წარმოადგენს. მოგეხსენებათ, გათავისებულ ტყუილს არაფერი საერთო არ აქვს სიმართლესთან, და არც შეიძლება ჰქონდეს. აღნიშნული ასპექტი უაღრესად მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია ზღაპრების შესწავლის დროს. **ჟანრულ-ეროვნული კრიტერიუმების არარსებობა ართულებს ლიტერატურულ ზღაპარზე დაკვირვებას, ვინაიდან ჭირს მოცემული ტექსტის ზღაპრად კვალიფიცირება.** იქნებ, სწორედ განმარტებების ნაკლოვანებებმა, ან ამ სფეროში ამგვარ საკითხებზე არსებულმა უმწირესმა სამეცნიერო ლიტერატურამ, გამოიწვია ის, რომ დიდ, სახელოვან და გამოცდილ მწერლებსაც კი უჭირდათ თვალსაჩინო ზოლის გავლება მოთხრობასა და ზღაპარს შორის, ამიტომაც ისინი მოთხრობების ციკლში აერთიანებდნენ თავიანთ თხზულებებს და ერთგვარად, „დასათაურებისას“ მკითხველის ამარა ტოვებდნენ სხადასხვა ჟანრისა და უამრავი თემატიკით დახუნძლულ ტექსტებს... **ეს ერთობ უცნაური მოცემულობა უფლებას გვაძლევს, არგუმენტირებულ მსჯელობაზე დაყრდნობით, ზღაპრებად გადავაანალიზოთ დღეს უტყუარად მოთხრობებად მიჩნეული ტექსტები.** იმდენად მსუყეა ლიტერატურულად ქართველ მწერალთა მოთხრობები, რომ დაუშვებელიც კია მათი ერთი კონკრეტული ჟანრის ქვეშ გაერთიანება, რამდენადაც დაიჩრდილება მწერლური ნიჭი და შემოქმედის ფანტაზიის უკიდეგანო გასაქანი. სირთულეს ხსნის

თავად ავტორი, როდესაც ნაწარმოებს სათაურის ქვეშ, ფრჩხილებში, თავადვე უთითებს ჟანრის სახელწოდებას, ე.ი. მოთხრობაა, ზღაპარი თუ სხვა რაიმე სახის თხზულება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ხერხს ძალიან ცოტანი თუ მიმართავდნენ. არ დავაშორებთ და აქვე ვიტყვით, რომ ამ კუთხით, ერთგვარ სიახლესა და მოწინავე კვლევას წარმოადგენს ქართულ სამეცნიერო სივრცეში ნესტან კუტივაძის ნაშრომი „ქართული ლიტერატურული ზღაპარი (XIX საუკუნე)“. აქ მკვლევარი საინტერესო რეპრეზენტაციას გვთავაზობს აკაკისა და ვაჟას მოთხრობებისა და პარალელურად საყურადღებო დასკვნებსაც ავითარებს. მიგვაჩნია, რომ ამგვარი კვლევები უნდა გაღრმავდეს და უნდა გაგრძელდეს ამ მიმართულებით მუშაობა. **უთუოდ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ზოგჯერ ჟანრულ სპეციფიკურობას საბჭოური ცენზურა აპირობებდა, ანუ მწერლის გადაწყვეტილება, თუ რა ჟანრით შემოფარგლავდა თხზულებას (ზღაპარი, მოთხრობა, ლეგენდა, ამბავი), იძულებით ხასიათს ატარებდა.** იცით, ქართველი მწერლები თავიანთ ნაწერებში არ ერიდებოდნენ იმდროინდელი პოლიტიკოსებისა თუ მაღალჩინოსნების მწვავე კრიტიკას, რის გამოც მათი ნამოღვაწარი იბლოკებოდა და იმისათვის, რომ ამ ნაშრომებს მზის სინათლე ეხილათ, ავტორები მათ ზღაპრებად ასაღებდნენ, რომ, თითქოს, იმ ტექსტში აღწერილი ამბავი იყო მოგონილი, ტყუილი და არაფერი აკავშირებდა სიმართლესთან. **ამიტომაც სანამ ტექსტოლოგიურ კვლევა-ძიებას დავიწყებდეთ, ისტორიული სინამდვილის შენარჩუნება-დაცვის მიზნით, თვითონ ფაქტი, რაშიც პირველად მონაცემს ვგულისხმობთ, აუცილებლად ცალკე დამოწმების ღირსია.**

დასკვნა:

ქართული ხალხური და ლიტერატურული ზღაპრების კვლევა-ძიების მიმართულებით კიდევ ბევრია გასაკეთებელი და არაერთი დღემდე ღია საკვანძო საკითხი საჭიროებს მეცნიერულ გადაწყვეტას. აუცილებელია, ქართველოლოგებმა ხელი შევუწყოთ „ვადაგასული“ ზღაპრების დაბრუნების საშვილთაშვილო საქმეს ქართულ თანამედროვე კულტურაში.

დამოწმებული ლიტერატურა:

ახვლედიანი, 1989: გ. ახვლედიანი, ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერება, თბ., 1989;
თაგაური, 2017: გ. თაგაური, ქართული ფოლკლორის კვალი ვეფხისტყაოსანში, თბ., 2017;
კიკნაძე, 2008: ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბ., 2008;
კუტივაძე, 2014: ნ. კუტივაძე, ქართული ლიტერატურული ზღაპარი (XIX საუკუნე), ქუთაისი, 2014;
ორბელიანი, 1991: ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. 1, თბ., 1991;
პროპი, 1984: ვ. პროპი, ზღაპრის მორფოლოგია; მთარგმნელი მ. კარბელაშვილი, თბ., 1984;
რობაქიძე, 2016: გრ. რობაქიძე, ორი ძმა; მთარგმნელი ნ. გაგნიძე, არავი, II, ახალციხე, 2016;
სიხარულიძე, 1976: ქ. სიხარულიძე, ქართული ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბ., 1976;
ქურდოვანიძე, 2002: თ. ქურდოვანიძე, ქართული ზღაპარი, თბ., 2002;
ჩიქობავა, 1950: არნ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 1, თბ., 1950;
ჩიქობავა, 1955: არნ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 4, თბ., 1955;
ჩიქოვანი, 1938: მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, წ. 1, თბ., 1938;
ჩიქოვანი, 1991: მ. ჩიქოვანი, ჯადოსნური ზღაპრები, თბ., 1991;
ჩოლოყაშვილი, 2009: რ. ჩოლოყაშვილი, ზღაპარი და სინამდვილე, თბ., 2009;
ჯანჯღავა, 1995: თ. ჯანჯღავა, ზვიადის ერთი უცნაური ზღაპრის საიდუმლო, თბ., 1995.

Gabriel Tagauri

Prospects of researching Georgian Tales

Present paper analyses conceptual and structural characteristics of Georgian tales, including those controversial aspects that still call for solution. All thirty-one functions fairy-tails, formulated by V.Y. Propp, are more of a universal nature than purely national. However, as long as every tale integrates national features into narration, the purpose of my research was to explore how the conventional intents of a tail transform and how general motives of its storyline get modified in the national context. Particularly important was to understand how the national basis gets reflected in the texts of Georgian folk and literary tales. Authors of the folk and literary pieces alike are very selective in what words they put into the mouths of their caracters so that their spoken language would accurately communicate the message that the authors aspired to get across. Present paper is inspired by the these throughts and aspirations.

სოფიო კეკუა

ამჟამად გამქრალი გვარსახელების ერთი ჯგუფი შუა საუკუნეების ქართულ იურიდიულ ძეგლებში

ქართველური წარმოშობის გვარსახელთა კვლევისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია შუა საუკუნეებში შედგენილი იურიდიული ხასიათის დოკუმენტები. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა XVII საუკუნეში შედგენილ დოკუმენტებში დაცული მონაცემები, რომლებიც მოიცავენ ისტორიულ ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიას. ჩვენი მიზანია, გამოვავლინოთ ის ქართველური წარმოშობის გვარსახელები, რომლებიც გავრცელებული იყო ადრე ოდიშ-აფხაზეთში, მაგარამ ამჟამად გამქრალია.

1621 წელს შედგენილ „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალ მოსაკრებელ დავთარში“ დასტურდება გვარსახელი **არტონია.** დოკუმენტის მიხედვით, სოფ. მუხურში ცხოვრობენ მამულია, გაგო და ქ□შია (< ქრისტეშია) **არტონიები** (ქსძ, III, 1970: 427-428). ვფიქრობთ, რომ გვარსახელისათვის ამოსავალია ბერძნულიდან მომდინარე საკუთარი სახელი **ანტონი,** ხოლო **არტონია** მის ფონეტიკურ ნაირსახეობას წარმოადგენს, სადაც **რ** და **ნ** ბგერები ენაცვლება ერთმანეთს: **არტონია < არტონი < ანტონი.** გ. ბედოშვილი თვლის, რომ **არტონია** არის იგივე ანტორია სოფელი ტყიბულის რაიონში (გვარი ტოპონიმად) (ბედოშვილი, 2013: 28).

იმავე 1621 წლის საბუთში იხსენიება ამჟამინდელი ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე ადრე არსებულ სოფელ ნაჟანეულში მცხოვრები ვინმე **მესტუმრია დავითია** (ქსძ, III, 1970: 421). ერთი შეხედვით ძნელი გასარკვევია, რომელია ამათგან სახელი და რომელი გვარი. ერთი მხრივ, დიდი ალბათობაა იმისა, რომ **მესტუმრე** დავითის ხელობის სახელი, ან მეტსახელი ყოფილიყო. ეს დავითი შეიძლება ისეთი ადამიანი იყო, ვისაც მესტუმრის ხელობა ჰქონდა რომელიმე დიდებულის სასახლეში, მაგრამ ეს ვარაუდი გამოსარიცხია თუნდაც იმიტომ, რომ დასახელებული პირი საეკლესიო ყმაა და იმავდროულად სხვისი, კერძოდ, საერო პირის საკუთრებაც ვერ იქნებოდა. მეორე მხრივ, შეგვეძლო გვეფიქრა, რომ **დავითია** შეცდომით ჩაწერილი იგივე **დავითაია** გვარია, მაგრამ XVII საუკუნის მეორე ნახევრის სხვა საბუთში მოხსენიებულია საეკლესიო გლეხი **დავითია** (პალ, II, 1993: 25),

რომელსაც **ივანე** რქმევია, რაკი გვარსახელი **ივანე** არც წარსულში არსებობდა და არც ამჟამად გვაქვს, ხოლო **დავითია** უდავოდ გვარსახელია. შესაბამისად, ზემოთ ნახსენები **მესტუმრია დავითიას** გვარად **დავითია** უნდა მივიჩნიოთ. **მესტუმრე**-ს დამოუკიდებელ პირსახელად მიჩნევას მხარს უჭერს იმავე დოკუმენტში დადასტურებული სხვა მაგალითებიც: **მესტუმრია** ქაჯაია და **სტუმრია** სიჭინავა. ეჭვგარეშეა, რომ აქ **ქაჯაია** და **სიჭინავა** გვარებია, ხოლო **მესტუმრია** და **სტუმრია** - პირსახელები. რაც შეეხება **დავით-ია-ს** იგი **დავითის** კნინობითი ფორმაა, რომელიც იწარმოება მაანთროპონიმებელი -ა სუფიქსის საშუალებით. **დავით**-ისგან მიღებულია გვარები: **დავითაია, დავითაშვილი, დავითაძე.**

ხოირში (დღევანდელი ოხურეი, ოჩამჩირის რ.) დასტურდება კომპოზიტური წარმოების გვარსახელი **დამაკოჩია** (1621) (ქსძ, III, 1970: 424). **დამა კოჩი** „დამა კაცი, დამა კაცუნა“. გვარსახელის სემანტიკა გვავარაუდებინებს, რომ იგი გვიანდელი წარმოშობისაა, **დამაკოჩია** მეტსახელის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა დოკუმენტში იგი ოფიციალურ სახელს წარმოადგენს. ანთროპონიმის მეორე **კოჩი** კომპონენტს ერთვის **-ა** სუფიქსი, რომელიც კნინობას გამოხატავს. **კოჩ-ი-ა** კაცუნას მნიშვნელობით გამოიყენება მეგრულში, **დამა** ფუძის სემანტიკა კი გაურკვეველია.

იმავე სოფელში დასტურდება სიტყვა **თუთაშხია** (ქსძ, III, 1970: 429) როგორც პირსახელის, ისე გვარსახელის ფუნქციით: პირსახელია იგი, როცა ახლავს გვარი **გულუა - თუთაშხია** გულუა; გვარსახელია, როცა ახლავს პირსახელი **ქუფაჩა - თუთაშხია ქუფაჩა. თუთაშხა** მეგრულში აღნიშნავს ორშაბათ დღეს. სავარაუდოა, რომ ბავშვი ორშაბათს დაიბადა და ამიტომაც დაარქვეს ეს სახელი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ დადგენილ ფაქტს, რომ მეგრული **თუთაშხა** „ორშაბათი“ მომდინარეობს **თუთაშ დღა** (თუთა-შ-ხა, თუთა-ჩ-ხა) „მთვარის დღე“ (ჯავახიშვილი, I, 2012: 125) შესიტყვებისაგან და ჩვენი წინაპრები მთვარეს განსაკუთრებული ფუნქციების მქონე მამრობითი სქესის უძლიერეს ღვთაებად მიიჩნევდნენ, მაშინ მოსალოდნელია, რომ ამ ღვთაების გულის მოსაგებად სახელი **თუთაშხია** ერქმეოდათ არა მხოლოდ ორშაბათს, არამედ ნებისმიერ სხვა დღეს დაბადებულ ახალშობილებსაც.

1621 ხოირში (ამჟ. ოხურეი) დასტურდება **კაკუა** გვარსახელის მტარებელი სამი პირი: იშამორთა, მოირდინა და მხიარულა **კაკუები** (ქსძ, III, 1970: 425). მეგრ. კაკუა „ნაყვა, კოდვა, დაჭდევება“. გვარსახელის საყრდენ ფუძედ პ. ცხადაიას მიერ გამოვლენილ პირსახელ **კაკუ-ს** მივიჩნევთ, შდრ. გვარსახელები: **კაკუბე-რ-ი, კაკუ-ბერ-ია** „კაკუ-ვაჟი, კაკუს ვაჟი“ (ცხადაია, 2000: 91). თავის მხრივ, **კაკ-უ** პირსახელ **აკაკი-ს** კნინობითის **კაკო** ფორმის ვარიანტი უნდა იყოს. **კაკუ** საკუთარი სახელი დადასტურებული აქვს ალ. ღლონტს (ღლონტი, 1967: 90). მაშასადამე, **კაკუა** მიღებულია ასე: პირსახელები **აკაკი** > **კაკ-ო** > **კაკ-უ** > გვარსახელი **კაკ-უ-ა.**

ერთ-ერთი ისტორიული საბუთის მიხედვით, ვინმე **კაპარჭია** კოჩილეს ემართა ჭალაის სასახლის ბეგარა (1616-1621 წწ.) (პალ, II, 1993: 428). ნ. ჯომიდავა მიიჩნევს, რომ გვარსახელი მომდინარეობს ადამიანის მეტსახელ **კაპარჭა // კაპოჭია-საგან** (ჯომიდავა, 2000: 172). სულხან-საბას მიხედვით, **კაპარჭ-ი** არის „ისართ ქარქაში“ (ორბელიანი, I, 1991: 352). ასევეა განმარტებით ლექსიკონშიც: ისრების ჩასაწყობი ბუდე, ისრების ქარქაში (ქეგლ, 1986: 260). ჩვენ ვეთანხმებით ნ. ჯომიდავას ვარაუდს და მივიჩნევთ, რომ ამ გვარსახელისათვის ამოსავალია მეტსახელად ქცეული სიტყვა **კაპარჭი.**

გვარსახელი **კვაჭალია** დასტურდება „საცაიშლო დავთარში“ (1616 – 1621 წწ.), რომლის მიხედვითაც ცაიშს მცხოვრებ სამართალ, მისი, ვაშკურუდა, მიხილია **კვაჭალიებს** ემართათ ცაიშის საყდრის ბეგარა (ქსძ, III, 1970: 448). ნ. ჯომიდავა მიიჩნევს, რომ **კვაჭალია** წარმოშობილია **კვაჭალია** (=კოჭლი) მეტსახელისაგან (ჯომიდავა, 2000: 183). ჩვენი მხრივ დავძენდით, რომ გვარსახელი უკავშირდება აგრეთვე მეგრულ **კვაჭალ-ა** სიტყვას, რომელიც ა. ქობალიას მიერ ასე განიმარტება: დაკროლილი კაკალივით ჩხრიალი, ხტუნვა-ბზრიალი, **(ბიჭუნას) ცქვიტი სიარული** (ქობალია, 2010: 360). შდრ. ქვემოიმერული **კვანჭალ-ი** „კოჭლი კაცის სიარული“ (მიკვანჭალოფს „აქეთ-იქით გადაწონით მიდის“).

ძველ წყაროებში დადასტურებულია გვარები: **კუატარია** და **კოდარია,** რომლებიც დღეს აღარ გვხვდება. 1621 წელს შედგენილი საბუთის მიხედვით, ნაჟანეულს მცხოვრებ კოჩივარა **კუატარიას** ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (ქსძ, III, 1970: 420). **კუატარია** გვარსახელი მოსალოდნელია იყოს იმერეთში

გავრცელებული **კვატაიას რ** ჩართული ვარიანტი, რომელშიც ასევე **ვ** დაშლილია **უა** კომპლექსად. **კვატაიაი** გვარს იმერეთში ადასტურებენ ა.სილაგაძე და ა.თოთაძე (სილაგაძე...1997: 109), ასევე, ი. გაგულაშვილი (გაგულაშვილი, 1993: 45). **კოდარიას** - ცაიშის საყდრის ბეგარა (ქსმ, III, 1970: 465). პ. ცხადაიას ვარაუდით, კოტა მეგრული პირსახელია და მისგან უნდა მომდინარეობდეს გვარსახელის საყრდენი **კოტა-რ-ი** ფუძე, შდრ. პირსახელები: **კოტია, კოტუა** (ცხადაია, 2000: 101), რაც ჩვენ ნაკლებდამაჯერებლად გვეჩვენება, ვინაიდან არ არის დასაბუთებული **რ** ელემენტის ფუნქცია.ჩვენი აზრით, მეტი საფუძველი არსებობს, რათა **კუატ-არ-ი** მივიჩნიოთ სადაურობის **-არ** სუფიქსიან ამოსავალ სახელად, ხოლო **კოტ-არ-ია** და **კოდ-არ-ია** - მისგან მომდინარე ფონეტიკურ ვარიანტებად: **უა** კომპლექსისაგან **ო** ხმოვნის მიღება ბუნებრივია მთელ ქართველურ ენობრივ სივრცეში ისევე, როგორც მოულოდნელი არ არის გამჟღერების ნიადაგზე **ტ > დ** პროცესი.

მითანაფია გვარსახელი, რომელიც იხსენიება სოფ. ხაუჟელში (ქსმ, III, 1970: 431), ჩვენი ვარაუდით, უკავშირდება მეგრულში აღდგომის აღმნიშვნელ სიტვას **თანაფა.** მეგრ. თანაფა „გათენება, ცისკართან შეხვედრა“. მეგრ. **მეთანაფე** „ღამის გამთენებელი“, „მეაღდგომე“.

სოფ. ცაიშში დასტურდება გვარსახელი **მჭიფია** (იქვე, 447). იგი, ჩვენი აზრით, უკავშირდება მეგრულ ზედსართავ სახელს **ჭიფე** „წვრილი“. გვარსახელის ჩამოყალიბების გზა ასე წარმოგვიდგენია: **მჭიფე** „წვრილი“ > მეტსახელი **მჭიფე-ა** „წვრილა, ძალიან გამხდარი, ჩხინკორა“ > **მჭიფია.** საყურადღებოა, რომ წერილობით წყაროში ასახულია ზედსართავ **ჭიფე-ს** ისტორიულად თავდაპირველი **მ-** პრეფიქსიანი ვარიანტი.

გვარსახელი **ჟვანესკირია** დასტურდება 1621 წ. შედგენილ „აფხაზეთის მოსაკრებელ დავთარში“ თილითს (ამჟ. აბააჟვახუ) მცხოვრები გლეხის გვარად (იქვე, 429). პ. ცხადაია გვარისათვის ამოსავლად მიიჩნევს ბერძნულიდან შემოსულ საკუთარ სახელს **იოანე** (ივანე). გვარსახელ **ჟვანია-ს** ანალიზისას ავტორი იმოწმებს შ. აფრიდონიძის მიერ მოხსენიებულ ნ. მარის, გ. ახვლედიანისა და თ. გონიაშვილის მიერ დადგენილ წესს, რომლის საფუძველზეც გვარსახელი **ჟვანია** ასე ჩანს მიღებული - თავდაპირველად მომხდარა თავკიდური ხმოვნის იოტიზაცია და შემდგომ პალატალიზაცია: **იოანე > ᲘᲝᲐᲜᲔ > ჟოანე > ჟოანე-ა > ჟუანე-ა> ჟვანია.** პ.

ცხადაია იქვე დასძენს, რომ **ჟვანე** საფეხურს წარმოაჩენს გვარსახელი **ჟვანესკირია** (იხ. ცხადაია, 2000: 121-122). სხვათა შორის, იგივე **ჟვანე** საფეხურის აღდგენა შესაძლებელია რეალურად დადასტურებული კიდევ ერთი, აწ უკვე გამქრალი ქართული გვარსახელის მიხედვით: ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ბედიის მონასტრის საეპისკოპოსო პალატის კედელზე ასომთავრულით შესრულებულ ერთ-ერთ წარწერაში, ვარძიისა და ურბნისი ოთხთავების მინაწერში იხსენიება XVI საუკუნის 20-50-იანი წლების დიდი საეკლესიო მოღვაწე, ბედიელი ეპისკოპოსი (შემდგომში მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი) **ანტონ ჟუანისძე** (ახალაძე, 2005: 52-59), რომლის გვარის ისტორია ამგვარად აღდგება: **იოანე** > **ᲐᲝᲐᲜᲔ** > **ჟოანე** > **ჟოანე-ს-ძე** > **ჟუანის-ძე.** გვარსახელ **ჟვანია**-ს ანალოგიით, **ჟვანესკირია** გვარსახელის წარმოქმნის დაზუსტებული სურათი ასეთია: ***იოანე-შ-სკირი „იოანეს ვაჟი“ > *ᲐᲝᲐᲜᲔ-სკირ-ი > ჟოანე-სკირ-ია > *ჟუანე-სკირ-ია > ჟვანე-სკირ-ია.** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **ჟუანე, ჟვანე** პირსახელები და საყრდენი ფუძეები გვარსახელებისა **ჟვანია, ჟუანისძე და ჟვანესკირია** მატერიალურად ახლოს დგას აფხაზური **(ა-)ჟვან-ბა** გვარსახელის საყრდენ ფუძესთან, მაგრამ იმის გამო, რომ აფხაზურ-აბაზურ ენობრივ სივრცეში არ ხდება **ᲐᲝ** ფონემის აფრიკატიზაცია, გამოირიცხება **ჟუან(ე)** ფუძის სესხება აფხაზურიდან ქართულში, სამაგიეროდ იოლადაა მოსალოდნელი, რომ სწორედ ერთ-ერთი ამ გვარსახელის მორფოლოგიურად კალკირებული ფორმაა აფხაზური გვარსახელის **(ა-)ჟვან-ბა** სახეობა, რაც ზედმიწევნით ითარგმნება როგორც „იოანეს ძე“, ანუ **ჟვანის ძე,** თუ **ჟვანეს სკირი.**

1621 წ. შედგენილ „აფხაზეთის მოსაკრებელი დავთარის“ მიხედვით ნაჟანეულში დასტურდება გვარსახელი **რუსაყია** (ქსძ, III, 1970: 422). შეიძლებოდა, გვეფიქრა, რომ ამ გვარსახელისათვის ამოსავალია ეროვნების აღმნიშვნელი **რუსი** სიტყვისაგან მომდინარე პირსახელი **რუს-ა.** ამ შემთხვევაში რუს-ა-ყ-ია იმავე მოდელისა იქნებოდა, როგორისაც არის **ლომ-ა-ია, ქაᲯ-ა-ია** და სხვ. ამგვარი შესაძლებლობა მოულოდნელი არ არის: ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, რომ: „ქართულ გვარებში გამოიყოფა მრავალი სხვა ტომის და ხალხის სახელწოდება, როგორიცაა: **არაბი, სპარსი, ებრაელი...** ასეთი გვარები ყოველთვის მაინცდამაინც მავანი ეროვნების ჩამომავალს არ ნიშნავს, ზოგი მათგანი საკუთარი სახელისაგან ან მეტსახელისგანაც შეიძლებოდა მიგვეღო“ (ჭუმბუ-

რიძე, 1987: 311). მკვლევარი **რუს-** კომპონენტს გამოყოფს გვარებში: რუსიშვილი, რუსიძე, რუსაძე (იქვე). ამავე აზრს იზიარებს პ. ცხადაიაც, რომლის ვარაუდით გვარსახელში **რუსია,** „რუსი“ ეთნონიმია (შდრ. შონი, ჩერქეზი...), მაგრამ იგივე ავტორი იქვე დასძენს, რომ ძველ საქართველოში **რუსი** (და **რუსა, რუსია**) პირის სახელებიც იყო (ცხადაია, 2000: 123). ჩვენი აზრით, მიუხედავად დასახელებულ მოსაზრებათა წონადობისა, გვარსახელი **რუსაყია** იოლად ვერ ეტიმოლოგიზდება და ვერ დაიყვანება ეთნონიმ **რუსის** ფუძემდე, ვინაიდან არ იხსნება მასში წამოდგენილი **ყ** თანხმოვნის მორფოლოგიური ფუნქცია და რაობა.

ასევე გაურკვეველი ეტიმოლოგიის მქონეა გვარსახელი **სალდაყია,** რომელიც დასტურდება 1616-1621 წწ. „საცაიშლო დავთარში“ (პალ, IV, 2007: 128). მაგრამ აქაც ბუნდოვანია როგორც **ყ** თანხმოვნის, ისე **სალდა** ფუძის ამოსავალი სემანტიკის საკითხი, თუმცა ამჟამად იმერეთში რეალურად არსებობს გვარსახელი **სალდა-ძე,** რომელიც აშკარად ამ პირსახელისაგან მომდინარეობს.

საღარია გვარსახელი პირველად მოიხსენიება 1616-1621 წწ. შედგენილ „საცაიშლო დავთარში“ ცაიშის მაცხოვრებლად (ქსძ, III, 1970: 450). როგორც ვარაუდობენ, **საღარია** მომდინარეობს **საღარა** მეტსახელისაგან. **საღარი** სულხან-საბასთან არის „შუბლთეთრი ცხენი“ (ორბელიანი, II, 1993: 62). ო. ქაჯაიას განმარტებით, მეგრულშიც **საღარ-ი** არის „შუბლზე და ცხვირზე თეთრი ფერის მქონე ცხენი (ქაჯაია, III, 2002: 585). გამოიყოფა მეტსახელი **საღარა** გვარსახელებში საღარიძე (მაისურაძე, 1990: 144) და საღარეიშვილი (ცხადაია, 2000: 126). დღესაც სამეგრელო-სამურზაყანოში **საღარ-ა** სახელით აღინიშნება შუბლთეთრი ცხენიც და ასევე სხვა პირუტყვიც, რომელსაც ნიშანი აქვს შუბლზე. უფრო მეტიც, დასტურდება შემთხვევები, როდესაც **საღარია** ეწოდება არა მხოლოდ ნიშანდებულ ცხოველებს, არამედ გამოიყენება ადამიანთა მეტსახელადაც: **ცვასაღარია** ეწოდება ისეთ ადამიანს, რომელსაც შუბლზე რაიმე ნიშანი აღენიშნება. ივარაუდება, რომ **საღარია** ჯერ მეტსახელი იყო, შემდგომ კი გაგვარსახელდა.

სოფ. ნაჟანეულში (დღევანდელი ოტობაია, გალის რ.) პირველად დასტურდება გვარსახელი **სუბუქია** (ქსძ, III, 1970: 420). ნ. ჯომიდავა მიიჩნევს, რომ გვარში წარმოდგენილია **სუბუქი** საყრდენი ფუძე, რომელიც მომდინარეობს **სუბუქ-ა** შერქმეული სახელისაგან (ჯომიდავა, 2000: 305). ამ ვარაუდს ის დაბრკოლება ახლავს, რომ სიტყვათმაწარმოებელი **-ა** სუფიქსი, ჩვეულებრივ,

გვარსახელებში არ იკარგება და საყრდენ ფუძეში რჩება ხოლმე, ამიტომ უფრო მისაღებია მოსაზრება, რომ გვარსახელს საფუძვლად უნდა ედოს **მსუბუქი** ზედსართავი სახელის ძველქართული ვარიანტი **სუბუქი.** ამ მხრივ საყურადღებოა გვარსახელ **სუბუქიძის** არსებობა, რომელიც უდავოდ ნაწარმოებია სწორედ სუბუქ-ი ფუძისაგან. ი. მაისურაძის მიხედვით, ამ ვარიანტის საყრდენ ფუძედ სავარაუდებელია მეტსახელი **სუბუქი** (მაისურაძე, 1990: 150).

ტოროჯია გვარსახელი დასტურდება სოფ. თილითში (1621) (ქსმ, III, 1970: 430). ვფიქრობთ, გვარსახელს საფუძვლად უდევს მეგრულში მტრედის აღმნიშვნელი სიტყვა **ტორო(ნ)ჯი,** რომელიც ჯერ უნდა ყოფილიყო საკუთარი სახელი, ხოლო მოგვიანებით იქცა გვარსახელად. ქართულში ხშირად გვხვდება ცხოველებისა და ფრინველების აღმნიშველი სახელები ანთროპონიმებად. როგორც გ. გვანცელაძე აღნიშნავს, ამ ტიპის სახელები როგორც დიალექტებში, ასევე სამწიგნობრო ენაშიც ადამიანის დადებით და უარყოფით მახასიათებლებად გვევლინება. მტრედი დადებითი ხასიათის მატარებელია (გვანცელაძე, II, 2009: 89).

გვარსახელი **ფალია** ისტორიულ საბუთებში მხოლოდ ერთ შემთხვევაში იხსენიება. კერძოდ, 1621 წელს შედგენილ დოკუმენტში, „ჭალას (დღევანდელი ჭლოუ) საყდრის გამოსავალში“ ვკითხულობთ: „მართებს შურიმიდგი **ფალიას** ისრე საპურობო, 1 ღორი, 6 კოკა ღვინო, 6 ლიჯიბი ღომი, მესამე წელიწადსა 1 საკლავი“ (ქსმ, III, 1970: 435). გვარსახელს სავარაუდოდ საფუძვლად უდევს მეტსახელი. მეგრულში **ფალ** ძირი ერთ-ერთი აქტიურია, ვინაიდან აღმოცენებას, აყვავებას, ზრდას უკავშირდება: მეგრ. **ფალ-უ-ა** „აღმოცენება“, **ფალ-ირ**-ი „აღმოცენებული, აყვავებული“. ხშირად გამოითქმის კეთილი სურვილი: **გიფალდას** „აყვავებულიყავ, ავსებულიყავ“ და მისთ. ჩვენი ვარაუდით, **ფალ-ია** ნიშნავდა იმას, ვინც უნდა გაფურჩქნილიყო, ავსებულიყო, აშენებულიყო. დოკუმენტებში გამოვლენილი გვარსახელ **ფალია**-ს ამოსავალი ვარიანტი უნდა იყოს „სვანეთის სულთა მატიანეში“ დადასტურებული გვარსახელი **ფალიანი** (სსმ, I, 1986: 211). მაშასადამე, **ფალ-ია < ფალ-იან-ი <** შდრ.: **ფალ-ია-შვილი.**

ფიცხუა გვარის მტარებელი პირი პირველად დასტურდება 1616 - 1621 წლებში შედგენილ „საცაიშლო გამოსავალ მოსაკრებელ დავთარში“ სოფ. ცაიშის მაცხოვრებლად (ქსმ, III, 1970: 443). **ფიცხუა** შეიძლებოდა დაგვეკავშირებინა სამეგრელოში გავრცე-

ლებულ ფიჩხაია გვართან; შდრ. მეგრული **ფიჩხი** „ფიცხი“, მაგრამ აქ ფონეტიკური დაბრკოლებები იქნებოდა ასახსნელი. ვფიქრობთ, უფრო რეალურია ვარაუდი, რომ გვარსახელი **ფიცხუა** ნაწარმოებია **ფიცხი** ზედსართავი სახელისაგან მომდინარე **ფიცხ-ო** მეტსახელისაგან: **ფიცხი > ფიცხ-ო > *ფიცხ-უ-ან > ფიცხუ-ა.**

იმავე დოკუმენტში არის წარმოდგენილი გვარსახელი **ფაცხლია.** ჯგალში მაცხოვრებელ ვინმე **ფაცხლიას** ჰმართებდა „საცაიშლო ბეგარა“ (იქვე: 479). შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქ ეს გლეხი მხოლოდ პირსახელით იხსენიება და ფაცხლია არ არის გვარსახელი, მაგრამ ამ ოფიციალური საბუთის კონტექსტი გამორიცხავს ამგვარ ვარაუდს, ვინაიდან დოკუმენტი აწესრიგებდა სოციალურ-სამართლებრივ ურთიერთობას გლეხსა და ეკლესიას შორის, თანაც საბუთის გეოგრაფიული არეალი მეტად ვრცელია, რის გამოც გვარსახელის გარეშე ვისიმე მოხსენიება მომავალში უდავოდ გააჩენდა იურიდიულ პრობლემას. ამიტომ ვფიქრობთ, რომ აქ საქმე უეჭველად გვარსახელთან გვაქვს. პ. ცხადაიას აზრით, **ფაცხლია** შესაძლებელია იყოს **ფაცხალაია-ს** რედუცირებული ვარიანტი: **ფაცხლია < ფაცხ-ალ-ია < ფაცხ-ალ-ა-ია.** მკვლევარი გვარსახელ **ფაცხალაია-ს** აღადგენს ტოპონიმ **ნა-ფაცხალაია-ს** საფუძველზე - ასე უწოდებენ დავაკებას მდინარე მაჩხაპის მარჯვენა მხარეს (ჩხოროწყუს რ., სოფ. ლეახალე). მკვლევარი იმოწმებს ინფორმატორის ნათქვამს, რომლის მიხედვითაც, „აქ აფხაზეთიდან გამოქცეული **ფაცხალაია** სახლებულა“ (ცხადაია, 2000: 134). პირადად ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ საბუთისეული **ფაცხლია** და პ. ცხადაიას მიერ რეკონსტრუირებული **ფაცხალაია** ვარიანტები ფონემატურ-მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით მაინც საკმაოდ დაშორებულია ერთი-მეორეს და ამიტომ საანალიზო ფორმა შეიძლება სხვაგვარადაც ავხსნათ:

ვვარაუდობთ, საანალიზო ფორმის სრული ვარიანტი **ფაცხალია** იყო, რომელიც უნდა მომდინარეობდეს მეგრული მასდარისაგან (საწყისისაგან) **ფაცხალ-ი** „მოუსვენარი, უმწეო მცდელობა“. ცვლილებები შემდეგნაირად წარმოგვიდგენია: მასდარი **ფაცხალ-ი** „მოუსვენარი, უმწეო მცდელობა“ > ნაზმნარი მეტსახელი **ფაცხალ-ია** „მოუსვენარი ადამიანი, ვინც ხშირად უმწეოდ ცდილობს მიზნის მიღწევას“ > გვარსახელი **ფაცხალ-ია.**

1621 წლის დოკუმენტის მიხედვით, **ქორჩოლუა** მამაში და ყელგრძელი სახელდებიან ამჟამინდელი გალის რაიონის სოფ. მუხურში მაცხოვრებლებად (ქსძ, III, 1970: 426). პ. ცხადაიას

მიხედვით, **ქორჩოლუა-ში** გამოიყოფა იგივე **ქორჩ-** ძირი, რაც არის სამეგრელოში დღეს გავრცელებულ **ქორჩილავა** გვარსახელში (ცხადაია, 2000: 141). **ქორჩილავას** უკავშირებს ნ. ჯომიდავაც ისტორიულ დოკუმენტში დადასტურებულ გვარსახელ **ქორ-ჩოლუას.** მისი თქმით, **ქორჩილავა ქორჩილა** მეტსახელს გულისხმობს (ჯომიდავა, 2000: 347). ა. ქობალიას მიხედვით, **ქორჩოლუა** იგივეა, რაც ქოჩორა (ქობალია, 2000: 638). გვარსახელ **ქორჩოლ-უ-ა-სა** და მეგრული **ქორჩოლ-უ-ა** ზედსართავი სახელის უდავო კავშირი ქართული სამწიგნობრო ენის **ქოჩორ-ა** სიტყვასთან გვახსენებს ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ძველქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის ილორის წმიდა გიორგის ტაძრის კედელზე გამოსახულ XI საუკუნის ქართულ წარწერაში მოხსენიებული მღვდლის გიორგი **ქოჩოლ-ვაᲘ-ს** გვარსახელს. როგორც თ. გვანცელაძემ დაადგინა, ეს არის მთელ დასავლეთ საქართველოში უძველესი პალეოგრაფიული ნიმუში **-ვა** სუფიქსიანი ქართული გვარსახელის დოკუმენ-ტირებისა. შესაბამისად, თვით გიორგი ქოჩოლვაᲘ ეროვნებით ქართველი იყო, ხოლო მისი გვარის სრული დასახელება **ქოჩო-ლავაᲘ** უნდა ყოფილიყო (გვანცელაძე, 1999: 52-58). პ. ცხადაიას ვარაუდით, აქ გამოსაყოფია გვარსახელ **ქოჩუა**-სთან საზიარო ძირი **ქოჩო** „თევზის ფაფარი“ (ცხადაია, 2000: 141). ჩვენი აზრით, მეგრული ქოჩო ქართული სამწიგნობრო ენის **ქოჩორ-ი** სიტყვის ბოლომოკვეცილი ფორმაა, ხოლო სამწიგნობრო ენისავე **ქოჩორ-ა** ზედსართავ სახელის მეგრული შესატყვისებია: ქოჩოლ-ა და ქორჩოლ-უ-ა, რომელთაგან პირველი საფუძვლად დასდებია ისტორიულ **ქოჩოლ-ა-ვა-Ი** გვარსახელს, მეორე ვარიანტისაგან კი წარმოქმნილა გვარსახელი **ქორჩოლ-უ-ა**.

ქუცურავა ამარცალა დასახელებულია ერთ-ერთ ძველ საბუთში (პალ, IV, 2007: 401). გვარსახელს ფონეტიკურად უახ-ლოვდება მეგრულში დღესაც ცოცხალი **ქუცურუა** სიტყვა, რომელიც აღნიშნავს პატარა ტანის, გამხდარ ადამიანს, მაგრამ ამ ორი სიტყვის ერთიმეორესთან დასაკავშირებლად ასახსნელია სხვაობა დაბოლოებებში, რის გამოც თავს ვიკავებთ ამგვარი ახსნისაგან. მეგრულში **ქუც-** ძირი მოქნილის, სწრაფის სემანტი-კასაც გამოხატავს: **გილექუც** „სწრაფად დადის“, **მიქუც** „სწრაფად, მარდად მიდის“. დაისმის საკითხი: ხომ არ მომდინარეობს საანალიზო გვარსახელი იმერეთში გავრცელებული ტანმომცრო ძაღლის **ქუცურა** მოსაფერებელი სახელისაგან? ამგვარ ახსნას მხარს დაუჭერდა მეტსახელად ამგვარი სიტყვის იოლად ქცევის

შესაძლებლობა. მომდევნო ეტაპზე კი მეტსახელის გაგვარებაც არ იქნებოდა მოულოდნელი. ზუსტად იგივე მეტსახელი რეალურადაც დასტურდება რაჭის მასალაშიც (ღლონტი, 1986: 210).

1616-1621 წწ. შედგენილ „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ ცაიშს მაცხოვრებლად იხსენიება ლიბერდღვი **ღვაჭაჭია** (ქსძ, III, 1970: 454). გვარსახელი კომპოზიტური წარმოებისაა. პირველ კომპონენტად წარმოდგენილია **ღვაჭა.** ნ. ჯომიდავას განმარტებით, **ღვაჭა** არის საქონლის პირის ღრუს, უფრო ენის ჭიან-მუწუკიანი ავადმყოფობა. მისი აზრით, გვარსახელი წარმომდგარია **ღვაჭაჭა** მეტსახელისაგან (ჯომიდავა, 2000: 352). **ღვაჭაა.** ქობალიას „მეგრული ლექსიკონის“ მიხედვით ნიშნავს მჭლესაც; აქვე ვკითხულობთ: **ღვაჭა** - პირუტყვის დაავადება (გამონაყარი, წვეტიანი ხორცმეტი ლოყის შიდა მხარეს, რომელიც უშლის ჭამაში და ამჭლევებს)“ (ქობალია, 2010: 643). გვარსახელში მეორე კომპონენტად გამოიყოფა **-ჭია.** მეგრ. **ჭია** იმავე მნიშვნლობისაა, რაც სალიტერატურო ქართულში დასტურდება. აღვნიშნავთ, რომ გვარსახელი **ღვაჭაჭია** დღეს აღარ არსებობს.

1621 წელს შედგენილი დოკუმენტის მიხედვით, დასტურდება გვარსახელი **ღრუბლაია.** სოფ. ნაჟანეულის (ახლანდელი ოტობაია) მკვიდრ **ღრუბლაია** გკჩის და კოჭოლას ჰმართებდათ სამოსაკრებლო ბეგარა (ქსძ, III, 1970: 421). გვარისათვის ამოსავალი უნდა იყოს მამაკაცისა და ქალის პირსახელი და მეტსახელი **ღრუბელა,** რომლებიც რეალურად დადასტურებული აქვთ ა. ღლონტსა და ი. მაისურაძეს (ღლონტი, 1986: 212, 306; მაისურძე, 1990: 180), შდრ. ამავე ანთროპონიმისაგან ნაწარმოები გვარსახელი **ღრუბელ-ა-შვილ-ი. ღრუბლაია** გვარსახელი დღეს უკვე აღარ დასტურდება, იგი გამქრალ ქართულ გვართა რიგშია.

XVI საუკუნეში წყალიძგას მცხოვრებად დასტურდება **–ვა** დაბოლოებიანი კომპოზიტური წარმოების გვარსახელი **ღუამჭითავა** (პალ, IV, 2007: 413). გვარის პირველი კომპონენტი **ღვა > ღუა** მეგრულში ნიშნავს ლოყას, ღაწვს. ხოლო მეორე კომპონენტი - მეგრ. **(მ)ჭითა** „წითელი“, რომელშიც **მ**-განვითრებულია. ბოლოში დართულია **-ვა** დაბოლოება. ერთიანად გვარსახელი **ღუამჭითავა** ნიშნავს „წითელ ლოყებიანს“ (ზედმიწევნით: „ლოყა წითელს“). აქედან გამომდინარე, იგი ჯერ უნდა ყოფილიყო მეტსახელი წითელლოყება ადამიანისა, ხოლო შემდეგ, **-ვა** დაბოლოების დართვით ქცეულა გვარსახელად. გვარსახელი **ღუამჭითავა** ან მისგან მომდინარე რომელიმე ვარიანტი დღეს აღარ დასტურდება.

კომპოზიტური წარმოების გვარსახელი **ღუაჯაგია** დოკუმენ-ტირებულია 1621 წლით. იგი მოიხსენიება სოფ. მუხურში (ქსძ, III, 1970: 427). ჩვენი აზრით, გვარსახელი **ღუაჯაგია** უხეშ ლოყებიანს ნიშნავს. შდრ. ა. ქობალიას განმარტება: **„ღვაჯაგია** - ყბებმაგარი, მცოხნელი“ (ქობალია, 2010: 644).

გვარსახელი **შამბია** დასტურდება სოფ. ტყაურუში (ამჟამინ-დელი სოფ. სქურჩა ოჩამჩირის რაიონში) 1621 წ. შედგენილ „აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალ მოსაკრებლობის დავთა-რში“. **შამბია** ზოგიერთი მეცნიერის მიერ ნააფხაზარ მეგრელი-ზებულ გვარსახელად ცხადდება, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. კერძოდ, ჯ. გამახარიასა და ბ. გოგიას ეს გვარი მეგრელიზებულ აფხაზურ (აფსუურ) გვარად მიაჩნიათ, კ. ოკუჯავა კი მიიჩნევს, რომ ასეთი ახსნის შესაძლებლობა არსებობს, რადგან -ბა სუფიქ-სიან აფხაზურ გვარსახელებს მართლაც ემატება **-ია** ბოლოსართი ქართველიზაციის ნიადაგზე (შდრ.: აფხაზ. **ზვან-ბა** > ქართ. ზვან-ბა-ია, აფხაზ. **თარ-ბა** > ქართ. **თარ-ბა-ია,** აფხაზ. **ბუთ-ბა** > ქართ. **ბუთ-ბა-ი**ა...), მაგრამ, როგორც თ. გვანცელაძე აღნიშნავს, ეს გვარი რომ მართლაც აფხაზური **შამბა** ვარიანტისაგან ყოფილიყო წარმომდგარი, ქართულ ენობრივ სივრცეში უნდა მიგვეღო **შამბა-ია** და არა **შამბ-ია,** სადაც **ბ** ფუძისეული თანხმოვანია და არა აფხაზური მაგვარსახელებელი **-ბა** სუფიქსის თანხმოვნითი ნაწილი. **შამბია** გვარს მკვლევარი მიიჩნევს ქართული **შამუ-გიასაგან** ფონეტიკურ ნიადაგზე მომდინარედ - ბაგისმიერი **უ** ხმოვნის მეზობლად **გ** თანხმოვანი შეცვლილია ბაგისმიერივე **ბ** თანხმოვნით. ამ ვარაუდის რეალურობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ „ბიჭვინთის იადგარში“ (XVI ს.) იმავე სოფელ ტყაურუში დასახელებულნი არიან **შამიგია** ჭუჭურია და დათია, ფორმა **შამიგია** კი **შამუგიას** სხვა ფონეტიკური ვარიანტია (გვანცელაძე, 2011: 145-146).

გვარსახელი **შარინავა** დასტურდება 1621 წ. შედგენილ დოკუმენტში თილითს (ამჟამად ოჩამჩირის რაიონის სოფ. აბა-აჟვახუ) მცხოვრებლად (ქსძ, 1970: 430). პ. ცხადაიას ცალკე არა აქვს გამოკვლეული გვარსახელი **შარინავა,** მაგრამიგი მას ახსენებს **შარია-ს** განხილვისას და წერს: „სვანური და მეგრული პირსა-ხელები **შარუ, შარმათ, შარვან...** გვავარაუდებინებს **შარი** ვარიან-ტსაც, რაც ჩანს გვარში **შარინავა“** (ცხადაია, 2000: 146). ნ. ჯომიდავას მიხედვით, გვარსახელი მომდინარეობს შარინა მეტსახელისაგან. **შარ-ი** მეგრულშიც იმავე მნიშვნელობისაა, რაც

სალიტერატურო ქართულში, **შარი - შარიანი,** შარის მომდებიო, აცხადებს ავტორი (ჯომიდავა, 2000: 369). ჩვენი აზრით, გამოსარიცხი არ არის **შარინავა-ს** კავშირი გვარსახელ **შარია**სთან: **შარ-**ძირს ერთ შემთხვევაში ერთვის **–ია** სუფიქსი, მეორეში კი კნინობითისავე **-ინ-ა** სუფიქსი, მაგრამ ასე დარწმუნებით ძნელია **შარინა** ფუძის სემანტიკის დადგენა.

სოფ. თილითში (1621) დასტურდება გვარსახელი **თასია ჩერჩია** (ქსძ, III, 1970: 429). მეგრულში თასუა-ჩერჩუა აღნიშნავს „თესვა-ფარცხვას“. ამათგან პირსახელი უნდა იყოს თასია, რომელიც დასტურდება ალ. ღლონტის მიერ ჩხოროწყუს რაიონში (ღლონტი, 1967: 83). სავარაუდოდ, ამ სახელს თესვა-ფარცხვის სეზონში დაბადებულ ბავშვებს არქმევდნენ. ხოლო გვარსახელი **ჩერჩია** მეგრულში სემანტიკურად უკავშირდება ჩანჩალას, ზოზინას. შდრ. **ჩერჩელი** - თრევა, ჩოჩიალი. შესაძლებელია, **ჩერჩია** თავდაპირველად მეტსახელი იყო ისეთი ადამიანისა, რომელსაც ახასიათებდა ჩანჩალი, ზოზინი... ხოლო შემდეგ იქცა გვარსახელად.

„აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთრის“ მიხედვით (1621 წ.) გვარსახელი **ჩოქუა** დასტურდება ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, სოფელ ხაუჟელში (ქსძ, III, 1970: 431). ვფიქრობთ, გვარსახელში თანხმოვნებს უნდა ჰქონდეთ ადგილი გაცვლილი და **ჩოქუა** ფორმა **ქოჩუა**-საგან მომდინარეობს. შდრ.: პირსახელი **ბუხუტ-ი** და გვარსახელი **ხუბუტ-ია** (ცხადაია, 2000: 170). გვარსახელი **ჩოქუ-ა,** როგორც ითქვა, მომდინარეობს **ქოჩო** „თევზის ფაფარი“ (იქვე, 141) სახელისაგან და წარმოადგენს **ქოჩორ-ი** სიტყვის ფონეტიკურ ვარიანტს. ეს სიტყვა მეტსახელად შეიძლებოდა გამოყენებულიყო იმ ადამიანის აღმნიშვნელად, ვისაც თევზის ზურგზედა ფხასავით ჰქონდა თმა აშვერილი. **ქოჩო> ქოჩუ** და **ქოჩუ-ა** რეალურად დასტურდება პირსახელებად სამეგრელოში (იქვე), ხოლო ჩოქო-ია დადასტურებული აქვს ალ. ღლონტს იმავე სამეგრელოში (ღლონტი, 1967: 146). ამრიგად, გვარსახელის ისტორია ასეთია: აპელატივი **ქოჩორ-ი** > აპელატივი ქოჩო „თევზის ქოჩორი, ზურგზედა ფხები“ > პირსახელები ქოჩო // **ჩოქო** > პირსახელები **ქოჩუ // ჩოქუ** > გვარსახელი **ჩოქუ-ა.**

„აფხაზეთის გამოსავალი მოსაკრებლის დავთრის“ მიხედვით, ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, სოფლებში ნაჟანეულსა და თილითში 1621 წელს დასტურდება კომპოზიტური წარმოების

გვარსახელი **ცისტარია** (პალ, V, 2015: 245). ნ. ჯომიდავა გვარსახელს უკავშირებს ბერძნული მუსიკალური საკრავის, ციტრას სახელწოდებას. ციტრა ყუთის ფორმის მრავალსიმიანი საკრავია, რომელსაც წკირით (მედიატორით) უკრავენ (ჯომიდავა, 2000: 408). ჩვენი აზრით, გვარსახელის საყრდენი ფუძის გაგება როგორც ციტრას სახელისა მეტად ნაძალადევია თუნდაც იმიტომ, რომ ბერძნებთან ქართველთა ხანგრძლივი ურთიერთობის მიუხედავად, არც საკრავი ციტრა შემოსულა ქართველთა მუსიკალურ ყოფაში და არც მისი სახელწოდება. ფრთხილი ვარაუდის სახით შეიძლება დავსვათ საკითხი: ხომ არ არის ამ გვარსახელის საყრდენი ფუძე მეტსახელი **ცის დარი** „ზეცის მსგავსი“? თუ ასეა, მეტსახელი მოტივირებული შეიძლებოდა ყოფილიყო ცისფერი თვალებით. ერთადერთი, რაც უეჭველია, გვარსახელში **-ია** დაბოლოების არსებობაა.

1628 წელს ილორს მცხოვრები **წაწულუა** გამიძულა ლევან დადიანს შეუწირავს ბიჭვინტის ღვთისმშობლისათვის და მისთვის გადასახადიც დაუწესებია (პალ, V, 2015: 306). **წაწი, წაწუნა** საკუთარი სახელები დასტურდება ალ. ღლონტთან (ღლონტი, 1967: 151). თვით მეგრულში **წაწუა** ნიშნავს რისამე კოხტად კეთებას, ხოლო **წაწულუა** - პატარასა და კოხტას, კოპწიას (ქობალია, 2010: 695). შესაბამისად, სრულიად უდავო ჩანს ამ გვარსახელის ამგვარი ისტორია: გვარის ფუძედ ზედსართავი სახელი **წაწულუ** > მეტსახელი და პირსახელი **წაწულუ** > გვარსახელი **წაწულუ-ა.**

ნაჟანეულში მცხოვრებად დასურტება **ხისტარია** თოლიმაფუ (1621) (ქსმ, 1970: 421). ნ. ჯომიდავა მიიჩნევს, რომ გვარსახელი მომდინარეობს შერქმეული მეტსახელისაგან: **ხიშტაკი** - ოქრომჭედლის იარაღი, ყალიბი (ქეგლ), ან **ხისტარა** მეტსახელისაგან (ჯომიდავა, 2000: 455). ჩვენი აზრით, უფრო მართებულია მივიჩნიოთ, რომ გვარს სწორედ მეტსახელი **ხისტარ-ი** (ხის ტარი) უნდა ედოს საფუძვლად. ამრიგად, მეტსახელი **ხის ტარი > ხისტარ-ია.**

1616-1621 წწ. შედგენილ „საცაიშლო გამოსავალ მოსაკრებელში“ დასტურდება გვარსახელი **ხერაკია** (პალ, V, 2015: 377). **ხერაკია** ა. ქობალიას მიხედვით, მეგრულში ნიშნავს ხაპერას, მწარე კვახს; კანმაგარს, გაფხეკილს, გაფშეკილს, გაძვალტყავებულს (ქობალია, 2010: 721). ნ. ჯომიდავას აზრით, **ხერაკია** მომდინარეობს **ხერაკ** მეტსახელისაგან. ხერკე - ხირკე (მეგრ.),

ორშიმო (იმერ.) გამოშიგნული მწარე გოგრა სახელურგაყრილი წყლის, ღვინის ამოსაღები (ჯომიდავა, 2000: 451). **ხერაკ-ია < ხერაკ.** ჩვენი ვარაუდით, გვარსახელი **ხერაკია** მეტსახელ **ხერაკია**საგან მომდინარეობს, მეტსახელი კი მცენარის (ხაპერას, მწარე კვახის) სახელს უნდა უკავშირდებოდეს. აქვე შეიძლებოდა კიდევ ერთი საკითხის დასმა: ხომ არ მომდინარეობს გვარსახელი **ხერგიან**-იც ამავე მეტსახელისაგან? (ხერაკ-იან-ი > ხერგ-იან-ი?).

გვარსახელი **ჯოღორია** უკავშირდება მეგრ. **ჯოღორ-ი** „ძაღლი“ სიტყვას (პალ, V, 2015: 514). **ჯოღორ-ი** სავარაუდოდ მეტსახელად იქცა, ხოლო მისგან მომდინარე **ჯოღორ-ია** - გვარსახელი გახდა. ჯოღორ-ი საკუთარ სახელს ადასტურებს ალ. ღლონტიც (ღლონტი, 1986: 252). **ჯოღორია**-ს მიჩნევას გვარსახელად მხარს უჭერს ი. მაისურაძესთან დადასტურებული გვარი - **ჯოღორიშვილი,** სადაც გამოიყოფა **ჯოღორ-** ფუძე (მაისურაძე, 1990: 247), მაგრამ როგორც ისტორიულ წყაროებში, ისე ამჟამინდელ სინამდვილეში, კერძოდ, მარტვილის რაიონის სოფელ აბედათში რეალურად დასტურდება **ჯოღორ-ი** სიტყვისაგან მომდინარე მეორეული პირსახელი **ჯოღორ-ია** (ღლონტი, 1986: 252), რაც საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ საანალიზო გვარსახელის საყრდენ ფუძედ შესაძლოა სწორედ **ჯოღორ-ია** ქცეულიყო.

ამრიგად, მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ შუა საუკუნეების წყაროებში დადასტურებული გვარსახელებიდან დღეს უკვე ბევრი აღარ არსებობს. კვლევის შედეგად, ამ ეტაპზე გამოვლინდა 34 ქართველური წარმოშობის გვარსახელი, რომლებიც გავრცელებული იყო XVII ს. ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიაზე. დღევანდელი მონაცემებით კი არცერთი მათგანი არ დასტურდება.

დამოწმებული ლიტერატურა:

ახალაძე, 2005: ლ. ახალაძე, აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები), I, თბ., 2005;

ბედოშვილი, 2013: გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით - ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბ., 2013;

გვანცელაძე, II, 2009: გ. გვანცელაძე, ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანის მახასიათებლები ქართულში, ნაწ. II, თბ., 2009;

გვანცელაძე, 2011: თ. გვანცელაძე, აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. თბ., 2011;

მაისურაძე, 1990: ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1990;

ორბელიანი, I, 1991: ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევათა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ. თბ., 1991;

პალ, II, 1993: პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, **გამოსაც. მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ; [რედ.: ე. ცაგარეიშვილი]. თბ.,** 1993;

პალ, IV, 2007: პირთა ანოტირებული ლექსიკონი, IV, მასალები შეკრიბეს და გამოსაც. მოამზადეს: გ. ოთხმეზურმა, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ და სხვ. ტომი შეადგინეს და რედ. გაუკეთეს მ. სურგულაძემ და დ. კლდიაშვილმა. თბ., 2007;

პალ, V, 2015: პირთა ანოტირებული ლექსიკონი, V. მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, ნ. მშვიდობაძემ, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ; ტომი შეადგინა და რედ. გაუკეთა მ. სურგულაძემ; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბ., 2015;

სწმ, I, 1986: სვანეთის წერილობითი ძეგლები. ისტორიული საბუთები და სულთა მატიანეები. I, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ. თბ., 1986;

სილაგაძე, თოთაძე, 1997: ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997;

ქაჯაია, III, 2002: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, 2002;

ქსძ, III, 1970: ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970;
ქობალია, 2010: ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი. თბ., 2010;
ღლონტი, 1967: ალ. ღლონტი, ქართველური საკუთრი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი. თბ., 1967;
ღლონტი, 1986: ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები. ანთროპონიმთა ლექსიკონი. თბ., 1986;
ცხადაია, 2000: პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000;
ცხადაია, 2004: პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია. თბ., 2004;
ჭუმბურიძე, 1987: ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987;
ჯავახიშვილი, 2012: ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 2012;
ჯომიდავა, 2000: ნ. ჯომიდავა, 3000 მეგრული გვარსახელი. თბ., 2000.

Sophio Kekua

Vanished at Present, a Group of Names and Family Names Given in Georgian Legal Documents of Medieval Centuries

Georgian legal documents of medieval centuries are very important for studying the origin of Georgian names and family names. In this respect, the date given in the 17th century annals, which covers the historical Odish-Abkhazian territory, happened to acquire special importance for us. Our aim, to find spread in that time, names and family names of Georgian origin, in historical Odish-Abkhazia territory, is partially achieved.

The analyses of legal documents show that many names and family names registered in medieval centuries do not exist today. At this stage of the studies, 36 names spread in the 17th century historical Odish-Abkhazian territory have been revealed. According to the present data none of them are found. Hereby we would like to mention that the analyses of the vanished names and family names haven't been finished yet. There is still much to study, which is a matter for the future.

თამარ კობერიძე

სოხუმის აღება მეოცე საუკუნის დასწყისში ლეო ქიაჩელის მოთხრობის „ჰაკი აძბა“ მიხედვით

სიმბოლურია, მეოცე საუკუნეში სოხუმი ორჯერ დავკარგეთ, პირველად საუკუნის დასაწყისში უბრძოლველად და შეიძლება ითქვას უსისხლოდ, მაგრამ საუკუნის ბოლოს რაც მოხდა საქართველოს მრავალომგადახდილ ისტორიას, შეიძლება ითქვას, რომ არ ახსოვს.

ქართულ მწერლობაში კონსტანტინე გამსახურდიას რომანის - „მთვარის მოტაცება“ - გარდაარსებობს კიდევ ერთი შესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც აფხაზეთის, კერძოდ კი სოხუმის დაკარგვის ისტორიას გადმოგვცემს XX საუკუნის დასაწყისში. ეს ნაწარმოები, ყველასათვის კარგად ცნობილი, „ჰაკი აძბა“ გახლავთ. ლეო ქიაჩელის ეს მოთხრობა განსაკუთრებულად საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი ნამდვილ ამბავზეა აგებული. ნამდვილ ამბავს კი აკაკი ბაქრაძე გადმოგვცემს თავის წერილში „მასალა და მოთხრობა“: „1918 წლის 15 თებერვალს სოხუმის ნავსადგურში მოულოდნელად შეჩერდა დამხმარე კრეისერი „დაკია“. იგი ტრაპიზონიდან სევასტოპოლში ბრუნდებოდა, კავკასია-თურქეთის მოშლილი ფრონტიდან რუსეთში გადაჰყავდა ჯარისკაცები“ (ბაქრაძე, 2013: 374).

ახლა ვნახოთ როგორ იწყებს მოთხრობას მწერალი და რამდენადაა შეცვლილი გემის სვლის მიმართულება, სახელწოდება და ეკიპაჟის რაოდენობა.

„ეს მოხდა ქ. სოხუმში, 1918 წელს, როცა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ უსასტიკესი ომი მიმდინარეობდა. განსაკუთრებით მძაფრი იყო ეს ომი სამხრეთ რუსეთში, სადაც რეაქცია უკანასკნელი პოზიციების შენარჩუნებას ცდილობდა. საბჭოთა ხელისუფლება ძლევამოსილად უტევდა მას და შავი ზრვისკენ ერეკებოდა, თავის საზღვრებიდან აძევებდა.

აფხაზეთი მაშინ ამიერკავკასიის კომისარიატის ხელისუფლებას ემორჩილებოდა და ფაქტიურად რუსეთს მოწყვეტილი იყო.

და აღნიშნული წლის თებერვლის 27-ს დილაადრიან ქალაქ სოხუმში ხმა გავარდა მოულოდნელად:
ბოლშევიკების კრეისერი „შმიდტი“ ქალაქის ნავსადგურს უახლოვდება, ეტყობა, შემოსვლას აპირებსო“ (ქიაჩელი, 2006: 5).

მწერალმს ამ პატარა მონაკვეთში ორი მნიშვნელოვანი ფაქტი გადმოგვცა. პირველი - საბჭოთა რუსეთის ფარგლებში ჯერ კიდევ არ შედის შავი ზღვა (ყოველ შემთხვევაში საქართველოს კუთვნილი მიწა-წყლის სანაპირო ზოლი), მეორე და უმთავრესი, (რაც ჩემი კვლევის საგანია) აფხაზეთი „ამიერკავკასიის კომისარიატს ემორჩილებოდა და ფაქტობრივად რუსეთს მოწყვეტილი იყო“. რაც შეეხება „ამიერკავკასიის კომისარიატს“ აკაკი ბაქრაძის გადმოცემით: „ამიერკავკასიას განაგებდა ამიერკავკასიის სეიმი. სეიმი ჭრელი იყო, ვის არ მოეყარა აქ თავი - ქართველ მენშევიკებს, სომეხ დაშნაკებს, აზერბაიჯანელ მუსავატელებს...“(ბაქრაძე, 2013: 374).

ეს „ნაირ-ნაირი პილიტიკოსები“, თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ითხოვდნენ ამიერკავკასიის პოლიტიკურად მოწყობის საკითხის გადაწყვეტას, მხოლოდ „ქართველი მენშევიკები იცავდნენ რუსეთთან სრული ერთიანობის თვალსაზრისს“ (ბაქრაძე, 2013: 374). ეს „სრული ერთიანობა“, მხოლოდ უკვე ბოლშევიკური არ დაახანებს და „...ბოლშევიკების კრეისერი „შმიდტი“ ქალაქის ნავსადგურს უახლოვდება“. როგორც ვთქვით, ლეო ქიაჩელმა თავის ნაწარმოებში გემსაც შეუცვალა სახელწოდება და ეკიპაჟის რაოდენობაც შეამცირა. რეალურად არსებული, ჯარისკაცებით დატვირთული კრეისერ „დაკიას“ ნაცვლად, ნაწარმოებში რამდენიმე მეზღვაურისგან შემდგარი კრეისერი „შმიდტია“. ისმის კითხვა: რატომ შეუცვალა მწერალმა სახელწოდება, შემადგენლობა და გეზი გემს? სახელწოდებას რაც შეეხება, ისევ ბატონ აკაკის მივმართავ ამასთან დაკავშირებით: „არც „დაკია“ და არც „დერზკი“ მკითხველს არაფერს ეუბნება. „შმიდტი“ კი უცბად აღძრავს ასოციაციას და დაგაკავშირებს იმ წლებში მეტად პოპულარული ადამიანის სახელთან. ეს კაცი გახლავთ შავი ძღვის ფლოტის ლეიტენანტი პეტრე შმიდტი“ (ბაქრაძე, 2013: 378).

რაც შეეხება შემადგენლობასა და გეზს, ჩემი აზრით, მწერალს სურს დაგვანახოს ადგილობრივი ხელისუფლების უსუსურობა, რომ გემის მცირე შემადგენლობის მიუხედავად, ქალაქის ხელისუფალთ აზრადაც კი არ მოსვლიათ წინააღმდეგობის

გაწევა. რეალურად მომხდარი ფაქტის შესახებ კი აკაკი ბაქრაძე ამბობს: „ადგილობრივ ხელისუფლებას ძალა არ შესწევდა, კრეისერი „დაკია“ ქალაქში არ შემოეშვა“ (ბაქრაძე, 2013: 378). გემის სვლის მიმართულებას რაც შეეხება, ნაწარმოების მიხედვით, იგი ჩრდილოეთის მხრიდან მოადგება ქალაქს და არა სამხრეთიდან. ავტორს თითქოს სურს მიგვანიშნოს თუ საიდან უნდა ველოდოთ საფრთხეს მომავალშიც.

ამ საფრთხემ თავგზა აუბნია ქალაქის თავს - სამსონ დავანაძეს. სოხუმში ყველასათვის ცნობილმა ვაჭარმა, რაჟდენ თორიამ, მას „გაგრის გამოძახება“ ურჩია. გაგრის დასტურის შემდგომ, რომ სანაპიროსთან მართლაც მოძრაობდა სამხედრო გემი და სოხუმისაკენ გამოემართა, ქალაქის მერი „სერიოზულად დაფიქრდა,“ „დავანაძეს იგი პოლიტიკური მნიშვნელობის საფრთხედ ეჩვენებოდა“ (ქიაჩელი, 2006: 8). ქალაქის თავი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა - „თუ მოყვრულად დავხვდი შენი მტერია, ბოლშევიკობას შემწამებენ. თუ მტრულად - გაბედე თუ ვაჟკაცი ხარ: ნავი კი არ არის, კრეისერია ნამდვილი, მერე ისიც ბოლშევიკების. რისი იმედით? ის კუზმა-მრისხანეც უთუოდ ტყუილად არ ატარებს თავის მეტსახელს“ (ქიაჩელი, 2006: 8). ამ ფიქრებში ნათლად იკვეთება საქართველოს და კერძოდ აფხაზეთის იმდროინდელი თავდაცვის მდგომარეობა; სწორედ ამიტომ დავანაძე უჩვეულო გამოსავალს „ნახავს“ - „პირველი ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა ყოველნაირი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, ეს იყო თბილისში საიდუმლო დეპეშის გაგზავნა: ასეა საქმე და როგორ მოვიქცეთო. მაგრამ ეს იყო უფრო ფორმალობის დაცვა მისი მხრით. კარგად იცოდა, რომ დროზე არავინ უპასუხებდა და თუ მიიღებდა მაინც რაიმე პასუხს, იგი სახელმძღვანელოდ უთუოდ არ გამოადგებოდა“ (ქიაჩელი, 2006: 9). ეს აზრი კი იმას ადასტურებს, რომ არც თბილისში იყო დიდად განსხვავებული მდგომარეობა თავდაცვისა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. ყოველნაირი „პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად“ - ამ სიტყვების ავტორი ნამდვილად დიდი მწერალია; ეს ქვეყნის დამაქცევარი აზრი, რომლითაც დავანაძის მთელი არსება იყო მოცული, არის სწორედ ის უმთავრესი მიზეზი, რის გამოც არა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში, არამედ საუკუნის ბოლოსაც დავკარგეთ სოხუმი და მასთან ერტად მთელი აფხაზეთიც, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერია იმ მზაკვრულ აზრთან და გეგმასთან, რომელსაც

დავანაძეს თავის „კარგი მეგობარი“, „მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე - ნარიქ ეშბა“ მიაწვდის: „ეშბამ გულდასმით მოისმინა... მაშინვე მიხვდა ქალაქის თავის განზრახვას... და ასეთი მეგობრული პასუხი გასცა: პასუხისმგებლობას ან შენ რატომ იკისრებ, ძვირფასო სამსონ ან რატომ გინდა, რომ მე მაკისრებინო მაინცდამაინც... თუ პასუხისმგებლობამდე მივიდა საქმე, სჯობია მისი ტვირთი ისე განაწილდეს, ...რომ ბრალი ყველას და ამავე დროს არავის არ დაედოს...“ (ქიაჩელი, 2006: 10). კომუნისტების იდეოლოგიაღა აკლდა დავანაძის უპასუხისმგებლობას და არაჩვეულებრივი ქართულ-აფხაზური (აფსუური), მენშევიკურ-ბოლშევიკური წრედიც შეიკრა, წრედი, რომელიც თვალისდაუხამხამებლად გაწირავს ტრადიციას, ღირსებას, სარწმუნოებას უჯუშ ემხასა და ჰაკი აძბას სახით და მათთან ერთად აფხაზეთსაც. სამსონ დავანაძე კი თავისთვის ფიქრობდა: „აფხაზები ბუნებით დიპლომატები არიან, კიდევ მაჯობა მგონია ჭკუაში...“ მაგრამ რაკი რჩევა ძალიან მოეწონა ჯობნა არც სწყენია“ (ქიაჩელი, 2006: 10). „საქმეს ფიცხლად შეუდგა“, „პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა ისე სწრაფად შედგა, ...რომ ქვორუმის მონატრებული ქალაქის თავის ყოველ მოლოდინს გადააჭარბა“ (ქიაჩელი, 2006: 10). როგორც ვხედავთ, ქალაქის თავი დროს არ კარგავს და ტავს არ ზოგავს, რომ რაც შეიძლება „მომზადებული“ დახვდეს კრეისერს. სხდომას ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე - ბექირბი ჩაჩბა ხსნის. ავტორს დიდად არ შეუწუხებია თავი არც დავანაძის, არც თორიას, არც ეშბას დახასიათებისათვის, მხოლოდ მათი თანამდებობრივი და სოციალური სტატუსის თქმით შემოიფარგლა, ხოლო რაც შეეხება ბექირბი ჩაჩბას მის პიროვნებას ლეო ქიაჩელი დაწვრილებით ახასიათებს: „აფხაზთა შორის მეტად პოპულარული პიროვნება, მისდამი პატივისცემას ყველასათვის სავალდებულოდ ხდიდა, გარდა დიდი გვარისა, რომლის უპირველეს წარმომადგენლად ითვლებოდა, მისი იშვიათი ტანადობაც და განსაკუთრებული აფხაზური იერით შემკული სახიერება. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ბექირბი ჩაჩბა ისე ატარებდა თავისი მოდგმის არისტოკრატიულ ნიშნებს, რომ ყოველი თავმომწონე აფხაზი მოვალედ თვლიდა თავს მიებაძნა მისი სიტყვა-პასუხის, მოქცევისა და ჩაცმადახურვისათვის“ (ქიაჩელი, 2006: 11). მთელ ამ აღწერილობას რომ თავი გავანებოთ, მხოლოდ ეს ერთი ფრაზა - **„აფხაზური იერით შემკული**

სახიერება“ - მეტყველებს და მიუთითებს იმაზე, თუ როგორ ფასდებოდა ქართველთა მიერ აფხაზთა (აფსუათა) „მოდგმის არისტოკრატიული ნიშნები“. მსგავსი დაფასება და შეფასება ამ ეთნოსს არ ჰქონია არც ერთი აფხაზეთში მოსახლე ეროვნებების მიერ. XX საუკუნის დასაწყისში კი აფხაზეთში ქართველებისა და აფსუების გარდა ცხოვრობდნენ: რუსები, ბერძნები, სომხები... ამის შესახებ ცნობებს ჩვენი ავტორიც გვაწვდის.

დავუბრუნდეთ ნაწარმოების იმ მონაკვეთს, სადაც პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა მიმდინარეობს და ბექირბი ჩაჩბას კითხვას - „რა ვქნა, ბოლშევიკები კარს მოგვადგნენო?“ - რა პასუხს გასცემს დარბაზი. „სიჩუმე ჩამოვარდა... - გვეუბნება ავტორი - დამსწრენი ენაწყლიანი ორატორების გამოსვლას მოელოდნენ, მაგრამ ახლა სიტყვის თქმის მსურველი არავინ გამოჩნდა, არც პოლიტიკური ხელმძღვანელები“ (ქიაჩელი, 2006: 11). ამ სიტყვებში აშკარად ჩანს, თუ როგორაა საზოგადოება შიშისაგან დაზაფრული. ხმის გაღებას მხოლოდ ის კაცი გაბედავს, ვისაც ყველაზე მეტად ეშინია ომის, ყველაზე მეტი ქონების გამო. ეს გახლავთ „უპარტიო რაჟდენ თორია, ხმოსანი და მდიდარი მესაკუთრე“. თორიას აზრით, „ახლა პოლიტიკური ანგარიშების გასწორების დრო არ არის... ჩვენ უბრალო ხალხი ამ ანგარიშებში არ ვერევით. „შმიდტის“ ერთი გასროლაც კი საკმარისია, რომ ჩვენი სახლები და მთელი ჩვენი სარჩო-საბადებელი... ცეცხლმა თვალისდახამხამებაში ჩანთქას, ჩვენი ყოფა-ქცევაც ამ უეჭველი გარემოებიდან უნდა გამომდინარეობდეს: გემიც და მისი მეზღვაურებიც მთელმა ქალაქმა ისეთი პატივისცემით უნდა მიიღოს, რომ ეჭვიც კი არავის დაებადოს ჩვენს მათდამი თანაგრძნობასა და მეგობრულ განწყობილებაში... მთელმა დარბაზმა ერთხმად წამოიძახა: - მართალია, სწორია“ (ქიაჩელი, 2006: 12).

ჩვენი სახელმწიფოს სისუსტის და ტერიტორიების დაკარგვის კიდევ ერთ მიზეზს გვამცნობს მწერალი-„პოლიტიკური ანგარიშების გასწორება“. ამ მიზეზმა გაბედა და XX საუკუნის დასაწყისში ერის წინამძღოლს - ილია მართალს - ტყვია ესროლა, ამ მიზეზმა იმავე საუკუნის დასაწყისში სახელმწიფოებრიობა (მართალია, შემთხვევით ბოძებული, მაგრამ მაინც) დაგვაკარგვინა; ამ მიზეზმა იმავე საუკუნის მიწურულს აფხაზეთი და სამაჩაბლო მოგვწყვიტა; ამ მიზეზით თითქმის სამი ათეული წელია ვითომ თავისუფლები და დამოუკიდებლები ვართ და სინამდვილეში ქვეყანა სახელმწიფოდ ვერ შედგა... კიდევ რამდენი უბედურება გველის (თუ გონს ვერ მოვედით) ამ მიზეზით მხოლოდ უფალმა უწყის.

დავუბრუნდეთ ლეო ქიაჩელს და მის ნაწარმოებს. როცა ქალაქის საბჭოში „უკანასკნელი შემოწმებული ცნობა მოიტანეს: კრეისერ „შმიდტს“ გეზი ნავსადგურისკენ აქვსო, მთელი ქალაქი უმალვე გამოიცვალა... მოქალაქენი მეტწილად თავიანთ სახლებს უტრიალებდნენ და წითელი დროშებით ამკობდნენ... რაც შეიძლება მალე... გამოეკიდათ თავისი სახლის წინ წითელი დროშა და ამით ყოველი ეჭვი თავიდან აეცილებინათ“ (ქიაჩელი, 2006: 14).

მოკლედ ზღვის სანაპირო, რესტორანი და მთელი ქალაქი, დიდი თუ პატარა კუზმა მრისხანეს მოსაწონებლად მორთულიყო და დარბოდა, მხოლოდ იმავე სასტუმროს მეორე სართულზე, „ფანჯრებდახშულ ოთახში ხუთი კაცი ჩაკეტილიყო“. ავტორი აშკარად მიუთითებს მკითხველს, რომ ისინი რეალურ სამყაროს მოწყვეტილნი არიან, ბანქოს თამაშობენ, მაგიდა ფულითაა მოფენილი და საინტერესოა ამ „ფულების“ წარმომავლობა - „ცალკე ეწყო რუსეთის იმპერიის გაუქმებული ასიგნაციები და ოსმალური ლირები, ცალკე სხვადასხვა კუთხის, ოლქის თუ რესპუბლიკის მეტწილად ამიერკავკასიის „ბონები“, „კერენკების“ ჩათვლით“ (ქიაჩელი, 2006:14). როგორც ვხედავთ, „რუსეთის იმპერიის გაუქმებული ასიგნაციები და თურქული ლირები“ გამოყოფილია „ამიერ-კავკასიის „ბონებს“. ფულის ერთეულების საშუალებით ადვილად შეგვიძლია აფხაზეთში არსებული პოლიტიკური ვითარების გარკვევა. ავტორი შემთხვევით არ აკეთებს აქცენტს ორი იმპერიის ფულის ერთეულზე: ერთი ჩრდილოელი მეზობელია, მეორე - სამხრეთელი. ორივე მათგანი ერთნაირი საფრთხე იყო ჩვენი ქვეყნისათვის და არის დღესაც.

„ოთახში მყოფი ხუთი კაციდან ერთს სავარძელში ეძინა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სახეზე რაღაც ღრმა წუხილის ლანდები მიმოურბოდნენ... **შინდისფერი** მოკლე ახალუხი ბუნებრივი კანივით შემოკვროდა“ (ქიაჩელი, 2006: 17). „შინდისფერი ახალუხი“, „ბუნებრივი კანივით“, ჩემი აზრით, ამას შემთხვევით არ უნდა წერდეს მწერალი. თუ გავიხსენებთ ნიკო ლორთქიფანიძის „შვინდაძეს“ მოთხრობიდან - „შელოცვა რადიოთი“ აშკარა გახდება, რომ ეს ფერი იმდროინდელი თავისუფალი საქართველოს დროშის ფერია და უჯუშ ემხასათვის ის „ბუნებრივი კანია“.

„...ეს იყო თავად უჯუშ ემხა, აფხაზი, მეფის დაშლილი ჯარის ოფიცერი, შტაბს-როტმისტრი ჩერქეზთა რაზმის აფხაზური ასეულისა, რომელიც ომის დროს ავსტრიის ფრონტზე იბრძოდა“. უჯუშ ემხას ჰყავს რეალური პროტოტიპი ნიკოლოზ ემხა ანუ ემხვარი. ამ გვარის შესახებ ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ კონსტანტინე გამსახურდიას გმირის - თარაშ ემხვარის დახასიათებისას. კონსტანტინეს რომანში გმირი ენგურში იღუპება, ლეო ქიაჩელის მოთხრობაში კი, მას კლავენ და მის გვამს ზღვაში აგდებენ. მოთხრობის პროტოტიპსაც კლავენ. სამივე ემხვარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იღუპება სხვადასხვანაირად, მაგრამ გმირულად და, რაც მთავარია, ორივე მწერალს სხვადასხვა ხედვა აქვს მათი „მომავლის“ შესახებ: თარაშ ემხვარი მდინარეში იღუპება, რითაც მწერალი გვეუბნება, რომ მისი მარადისობაში გადასვლა არ გამორიცხავს „დაბრუნებას“ განახლებული სახით; უჯუშ ემხას კლავენ და მის გვამს ზღვაში აგდებენ. ზღვა, როგორც ვიცით, ბოროტ ძალთა სიმბოლოა: ზღვაში ჩანთქა იონა წინასწარმეტყველი ვეშაპმა, ზღვაში კარგავს ბოროტების სიმბოლო - დავარი - თავის ძმიშვილს - ნესტან-დარეჯანს - „წაიყვანეთ და დაკარგეთ, მუნ სადა ზღვისა ჭიპია, წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარი, ვერცა ლიპია“.

ემხას სიკვდილამდე კი საინტერესოდ და საოცარი სისწრაფით ვითარდება მოვლენები. „სიცოცხლის გარდა ორი რამ განძი ჩამოჰყოლოდა, რომლებსაც სიცოცხლეზე უფრო მეტად აფასებდა და უფრთხილდებოდა. ეს იყო სიყრმიდანვე მისი საოცნებო ოფიცრის ეპოლეტები და ოფიცრისვე წმინდა გიორგის ორდენი“. სწორედ ამ განძს შეეხება წასართმევად და შეურაცხჰყოფის მისაყენებლად ის ძალა, რომელიც ცხადად მომავალი უჯუშ ემხამ სიზმარ-ხილვაში ნახა: „მე კი სწორედ ისინი მომეჩვენენ... თითქოს გემით მოვიდნენ... თითქოს...“, მაგრამ ეს კოშმარი „თითქოს“ რომ არ იყო და სოხუმს ნამდვილად მოსდგომოდა ბოლშევიკების ხომალდი ეს საყვირის უჩვეულო ხმამ ამცნოთ, რომელიც ისეთი „მკვეთრი და ძლიერი იყო, რომ გეგონებოდათ დედამიწა ვერ დაიტევსო, ოთახში შემოიჭრა, ფანჯრის მინები ააწკარუნა და გაბოლილ მძიმე ჰაერში დევური მოქნევისაგან აწივლებული მახვილივით შეერჭო“ (ქიაჩელი, 2006: 17). ამ პატარა მონაკვეთში მწერალმა რამდენიმე სიმბოლო გამოიყენა და ვფიქრობ არა შემთხვევით. უპირველეს ყოვლისა, პარადოქსია ის, რომ ბოლშევიკური სამხედრო კრეისერის შემოსვლას ქალაქის

პორტში სოხუმელები „საყვირით“ გებულობენ. შემდეგ მწერალი ჰიპერბოლას მიმართავს - „დედამიწა ვერ დაიტევსო“ განსაკუთ-რებულად დიდი უბედურება რომ მოსდგომია ამ ერთი კრეისერის სახით საქართველოს შავი ზღვის ნაპირს, თითქოს ამის გადმოცემა სურსო. შემდეგ ისევ სიმბოლოს მიმართავს „დევური მოქნევისაგან“ და გასაოცარი შედარებით ამთავრებს - „აწივლებული მახვილივით“. ყურადღებამისაქცევია ის ფაქტიც, თუ როგორ წარმოთქვამს უჯუშ ემხა კრეისერის სახელს: „უცებ ტუჩები შეუცახცახდნენ... უხმო ცაშიშინებით ჰაერში მოხაზეს: „შმიდტ“. „ჩაშიშინებით“ - წერს ავტორი. შიშინა ბგერა „შ“-ს გამე-ორებით თავისთავად იწვევს მკითხველში სისინა „ს“-ს ასო-ციაციას. შესაძლოა გადაჭარბებულად ვფიქრობ, მაგრამ რატომ-ღაც მგონია სწორედ უხსენებლის გამოჩენის ტოლფასია უჯუშ ემხასათვის ბოლშევიკების გამოჩენა. მით უმეტეს, რომ მწერალი იქვე კრეისერის სახელის შესახებ ამბობს: „სისხლისფერი წარწერა“.

„შმიდტის“ მეზღვაურების ნაპირზე გადმოსასხამად მიმა-ვალ მოტორიან ნავში სამსონ დავანაძისა და ნარიქ ეშბას გარდა „ხუთი მუშისაგან შემდგარი დელეგაცია, აფხაზეთში მცხოვრებ ეროვნებათა რიცხვის მიხედვით შერჩეული“ (ქიაჩელი, 2006: 25) იმყოფებოდა. დაკვირვების გარეშეც ნათელია მკითხველისათვის, რომ დამხვდური დელეგაციის წამყვანი პერსონები ქართველი და აფსუა ეროვნების ადამიანები არიანდა ამავდროულად მწერალი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ „აფხაზეთში მცხოვრებ ეროვნებათა რიცხვის მიხედვითაა დანარჩენი წევრები შერჩეული. რასაც პირველად დაინახავენ სოხუმელები კრეისერზე გახლავთ, „რკინისფერი პროფილი“. მკითხველს უნებლიედ გალაკტიონის „რკინის საუკუნე“ გაგახსენდება. ამის შემდეგ „შეუპოვრობის გამომხატველი“ „ქოსა სახე“ ჩნდება, რომელსაც წამოზნექილი გულმკერდი მთლიანად დატატუირებული ჰქონდა, კუნძივით სქელ და დაბალ კისრამდე... ბეჭედივით წრეშემოვლებული ნამგალი და ჩაქუჩი აჯდა, ერთმანეთზე გადაჭდობილი“ (ქიაჩე-ლი, 2006: 24). ეს გახლდათ არტილერისტი ვასილ ხრიტანიუკი, იგივე ვასკა პირატი, რომელსაც „მთელი ამ კუთხის სახელით, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია,“ ქალაქის თავი ამხანაგ კუზმასათვის სალამს გადასცემს. გემის უჩინარი კაპიტანი მკითხველში განსაკუთრებულ ინტერესს იქვევს და ბოლოს ისიც, „ძალიან უცნაური სახის ადამიანი, გამოჩნდა, რომლის დანახმან სოხუმე-

ლები მეტად გააოცა... კისერწაგრძელებულები ქვემოდან შესცქერodნენ უფროსის სიდინჯით მათკენ მიმავალ **საკვირველებას.** ამათი გაოცების მიზეზი ის იყო, რომ ამ კაცის ერთ ტანზე ორ პირსახესა და სამთვალს ხედავდნენ სრულიად გარკვეულად“ (ქიაჩელი, 2006: 27). ლადო ასათიანი რაფიელ ერისთავის შესახებ წერს: „კარგი ოსტატი იყო ბატონი რაფიელი“, იგივე შეიძლება ითქვას ლეო ქიაჩელის შესახებაც. ნამდვილად დიდი ოსტატობაა საჭირო იმისათვის ამ საშინელების დასანახად რომ მოამზადო მკითხველი და მან ეს გენიალურად მოახერხა იმ წინასახის დახატვით, როცა „რკინისფერი პროფილისა“ და „ქოსა სახის“ შესახებ საუბრობდა. ამის შემდეგ იგი უკვე ბუნებრივად მიდის იმ პიკამდე, რომელსაც ორსახოვანი და „ყოვლისმომცველი“ სამთვალა ადამიანი წარმოადგენს კუზმა მრისხანეს სახით (მეტსახელიც როგორ ზუსტად აქვს შერჩული). მწერალმა ზუსტად გადმოგვცა, თუ როგორ დაამახინჯა სოციალისტურმა რევოლუციამ „სახე ყოვლისა ტანისა“, როგორ გახად იგი „უგრძნობი კაცი“ და „ქოსა სახედ“ როგორ აქცია. დიახ, ამ სამ მეზღვაურში ე. წ. „ახალი ადამიანის“ სხვადასხვანარად დეგრადირებული სახეა გადმოცემული. აი ვის, უფრო სწორად რას ეგებება მთელი სოხუმი წითელი დროშებითა და ზურნადუდუკით. მთელი ქალაქი მონუსხა ამ ბოროტებამ, მხოლოდ ერთი ადამიანის გარდა, ადამიანისა, რომლის „ჯიშსა და ჯილაგს უკან დახევა არა სჩვევია“. არც დაიხევს, და გახდება ავტორი იმ ერთადერთი საბედისწერო გასროლისა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო სოხუმში, მაგრამ მოხდა. თანამემამულეთაგან განსხვავებით, მარტოდ დარჩენილმა უჯუშ ემხამ, როდესაც მას „უმალვე ჩამოსცილდნენ“ მეგობრები, უფლება არ მისცა ვასილ ხრიტანიუკს ეპოლეტების ჩამოგლეჯისა და „განგმირული ვასილ ხრიტანიუკი მიწაზე პირაღმა გაიშხლართა უსულოდ“. ემხამ მეორე მეზღვაურიც დაჭრა და მესამე ვიდრე გონს მოვიდოდა „უჯუშ ემხა მის წინ უკვე აღარ იდგა. მეხის გავარდნაზე უარესი რამ დაატყდა თავს სოხუმელებს“. მიტინგის მონაწილეთა შესახებ ავტორი წერს: „ყველამ იგრძნო, რომ რაღაც დიდი უბედურება დატრიალდა.... მერე ბრბო შეიკუმშა, შექუჩდა... და დუქნებსა და სახლების კედლებს დამფრთხალი ფარასავით შეეფინა“ (ქიაჩელი, 2006: 34). მწერლის განწყობა შეშინებული და მხდალი მოქალაქეების მიმართ აშკარად იგრძნობა ამ მონაკვეთში. ხალხი მისთვის უყოჩოდ დარჩენილი ბრბოა,

რომელიც „დამფრთხალი ფარასავით“ დაიფანტება. სამწუხაროდ, ცხვრის ფარის ფსიქიკას ვერ გავცდით XX საუკუნის ბოლოსაც. დავანაძე და ეშბა „ყაზახთა ოფიცრისა“ და „გიორგის კავალერის“ ხსენებაზე მიხვდებიან, რომ „უჯუშ ემხას დაუღუპავს“ ყველა და განაჩენიც სასწრაფოდ, ყოველგვარი ფიქრისა და განსჯის გარეშე გამოუტანეს: „საკუთარი ხელით შევიპყრათ დამნაშავე და მივგვაროთ მოკლულის ამხანაგებს დამსახურებული სასჯელის მისაზღვავად“ (ქიაჩელი, 2006: 38). მაგრამ ერთი რამ დაავიწყდათ, უბრალო „დამნაშავესთან“ არ ჰქონდათ საქმე და მეტად გაჭირდებოდა მისი შეპყრობა. ამის შემდგომ მოთხრობაში მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ვასილ ხრიტანიუკის გვამს და დაჭრილ მეზღვაურს სოხუმის „მრავალრიცხოვანი დელეგაცია“ გაჰყვა „რათა გემის უფროსისათვის ქალაქის უზომო მწუხარება გამოეცხადებინა და მოულოდნელად მომხდარი უბედური შემთხვევა სწორად განემარტა...“ დელეგაციას „მხცოვანი თავადი ჩაჩბა“ მეთაურობდა. გემის კაპიტანმა ერთი საათის ვადა მისცა ქალაქის დელეგაციას დამნაშავის მოსაძებნად და დასაკავებლად, „მხცოვანი თავადი ჩაჩბა მძევლად დაიტოვა. „ერთი საათის ვადა ყველას ცეცხლივით შეკიდა და შიგ ტვინში აუვარდა, უმწეობისა და სასოწარკვეთილების გმინვა გაისმა ირგვლივ“.

„ლ. ქიაჩელს სრული სურათი აქვს დახატული როგორ დათანხმდა შიშით თავზარდაცემული ქალაქი ყოველგვარ დამცირებას. როგორ ცდილობდა იგი პირფერობითა და ლიქნით გადარჩენილიყო“ (ბაქრაძე, 2013: 382). ახლა კი, იმ საბედისწერო გასროლის შემდეგ ეს შიში კიდევ უფრო შემზარავი გახდა: „სოხუმის მთელი მოსახლეობა დიდიან-პატარიანად იმ განაპირა უბნისკენ დაიძრა, სადაც ოფიცერ უჯუშ ემხას სახლ-კარი ეგულებოდათ“ (ქიაჩელი, 2006: 38). ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, „განსაკუთრებული თავგამოდებით მოქალაქეთა მესაკუთრული ნაწილი მოქმედებდა. ამ ნაწილს რაჟდენ თორია ხელმძღვანელობდა..., რომელიც თოფითა და რევოლვერით შეიარაღებულიყო“. როგორც ვხედავთ, „ომის უმეცარ ვაჭარსაც“ კი იარაღი აუღია, მხოლოდ არა მტრის, არამედ მოძმის წინააღმდეგ. ეს მდგომარეობაც გამეორდა აფხაზეთში იმავე საუკუნის ბოლოს, მხოლოდ უფრო ფართო მასშტაბით, სამწუხაროდ. მიუხედავად იმისა, რომ „სოხუმის არისტოკრატიას ცოტა განზე ეჭირა თავი“, უჯუშ ემხას საკუთარი დეიდაშვილიც კი უღალატებს. უჯუშის

ქვრივი დედისა, რომელიც ღირსეულად შეხვდება ამ საშინელ განსაცდელს: „ოდნავ შენაოჭებულ თეთრ სახეზე შიშის ფითრი დაფრქვეოდა და უჩინარი ცრემლით დანამულ დიდრონ თვალებში შეჩვეული თავდაჭერილობისა და დაჭიმული ნებისყოფის უკანასკნელი სიმტკიცე შემოეკრიბა“ (ქიაჩელი, 2006: 39). თორმეტი წლის დის დატყვევება საკმარისი არ აღმოჩნდება სოხუმელების დასამშვიდებლად და რაჟდენ თორიას მოწოდებაზე: „უმალ ცეცხლი ჩვენი დამღუპველი ემხას სახლ-კარს, უმალ სიკვდილი მისი ოჯახის წევრებს! ათასმა ხმამ დაიგუგუნა: - **სიკვდილი, სიკვდილი ემხას!...“** (ქიაჩელი, 2006: 41).

ასეც მოხდა, როგორც აკაკი ბაქრაძე წერს „უჯუშ ემხა მიტოვებული განწირული და იმედდაკარგული აღმოჩნდა. ერთადერთი კაცი, ვინც მისი გადარჩენისათვის იბრძვის ჰაკი აძბაა, უჯუშის ძიძიშვილი, მაგრამ მარტო ჰაკი რას გახდება. შიშით არა მარტო ღირსება და თანაგრძნობის უნარი დაკარგეს, არამედ მატყუარებიც გახდნენ...“ (ბაქრაძე, 2013: 383). მისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის მიუხედავად უჯუშს „ამხნევებენ“: „...შიში ნუ გაქვს: სიკვდილით არაფერს გაგიჭირვებთ“.

უჯუშ ემხას სიკვდილის შიში არ ჰქონდა - „მე და შიში ერთმანეთს არ ვიცნობთ“, „სიკვდილზე უფრო მწარე იყო უიმედობის გრძნობა“. საზოგადოების ყველა ფენისაგან განწირული უჯუშ ემხა მხოლოდ ერთი კაცის სახელს იმეორებს: „ჰაკი, ა, ჰაკი! სად ხარ ჰაკი?“ (ქიაჩელი, 2006 :42). მაინც ვინ იყო ჰაკი აძბა?, რომელსაც ყველაფერი შეეძლო გაეკეთებინა **„შეუვალი ბედისწერისა“** და საზოგადოებისაგან განწირული ძმისათვის? „ის იყო აფხაზი გლეხი, რომელსაც მთელი აფხაზეთი იცნობდა, როგორც ემხას ძიძიშვილს... ნაკვთიანი სწორად სხმული, - მარდი და მოქნილი, როგორც გარეული შავი კატა“. ჰაკის პატარა თვალები, „რომლებიც საგნებს ისარივით ერჭობოდნენ...“, „...უსიტყვო თანაგრძნობას აჩვენებენ უჯუშს“ და სწრაფად მთებში გაქცევას გადაწყვეტენ, მაგრამ დააგვიანდებათ, „ზღვის ნაპირიდან დაძრული ხალხის ტალღა უკვე მოსდებოდა ქუჩებს. ჰაკიმ დაინახა მისი აყრილი ქოჩორი“ (ქიაჩელი, 2006: 45). თოუხან მარშანისა და „უჯუშის ორი მოგვარეთაგანის“ საშუალებით ემხა დედის, დისა და ბექირბი ჩაჩბას ამბავს შეიტყობს. უჯუში იმ ერთადერთ გადაწყვეტილებას ღებულობს, რომელიც ეკადრება მის გვარს და მოდგმას: „-მესმის, ძმებო ყველაფერი, დაფიქრებაც კი პატივს ამყრიდა თქვენს თავლში. საჭირო არ არის ზედმეტი

სიტყვა. მზად ვარ გამოვცხადდე...“ ჰაკი აძბა, მოისმენს რა დეიდაშვილების საუბარს, მაშინვე ხვდება, რომ უჯუში თოუხან მარშანმაც გაწირა და ამ მწარე სიმართლეს მას პირში ეუბნება: „შენ კი იგი სასიკვდილოდ გაგიმეტებია.“ ჰაკი ასეთ კრიტიკულ სიტუაციაშიც კი არ კარგავს სწორად განსჯის უნარს. მისთვის ნათელია, რომ ბექირბი ჩაჩბას გაცილებით უსაფრთხო მდგომარეობა აქვს ბოლშევიკების ხელში, ვიდრე ეს უჯუშ ემხას ექნება. იგი პირდაპირ ეუბნება ძიძიშვილს, რომ მის თავს სიკვდილს არ დაუთმობს, ჰაკი მამის ანდერძის - „უჯუში შენი მზე არის... სიცოცხლე იმისთვის მომიცია, რომ იგი უჯუშს შესწირო“, ღალატს არ აპირებს. „ერთგულება ჰაკი აძბას პიროვნების თვისებაა. თორემ არც თოუხან მარშანი აღუზრდიათ ორგულების ქადაგებით, მასაც თავდადებისა და სიყვარულის იდეალებით ზრდიდნენ, მაგრამ რაკი მის პიროვნებაში არ იდო ერთგულების თვისება, უცბათ დათანხმდა უჯუშ ემხას საწინააღმდეგოდ ემოქმედნა...“ (ბაქრაძე, 2013: 388). „თავდადებისა და სიყვარულის იდეალებით“ აღზრდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც დაიკარგა და გაქრა არა მხოლოდ საქართველოს ამ კუთხეში, არამედ სრულიად საქართველოში. ეს უმთავრესი მიზეზია ამდენი ქართული მიწა-წყლის დაკარგვისა. ერთგულების წყალობით გადაწყვეტს ჰაკი უჯუშის დანაშაული საკუთარ თავზე აიღოს. თავადებიც თანახმა არიან: „- ძიძიშვილი რომ არის, თავიც უნდა გაწიროს შენთვის, კარგად იქცევა, იცოდე, სიტყვა არ დასძრა“ (ქიაჩელი, 2006: 52); მაგრამ ემხა ზნეობრივად და სულიერად დაცემულ და გამყიდველ საზოგადოებას არ ემორჩილება. იგი „უნებლიეთ და მოულოდნელად ამ საზოგადოებას დაუპირისპირდა“ (ბაქრაძე, 2013: 384). უჯუში გადაწყვეტს დანებდეს „- აქ ვარ მეზღვაურების ნამდვილი მკვლელი და გნებდებით“ (ქიაჩელი, 2006: 53).

გასაოცარ თავგანწირვას იჩენს ჰაკი აძბა მაშინაც, როცა იგი უჯუშთან ერთად კრეისერის მეზღვაურების დაუზოგავი მუშტების მსხვერპლი აღმოჩნდება: „დაიზილა და დაიბეგვა თავპირი დუსისხლიანდა. მაინც არ დაცხრა“. მეზღვაურებს ვერ გაერკვიათ ვინ იყო ეს კაცი და როცა ზღვაში გადასაგდებად გააქანა ერთმა მეზღვაურმა, სწორედ მაშინ გაისმა კუზმა მრისხანეს ხმა - „დადექ!“ ეტყობა სამთვალა და ორსახიანი კაპიტანი მიხვდა ვინც უნდა ყოფილიყო ჰაკი აძბასათვის უჯუშ ემხა და მოინდომა ბატონი ტყვეობიდან „გაეთავისუფ-

ლებინა“ იგი: „შენ ხარ მონა, აფხაზო, კრეისერ „შმიდტის სახელით განიჭებ თავისუფლებას, წადი და დაივიწყე შენი ბატონი“ (ქიაჩელი, 2006: 57). ჰაკისათვის შეუძლებელ რაღაცას რომ სთხოვდა ეს „მრისხანე კაცისათვის“ გაუგებარი იყო. ჰაკიმ კი თავისი გაიტანა და უჯუშთან ერთად გემზე დარჩენა მოახერხა.

სიუჟეტს მწერალი ამინდის აღწერით აგრძელებს: „მშვიდი და წყნარი დღე ავდრიანმა ღამემ შეცვალა. ბნელში გახვეული ზღვა ახლა ისე ბობოქრობდა, და ღმუოდა, თითქოს მთელ ქვეყანას წარღვნით და დანგრევით ემუქრებაო. ზეცა არ ჩანდა“ (ქიაჩელი, 2006: 57). ვფიქრობ ბოლო ფრაზა ძალიან მნიშვნელოვანია; იმის გარდა, რომ ამ ღამით „კაი ყმები“ უნდა ჩანთქას ამ ზღვამ და ასე საოცრად სწორედ ამიტომაცაა „ბნელში გახვეული“, ზეცის არ გამოჩენით აშკარად მიგვანიშნებს მწერალი, რომ ღმერთიც კი აღარ ერევა იმ საშინელ აქტში, რომელიც ცოტა ხანში უნდა აღსრულდეს „რკინისა და ფოლადისაგან შეკრულ კრეისერზე“. გემზე მართალია ერთი სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ ყველანი, უჯუშის გარდა, მაგრამ თვისობრივად ისეთივე უცხო იყო კუზმასათვის „აფხაზი გლეხი“, როგორც „აფხაზი თავადი“, და პირიქით, ამიტომ „გადაწყვიტა ამ იშვიათ ტიპს ახლოს გასცნობოდა“, მას შეუძლებლად მიაჩნდა, რომ აფხაზი გლეხის შეგნებაში არ აღმოჩენილიყო სულ მცირე ნიადაგი მაინც ელემენტარული რევოლუციური იდეის შესათვისებლად“. აი, თურმე რა სურდა „მრისხანე კაპიტანს“; მიუხედავად იმისა, რომ ჰაკი შეძლებისდაგვარად „დაიახლოვა და გაათამამა“, ხრიტანიუკის ცხედრის დაკრძალვისას, „მეზღვაურთა წესისამებრ ზღვაში გადაგდებით კრძალავდნენ“, ნაბრძანები ჰქონდა ხრიტანიუკის ცხედრისთვის „თეთრგვარდიელი ბანდიტი გაეყოლებინათ“.

მაინც რა საოცრად ხვდებიან „კაი ყმები“ სიკვდილს, ეტყობა აშკარად ხედავენ „ნათელი დღის კარს“ - „ემხა თავაწეული მიაბიჯებდა... ეს იყო ნაღვლიანი ღიმილის ძლივს შესამჩნევი ციმციმი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დარდს გამოხატავდა, უნდო შეგნებით დაძლეულს“ (ქიაჩელი, 2006: 65). მან ნამდვილად სძლია შიშს, სიკვდილს და „შეინარჩუნა ადამიანის ღირსება“ (ბაქრაძე, 2013: 387).

ემხას დახვრეტას შეასწრებს რა თვალს ჰაკი აძბა, საშინელი გოდება აღმოხდება: „ვაჰაი, შენს ჰაკის, უჯუშ!... კუზმაც კი შეზარა მისმა შესახედაობამ... სახის მუდამ უძრავი ნახევარიც კი

მოუქცია და აუკანკალა“. „უგრზნობი კაცისათვის“ „უცნობია დამიანის სულის მოძრაობის უსასრულო მრავალფეროვნება. მათ შორის ერთგულებით და ეროვნული ტრადიციებით გამოწვეული მოძრაობაც“ (ბაქრაძე, 2013: 383). დიახ, „აფსუა აფხა-ზებისათვის“ ისეთივე ეროვნული გახდა ქართული ტრადიციები, როგორც „ქართველი აფხაზებისათვის“. ამას მომხვდური, მესამე ძალა, რა თქმა უნდა, ვერ გაიგებდა, ამიტომაც თავად „კლასობრივი ეგოიზმის მონა“ (ბაქრაძე, 2013: 389), ასეთ შეფასებას აძლევს ჰაკის ერთგულებისათვის თავგანწირვას - „ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა...“ (ქიაჩელი, 2006: 67).

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო რეალურ პიროვნებას სმელ ბადიას, რომლის პროტაგინისტიც გახლავთ ჰაკი აძბა. აკაკი ბაქრაძის აზრით, მწერალმა თავადსაც და ძიძიშვილსაც სტილი-ზაციის გამო შეუცვალა სახელები. მე, რა თქმა უნდა, არ შემიძლია ბატონ აკაკის არ დავეთანხმო, მაგრამ, ჩემი აზრით, მხოლოდ ეს არ უნდა ყოფილიყო მიზეზი. ბადია ქართული, მეგრული, გვარია. ემხა, უკვე ვთქვით, რომ იგივე ემხვარია. ლეო ქიაჩელმა აფსუური ფუძის გვარი ალბათ იმიტომ შეურჩია სმელ ბადიას, სურდა ხაზი გაესვა ქართველთა და აფსუათა ერთგუ-ლებით, სიყვარულით, ტრადიციების დაცვითა და პატივის-ცემით გაჯერებული ურთიერთობებისათვის, რომელიც მოსპო და გაანადგურა ჩრდილოეთიდან საბჭოეთის სახით შემოსულმა უცხო, მესამე ძალამ.

დასკვნა: ამდენად, ლეო ქიაჩელმა ამ შესანიშნავი მოთხრო-ბის საშუალებით უფრო ქართველ-აფხაზთა და აფსუა-აფხაზთა ურთიერთობა და ტრადიციებისადმი ერთგულება ასახა, ვიდრე საბჭოეთისათვის სასურველი თემატიკა, რომელსაც ე.წ. „სოცია-ლისტური რეალიზმი“ მოითხოვდა.

დამოწმებული ლიტერატურა:

ქიაჩელი, 2006: ლ. ქიაჩელი, სასკოლო ბიბლიოთეკა, თავადის ქალი მაია, მოთხრობები, თბ. 2006;
ბაქრაძე, 2013: ა. ბაქრაძე, სკოლას, თბ. 2013 წ.

Tamar Koberidze

Taking over sokhumi at the beginning XX century (according to Leo Kiacheli's story "Haki Adzba")

The following article analyzes the history of the Georgians and Apsua-Abkhazian relationship and the history of takeover of Sokhumi by the Soviet Union according to Leo Kiacheli's ‘ Haki Azba ‘. The author expresses the mainc characters’, Uzush Emkha and his foster-brother – Haki Azba, spiritual attitudes and values very thoroughly, which was shown with the love and century-old respect and brotherhood even in tragic and difficult situation. Such self-sacrifice is completely impossible to understand for the imprudent and having low spiritualness people as well as for the local ruling classes, which shows the essence of the further historical processes in our country.

თეა სუმბაძე

ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებითი ურთიერთმიმართების საკითხი სიმონ ჩიქოვანის თვალთახედვით

სიმონ ჩიქოვანი XX საუკუნის თვალსაჩინო ქართველი პოეტია, რომლის ლიტერატურული მოღვაწეობაც მხოლოდ მხატვრული შემოქმედებით არ შემოიფარგლება. ლექსების და პოემების გარდა იგი ავტორია ძალზე საინტერესო ესეისტური წერილებისა ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების შესახებ. ამ წერილებში იგრძნობა მკვლევრის ფართო ერუდიცია, პუბლიცისტური ალღო და საკვლევი თემის ღრმა მგრძნობელობა. რიგ შემთხვევებში სიმონ ჩიქოვანი მეტად საგულისხმო დაკვირვებებს გვთავაზობს ქართველ მწერალთა შემოქმედებითი თავისებურებების ირგვლივ.

სიმონ ჩიქოვანის, როგორც კრიტიკოსის, თვალთახედვის არეში, უპირველეს ყოვლისა, მოქცეულია ილია ჭავჭავაძის მხატვრული სამყარო. ილიას შემოქმედების შესახებ სიმონ ჩიქოვანს დაწერილი აქვს ნარკვევი სახელწოდებით „ილია ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობა“. ერთი წერილის ფარგლებში გაგვიჭირდება ილიასადმი მიძღვნილი ვრცელი ნაშრომის პრობლემატიკაზე სრულად მსჯელობა, ამიტომაც ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ერთ მონაკვეთზე - „ილია ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი“, რომელიც, ვფიქრობთ, საყურადღებოა ლიტერატურული ფაქტების ახლებური ანალიზის თვალსაზრისით.

ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებითი ურთიერთმიმართების საკითხი მთელი სიმწვავით დგება მე-19 ქართული ლიტერატურის ისტორიკოსის წინაშე. სიმონ ჩიქოვანის მართებული შეფასებით, „ამ ორი პოეტის მხატვრული თვისებების შედარება ნათელს მოჰფენს დღემდე ბუნდოვნად ახსნილი ქართული პოეზიის განვითარების ზოგიერთ საკითხს“ (ჩიქოვანი, 1983: 179). მართალია ე. წ. „მამათა და შვილთა ბრძოლის“ გახსენებისას ყველას ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პაექრობა ამოუტივტივდება, მაგრამ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილია გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების დიდი დამფასებელია. ილიამ გრიგოლ ორბელიანს ქართული ენის თვითმპყრობელი

და მეუფე უწოდა. როგორც სიმონ ჩიქოვანი შენიშნავს, „ილია ჭავჭავაძის ადრინდელ ლექსებში გრიგოლ ორბელიანის პოეზიის გავლენა შეიმჩნევა, ეტყობა, რომ ახალაზრდობაში ილიას ხიბლავდა მისი ამაღლებული პოეტური აღწერები, ლექსიკა, და ამაღლებული სინტაქსური წყობა, მაგრამ ილიასათვის ეს მიდრეკილება ორგანული არ იყო და მისი ნათესაობა გრიგოლ ორბელიანთან გარდამავალი და შემთხვევითი გახდა. მათი სიახლოვე უმთავრესად გარეგნულია და ეს ორი შემოქმედი სხვადასხვა, მოპირისპირე თვისებების მატარებელია. მათი პოეტური მრწამსი ერთმანეთის წინააღმდეგ არის მიმართული“ (ჩიქოვანი, 1983: 180).

საგულისხოა, რომ სიმონ ჩიქოვანის დაკვირვებით გრიგოლ ორბელიანის პოეზიასთან ილიას აახლოებს პოეტური სინტაქსი, ამაღლებული სტილი და რიტორიკული ფიგურების ხშირი გამოყენება. თუმცა კრიტიკოსის შენიშვნით, ილია უფრო მეტად პრაქტიკოსი პოეტია, რომლისთვისაც უფრო მნიშვნელოვანია ქმედითი ღონისძიებანი, ვიდრე პასიური სიტყვაკაზმული რიტორიკა, რომელსაც ლამაზი სიტყვების მონაცვლეობით მხოლოდ ყურის დატკბობა შეუძლია.

არავინ დაობს იმაზე, რომ გრიგოლ ორბელიანი თავისი ქვეყნის პატრიოტია. მის პოეტურ სტრიქონებში სამშობლოს აწმყოთი შეწუხებული ლირიკოსი პოეტის წუხილი გამოსჭვივის. და მაინც, - გრიგოლ ორელიანის „სადღეგრძელოსა“ და ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ შედარებისას მკვლევარი დაასკვნის, რომ ორივე ნაწარამოები, მართალია, პატრიოტული სულისკვეთებისაა, მაგრამ მათ შორის დიდი სხვაობაა. ილიასათვის გმირული წარსული სახოტბო მოვლენა არ არის, იგი უფრო ანალიზის, განსჯის საგანია. წარსული ილიასთვის დღევანდელობის დამხმარე ძალაა, „სადღეგრძელოში“ კი გმირული წარსულის პოეტური ხატებია შექმნილი და პოეტური ჩანაფიქრი უფრო მწიგნობრულია. სიმონ ჩიქოვანის თქმით, „გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოსა“ და მის შესანიშნავ ლექსს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ თავისი ბუნებით უპირისპირდება ილია ჭავჭავაძის ლექსი „ქართვლის დედას“. ილია ჭავჭავაძე ეკამათება პოეზიაში უფროსი თაობის წარმომადგენელს და პატრიოტულ გრძნობას სრულიად ახალ გააზრებას აძლევს. თუ „სადღეგრძელოს“ ავტორი მისტიროდა ისტორიულ წარსულს და იქ ეძიებდა

ნაცნობ ადგილს განსასვენებლად, ილია ჭავჭავაძის აზრით, უმჯობესი იქნება თუ წარსულის გამო სევდაში არ ჩავ-ცვივდებით“ (ჩიქოვანი, 1983: 185).

აქვე მოვიყვანთ პავლე ინგოროყვას წერილიდან ნაწყვეტს, სადაც მეცნიერი ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პოეზიის შესაძლო ნათესაობაზე გვესაუბრება: „როდესაც ვლაპარაკობთ ილია ჭავჭავაძის „აჩრდილისა“ და გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ ზოგიერთ ხაზში ნათესაობის შესახებ, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ეს ნათესაობა მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთი ხაზით შემოიფარგლება. გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ დიაპაზონი გაცილე-ბით უფრო ვიწროა, ვიდრე „აჩრდილისა“. ხოლო, რაც მთავარია, ილიამ „აჩრდილში“ სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია, და დაუკავშირა რა ერის განთავისუფლების საქმე შრომის განთავისუფლების საქმეს, - გარკვეული სამოქმედო პროგრამა დასახა“ (ინგოროყვა, 1963: 389).

უნდა ითქვას, რომ აღმოსავლური კილო თითქოს მემკვიდრეობად ერგო მე-19 საუკუნის მწერლებს. სპარსული პოეზიით სუნთქავდა ქართული პოეტური ენერგია და ეს ბუნებრივ დინებად მიიჩნეოდა. ილია ჭავჭავაძემ თავისი განსაკუთრებული შემართებით ხალხური პოეზია გაიხადა საკუთარი შემოქმედების მნიშვნელოვან მასაზრდოებელ წყაროდ. სიმონ ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ სიტყვა „ხალხური“, როგორც ერის უმრავლესობის აღმნიშვნელი ცნება, ილია ჭავჭავაძემ დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში.

სიმონ ჩიქოვანის აზრით, ხალხურობისადმი სწრაფვა განსხვავებულად აისახა გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის პოეზიაში. იგი ეკამათება ვახტანგ კოტეტიშვილს, რომელიც ილია ჭავჭავაძის პოეტური დემოკრატიზმის წყაროდ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებას მიიჩნევს. „გრიგოლ ორბელიანიც არ უარყოფდა ხალხურ პოეზიას და მდაბიური კილოც არ იყო მისთვის სავსებით უცხო, მაგრამ მუხამბაზების ავტორის დემოკრატიული ელფერის მქონე ლექსი არ შეიძლება ჩაითვალოს ილია ჭავჭავაძის პოეზიაში გამოვლენილი ხალხურობის წინამორბედად, როგორც ეს მწერალ ვახტანგ კოტეტიშვილს მიაჩნდა. მართლაც, გრიგოლ ორბელიანს

ძლიერ უყვარდა თბილისელ ხელოსანთა მიერ შექმნილი ნახევრად ხალხური პოეზია და მათი წინამორბედი, ბრწყინვალე პოეტი საიათნოვა. „სადღეგრძელოს“ ავტორი ყარაჩოხელთა პოეზიასთან ერთგვარ სულიერ ნათესაობას გრძნობდა, ამგვარი ლექსების დემოკრატიული ელფერის მატარებელი ეპიკურეიზმი მოსწონდა კიდეც. მაგრამ ილიას ხალხური პოეზიის ეს გზა არ ხიბლავდა. მას არ მოსწონდა „კილო მუხამბაზისა, კინტოს კილო, კილო შუაბაზრისა“ (ჩიქოვანი, 1983: 189). სიმონ ჩიქოვანი მარჯვედ ნათელყოფს ხალხური პოეზიისადმი ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებით მიმართების განმასხვავებელ ნიშნებს. მისი შეხედულებით დემოკრატიზმი ილიასან განსხვავებული ფორმით ვლინდება და მისთვის უცხოა გრიგოლ ორბელიანის პოეზიის ყარაჩოხელრი კილო. ილიამ მიზნად დაისახა ერთი მხრივ ქართულ პოეზიაში ეროვნული სულისკვეთების გაძლიერება, ხოლო მეორე მხრივ აღმოსვლური მუხამბაზების, ყათაიების, მუსტაზადების, მაჯამების, ბაიათების პოეტიკის განდევნა და ქართული ლექსის ევროპეიზაცია.

ილია ჭავჭავაძესა და გრიგოლ ორბელიანზე საუბრისას გასათვალისწინებელია მათი დამოკიდებულება სალიტერატურო ენის საკითხისადმი. სიმონ ჩიქოვანის მართებული აზრით, მართალია, ილია წინააღმდეგი იყო მამათა თაობის წარმომადგენლების მიერ არქაული სტილის მიზანმიმართულად, ხელოვნურად ხმარებისა ლირიკულ პოეზიაში, თუმცა, მიუხედავად ამისა, ილიასთვის არ იყო უცხო არქაული ფორმების გამოყენება საკუთარ პოეზიაში. ამასთანავე არც გრიგოლ ორბელიანისთვის იყო მიუღებელი ხალხური პოეზიის სისადავე. სიმონ ჩიქოვანი სამართლიანად აღნიშნავს: „მართალია, გრიგოლ ორბელიანი ძველ ორთოგრაფიას იცავდა, ხშირად ძველ გრამატიკულ ფორმებს იყენებდა და ქართულ ანბანში ცვლილებების შეტანას არ თანაუგრძნობდა, მაგრამ მისი პოეტური მეტყველების მთლიანად არქაულად და მწიგნობრულად გამოცხადება არ არის მართებული. „სადღეგრძელოს“ ავტორის სამწერლო ენას ახასიათებდა ხალხური

მეტყველებისათვის დამახასიათებელი სილაღე, პოეტური თქმის ლაპიდარობა და სიტყვის არტისტული მოქნევა. „სადღეგრძელოს“ ავტორის პოეტურ სტილში შეიმჩნევა ენობრივი სისადავე, ელასტიურობა, ხალხური სასაუბრო ენის სხარტულობა და ფრთიანობა“ (ჩიქოვანი, 1983: 195). სიმონ ჩიქოვანი დამაჯერებლად ნათელყოფს, რომ პოეტური ენის საკითხებში გრიგოლ ორბელიანსა და ილია ჭავჭავაძეს შორის არ არსებობდა პოზიციათა დიამეტრული სხვაობა, ოღონდაც გრიგოლ ორბელიანი ერთგვარად ბოჰემური წრის საუბარში შემჩნეული ინტონაციით ქმნიდა ხალხურობის შთაბეჭდილებას პოეზიაში, ილია ჭავჭავაძე უფრო სალიტერატურო ენის ბუნებაში ახდენდა გარდატეხას სალიტერატურო ენის ფონდში გლეხური, ხალხური მეტყველებიდან ახალი ლექსიკური მასალის შემოტანით.

სიმონ ჩიქოვანის დამსახურებაა ის, რომ მან ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურული ურთიერთმიმართების თაობაზე რამდენიმე ისეთი დაკვირვება წარმოადგინა, რომელიც შემდგომში შესაძლოა ბიძგის მიმცემი გახდეს არაერთი საკითხის უფრო ღრმა კვლევისათვის.

დამოწმებული ლიტერატურა:

ინგოროყვა, 1963: პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული ტ. I, თბ,. 1963;

ჩიქოვანი, 1983: ს. ჩიქოვანი, ოთხტომეული, ტომი III. 1983.

Tea Sumbadze

The problem of literary relationship between Ilia Chavchavadze and Grigol Orbeliani in the thought of Simon Chikovani

One of the important part of the famous Georgian poet Simon Chikovani's literary heritage is the essayist letters, which refer to the works of classics of Georgian poetry. The present article analyzes Simon Chikovani's views on Ilia Chavchavadze's poetry. The main issue discussed here is “Ilia Chavchavadze and Grigol Orbeliani”. S. Chikovani argues with relevant examples that the influence of Grigol Orbeliani was evident in Ilia Chavchavadze's poetry in the early years. However, this proximity is external and their poetic beliefs are mostly contradictory. Simon Chikovani analyzes the influence of folk poetry in the works of Ilia Chavchavadze and Grigol Orbeliani, as well as he talks about the use of archaic forms in the creation of these two lyricists.

იამზე ფუტკარაძე

ყველის სახელდება ქართული ენის დიალექტებში

ქართული ენის დიალექტების მეცხოველეობის ლექსიკის ენათმეცნიერული კვლევა გვეხმარება, დავადგინოთ ამ ფონდის ამჟამინდელი გავრცელების გეოგრაფიული არეალი, გავმიჯნოთ ძირეული და ნასესხები მასალა, გამოვყოთ ძირეული ლექსიკის უძველესი ფენა, გავარკვიოთ ქართული ენის დიალექტებსა და სალიტერატურო ენაში არსებული ლექსიკის ამ ჯგუფის ისტორიული განვითარების პროცესი. შედეგები შექმნის საფუძველს ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასის შესადგენად. ამჯერად ჩვენი მიზანია, დავადგინოთ რძის პროდუქტის - **ყველის** აღმნიშვნელი ლექსიკის იზოგლოსები ქართული ენის დიალექტებში.

ქართული ყოფისათვის მნიშვნელოვანი მონაპოვრებით არის წარმოდგენილი რძის მეურნეობა, რაც რძის პროდუქციის დამზადების მაღალი ტექნიკითა და ტექნოლოგიით აიხსნება. ყველის სახეობა და მასთან დაკავშირებული ლექსიკაც მრავალფეროვანია და საინტერესო. გეოგრაფიულად დაცილებულ ქართულ დიალექტთა დიდი ნაწილის **საზიარო ლექსიკაში, ანუ ზოგადქართულ ლექსიკურ ფონდში** შედის შემდეგი სიტყვები:

1. ბგერითი სტრუქტურისა და სემანტიკის მხრივ **სრულად იდენტური ლექსიკური არქაიზმები,** რომელთაგან ზოგიერთს შენარჩუნებული აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც ძველ წერილობით ძეგლებსა და სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ არის ფიქსირებული.

ს/ქართვ. **ყველ-**

ყველ- ფუძე გავრცელებულია დიალექტთა უმრავლესობაში: ქართლურში, კახურში, მესხურში, ჯავახურში, იმერულში, გურულში, ფშაურში და სხვ. ამავე ფუძის ფონეტიკური ვარიანტები გვაქვს: ინგილოურში - **ყ̆ლ**; ჭანურ (ლაზურ) დიალექტში - **ყვალი // მკვალი // ყუ̆ალი**; მეგრულში - **ცვალი,** მეგრულ-ჭანურში **ც** ბგერა ძირითადად წარმოადგენს **ყ**-ს პოზიციურ ვარიანტს: **ც**ვალი - ყველი... სიტყვის **ყვ** ძირი ამო**ყვ**ანისგან უნდა მომდინარეობდეს

(რძიდან ყველის ამოყვანა), **ელ** წარმომქმნელი მიმღეობის აფიქსია, **-ი** - სახელობითი ბრუნვის ნიშანი (შდრ.: ყუელი -ყველი, საბა).

სულგუნი, ძველ ქართულში **სულდგუნი,** მოხსენიებული აქვთ ლექსიკოლოგებს: სულხან-საბა ორბელიანსა (XVII ს.) და დავით ჩუბინაშვილს (XIX ს.). საშუალო ფეოდალურ ხანაში **სულგუნი** ამავე სახელწოდებით არსებობდა. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, სულგუნი **სუელ**-ისაგან მომდინარეობს, **სუელ** ფუძის ნათესაობითი ბრუნვის **სუელის** (შრატ-ის) ფორმაზე **-გან** ელემენტის დართვით. **სელეგინი, სელეგგნი, სულგუნი, სულუ-გუნი**-ყველი (ჭარაია, 1997: 124); **სელეგინი** -სულგუნი (ქობალია, 2010: 590); **სელეგინ-ი, სელეგუნ-ი სელეგგნ-ი** სულუგუნი (ქაჯაია, 2001: 590); ო. ქაჯაიასთან ასევე დასტურდება **სილოგინი** ფორმაც: **სილოგინ-ი სულუგუნი, იხ. სელეგინი** (ქაჯაია, 2001: 597). ლაზურში **სილინგონყვალ**ი - სულგუნი ყველია; სულგუნი ტრადიციული ყველია სამეგრელოსა (**სილოგინი // სელეგინი // სულუგუნი**) და სვანეთისათვის (**შუელ**). **სულგუნი** // **სურგუნი** (იმერ.) - მოხარშული და გადაზელილი ყველი.

ვ. აბაევი, გ. ახვლედიანი, მ. ანდრონიკაშვილი ოსურიდან ქართულში შემოსულად მიიჩნევენ სიტყვა **სულგუნს:** მათი აზრით, **სულუ** ოსურში არის კვეთი, ხოლო **გუნ** - ყველი, რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგან ოსები საქართველოში მე-16 ს-ის ბოლოს სახლდებიან, **სუელ** ფუძე კი საერთოქართველური ფუ-ძეენიდან გვხვდება გეოგრაფიულად დაცილებულ ქართული ენის როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ დიალექტებში.

ს/ქართვ. **სუელ-**

ქართლურ დიალექტში **სუელ-ი** „შრატი“; სვანურში გვაქვს ფონეტიკური ცვლილება: **შუელ** „შრატი“(ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 283); ხევსურულში **სუელი // ტკბისველა „**ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხე, შრატი“; თუშურში **სველ̌** „დოსაგან ხაჭოს გაკეთების შემდეგ დარჩენილი სითხე“; ხევსურულში **ხარჩოს სველი** „ხაჭოს ამოწურვის შემდეგ დარჩენილი სითხე“, **სველი** „შრატი“; მოხეურში **სველი** -„შრატი“; იმერხეულში **სველი-„**შრატი“; **სველ**-ი (იმერ. გურ. ლეჩხ.) „ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხე, რომლისგანაც ხაჭოს ადუღებენ, შრა-ტი“ (ღლონტი, 1974: 492); **სუელ**-ი (მოხ., გუდამაყრ.) „ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხე, შრატი, სველი“; **სელ** (ინგილ.) „შრატი, სველი“ (ღლონტი, 1974: 490).

„სიტყვის კონაში“ დადასტურებულია ასევე ბგერითი შედგენილობით ერთნაირი გვიანდელი ლექსიკა: **კაზალა** „ნაჭერი ყველი“ (ორბელიანი, 1991: 346); **კაზილა-კაზგლა** (მეგრ.) „გადაუზელელი, დამარილებული ყველი“ (ქაჯაია, 2001: 97).

დღლორწი „მეტად სველი, მეტად დამბალი ყველი“. **„დღლორწი ყველი** არ გეიყიდება“ (ინ.) (ფუტკარაძე, 1993: 442), შდრ. საბა: **დღლორწი** „ლაფიანი წყალი“.

გვაჯილი (ლეჩხ.) „სულგუნი“, „დღეს რო ამევიყვანთ ყველს, ხვალ საღამომდი აფუვდება, ყველი მოსრულია საგვაჯილეთ, გარმოვასხამთ გობზე“ (ღლონტი, 1974: 151).

2. **გამოიკვეთა სრულად იდენტური საერთოქართველური ლექსიკა, რომელიც „სიტყვის კონაში“ არ გვხვდება:**

ს/ქართვ. **ნუშ**- „ყველი“

ქართლ. **ნუშ**-ი; ზანურ//სვანური - **ნუშქ**-ი; ინგ. **შოა // შონ** „კვეთი“ (ჩუხუა, 2007: 22.). **ნუშ** (ძვ. ქართ.) - ყველი, ახალი ყველი, ან გაწურული მაწონი (აბულაძე, 1973: 33). აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის თვალსაზრისით, ყველის აღმნიშვნელი ფუძე აფხაზურში **აში** საერთო ჩანს სვანურის „ყველის“ აღმნიშვნელ **თაშ** სიტყვასთან და არგუმენტად მოჰყავს ძველი ქართულის X საუკუნის ძეგლში (ოშკის ბიბლიაში) ყველის აღმნიშვნელად დადასტურებული **„ნუში“**, ენათმეცნიერს **ნ-** პრეფიქსული ვარიანტის მქონე ფუძის სვანურ სახეობასთან შედარება აფიქრებინებს, რომ აღნიშნული სიტყვის ძირეული მონაცემი სხვადასხვა ენაში შეიძლებოდა განსხვავებული პრეფიქსული ელემენტით გაფორმებულიყო, აქედან გამომდინარე ვარაუდობს, რომ აფხაზურ **აში** ფუძეს ჩამოშორდა **ნ-** ან **თ-** თანხმოვანი (ლომთათიძე, 1996: 18-19). შესაბამისად, აფხაზურ ენას **აში („ყველი“)** ქართული ენიდან შეუთვისებია.

ს/ქართვ. **ქიუ** „ჩუმამაწონი, ყველი ერთგვარი“

ქართლური **ქივ;** ზანური (მეგრ.) **ქიფ-ურ-ი // ქიბური** „ჩუმამაწონი, მზადდება გუდაში“; სვანური **ქიუ** (ბზ., ლშხ., ლნტ.) - **ცველი**, ერთი წველა ყველი; ინგილოური **ქირი** „შრატი“ (ჩუხუა, 2007: 51.); აჭარულ დიალექტში დღესაც გამოიყენება არქაული სიტყვა **ქილერი** „რძის პროდუქტის შესანახი ოთახი“. მკვლევარ მ. ჩუხუას აზრით, შეიძლება ამ სიტყვის წყარო არაბული **ქილე** იყოს (ჩუხუა, 2002: 254), რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგან საერთო-

ქართველურ **ქიუ** ფუძეში, გვაქვს **ლ - უ** პროცესი, რასაც ემატება (სიმრავლის აღმნიშვნელი) **ერ** სუფიქსი. **ქიუ+ლ+ერ**. ამდენად, **ქი-ლ-ერ-ი** ძველი ქართული სიტყვაა. ქილარი (ჯავახ.) - პროდუქტებისა და ჭურჭლის შესანახი განჯინა (ადგილი) (მარტიროსოვი, 1984: 247).

ქართული ენის დიალექტებში ხშირად ყველს (რძის პროდუქტებს) ზოგადი სახელით მოიხსენებენ: **ატია** (ხევს.) „მოხდილი ყველი ე.ი. სატანი ბავშვის ენაზე“; **თეთრი** (თუშ.) „ყველი, ხაჭო“; **უჴდურ**-ი (მოხ.) „ერბო, ყველი“, სიტყვა **უჴდური** მომდინარეობს მო**ჴდ**ა ზმნისაგან, **უ-ურ** მაწარმოებელი აფიქსით, რაც ნიშნავს მოუ**ხდ**ელს; აჭარულ დიალექტში სიტყვის ძირი **ხდ** დაყრუებულია: **უ-ხტ-ურ-ი** „ყველი, რძის ნაწარმი“; **ღალანაყარი** (ფშ.) „ნაღებმოუხდელი რძე, ყველი“ (ღლონტი, 1974: 582).

3. **გვაქვს მნიშვნელობითა და ბგერითი სტრუქტურით ერთნაირი სიტყვები:**

ტაოურ, კლარჯეთულ, შავშეთურ, აჭარულ, მესხურ-ჯავახურ დიალექტებში გავრცელებულია **ჩლეჩილაი // ჩრეჩილი // ლავაში** „ყველის სახეობა“, „ჩლეჩილას ვაკეთებთ გამოხდილი ზით“ (იმერხ.) - (ფუტკარაძე, 1993: 643; ფეიქრიშვილი, 1992: 89); **ჩერჩილა** (მთიულ.) „დამჟავებული ყველი, რომელიც გაცხელებისას იწელება, დაწნულს ძმარში ინახავენ“; **ჩეჩილი ყველი** (მესხ.) „ძროხის ადგილობრივი ყველი, ძაფებივით არის ჩაკეცილი, თმასავით იჩეჩება, მდარე ხარისხისაა“; **ჩიჩილი** (ქართლ.) „დახვეული ყველი“; **ჩეჩილი** (ქართლ.) „ცხვრის ყველი ერთგვარი“. **ჩეჩ-ა (და-ჩეჩ-ა)** ზმნისაგან მომდინარე **ჩეჩ-ილ-ი** სახელს აწარმოებს **-ილ** მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსი.

ფუშკურო // ფუშტურო „რძის მანქანაში გატარებული დამჟავებული რძისგან მიღებული ყველი, რომელიც დაბალი ხარისხისაა“ (იმერხ., აჭარ.); **გორჯოლა // გორჯოლო** (იმერხ., აჭარ.) „ერთგვარი ყველი“. „გორჯოლას ზაფხულში გავაკეთებთ“ (ფუტკარაძე, 1993: 643). **გორჯოლო** ყველის ამოსაყვანად კვეთს არ ხმარობდნენ, ჭურჭელში რძეს მის გარეშე ამჟავებდნენ. ეს პროცესი რამდენიმე, დაახლოებით ორ-ექვს დღეს გრძელდებოდა, ყველი შედგებოდა და შედედებულ რძეს ჭურჭელში - ქვაბში ჩაასხამდნენ, შემდეგ ცეცხლზე შედგამდნენ, ნელ ცეცხლს შეუკეთებდნენ, ციცხვით შეურევდნენ, რათა რძე ქვაბში ყველგან თანაბრად გამთბარიყო. ერთ საათში ქვაბს თავზე გორჯოლო ყველი მოადგებოდა, როცა

ყველი „ქვაბს მოცურდებოდა“, ზევით ამოიწევდა, ცხელ გორჯოლოს ციცხვით ამოიღებდნენ, სპილენძის საწურში გადაიტანდნენ და გაწურავდნენ. ბოლოს მასას ჩახვში ჩაასხამდნენ. შრატისაგან გაწურავდნენ და ყველიც მზად იყო.

გუდის ყველი მზადდებოდა იმ კუთხეებში, სადაც მეცხვარეობა იყო გავრცელებული (თუშეთი, ფშავი, კახეთი, ქიზიყი, აჭარა...). მკვლევარი შ. ნიჟარაძე ასე აღწერს მის დამზადებას: „გუდაში შენახულ გორჯოლოს **ჩუმ ყველს**, **გუდის ყველს** ეძახდნენ. იგი გუდაში ჩადებული ცხვრის ყველი იყო. მეტად ცხიმიანი, ყუათიანი და გემრიელი. უმთავრესად ჰემშილები აკეთებდნენ. გუდად ჩვეულებრივ თხის ტყავს იყენებდნენ, რომელიც სპეციალურად ამ მიზნით მზადდებოდა. გუდაში ყველის შენახვის დროს დიდი ყურადღება გუდის თანაბარ გავსებას ექცეოდა, რათა ყველი არ გაფუჭებულიყო. ყველის გავსების შემდეგ თავმოკრულ გუდას ერთ-ერთი ფეხიდან ბერავდნენ, რაც აუცილებელი იყო. ყველის გუდის ნაპირებზე მიკვრის თავიდან ასაცილებლად. მარილის თანაბარი განაწილების თვალსაზრისით გუდას ხშირად აბრუნებდნენ“ (ნიჟარაძე, 1971: 149); **გუდის ყველს** უმთავრესად აკეთებენ კახელი, თუში და ფშაველი მეცხვარეები; გუდის ყველის დასამზადებლად ლაზები იყენებდნენ **გუდულა**-ს (ლაზ.) „ტყავის გუდა ცხვრის ყველისათვის“ (თანდილავა, 2013: 185); **გუდაის ყველი** (მოხ.) „გუდაში შეწირული ყველი (ახალ მოწველილ რძეს ასხამენ კვეთს და შედედებისთანავე წურავენ გუდაში)“; **მოგუდული ყველი** (ქართლ.) „გუდის ყველი“ (ბერიძაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 297).

სახელი **პწნილი** „დაწნული ყველი“ დადასტურებულია იმერულ და აჭარულ დიალექტებში. დაწნული (**დაპწნილი ყველი**) „რძის დასამუშავებელ მანქანაში გატარებული, ნაღებგამოცლილი რძისაგან დამზადებული ყველი, იგივე ჩლეჩილი - აჭარული გრეხილი ყველი. რძეს ზამთრობით დილიდან საღამომდე, ხოლო ზაფხულობით დაახლოებით ორ საათს გააჩერებდნენ, შემდგომ ცეცხლზე შეათბობდნენ, კვეთს ჩაასხამდნენ და ცოტა ხანს გააჩერებდნენ. ხის დიდი კოვზით - ციცხვით ნელა მოურევდნენ და ყველი თანდათან „მოსვლას“ - აჭრას დაიწყებდა. როცა რძე აიჭრებოდა, ყველს იმავე ჭურჭელში ხელით ერთ ადგილზე შეაგროვებდნენ, „მოჭყეპდნენ“ და ყველის რგოლს შეკრავდნენ, შრატიდან, რომელიც ყველისგან რჩებოდა, ამოიღებდნენ და რამდენჯერმე ერთმანეთზე გადაახვევდნენ, დაწნავდნენ. ყველი

წნულის, გრეხილის ფორმას მიიღებდა“ (მგელაძე, 1965: 160); **ᲞᲬᲜᲘᲚᲘ** (იმერ.) „დაწნული ყველი“ (გაჩეჩილაძე, 1976: 113).

მოშუშვილი (ზ.აჭარ.) „ყველის სახეობა, ყვითელი ფერის მოშუშებული ყველი“; **გადაშუშვილი** (იმერ.) „მოდუღებული ყველის სახეობა“, **მოშუშული ყველი** „მოშუშებული ყველის მისაღებად გობზე ღვალოს ნედლ ფოთლებს დააფენდნენ, შემდეგ გორჯო ყველს დააყრიდნენ, ზემოდან იმავე ღვალოს ფოთლებსა და შალის რბილ ნაჭერს გადააფარებდნენ, გობს კერასთან ახლოს დადგამდნენ და კასრის სახურავს მჭიდროდ მოარგებდნენ, დაახლოებით ერთ კვირაში ყველი გობში კარგად ჩაშუშდებოდა და გაყვითლდებოდა, ყველს ქვაბში ჩაფშვნიდნენ, რძეს დაასხამდნენ, მარილს დააყრიდნენ და ნელი მორევით ნელ ცეცხლზე ადუღებდნენ, ყველი თაფლივით უნდა გასქელებულიყო, შემდეგ მას ქილებში ათავსებდნენ. მოშუშული ყველი კარგი გამძლეობით ხასიათდებოდა“ (მგელაძე, 2018: 271).

კუკუშელა (ფშ.) „შედედებული ყველი“; **კუშუშელა** (თიან.) „ჭყინტი ყველი, ახლად ამოყვანილი“; **კუშკანა // კუშკანაი** (მთიულ. მოხ. ქსნის ხეობა) „ყველის პატარა გუნდა, ყველის პატარა წველა“ (ღლონტი, 1974: 317).

კუსი (ფშ. ხევს.) „ყველი“, **კუსი** „ერთი თავი ყველის შედედებული რძისგან ამოღებული ყველი“ (ღლონტი, 1974: 317);

წველი// წველა (ლეჩხ. ქიზიყ.) „ერთი ამოღება ყველი, ერთი ნაწველის ყველი“. ინგილოურსა და ლეჩხუმურში **წველა** ჰქვია **მაწონსაც,** მიღებულია **წველა**-საგან (ღლონტი, 1974: 700).

ჭიპი (იმერ.) „ახლად ამოყვანილი ყველის გუნდა, ნაწყვეტი“. აჭარულში გვხვდება **ყველი ჭიპაი**, რაც ახალამოღებული ყველის პატარა ნაჭერს ნიშნავს (ღლონტი, 1974: 723).

კმილი (ლეჩხ.) „ერთი ამოღება ყველის ერთი ნაჭერი (დაჭრილი)“; შდრ. **კიბგცვალი** (მეგრ.) „კბილი ყველი“ (ქაჯაია, II, 2001: 136).

4. **ბგერითი შედგენილობით ერთნაირი, მნიშვნელობით განსხვავებული ყველის სახელები:**

სატან-ი (თუშ. ქიზიყ. ფშ.) „ყველი, ხაჭო, ერბო - ყველაფერი, რაც პურთან ერთად იჭმევა“. შდრ. **სატანი** (ხევსურ.) „მოხდილი ყველი, დამზადებული ძროხის რძისგან“ (ღლონტი,1974: 477).

ცინცილა (იმერ. ოკრიბ.) „ერთჯერობაზე ამოყვანილი პატარა ყველის კვერი“. ნ. ცუნცულა, შდრ. **ცუნცულა**-/ე, ჲ-(იმერ.) „ახალამოყვანილი ყველის პატარა ნაწყვეტი“ (ღლონტი, 1974: 678).

5. **ყველის ნაირსახეობათა სახელები:**

თავმოხდილი ყველი (აჭარ.) „ნაღებგამოცლილი, რძის მანქანაში დამუშავებული რძისგან დამზადებული ყველი“. **ჩოგრ // ჩოგი** (თუშ.) „მეცხვარეთა სატანია: ახალამოღებულ უმარილო ყველს 2-3 დღე თბილად შეინახავენ, იგი გაფუვდება, ოდნავ მომძაღო გემოს დაიკრავს, შემდეგ მარილში გაზელენ, გუდაში მაგრად ჩატენილს შეინახავენ, მთელი ზამთრის განმავლობაში ხმარობენ“ (ღლონტი, 1974: 661).

ყველის ნაირსახეობათა და მათი სახელების სიმრავლე მრავალ მხარეში დასტურდება. წარმოვადგენთ დიალექტურ სახელთა ნუსხას:

გებჟალაფა // გებჟალია (მეგრ.) „პიტნითა და მარილით შეკმაზული ყველი“; **ფუჩხოლია „**ყველის სახეობა სამეგრელოში; წვრილად დაფშვნილი და შეკმაზული ყველი“; **ხუმლა ცვალი** „ხმელი ყველი, შებოლილი ყველი“; მეგრულში **ბუჯგა** „სასულ-გუნედ მოუსვლელი ყველი“; **კიფუალი** „გადაუზელელი ყველი“; **ნაჭყვედია // ნაჭყვიდია** (მეგრ.) „ყველის ამოყვანისას მოწყვეტილი ნაწილი“; **ჭალავარი** (მეგრ.) „ახლად შედედებული ყველი“; **ჭეღრა** (მეგრ.) „გუდის ყველი“; **ჭვეჭვერა** (მეგრ.) „ახალამოყვანილი ყველი“; **ჭიორილი** (მეგრ.) „აფუებული, დასვრეტილი, დაღარული ყველი“ (ქაჯაია, ტ. III, 2002: 152, 375, 456, 463, 466, 472); **ჭვეჭვერე-** ფეროვანი, მწყაზარი; პატარა წველა, ახალამოყვანილი ყველის გუნდა (იგივეა, რაც კვეკვერე), **ჭიორილი** - ნასვრეტებიანი, მოსული ყველი (ქობალია, 2010: 709, 710); სვანურში გვაქვს **თაშ** „ყველი“; **ლეგჯმარე** „სულგუნი“ (დონდუა, 2001: 191);

გადაზელილი (იმერ. გურულ.) „გადაზელილი ყველი, სულგუნი“ (ღლონტი, 1974: 108); **ყველისკუერი** „ერთი თავი ყველი“ (მოხ.). **ხაჭოს ყველი** (აჭარ.) „ახალამოღებული დაუმარი-ლებელი ყველი“; **თავგადასაკრავი ყველი** (აჭარ.) „ახალამოღებულ თბილ ყველს ყველით სავსე გვარდას ზემოდან გადააკრავდნენ და კუთხეებს მჭიდროდ ჩაუქელავდნენ, თავგადასაკრავი ყველი ჭურჭელში ჩალაგებულ ყველს გადამწიფებისაგან იცავდა, დროთა განმავლობაში თავგადასაკრავი ყველი თავად დამწიფდებოდა, მაგრამ ჭურჭელში არსებული ყველი შენახული იყო“ (მგელაძე, 2018: 140); **ნოგის ყველი** (იმერ.) „ნოგაში (ჭურჭელია) ჩამარილე-ბული ყველი“; **ნაყელ** (სვან.) „ამოყვანილი ყველი (ახალი)“ (დონ-დუა, 2001: 236); **ხასი ყველი** „მაღალი ხარისხის ყველი“: იმფერი

ხასი ყველი ამეიღო, რომე ქალი თმასავით დეიმწნა“ (ინეგ.) (ფუტკარაძე, 1993: 669); **დათხზნული** „დაწნული ყველი“ (ნიჟარაძე, 1971: 158); **მწიფე ყველი** (აჭარ.) „მშრალად, წათხის გარეშე შენახული აჭარული ყველი, რომელიც დროთა განმავლობაში მწიფდებოდა, რბილდებოდა, იცვლიდა ფერსა და გემოსაც, აჭარულ სამზარეულოში მას საპატიო ადგილი მიეკუთვნებოდა და ჩვეულებრივ მჭადთან ერთად მიირთმევდნენ“. შდრ. **დაპწნილი, ჩლეჩილი ყველი**. აჭარული ყველის ღირსებაზე ვახუშტიც მიუთითებდა: „არაოდესვე წახდების, არცა დაობდების, რაჟამს გნებავს, შემგბარი კეთილ სახმარ არს“.

სასრება-ი „მაგარი, უძარღვო ყველია. „დამჟავება ბევრი თუ მუუვდა, ყველი სასრებაი გამუა“ (თ. ქ.); **ფშნილაი** „ფხვიერი ყველია, რომელსაც ამზადებენ მხოლოდ იმერხევში, „ჩვენა ფშნილაი ვიცით“ (იმერხ.); **წიაპაი** „ძარღვიანი ყველი“ (თ. ქ.) (ფუტკარაძე, 1993: 558, 597, 655); **ტენილ-ი ყველ**-ი (მესხ.) „გადახარშული ყველი“ (მაისურაძე, გვ. 509); **ჭაჭუა // ჭაჭუტა** (გურ.) „ყველი, ახლად ამოყვანილი ყველი; ყველი ბავშვის ენაზე“ (ღლონტი, 1974: 718).

ქართლში ერთი ნაწველისგან ამოყვანილ ყველს სხვადასხვა საწყაოს მიხედვით არქმევდნენ სახელებს: **გორდეული** (შდრ. **გორდ**ა „პატარა გობი“) „ყველის დიდი გუნდა, დიდი კვერეული“, **ჯამეული** (შდრ. **ჯამი**), **ჯერეული** (შდრ. **ჯერი**), **პინეული** (შდრ. **პინა,** ჯავახურ, აჭარულ, გუდამაყრულ, მთიულურ დიალექტებში - „ხის დიდი ჯამი“, მთიულურსა და გუდამაყრულში - „სპილენძის ტაშტი, ჭურჭელი რძისა, ფუთი“. **პინა** ზემო აჭარულში ხის კასრია, რომელიც საწყაოდაც გამოიყენება; **გუმბულა** // **გუმბულაᲥ**- (ქართლ.) „ერთი წველა ყველი“; მოხეურ დიალექტში ერთი ნაწველისაგან ამოყვანილ ყველს ჰქვია **კუერეული** (კვერი) „ბურთისნაირი 4-7 კგ“ (ღლონტი, 1974: 165); **კონჩხულაცᲧ** (კნინ.)(თუშ.) „ყველის პატარა თავი, ძროხის რძის გუდაში გამოუყვანელი ყველი“ (ცოცანიძე, 2002: 203).

ამრიგად, ქართული ენის დიალექტებში გავრცელებული ყველის ნაირსახეობათა სახელწოდებები მათი დამზადების ტექნოლოგიის, ფორმის, შენახვის, ზომის ან გემოს მიხედვითაა მოტივირებული. ამ დარგის ლექსიკაში იშვიათია ნასესხები ლექსიკაც: **მოთალი** (ფშ.) „გუდის ყველია ერთგვარი, დაფხვნილი (თურქ.-აზერბ. motal“ (ღლონტი, 1974: 369).

საქართველოში შემონახული ყველის შესანახი ჭურჭელი 8000 წლის წინანდელია. შესაბამისად, ყველის დამზადება-შენახვა უძველესი ქართული კულტურის კუთვნილებაა, რითაც დასტურდება, რომ საქართველო ყველის ქვეყანაა.

დამოწმებული ლიტერატურა:

ბეროზაშვილი...,1981: თ. ბეროზაშვილი, მესხიშვილი მ., ნოზაძე ლ., ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1981;
გაჩეჩილაძე, 1976: პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექ-სიკონო მასალა, თბ., 1976;
დონდუა, 2001: კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ., 2001;
თანდილავა, 2013: ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბ., 2013;
ლომთათიძე, 1996: ქ. ლომთათიძე, „აფხ. აში („ყველი“) სიტყვის თავდაპირველი სახეობისთვის“ (ძველი ქართულის წერი-ლობითი ჩვენების გათვალისწინებით), არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტის LV სამეცნიერო სესია, მოხსენებითი თეზისები/ საქ. მეცნ. აკადემია, თბ., 1996;
მგელაძე, 2018: ნ. მგელაძე, „ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი“, ბათუმი, 2018;
ნიჟარაძე, 1971: შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971;
ორბელიანი, 1991: ს.ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ორტომეული, თბ., 1991;
ფენრიხი..., 1990: ჰ. ფენრიხი, სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ. 1990;
ფეიქრიშვილი, 1992: ჟ. ფეიქრიშვილი, მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, ქუთაისი, 1992;
ფუტკარაძე, 1993: შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993;
ქაჯაია, 2001: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2001;
ღლონტი, 1984: ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, თბ., 1984;
ჩუხუა, 2007: მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2007;
ჩუხუა, 2002-2003: მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2002-2003;
ცოცანიძე, 2002: გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბ., 2002.

Iamze Putkaradze

The Names of Cheese in the Dialects of the Georgian Language

The article discusses the names of cheese in Georgian dialects. Dairy farming is characterized by significant achievements for Georgian life, which can be explained by the high technology and technology of dairy production. The type of cheese and the vocabulary associated with it are various and interesting. The vocabulary of the names of cheese in Georgian dialects is rich in both archaic and innovative forms, which form synonyms, and, therefore, they are a real treasure of the rich vocabulary of the Georgian literary language, which can occupy a legal place instead of barbarisms derived from other languages.

The geography of their distribution will provide interesting material for those wishing to compile a Kartvelian dialectological atlas.

The shared vocabulary of most of the geographically distant Georgian dialects, or the Georgian General Dictionary Fund, includes the following words:

1. Fully identical common Kartvelian vocabulary;
2. Relatively late vocabulary;
3. The synonyms of the word **cheese**;
4. The vocabulary of the same composition, but different with its meaning.